

თეიმურაზ აბაშიძე

ქართული მიუზიკლი



გამომცემლობა „ვენეცური“
თბილისი
2016

მინდა უღრმესი მადლობა გადაუხადო თანადგომასა და რეკომენდაციისათვის ჩემს კოლეგებს და მეგობრებს, პროფესორებს: დავით კობახიძეს, მარი გაჩეჩილაძეს, თეატრმცოდნეს მიხეილ კალანდარიშვილს, ქალბატონ მანანა ამაშუკელს და წიგნის რედაქტორს გულიკო ჯავაშვილს.

რედაქტორი: **გულიკო ჯავაშვილი – დოქტორი, პროფესორი**

რეცენზენტები: **დავით კობახიძე – დოქტორი, პროფესორი**

მანანა კვიციანი – პროფესორი

კორექტორი: **მანანა სანადირაძე**

დამკაბადონებელი: **ეკატერინე ოქროპირიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **გიორგი აბაშიძე**

© თეიმურაზ აბაშიძე

© Teimuraz Abashidze

© საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი“, 2016

© Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University Publishing House “Kentavri”, 2016

ISBN 978-9941-9461-1-0

შინაარსი

წინასიტყვაობა	5
სულხან-საბა ორბელიანი „საბა-ბერის ბაკვეთილები“	11
ილია ჭავჭავაძე „ლუარსაბ-ღარეჯანიანი“	58
პოლიკარპე კაკაბაძე, პეტრე გრუზინსკი-ბაგრატიონი „მწარმწარმე თუთაბერი“	110
პოლიკარპე კაკაბაძე „სამი ასული“	150
მერაბ ელიოზიშვილი „ბერიკონი“	191
პეტრე გრუზინსკი-ბაგრატიონი „თოფლიანი მთების მელოდები“	231

წინასიტყვაობა

ოპერა, ოპერეტა, მიუზიკლი არის დღევანდელი მუსიკალურ-თეატრალური ჟანრის მიმართულებები, მაგრამ რაში მდგომარეობს განსხვავებულობა რთული დასადგენია, იმიტომ რომ თანამედროვე თეატრში ტრადიციული სქემები ისე გადადიან ერთი ტიპის ნაწარმოებიდან მეორეში, ყოველგვარი, ადრე მიღებული, კანონზომიერებების მიუხედავად, რომ ანალიტიკური დაკონკრეტების გარეშე ჟანრის ზუსტი დადგენა ძნელდება, თუმცა, ცხადია, რომ მთავარ, ძირითად თვისებად რჩება სამი კომპონენტის – მუსიკის, ცეკვის, სალაპარაკო დიალოგის ურთიერთობა, ხოლო ჟანრობრივი მიმართულება განისაზღვრება კომპონენტების ურთიერთობის მოცულობით ლიტერატურულ მასალასთან, რაც განსაზღვრავს მის ჟანრობრივ მიმართულებას, მის ჟანრობრივ სტატუსს.

ჟანრობრივი სტატუსი ძალიან სათუთი თემაა, მაგალითად მოცარტი, თავის ზინგშილს, „ბასტიენი და ბასტიენას“ – ოპერად თვლიდა, ფლორიდონ ერვემ, თავის ვოდევილს, „მადმუაზელ ნიტუშს“ – ოპერეტა უწოდა, მიშელ ლეგრანმა კი, „შერბურის ქოლგებს“ – ოპერა. ასე, რომ თანამედროვე მუსიკალურ თეატრში ოპერეტა და მიუზიკლი მიჩნეულია განსხვავებულ ჟანრობრივ განაყოფებად, ხოლო რაში მდგომარეობს ეს განსხვავებულობა, ხშირად ჩამოყალიბებულია აბსტრაგირებულად და ბუნდოვნად.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლების დამლევს „ოპერეტამ“, როგორც მთავარმა მუსიკალურმა გასართობმა ჟანრმა, დაუთმო პირველობა ახალ, დინამიკურ, თეატრალურ წარმონაქმნს – „მიუზიკლს“. კურტ ვაილის და ბერტოლდ ბრეხტის შედევი – „სამგროშიანი ოპერა“, რომელიც პირველად იხილეს 1928 წელს, საფუძვლად დაედო სხვადასხვა ქვეყნის იმდროინდელი უნიჭიერესი კომპოზიტორების შემოქმედებას და უსწრაფესად დაეუფლა მსოფლიოს მუსიკალური და არამუსიკალური თეატრების სცენებს და სულ რაღაც, 20-30 წლის განმავლობაში უდიდესი პოპულარობა და აღიარება მოუტანა ამ ახლებურ, საოცრად მიმზიდველ თეატრალურ სანახაობას. ის მთავარი, ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო ახალ თეატრალურ მიმართულებას, ადვილებდა, უწყობდა ხელს ჟანრის გავრცელებასაც, გაფართოებასაც.

სიტყვა „musical“, ე.ი. მუსიკალური სპექტაკლი, „musical

comedy“, წარმოიშვა „მუსიკალური კომედიის“ და „musical play“-ს (მუსიკალური პიესის) ტერმინების შეერთებიდან. „მიუზიკლის“ ძირითადი თავისებურებები, რომლებმაც ასე სწრაფად მიიზიდეს მაყურებლის სიყვარული, შემდეგშია:

1) ჟანრობრივი დიაპაზონის განუსაზღვრელობა, რომელიც შეიცავს, როგორც კომედიას, ასევე სატირას, დრამას და ტრაგედიასაც კი.

2) საესტრადო, გასართობი მუსიკის წამყვანი, მთავარი როლი.

3) მუსიკის, ცეკვის და სალაპარაკო დიალოგის თანასწორობა სპექტაკლის დრამატურგიულ (შინაარსობრივ) განვითარებაში.

4) „მიუზიკლი“ ეყრდნობა დიდ, ცნობილ ლიტერატურულ ან თეატრალურ ნაწარმოებს, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს და რომელსაც აქვს დიდი პროფესიული ღირებულება.

5) „მიუზიკლი“ თავისი შინაარსით მიისწრაფვის მაღალი იდეურობის, ღრმა, შინაარსიანი სერიოზული პრობლემატიკისაკენ.

„მიუზიკლი“ ძალიან მრავალწახნაგოვანი მცნებაა, რომელიც შეიძლება მთავრად ყველანაირი ხასიათის ნაწარმოებს, ამიტომ სიტყვა „მიუზიკლი“ გამოიყენება ჟანრობრივი დაზუსტების გამომსახველ ტერმინებთან ერთად. თანამედროვე თეატრის და კინოს პრაქტიკა აკანონებს „მიუზიკლის“ ოთხ ძირითად ჟანრობრივ კატეგორიას:

1) „მიუზიკლი – ოპერა“ მუსიკალური თეატრის ისეთი სახეობაა, რომელიც ორგანულად შეიცავს ორივე ჟანრის – ე.ი. „ოპერის“ და „მიუზიკლის“ თვისებებს;

მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ კომპოზიტორ მიშელ ლევრანის ფილმი-ოპერა „შერბურის ქოლგები“, სადაც გამოყენებულია საესტრადო ხასიათის მუსიკა, ხოლო არიოზული და რეჩიტატიული დაყვანილია მინიმუმამდე. ასეთივეა ენდრიუ ლილ ვებერის „იესო ქრისტე“, რომლის ურთულესი მუსიკალური დრამატურგიის საფუძველს წარმოადგენს არა არიოზულ-რეჩიტატიული, როგორც კლასიკურ ოპერაში, არამედ საესტრადო პოპ-მუსიკა.

2) „მიუზიკლი – ოპერეტა“ – აშშ-ში წარმოშობილი მუსიკალურ-თეატრალური ჟანრი, რომელიც დაიბადა ვენის ოპერეტის თავისებური, ამერიკანიზებით, ე.ი. ევროპული ოპერეტის მუსიკალური ტრადიციების შეერთებით მომავალი „მიუზიკლის“

ძირითად თავისებურებებთან; ასეთმა მიდგომამ სხვა, საინტერესო მუსიკალურ-თეატრალური ფორმატი ჩამოაყალიბა, რომელშიც ორიგინალურად გამოდიანდა კლასიკური და უახლესი მუსიკალური თეატრების ხერხები. „მიუზიკლ-ოპერეტის“ თვალსაჩინო მაგალითებია ფრიდერიკ ლოუს „ჩემი მშვენიერი ლედი“, ლაიონელ ბარტის „ოლივერი“, გოგი ცაბადის „ვერის უბნის მელოდები“.

3) „მიუზიკლი – დრამა“ – „მიუზიკლ-ოპერეტისაგან“ განსხვავებით, სადაც მთავარი, წამყვანი კომპონენტი მუსიკაა, სალაპარაკო დიალოგს ეყრდნობა და უმთავრესად არის დრამატული თეატრის განაყოფი. „მიუზიკლი-დრამა“ განსხვავდება დრამის თეატრის მუსიკალური სპექტაკლებისაგან იმითაც, რომ მასში მუსიკა განუყოფელი ელემენტია სცენური დრამატურგიისა და მისი ამოღება ან დაშლა საგრძნობლად ცვლის ან არღვევს ნაწარმოების დრამატურგიულ ფორმას. „მიუზიკლი-დრამა“ ჟანრია, რომელმაც ბევრი რამ ინათხოვრა ოპერეტის გამომსატველობითი ხერხებიდან და პრაქტიკულად წარმოადგენს ოპერეტისა და დრამის ჰიბრიდს. „მიუზიკლ-დრამის“ პირველ ნაწარმოებად ითვლება ბრეხტ – ვაილის „სამგროშიანი ოპერა“ (1929წ), ხოლო უახლოეს პერიოდში თანამედროვე მუსიკალური თეატრის საყოველთაოდ ცნობილი შედეგრი – „ლამანჩელი“.

4) „მიუზიკლი – შოუ“ (რევიუ) – წარმოადგენს მუსიკალური, ვოკალური, საცეკვაო, საცირკო და სალაპარაკო ნომრების შეერთებას პირობითი ხასიათის შინაარსით.

ქართული „მიუზიკლი“ ევროპულთან და ამერიკულთან შედარებით 20-25 წლის დაგვიანებით წარმოიშვა, იმიტომ რომ პროფესიული ინფორმაცია საბჭოთა კავშირის სინამდვილეში დაგვიანებულად და ტუნწად მოგვეწოდებოდა, მაგრამ 60-იან წლებში მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა და ფილმების, ტელევიზიის, ილუსტრირებული ჟურნალების, ხოლო შემდგომ უცხოელი გასტროლიორების მეშვეობით შევძელით ორიენტირება მსოფლიოში მიმდინარე თეატრალური სიახლეების პროცესებში. ბათუმში მაშინ ჩამოვიდა „ათენის სამხატრო თეატრი“ ალექსანდრე კუნის მეთაურობით და გვიჩვენეს შესანიშნავი ევრიპიდეს „სპარსელები“, თბილისში ლონდონის „ოლდ ვიკი“ ჩამოვიდა, მოსკოვში – ბრეხტის

„ბერლინერ ანსამბლი“, თბილისში – განთქმული ჟან ვილარის პარიზის „ნაციონალური თეატრი“ და შარლ დიულენის „ატელიე“, ერთი სიტყვით, შემოქმედებითი ჰორიზონტი საგრძნობლად ფართოვდებოდა, მატულობდა ინფორმირება მიმდინარე თეატრალური ნოვაციების ირგვლივ. რაც შეეხება მუსიკალურ თეატრს, რომელსაც მთავარი შემოქმედებითი ბიძგი გენიოსმა ბერტოლდ ბრეხტმა მისცა, ის რეალურად გაერთიანდა იმდროინდელი დრამატული თეატრის სტილისტიკასთან და ახლა, ხშირად, ძალიან ძნელი გასარჩევია ზღვარი დრამატულსა და მუსიკალურ თეატრებს შორის, ამიტომ თბილისის „ოპერეტის“ მუსიკალურ-დრამატულ თეატრად გადარქმევამ არავითარი სიახლე არ შემოიტანა თეატრის მუშაობის შემოქმედებით რეჟიმში, გარდა გუნდის, ბალეტის, ორკესტრის და სოლისტების საშტატო ერთეულების განახევრებისა.

პირველი ქართული პროფესიონალური „მიუზიკლის“ შექმნა 1968 წელს ვცადე, ქართული მუსიკის ერთ-ერთ საუკეთესო კომპოზიტორთან, დღეს უკვე კლასიკოსთან – სულხან ცინცაძესთან. ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობის შედეგად გაჩნდა სატირული ხასიათის, მწვავე პაროდია – „სიმღერა ტყეში“, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს პირველ ქართულ ჟანრობრივად გამართულ „მიუზიკლად“, პირველ ნაწარმოებად, რომელმაც ჩვენს მუსიკალურ თეატრში ახალი ტიპის სპექტაკლების გაჩენა დააფიქსირა.

პიესები, რომლებიც იმ დროს მოჭქონდათ თეატრში ავტორებს, ტრადიციულად მუსიკალური კომედიები ან ოპერეტები იყო, რაც უკვე არ შეესაბამებოდა მუსიკალური თეატრის თანამედროვე ტენდენციებს. ევროპული და ამერიკული თეატრების მიმართულება, უფრო და უფრო, რთულდებოდა, ხდებოდა უფრო და უფრო მრავალფეროვანი; მისი შინაარსობრივი მოდელი ფართოვდებოდა, „სერიოზულდებოდა“, ამიტომ, როდესაც 1967 წელს „ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრის“ ხელმძღვანელად დავინიშნე, მაღალხარისხიანი, ქართული „სამიუზიკლო“ მასალის აღმოჩენა, ძებნა და „მიუზიკლების“ ავტორების მოზიდვა მთავარ ორგანიზაციულ ამოცანად მივიჩნე. ამ მხრივ ის წლები ნაყოფიერი აღმოჩნდა, იმ პერიოდში შექმნილი საუკეთესო ნაციონალური „მიუზიკლების“ ნუსხა საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება:

1. „ჩემი შეშლილი ძმა“ – 1966წ. გოგი ცაბაძე. ევგენი შატუნოვსკი.

(მიუზიკლი-ოპერეტა)

2. „სიმღერა ტყეში“ – 1967წ. სულხან ცინცაძე. ლევან ჭუბაბრია.

(მიუზიკლი-სატირა)

3. „კურკას ქორწილი“ – 1968წ. გოგი ცაბაძე. მიხ. თარხნიშვილი.

(მიუზიკლი-ოპერეტა)

4. „შვიდნი ძმანი გურჯანელნი“ – 1972წ. ვაჟა აზარაშვილი. მიხ. თარხნიშვილი.

(მიუზიკლი-ოპერეტა)

5. „ყვარყვარე თუთაბერი“ – 1973წ. ნოდარ გაბუნია. პეტრე გრუზინსკი-ბაგრატიონი.

(მიუზიკლი-სატირა)

6. „თოვლიანი მთების მელოდიები“ – 1974წ. გოგი ცაბაძე. პეტრე გრუზინსკი-ბაგრატიონი.

(მიუზიკლი-ოპერეტა)

7. „ჩანჩურა“ – 1974წ. შოთა მილორავა. გურამ მელივა.

(მიუზიკლი-დრამა)

8. „მოსვლა წასვლის წინ“ („იეთიმ გურჯი“) – 1978წ. გოგი ცაბაძე. მიხ. თარხნიშვილი.

(მიუზიკლი-დრამა)

ეს ნაწარმოებები შექმნილია თბილისის მუსიკალური თეატრის შენობის დანგრევამდე, ხოლო დანგრევის შემდეგ მუსიკალური თეატრის პროფესიონალური რეჟიმი დაირღვა და არ აღდგენილა დღემდე. ასე, რომ მუშაობა ახალ „მიუზიკლებზე“ გავრძელდა თეატრალური უნივერსიტეტის, მუსიკალური თეატრის და ესტრადის ხელოვნების ფაკულტეტზე, ე.ი. გადავიდა სასწავლო პროცესის ფორმატში. ამ პერიოდში, მიუხედავად ძალიან შეზღუდული მატერიალური საშუალებებისა, დაიწერა და დაიდგა საინტერესო ახალი მუსიკალურ-თეატრალური ნაწარმოებები. ზოგიერთს ჩამოვთვლი:

1. სამი ასული“ – 2004წ. პოლიკარპე კაკაბაძე. ნინო ჯანჯღავა;
(მიუზიკლი-ოპერა)
2. „ლუარსაბ-დარეჯანიანი“ – 2007წ. მერაბ ელიოზიშვილი.
ნინო ჯანჯღავა;
(მიუზიკლი-სატირა)
3. „საბა-ბერის გაკვეთილები“ – 2008წ. თ. აბაშიძე (ხალხურ
მუსიკაზე);
(მიუზიკლი-დრამა)
4. „ბერიკონი“ – 2008წ. მ. ელიოზიშვილი. ნუგზარ ვაწაძე.
ამ წიგნის გამოცემის მიზანია დაკანონებული, საყოველთაოდ
აღიარებული „მიუზიკლის“ ტიპის და სახის ქართული ანალოგების
მაგალითების აღნუსხვა და იმის დაფიქსირება, რომ, მიუხედავად
დაგვიანებული, გართულებული გაცნობისა ამ ჟანრთან, ქართული
მუსიკალური თეატრი არ გამოაკლდა მსოფლიოს მუსიკალური
თეატრის განვითარების მოწინავე პოზიციების, სტილისტიკის
აღქმას, ათვისებას და ცდილობდა, შესაძლებლობის ფარგლებში,
დარჩენილიყო მისი ძირითადი ტენდენციების, მიმართულების
კალაპოტში.

პროფესორი – **თეიმურაზ აბაშიძე**

სულხან-საბა ორბელიანი

„საბა-ბერის გაკვეთილები“

(პიესა ერთ მოქმედებად)

თეიმურაზ აბაშიძის პიესა მუსიკალური წარმოდგენისათვის
„სიბრძნე სიცრუისას“ მიხედვით
კომპოზიტორი – **მიხეილ ოძელი**

2006 წელი

მსახიობთა დასტა

1. **ლეონი** – აღმზრდელი მეფისწულისა
2. **ჯუმბერი** – მეფისწული
3. **თავბერიკა** – სედრაკ-დიდორის ამბის მომყოლი –
ვირის პატრონი
4. **ბაშბერიკა** – ფინეზი – ლავდიკის მეფე – დიდებული
5. **ვაჟბერიკა** – ყადი – მხატვარი – აღმზრდელი
6. **მასხარა** – რუქა – მებაღე – მემარნე – უცხოელი
7. **გლახბერიკა** – ბრმა – მოლა – მეფე
8. **ვირბერიკა** – ვირი – ქათმის ამბის მომყოლი –
დიდორელი
9. **ლორბერიკა** – მოლა – მეფუნდუკე – თავყვავი –
დიდებული
10. **ქალბერიკა** – მხედრის მხლებელი – მოლას საყვარელი –
დედაბერი

ქორო – 1) - „უკეთურები!
2) - „მოცინარენი“ - „მგოდებელნი“

– (სცენის სივრცე გავსებულია ნაყარ-ნუყარი ჭრელ-ჭრულა ძონძებით, რომელშიც მოსაწყენად იტყუებიან ძონძებად ქცეულნი ნავკის მაძიებელნი და არავინ იცის, რას ეძებენ.

შორიდან მოისმის „ბოლმბა“, რომელიც თანდათან ძლიერდება, ფართოვდება და გადაიზრდება უცნაურ ყვირილში და მოთქმაში.

სცენაზე შემოიჭრება ორი ჯგუფი „მოღებელნი“ და „მოცინარენი“). –

მოღებელნი: (ტირიან) რა გვეშველება, ხალხნო, რა გვეშველება, ვაი, ვაი, ვაი.

მოცინარენი: (იცინიან) რა გვეშველება, ხალხნო, რა გვეშველება! ჰა, ჰა, ჰა.

მოღებელნი: ნეტავ, რა მოგველის, ან რა გვეშველება... ვაი, ვაი, ვაი.

მოცინარენი: ნეტავ, რა მოგველის, ან რა გვეშველება... ჰა, ჰა, ჰა...

მოღებელნი: იტირეთ, იტირეთ,

ცრუ არის სოფელი,
ვაი მას, სისხლიანს,
გვაძებით მოფენილს...

მოცინარენი: იცინეთ, იცინეთ,

ცრუ არის სოფელი,
ვაი მას, სისხლიანს,
გვაძებით მოფენილს...

ქორო: ნეტავ, რა მოგველის, ან რა გვეშველება,

ყვევივართ, მშველელი არ ჩანს.
ვინც ეძებს, ვინც ეძებს, პოულობს კიდევაც
მეომრის მახვილს და ფარაჯას.
ვაი, რა მოგველის, რა დღე გვითენდება,
ღვარცოფი გვიქადის წალეკვას,
ვეძიოთ ნაგავში, ვეძიოთ, ვიდრემდე
ჩვენი აღსასრული დარეკავს.

მოღებელნი: ნეტავ, რა მოგველის, ან რა გვეშველება?! ვაი, ვაი, ვაი...

მოცინარენი: ნეტავ, რა მოგველის, ან რა გვეშველება. ჰა, ჰა, ჰა.
იცინეთ, ხალხნო, იცინეთ!

უკეთურების ჰიმნი

მადლსა და ცოდვას,
სიბნელეს, სითბოს,
გოდებას, სიცილს,
ვნებას და სიტკბოს
ვაშა, ვაშა, ვაშა!!!
ქაოსს და თრობას,
ბაკქანალიას!
ნოე გაშიშვლდა,
ღვინო დალია,
ბაკქანალია! ბაკქანალი! ბაკქანალია!
ვაი, ვაი, ვაი!
ხა, ხა, ხა!

გუნდის ჟღერადობის ინტენსიურობა და დინამიკა უფრო და უფრო
მატულობს და კულმინაციას აღწევს. „ვაი, ვაი, ვაი, ხა, ხა, ხა
– ღრიალებს გაცოფებული ბრბო.

მგოდებელნი: იტირეთ, ხალხო, იტირეთ!

მოცინარენი: იცინეთ, ხალხნო, იცინეთ!

იცინეთ, იცინეთ, ხალხო! / იტირეთ, იტირეთ, ხალხო! /

იცინეთ, იცინეთ, ხალხო! / იტირეთ, იტირეთ, ხალხო! /

– ბრბო ტანზე სამოსელს შემოიხვევს, აქეთ-იქით მიფრინავს
კოსტიუმები, კაბები, ჭრელ-ჭრელი ძონძები, ქუდეები, ნახევრად
შიშველი მათხოვრები ერთმანეთს ეხვევიან, გლეჯენ ერთმანეთს.
უცებ ბაკქანალია წყდება, მოულოდნელად და შეუმზადებლად.
უცებ

სცენის სიღრმეში გამოჩნდება პატარა შიშველი, ბავშვი. ბავშვს
ხელში უჭირავს პაწაწინა ანთებული სანთელი, რომლის ალი
გაუბედავად კრთის წყვილიადში. მოისმის ეული სალამურის
მწუნარე ხმა.

ბავშვის დანახვაზე უკეთურთა ბრბო მოინუსხება – ისინი
ფეხდაფეხ მიყვებიან ბიჭუნას, რომელიც ავანსცენაზე მოსული
მადლა ასწევს პაწაწინა სანთელს და ჩამოვარდნილ მღუმარებაში
გაისმის ლეონის ხმა. –

ლენი: იყო ხელმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არავისგან მოიხსენებთან...

ძორღ

იყო ამქვეყნად ხელმწიფე ერთი,
კეთილის მქმნელი, მოწყალე, ქველი.
სიუხვე მისი და საბოძვარი,
ღრუბელთა და წვიმათა ზედა უმეტეს იყო...

ლენი: იყო სახელი დიდისა მის და მადლისა მეფისა, ჳინძი!
(*ზემოდან ჩამოიშვება მეფე ფინეზის უზარმაზარი თოჯინა*)
დაჰყვა ვაზირი ეგეთი, რომე ჳკუითა ხმელთათა სიგრძე და
განი სრულად განეზომა, მეცნიერებითა ზღვათა უფსკრულთა
მიწევნით იყო. და იყო სახელი ვაზირისა მის სმღრაპ.

(*ჩამოეშვება თოჯინა სღრაკისა*).

და იყო საჭურისი მეფისა კაცი გულჩქარი და ფიცხელი. სეფეთუხუცესი
იყო და გულითადი მეფისა, რომელსა ერქვა რშშა.

(*ზემოდან ჩემოეშვება თოჯინა რუქასი*).

– ბავშვის ხელში სანთელი ქრება და გამეფებულ სინუმეში
შემოჭრილი ჩახჩახა სინათლეში განათდებთან ეს ბუმბერაზი,
მეფურად ჩაცმული თოჯინები. –

ლენი: და არა იყო გულსა მეფისასა
ზრუნვა, გინა შეჭირვება უძობისა
ვიდრე, რომე შვილი არ ესვა...
შვილი არ ესვა...

ბერიკები: და დღესა ერთსა დიდმა მეფემან,
გახსნა და გასცა განძი ურიცხვი
გლახაკთა ზედა,
რათა ევეღრონ ღმერთსა ძისა
ბოძების მისისათვისა.

(*ხალხი თოჯინების წინ დაიჩოქებს და ღალადებს*)

ქორი: ღმერთო, შესძინე ჩვენს მეფეს ვაჟი,
ბუმბერაზს, უკვდავს, ქვეყნისა მეთაურს,
რატომ არა ყავს ჩვენს მეფეს შვილი?!
რატომ არა ყავს! რატომ არა ყავს?!

– უცებ ფინეზის გოლიათი თოჯინა ჩაიქნევს ხელებს და მაღლა გაფრინდება. მას მიჰყვებიან „სედრაკი“ და „რუქა“ და გაფრენილი თოჯინების ადგილას ჩვენ დავინახავთ მიხრწნილ მოხუცს, რომელსაც თავზე ხელმწიფის გვირგვინი ადგას. „გაოგნებული ხალხი შესცქერის უცნაურ მეტამორფოზას. –

ლეონი: მცურავი ერთი მიჰქონდა წყალსა

და საცოდავი ყვიროდა ეგზომ,
ღმერთო, ღმერთო, შენ მიშველე!

ბერიკები: მოყვასმა უთხრა,

ხელი გააქნიე,
ხელი გაანძრიე,
ხელი გამოუსვი,
გახვალ ნაპირს
და ნაშველები შეიქმნებიო...

– სცენის თავზე ჩამოეკიდება ცარიელი ოქროს აკვანი. მოისმის ქალთა ქოროს „ნანა“, რომელშიც თანდათან შეერევა ზარების საზეიმო რეკვა.

გამოჩნდება ქალთა პროცესია ჩვილი ყრმით ხელში. ქალები გადასცემენ ჩვილს ფინეზს. –

სედრაკი: მწყალობელო უფალო ჩვენო,

დიდება შენდა!
შენ შეიწყალე ხელმწიფე ჩვენი
და მიეც ფინეზს ვაჟი ესეთი.

ქორო: რომელ სინათლით მზე მოშურნეობს,

თხუთმეტი დღის მთვარე
ნათელს სთხოვს ჩვილსა
და ვარსკვლავნი განეცვიფრა
მის კამკამებას...

(მაღლიდან სცენაზე ჩამოეშვება ოქროს აკვანი)

ფინეზი: ღამესა ერთსა ღამესიზმრა

ჭაბუკი ვინმე მშვენიერი,
მსგავსი ლომისა,
მხნე, ახოვანი
და მითხრა ასე...

(ლეონი უახლოვდება ფინეზს და განავრძობს სიტყვას)

ლეონი: დიღო მეფეო,

ნება შენია,

მაგრამ მე თუ არ მომაბარებ,

ჩემებერ სხვაი ვერავინ აღზრდის

და ვერცა გაწვრთნის ტახტის მემკვიდრედ...

(ფინეზი ჩვილ ყრმას ლეონს გაუწვდის)

ფინეზი: რა გინდ იუბნო, ჭაბუკო ლეონ,

ღმერთმა თავი შენი ჩემთვის უძღვნია...

ესე ყოველი არა ნდობითა მისითა არის...

რუკა: არამედ ბელით მოცემული ხარ.

(ლეონი ჩვილს აიყვანს ხელში)

ქორთ: დღეგრძელობა მემკვიდრის აღმზრდელს,

ყრმა და ჭაბუკი ერთმანეთს შვენიო –

შენ, ვითარც ლომი,

ყრმა, როგორც შველი.

(ლეონი მეფეს თავს დაუკრავს და წასვლას დააპირებს. ფინეზი აჩერებს მას).

ფინეზი: ჭაბუკო ლეონ, შემატყობინე,

რატომ მიდიხარ სასახლიდან.

ან რისთვის გეძნელება ჩემთან დარჩენა.

ლეონი: ზამთარში ცეცხლთან მიმჯდარი კაცი

ჰგავს, მეფის ახლოს ვინც იღებს ბინას,

თუ ახლოს მივა, მას ცეცხლი დასწვავს

და თუ შორს წავა, დაზაფრავს ყინვა...

ბერიკები: მეფის ახლოს თანამდგომსა კაცსა

უნდა სჭირდეს მეტად ძნელი

საქმენი სამნი...

ლეონი: ერთის თვალით უნდა ხედავდეს,

ასის თვალისგან უფრო უმეტესს,

მეორე თვალით უნდა იყოს

ბრმისგან უბრმესი...

ბერიკები: ბრმისგან უბრმესი, ბრმისგან უბრმესი.

ლეონი: ცალი ყური ასმინოს ფრიად,

ხოლო მეორე სულ დაიყრუოს.

ბერიკები: სულ დაიყრუოს, სულ დაიყრუოს.

ლეონი: ასეთი ენა უნდა ჰქონდეს მას,

თაფლი და შხამი სდიოდეს ორივ.

ბერიკები: სდიოდეს ორივ, სდიოდეს ორივ.

ფინეზ: } განუმზადეთ გზა უფლისწულს!

სედრაკ: } განუმზადეთ გზა უფლისწულს!

რუკა: }

(*ლეონი ჩვილ ყრმას აკვანში აწვევს და ფარავს უკეთურებისაგან*)

ლეონი: ო, უფლისწულო,

შენ ჯერ მცირე ხარ, და უსასოგო,

ვითარცა მართვე...

მაგრამ მოვა დრო და ჟამი

და ცის მპყრობელი არწივივით

გაშლი ძლიერ ფრთებს.

ბერიკები: მოემზადე, მეფევე, ამისათვის! მოემზადე!

ლეონი: ხალხი მოითხოვს მეფისაგან სიკეთეს სამსა...

ბერიკები: სიკეთეს სამსა! სიკეთეს სამსა!

ლეონი: მართლმსაჯულებას, გულმოწყალებას,

და დიდ სიყვარულს სიკეთის ფასად!

ბერიკები: დიდებულნი ჭირში ჭირსა და ღვინში ღვინსა,

მხედარნი ცხენსა და საჭურვილსა,

გლახაკნი თხოვნის ბოძებასა,

მონანი – მოუკლებლობასა,

ვაზირნი – ყურის მოპყრობას,

მოჩივარნი – საჩივრის სმენას,

შესმენილნი – მამუხლართ ენას,

დიდვაჭარნი – თვალ-ლალთა ცნობას,

მოგზაურნი – ფანდუკთა დგომას,

და პატიმარნი – ცოდვის შენდობას.

პაუზა

ბერიკები: ესე არს წესი მეფეთა,

ესე არს საბოძვარ თემთა,

ესე არს გოდოლი სპათა,

ესე არს ზღუდე ქალაქთა...

ვინც ადასრულოს ყოველი ესე –

ლეონი: კურთხეულ იყოს სახელი მისი!

ბერიკები: კურთხეულ იყოს ქვეყანა მისი!
კურთხეულ იყოს ხალხები მისი!
ვინც აღასრულოს ყოველი ესე.

– ბერიკები გაიწვევენ განზე და ჩვენ ვხედავთ, რომ აკვანთან დგას უფლისწული ჯუმბერი, რომელიც უკვე ჭაბუკია. –

ლეონი: (*ჯუმბერს*) მარტონი დავრჩით. მკითხე, რაც გინდა.

ჯუმბერი: რა არის ცხოვრება?!

ლეონი: (*ბერიკებს*) უპასუხეთ! რა არის ცხოვრება!

ბერიკები: ცხოვრება? ყველაფერი... ყველაფერი... ყველაფერი...

(*ხუმრობენ*) ცხოვრებაში ყველაფერი ისე კი არ არის, როგორც არის.

ცხოვრებაში ყველაფერი სხვანაირადაა, ვიდრე ასე.

ცხოვრებაში ყველაფერი არის, მაგრამ მთლად არა.

ცხოვრებაში ყველაფერი ზუსტია... ოღონდ რისთვის?

იმისთვის, რომ ყველაფერია თავიდან!

თავიდან კია, მას უკან როცა

ა-ბა! გაიგე?! რა არის ცხოვრება?!

ჯუმბერი: ვერაფერიც ვერ გავიგე. რალაც აბდაუბდას მეუბნებით. რა არის ცხოვრება?

ბერიკა: (*აცხადებს*) მასხარაობა პირველი!

(*ბერიკები იწყებენ სცენის მოწყობას*)

ჯუმბერი: მასხარაობა???

ლეონი: მასხარაობა!!!

(*აუღერდება ჩუმი, ნაზი მელოდია*)

ლეონი: ცხოვრება – ყველაფერია,

რასაც ცხადში ხედავ და რაც სიზმარში გელანდება.

ფიქრი შენი და ოცნება, რომელიც აგიხდება ან არა!

შენი გამარჯვება, ან დამარცხება შენი.

როცა თავს „ჩიტივით“ გრძნობ და როცა ავად ხარ ძლიერ.

სიკვდილი...

ყველაფერი, რაც არსებობს და რაც იარსებებს

ყველაფერი... ყველაფერი... ყველაფერი.

მაგრამ მოკლედ, მოკლედ რომ ვთქვათ,

ცხოვრება ეს არის.

სიყვარული, იმედი და რწმენა, ხან

იმედი, რწმენა და სიყვარული, ხან კიდევ
რწმენა, სიყვარული და იმედი.

ჯუმბერი: სულ ეს არის?! სულ სამი სიტყვაა???

ლეონი: სულ!!!

ბერიკა: მასხარაობა! (*აცხადებს*)

„სიბრძნე სიცრუისა! – (*ჯუმბერს*) უყურე!

(*ისძის ჰიმნი „ლავდიკია, ლავდიკია“*)

ქორი: ოქროსფერი მზე დაჰყურებს

ლავდიკიის მხარეს,

მოკაშკაშე ვარსკვლავები

მუდამ სავსე მთვარე.

ლავდიკია, ლავდიკია,

შენზე მზე სულ მზეობს,

გოლიათი მეფის დარად

მარად დილა ზეობს,

მარად დილა ზეობს.

ლავდიკია, ლავდიკია,

შენზე მზე სულ მზეობს.

– ავანსცენისაკენ სიმღერით მოემართება უცნაური პროცესია. ქალსა თუ კაცს, დიდსა თუ პატარას, ყველას ცალი თვალი აქვს აკრული. პროცესიას წინ მოუძღვის მარტორქაზე შემჯდარი ლავდიკიის მრისხანე ცალთვალა მეფე, რომელსაც მარტორქისთვისაც აუხვევია ერთი თვალი. „ცალთვალა“ ხალხი ლავდიკიას და მის მეფეს ჰიმნს უმღერის. მოშორებით მოაბიჯებს „მხატვარი“, რომელსაც ცალი თვალი ახვეული არა აქვს და, ყველა თავისი თანამემამულისაგან განსხვავებით, ორივე თვალით შესცქერის ქვეყანას, თანაც ლავდიკიის ჰიმნს არ მღერის გუნდში ყველასთან ერთად. მეფეს მხატვრის საქციელი ამკარად არ სიამოვნებს. –

მეფე: უცნაური ხალხია ეს მხატვრები. ყველას ყოველთვის და ყველაფერში თავის გამოყოფა უნდათ. ხომ ნაღდად ვიცი. ყველა ორი თვალით რომ იხედებოდეს, ეს ცალ თვალს აუცილებლად აიხვევდა, მაგრამ რახან ყველა ცალთვალაა, მხატვარი, თავზედურად, ორივე თვალით იხედება.

მე სრულებით ფენზე მკიდია – ორი თვალით იხედება ის თუ

სამით, მაგრამ, როგორც ხელმძღვანელს, მისი განსხვავებულობის დაშვება არ შეიძლება.

ყველას თავისი პროფესია აქვს. მისი პროფესია მოითხოვს – ორივე თვალი ჰქონდეს. ჩემი პროფესია კი – ცალი თვალი დავხუჭო. ასეა! ეს! *(მეფე მხატვარს მიმართავს)* ბატონო მხატვარო, ბატონო მხატვარო, თუ შეიძლება, ძალიან გთხოვთ, თუ არ შეწუხდებით, ერთი წუთით მობრძანდით, თქვენთან საქმე მაქვს. *(ვაოცებული მხატვარი მეფეს მიუახლოვდება)*

მეფე: ბატონო მხატვარო! გიყურებთ და მეამაყება. გული სინარულით მეკვება, რომ ჩვენში თქვენნაირი ადამიანი მოღვაწეობს. აბა, ჩვენ, საწყლები, ჩვენი ცალ-ცალი თვალით, რას დავინახავთ, თქვენ რომ არ გვყავდეთ და თქვენი ორივე, არწივივით ბასრი და მხილავი თვალით ამ ქვეყანას არ აკვირდებოდეთ და მის სილამაზეს თუ სიმანინჯეს რომ არ გადმოგვცემდეთ, ჩვენ, ცალთვალებს, რა გვეშველებოდა? ა... ხალხო?!

(ხალხი ჰიძნით პასუხობს მეფეს – „ლავდიკია, ლავდიკია“, მეფე უცებ მკვეთრად შეიცვლის ინტონაციას და მკაცრი ხმით დაასრულებს სათქმელს)

მეფე: მინდა რომ ეხლავე მსგავსი ჩემი სახე დახატო!.. მსგავსი!!! *(მხატვარი თავს დაუჭნევს და განზე გადავება)*

მხატვარი: აჰა, მოვიდა, დღე იგი ჩემი აღსასრულისა...

ცალის თვალითა ბრმა რომ დავხატო,

მომაკვდინებს, – ვითარ მკადრეო.

და თუ ორთვალი, კვლავაც მომკლავს,

ოღეს არის მსგავსი ჩემიო...

რა დავაშავე, რა დავაშავე,

ვაი, ვაი, ვაი,

წუთისოფელს ორის თვალით რომ ვუშვრე ხილულ...

ბერიკები: ჰეი, მხატვარო, რად დაღრეჯილხარ, ჭირსა და ნაღველს რაით დაღადებ?

დახატე ირემი ლამაზი, ქორბუდა,

და მეფესა ლაკადისა, ხელთ თოფი მიეც.

ბრმა თვალი დაუხუჭე, დაუხუჭე თვალი,

ვითარ უმიზნებს ირემს და მიართვი ასე.

ლეონი: ეს არის სიბრძნე სიცრუისა!!!

(მხატვარი იწყებს ხატვას. ბერიკები ხალხს ართობენ)

ბერიკები: აცა, ბაცა, ბაცაცივი,
ძუაგრძელი, სატკვეციელი,
იწერ ბუწერ, ტყვეპ კვაჭივი
გიოლური, გიონხური,
ჰე, ჰე, ჰე, ჰე...
ჩიტი, ჩიტი, ჩიკორტელი,
ალათასა, ბალათასა.
ჭონა, ჭონა, ვარდის კონა,
აბდა, უბდა, კატა სკუპდა
ჰე, ჰე, ჰე, ჰე, ნა, ნა...

(გალიმებული მეფე სიამოვნებით ტაშს უკავს ხალხის კართობას).

– მხატვარი ამთავრებს ნახატს და მარტორქაზე შემართულ მეფეს სურათს გადასცემს. მეფე სურათის ნახვით აღფრთოვანდება. –

მეფე: დიდებულია, დიდებულია, მხატვარო ჩემო, დიდებულია!!! ესე არს ძალი სიბრძნე სიცრუისა, სიბრძნე სიცრუისა! იცი რა! შენი ნახელავი ისე მომეწონა, კიდევ პორტრეტს გიკვეთავ... და მერე, ვნახოთ!!!

ქორო: აწ და მარადის,
ხელოვნების გზა გრძელი არის,
ადამიანის სიცოცხლე კი მეტად ხანმოკლე...
მეტად ხანმოკლე, მეტად ხანმოკლე.

მეფე: ლავდიკია, ლავდიკია,
შენში მზე სულ მზეობს...

– ხალხი აყვება მეფეს და პროცესია მარტორქის წინამძღოლობით გადის სცენიდან.

სცენაზე რჩებიან მხატვარი და ბერიკები, რომლებიც ჩაფიქრებულ ხელოვანს ყურადღებით აკვირდებიან.

მხატვარი ფიქრის და ყოყმანის შემდეგ გადაიკრავს ცალ თვალს და „ლავდიკია, ლავდიკიას“ მღერით გაეკიდება პროცესიას. –

ბერიკები: (ჩუბჩუბ) როგორ თქვი, როგორ თქვი წელან?!

„აბდა-უბდას“ მეუბნებით-თქო, ვერაფერი გავიგე-თქო, ა?? ახლა ხომ მიხვდი, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ისე კი არ არის, როგორც არის, რომ ცხოვრებაში ყველაფერი სხვანაირადაა, ვიდრე ასე,

რადგან ცხოვრებაში ყველაფერი არის, მაგრამ მთლად არა,
ცხოვრებაში ყველაფერი ზუსტია... „ოღონდ რისთვის???“
იმისთვის, რომ ყველაფერია თავიდან!!!
ა-ბა!!! გაიგე!!!

ჯუმბერი: გავიგე!!! მაგრამ მთლად ვერა!

ბრმა გლახას მოთქმა

ბრმა: ხალხმა ღმერთი დაივიწყა,
გულები დაუჟანგიანდათ, გაუქვავდათ,
მხოლოდ გამდიდრებაზე ფიქრობენ,
ვერ ხედავენ, ირგვლივ რამდენი საწყალი და უბედურია,
უსინათლობა საშინელებაა, საშინელებაა, როცა მზეს ვერა ხედავ,
მთვარეს ვერ ხედავ, ვარსკვლავს ვერ ხედავ, როცა ხელგაწვილი
ვლგავარ და ვინმე ჩამიდებს გაწვდენილ ხელში გროშს, თითქოს
მზეს დავინახავ ხოლმე, თითქოს ვარსკვლავი გამინათებს გულსა
და სულს. (*ხალხს ეცოდება ბრმა, გლახა და უწვდიან გროშებს
დაწვდილ ხელში*).

ჯუმბერი: საბრალო გლახა! მასწავლებლო, გთხოვ, დავაპუროთ, და
მცირე ვერცხლიც რამ უწყალობოთ.

ლეონი: უფლისწულო, მოდი გამოვცდი,
ეს ბრმა ვინმე, ვითარ კაცია?

ბერიკები: შენ უკვე ხომ იცი რომ...

ცხოვრებაში ყველაფერი ისე კი არ არის, როგორც არის,
რომ ყველაფერი სხვანაირადაა, ვიდრე ასე,
რადგან ყველაფერი არის, მაგრამ, მთლად არა.

ჯუმბერი: ვიცი, ვიცი, ვიცი...

ყველაფერი ზუსტია, ოღონდ რისთვის??
(*იკინის*) იმისთვის, რომ ყველაფერია თავიდან...
მას უკან როცა ა-სეა! ა-ბა!!!

– (*ლეონი ბრმასთან მივა, განგებ შეეჯახება და ყვირილს
ასტეხს*).–

ლეონი: ვინ მეტერე ბრმასა ამასა,
ლვთის მაინც არ გემინოდა,
ასე რომ მიყავ?!

ბრმა: მეც ბრმა ვარ, ძმაო, და ჯოხით დავალ,
ბრალი ჩემი არაფერშია...

ლეონი: ამხანაგი ყოფილხარ ჩემი...

მამ დავსხდეთ ერთად, ტკბილად ვიუბნოთ.

ბრმა: აქ რისთვის მოხველ?

ლეონი: ნაწყალობევი ცოტაოდენ ფული მაქვს და არა ვიცი რა, რომელი არის წმინდა ვერცხლი და რომელი შერყენილი კაცთა.

ბრმა: მომეც, გავსინჯავ,

ხელით ვრგრძნობ ყველას.

(ლეონი ბრმას ხელში ფულს ჩაუდებს, ბრმა ფულს დამლაგვს, შემდეგ კი ლეონს გაეპარება).

ლეონი: *(ატირდება)* რა ჰქენ, რა უყავ, სად დაიკარგე?

ნუ წამიღებ უსინათლოსა,
მრავალთა ჭირით და სულით ვიშოვნე
ეგ მცირე ვერცხლი.

ჩემი ბრალი ნურამც ნუ გინდა...

ბერიკები: ბრალი ნუ გინდა, ბრალი ნუ გინდა...

(ბერიკები აჩვენებენ ლეონს ქვას და ანიშნებენ რაღაცას პანტომიმით).

ლეონი: ღმერთო, ღმერთო, თუ იგი გლახა,

მემართლება ვერცხლის წართმევას,

ესე ქვა ფერხთა მას ზედან მოხვდეს! აჰა!

(ბერიკა ბრმას ფეხში წიხლსა ჰკრავს) (ბრმა ტკივილს შეიკავებს და გაინახება).

ლეონი: ღმერთო, ღმერთო,

მე უსინათლოს მომპარა ვერცხლი...

თუ მემართლება,

ესე ქვა გლახას ზედ ზურგში მოხვდეს, აჰა!!!

(ბერიკა გლახას ზურგში ჩაარტყამს. ბრმა გლახა ტკივილისაგან ჩაიკეცება, მაგრამ ხმას მაინც არ ამოიღებს და ვერცხლს უბეში უფრო მაგრად ჩაიხუტებს).

ლეონი: ღმერთო, ღმერთო...

თუ მემართლება,

ესე ქვა, ზედ შუბლში მოხვდეს.

(ბრმა დაფაცურდება და ხელის ფათურით დააპირებს გაპარვას ფორთხვით, მაგრამ ფულს მაინც არ ეშვება, თან თავისთვის ლაპარაკობს).

ბრმა: იგი ქვა სადაც დამიშინა,

ნიშნულად მკრა...

თუ შუბლში დამკრა,

ხომ მომაკვდინებს,

და ეს ჩემი განძი ვის უნდა დარჩეს?

(ბერიკას უნდა, შუბლში დოქი „გლიჯოს“, მაგრამ ლეონი გააჩერებს, ბრმა ფორთხვით მიიძალუბა კულისებში).

(ლეონი, ჯუმბერი და ბერიკები ჩუმად დგანან ჩაფიქრებულები მოძხდართ).

ჯუმბერი: *(ჩურჩულით, გაოცნებული).*

ცხოვრებაში ყველაფერი ისე კი არ არის, როგორც არის.

ცხოვრებაში ყველაფერი სხვანაირადაა, ვიდრე ასე... მაგრამ რისთვის???

ლეონი: იმისათვის, რომ ყველაფერია თავიდან!!! ასეა, ეს... აბა!!!

ჯუმბერი: მაშ მიპასუხე, რა არის სიკეთე?

ლეონი: სიკეთე არის ბოროტების მეორე მხარე!

ჯუმბერი: ესე იგი ისინი ყოველთვის ერთად არიან?!

ლეონი: ყოველთვის!

ჯუმბერი: ესე იგი ბოროტების დაძლევა შეუძლებელია?

ლეონი: შეუძლებელია, იმიტომ რომ თვით ცხოვრება არის ბოროტებასთან ბრძოლა.

ჯუმბერი: მაშინ გამოდის, რომ შეუძლებელია სიკეთის თესვაც?! მხოლოდ სიკეთის???

ლეონი: მხოლოდ სიბოროტე ქვეყნად ბევრს დაუთესავს, ხოლო მხოლოდ სიკეთე, ჯერ ვერ მოახერხა ვერავინ.

ჯუმბერი: მაშ რისთვისაა ეს ყველაფერი??? რისთვის?

ლეონი: იმისთვის, რომ ადამიანმა გაიგოს.

ჯუმბერი: რა? რა გაიგოს?

ლეონი: ყველაფერი! გაიგოს, რომ...

ცხოვრებაში ყველაფერი ისე კი არ არის, როგორც არის,

რომ ყველაფერი არის ისე, მაგრამ მთლად არა,

რომ ყველაფერი ზუსტია, ოღონდ რისთვის?!

ჯუმბერი: არაფერი, არაფერი არ მესმის, მასწავლებელო!

ბერიკები: ყრუ ხარ და იმიტომ! ქვეყანა მარტო ბრმებით კი არა, ყრუებითაც სავსეა.

ადამიანებს ერთმანეთის არ ესმით, არ ესმით, არ ესმით, ყველა თავისას ლაპარაკობს, თავისას ფიქრობს, თავისას აკეთებს.

ლეონი და ბერიკები: ერთმა ყრუმ ხარი დაკარგა. მეორე ყრუმ ვირი იპოვნა. შეხვდნენ ერთმანეთს და კითხვა დაუწყეს. ერთმა ხარისა ვერა შეიტყო, მეორემ კიდე „ვირის საპოვნელა მანც მომეციო!“ ერთმანეთს ვერა შეიტყვეს.

პანტომიმა

ბერიკები: ვერც ერთმა ვერა გაიგეს რა. ყადისთან წავიდნენ, ყველამ თავისი საჩივარი თქვა. ყადი კი ამათზე ყველაზე დაყრუებულყო. რამაზანი იყო, ეს მოძივარნი მთვარის გამოჩენის მახარობელნი ეგონა. თქვა – რადგან მთვარე უნახავთ, ნალარას კარითო! ნალარას, ნალარას კარითო!!!
(*ისმის ნალარა*).

ბერია: (*აცხადებს*) მახარობა II

„სიბრძნე სიცრუისა“

ვირი და მგელი საქმიანობენ. ვირი მაკრატლით რაღაცას ჭრის, ხოლო მგელი მახათით კერავს.

ლეონი: ბრძენო ვირო, რას საქმიანობ?

ვირი: ლომის ტყავს ვკერავ. უნდა მოვისხა, რომ ხარი დავცე ტყის ბინადართ, თორემ შევწუსდი, ყველა მე მირტყამს და ტვირთის ზიდვით ზურგიც სულმთლად გადამეტყავა.

(*ლეონი და ჯუმბერი მგელთან მივლენ, რომელიც მახათით კერავს ცხვრის ტყავს*).

ლეონი: ცნობილი არის დასაბამიდან, შენ ყასაბი ხარ და არა თერძი...

მგელი: აბა მაშ რა ვქნა. რომ აღარ გადის?

ბრძენო ლეონ, ქვეყანა ახლა ყვავებისაა, სულ გადაგვჭამეს...

კანონებსაც თვითონ სწერენ, მოსამართლეებიც თვითონვე არიან ამიტომაც ცხვრის ტყავს ვიკერავ, შიგ გავეხვევი, რომ შევაცოლო როგორმე თავი. და არ ამომხდეს შიმშილით სული.

შორიდან გაისმის ჩხავილის მაგვარი სიმღერა, რომელიც თანდათან ახლოვდება, შემოდის ყვავების გუნდი, რომელთაც მხარზე შეუსვიათ თავკაცი ყვავი. ყველა ყვავს ილღიაში თითო თავი ყველი ამოუღვია.

ყვავების ქორო: ერექელი, მერექელი,
მიქელაი, მიქაელი,

ჩიტბელური, ჭენჭეტური,
ხვანი ესე ბეჭედური,
ყვაო, ყვაო, ყვანჩალა,
აქ რამ მოგაჩანჩალა,
გუგუთარ და გულმაძლარი
უსახელო სახსოვარი.

(ყვაკები სუფრას უსხედან, შემოდის ცხერის ქურქში გახვეული მგელი).

ბერიკები: ცხვარი თუ მგელი? მგელი თუ ცხვარი?

თაკაცი ყვაი: მამ ვინა ხარ, ჰა?

მგელი: *(კიკინით)* ცხვარი გახლავართ, უმანკო ცხვარი!

თაკაცი ყვაი: მერე, ჩემგან რა გინდა?

მგელი: ყვაო, ყვაო, ყვანჩალო,
ალათასა ბალათასა,
ცოტა ყველი მომიტეხე,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა.

ყვაი: ავაგდე კოჭი... ტაში, ტაში...

ყვაკები: ავაგდე კოჭი... ტაში, ტაში...

ვის გაუგია, ცხვარი ყველს ჭამდეს?

აგერ ბალახი, რამდენიც გინდა სძოვე და სძოვე.

(ყვაკები გულიანად ხარხარებენ. ნირწამხლარი მგელი იქვე მოიკეცება.)

შემოიჭრება ლომის ტყავში გახვეული ვირი და ყვირილით მიდამოს აყრუებს).

ვირი: ლომი ვარ, ლომი, ხელმწიფე მხეტთა,
ვადრწუნებ მიწას, შიშსა ვგერი ზეცას.

თაკაცი ყვაი: შე ვირიშვილო, რომ ამინებ ვის ამინებ?
ნამდვილი ლომიც რომ იყო, თავფეხიანად გიყიდით!

ყვაკები: ეგრეა, ეგრე! მამ არა უხათრებთ, დიახს!
(ვაწბილებული ვირი მგლის გვერდით მოიკეცავს).

ბერიკები: ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ძალა კუნთებშია,
ზოგს – რომ ცოდნაა ძალა,
ზოგს სიყვარული ძალად მიაჩნია,
ზოგს კიდევ სიძულვილი, მაგრამ
ძალა თურმე ჯიბეში ყოფილა,
ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებენ ზოგ-ზოგნი.

(მგელი ყვავების სუფრასთან მიდის და ძლიქვნელურად წარმოთქვამს:

„ხოტბა ყვავებს“)

მგელი: ამას რას ვხედავ, ყვავო, ყვანჩალავ,
მსმენია ვითომც ბუმბულნი შენნი
არიან შავნი, ვითარც ვიშენნი,
შენ კი ქათქათა ყოფილხარ, ძმაო,
უსპეტაკესი, როგორიც თოვლი.

ვირი: ფრთაქათქათა, სპეტაკი, თეთრი!
უფალო ყვავო, მომეცი ნება,
რათა მცირე ხანს კვლავაც გიმზირო,
მშვენიერ ჩანხან წინაშე ჩემსა,
შენის მშვენებით მინდა ვიხარო!

მგელი: შენს სისრულესთან, შენს მშვენებასთან...

ვირი: ღმერთმა მოგმადლა, ხმა ანგელოზის, ხმა ანგელოზის...

თაკაკი ყვაი: *(წკრიალა ხმით)*

ალაღე, შენი ჭირიმე,
ყვავმაც დაიწყო გალობა,
ვინც დამიწუნოს ვაჟკაცი,
დაიწვას მისი ქალობა.

ყვავების ქორო: ქალო ანაო – ბანაო,
ვერ დავინახე განაო,
მდინარეში რომ ბანაობ,
დაგტრიალებდი თანაო.

(ამ სიმღერის დროს მგელიც და ვირიც ფეხის თითისწვერებზე დგებიან და ასე „ფერხულს“ ატრიალებენ ირგვლივ).

მგელი: ხალხი არა ხართ? ხომ გიმღერეთ, ხომ ვიცეკვეთ კიდევ,
ლუკმა მაინც გამოიმეტეთ!

ვირი: რამ გაგხადათ ასე უგულო? ერთი მუჭა ბალახი მაინც მომეცით
მშიერს...

(თაკაკი ყვაი ხელს ასწევს. სიჩუმე ვამეფდება. ჩამოვარდნილ ძღუძარებაში ყვაი კუღს ასწევს, საჯდომს მიუშვერს და მიმართავს).

თაკაკი ყვაი: ვინც მაკოცებს სასკორეზე, საჭმელსაც ის მიიღებს!

ყვავები: *(ერთად)* ჭამა თუ გინდათ, მიღით!

ყვაა... ყვაა... ყვაა!!!

– ყვავების გუნდი მიიმალება კულისებში. ზემოდან ჩამოეშვება უზარმაზარი ბუტაფორიული „ტრაკი“. –

ლეონი: ხალხნო და ჯამათნო!

ამ, თქვენთვის სუყველასთვის ნაცნობ საგანს ზოგნი საჯდომს, ზოგნი სასკორავს, ზოგნი უკანალს ეძახიან, მაგრამ, ყველაზე გავრცელებული და საყოველთაოდ მიღებული დასახელება, მაინც „ტრაკია“.

ბერიკები: ერთი შეხედვით ამ საგანში არ არის არაფერი განსაკუთრებული ან არაჩვეულებრივი – ჯერ ერთი იმიტომ, რომ ყველას გვაქვს, მეორეა, რომ ბავშვობიდან მივეჩვიეთ! ერთი სიტყვით, ძალზე ნაცნობი ყოველდღიურად საჭირო და აუცილებელი რამეა, რის საშუალებითაც ჩვენ ყველანი ყოველდღიურ ბიოლოგიურ ფუნქციონირებას ვაწარმოებთ და ვიცით, რომ ამ ზემოხსენებული ფუნქციის გარდა მას სხვა ფუნქცია არ ევალება, – მაგრამ ეს არის მეტისმეტად ზედაპირული და არასწორი შეხედულება, რადგან ცხოვრებაში ყველაფერი ისე კი არ არის, როგორც არის, ცხოვრებაში ყველაფერი სხვანაირადაა, ოღონდ რისთვის? ა-სე!! ა-ბა!!

ლეონი: მე ახლა ვილაპარაკებ არა თვით ამ მეტად და მეტად მნიშვნელოვან საგანზე, არამედ ორ მასთან დაკავშირებულ მოვლენაზე. ამ მოვლენებს ჰქვია – პირველს „ტრაკის ლოკვა“, ხოლო მეორეს – „ტრაკზე კოცნა“

ბერიკები: „ტრაკზე კოცნა, ტრაკზე კოცნა, ტრაკზე კოცნა“, „ტრაკის ლოკვა, ტრაკის ლოკვა, ტრაკის ლოკვა“, ორივე ლამაზად ჟღერს, ორივე შორეული ზარებივით რეკავს. ორივე ეფექტური საშუალებაა უამრავი საქმეების წარმატებულად დაგვირგვინებისათვის.

ლეონი: ტრაკზე კოცნით და ტრაკზე ლოკვით გზას იკაფავს ადამიანთა მოდემის უთვალავი რაოდენობა, სხვადასხვა დონის, წონის და პასუხისმგებლობის. ეს არის უნივერსალური და უებარი საშუალება ყველანაირი სარბიელის, ასპარეზის და საქმიანობის ასათვისებლად. ეს ილეთი ეფექტურია სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა სფეროში, აგრეთვე რეკომენდებულია სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებშიც – ოღონდ! „ტრაკზე კოცნა“ „ტრაკის ლოკვისაგან“ რადიკალურად და პრინციპულად განსხვავდება.

ბერიკები: „ტრაკის ლოკვა“, „ტრაკის ლოკვა“, „ტრაკის ლოკვა“...

ლეონი: სტრატეგიული ხასიათისაა და უფრო ეფექტურია ხანგრძლივი დამუშავება-გამოყენებისათვის, მაშინ, როდესაც, „ტრაკზე კოცნა“...

ბერიკები: „ტრაკზე კოცნა“, „ტრაკზე კოცნა“, „ტრაკზე კოცნა“...

ლეონი: ერთჯერადია, ესე იგი ხანმოკლე ხასიათს ატარებს.

ყველა: ორივე იღეთი მეტად პოპულარულია.

ჯუმბერი: რატომ???

ლეონი: რატომ???

ჯუმბერი: რატომ, რატომ, რატომ???, *(ყვირის)* რატომ!!!

ბერიკები: იმიტომ რომ ცხოვრებაში ყველაფერია თავიდან...

ლეონი: შენი ყურით არ გაიგონე? ყვავმა სთქვა...

ბერიკები: „ვინც მაკოცებს სასკორეზე, საჭმელსაც ის მიიღებს“.

(კულისებიდან ისმის ყვირილი, ჩოჩქოლი, ალიაქოთი. ხალხი გამათრევეს სცენაზე მოლას და ჩაღრში გახვეულ ქალს).

მოწმეები: ეს უსინდისო, ეს უსინდისო,

ეს უსინდისო, ეს უსინდისო,

ქალს რა მოეთხოვება,

ამ კახპას, ამას,

მაგრამ მოლა, მოლა, მოლა?

ღვთის მსახური, ღვთის კაცი;

ასე როგორ უნდა წაიწყმიდოს?

ასე როგორ უნდა გაბინძურდეს?

ეს უსინდისო, ეს უსინდისო!!!

ბერიკები: რა იყო, რა მოხდა???

მოწმეები: ეს უსინდისო, ეს უნამუსო,

ამ ქალთან წოლილა,

ამ ქალთან წოლილა,

უცხო დიაცთან, დიაცთან დავიჭირეთ!

რახან შევიპყართ, ერთს ორმოსა შიგან

ჩავეყართ, ხოლო მეორე დღეს

მოვასხათ ყადი და მოწმენი და ორივე დავხოცოთ

ბოზობისათვის.

(დამნაშავეებს ჩაყრიან ორმოში).

ლეონი: *(კითხულობს)* „სცნო მეორე მოლამ,

მტერმან მისი მოლასაგან.

ირბინა მას მოლას სახლში, მივიდა,
მისი ცოლი მიიყვანა, მას მოლას ღამე
ჩაუსვა ორმოსა შიგან და ეგრე უთხრა:

II მოლა: მაგ დიაცის სამოსელი მაგას შემოსე
და მაგისი მაგასო, ეგ კი ამოუშვიო.

ლეონი: განთიად მოვიდა ყადი და მოწამენი,
და იგი მტერნი მოლაცა მოვიდეს.

*(პანტომიმა „ყადის მოსვლა“: დამნაშავეები ორმოდან გამოჰყავთ
და მოწმეები იწყებენ მოყოლას).*

მოწმეები: ვნახეთ, რა ვნახეთ,
ვნახეთ, რა ვნახეთ,
ამ უნამუსომ, ამ უნამუსომ
იმ უსირცხვილოს, იმ უსირცხვილოს...

(გაჩერდებიან)

ყადი: *(პაუზის შემდეგ)* რაო?

მოწმეები: ვნახეთ, რა ვნახეთ,
ვნახეთ, რა ვნახეთ,
ამ უნამუსომ
იმ უსირცხვილოს, იმ უსირცხვილოს...

(ისევ ამ ადგილას გაჩერდებიან)

ყადი: რაო? რაო?

მოწმეები: ვნახეთ, რა ვნახეთ,
ამ უნამუსომ იმ უსირცხვილოს...

(ისევ გაჩერდებიან).

ყადი: რაო? რაო? რაო?

მოწმეები: ო... ო... ო... რა... რაო! რა-რაო!
არ იცი, „რაო“?!

ყადი: „ამ უნამუსომ, იმ უსირცხვილოსო“ რაო?

მოწმეები: *(გაბრაზდებიან)* „რაო“ და აჰა!
(ყურში ჩაუჩურჩულა).

*(ხალხი ხარხარებს. ყადი მისცემს ნიშანს ვზირებს. ვზირები
მოვლენ დამნაშავეებთან, გახდიან ჩაღრს და გაოცდებიან).*

მოწმეები: ვაჰ! ალააა!

მტერი მოლა: *(გამოდის წინ)* მე ხომ ყველანი მიცნობთ, მაგისი
მტერი ვარ, მაგრამ რას ემართლებით უბრალოს, თავისი ცოლი
ყოფილა.

(ვახარებული დამნაშავეები ცეკვა-ცეკვით ვარბიან სახლში. მოლა მოლას წინ ვადაუდგება).

მტერი მოლა: შენ იცი, როგორი მტერი ვარ შენი, მაგრამ ამისთვის მოგარჩინე, რომე შენც მოლა ხარ და მეც მოლა!!!

ბერიკები: ათაბაბადან ვიცით ანდაზა ერთი,
ანდაზა ერთი,
ძალდი ძალდის ტყავს არ დახევს,
ძალდი არ დახევს ძალდის ტყავს.
ასეა!!! აბა!!!

ლეონი: *(ჯუმბერს)* ნახე!

ჯუმბერი: ვნახე!

ლეონი: მიხვდი?

ჯუმბერი: მივხვდი!

ლეონი: გაიგე?

ჯუმბერი: გავიგე... გავიგე... გავიგე... ყველაფერი გავიგე!

ლეონი: ჯერ სადა ხარ!

– *(ბერიკებს სცენაზე შემოჰყავთ ძროხა).* –

ბერიკები: *(ჯუმბერს)* უფლისწულო, ეხლა ვაჭრობა უნდა გასწავლოთ, შესძლებ?

ჯუმბერი: რატომ ვერ შევძლებ? შევძლებ!

ბერიკები: რატომაც არა? ძროხას გაგვიყიდი?

ჯუმბერი: რატომაც არა? გაყიდი!

კარგი ძროხაა, ადვილადაც გაიყიდება!

ბერიკები: აბა, მიდი! აჰა!!!

(ჯუმბერი იწყებს ძროხის გაყიდვას. ბერიკები ვადიან და ტოვებენ მარტოს. ბაზრის სცენა.

შემოდის მილეითის ხალხი. ყველა თავ-თავის საქონლით.

ჯუმბერი მხიარულად განეწეობა და გულისანად ყვირის).

ჯუმბერი: ძროხა! ძროხა! ძროხას ვყიდი, ვყიდი ძროხას, ძროხას ვყიდი – ვყიდი ძროხას!

(ირველივე ვროვდება ბაზრის ხალხი და ვაკვირვებით აკვირდებიან და უსმენენ ჯუმბერის მხიარულ შეძახილებს. ჯუმბერს უახლოვდება ლეონი).

ლეონი: ჯუმბერ, რას აკეთებ?

ჯუმბერი: *(მხიარულად)* ძროხას ვყიდი!

ლეონი: ძროხას? შენ გგონია, რომ ეს ძროხაა?

ჯუმბერი: უი, მე! აბა, მაშ რა არის, თხა? (იციინის)

ლეონი: მას, შენ ამბობ, რომ ეს არის ძროხა?

ჯუმბერი: ვამბობ და არის კიდევაც!

ლეონი: მაშ ძროხაა?!

ჯუმბერი: რა თქმა უნდა, ძროხაა, ძროხაა! ძროხა! ძრო-ხა, ძრო-ხა.

ლეონი: აბა, ვნახოთ, მიდი, ჰკითხე!

ჯუმბერი: (*იციინის*) ბატონო, რა არის ეს?

ბერიკა: როგორ თუ რაა, თხა!

ჯუმბერი: (*იციინის*) ხა, ხა!! თხა! ბატონო, რა არის ეს?

ბერიკა: თხა!

ჯუმბერი: ბატონო, რა არის ეს?

ბერიკა: თხა, გენაცვალე, თხა!

რა მოგივიდა, ბიჭო, თხა გინდა გაყილო ძროხის ფასად, თუ როგორ?!

ჩვენ აქ სულელები კი არა ვართ.

შენ ვის ატყუებ, ლაწირაკო! ისე მოგადებ, რომ!

მებაზრეები: შეხედე ამ ქეციანს, თხას ყიდის ძროხის ფასად, უნამუსო.

ჯუმბერი: რას ამბობთ, ხალხნო? ბრძენო ლეონ, მეგობრებო... რას ამბობთ, თვითონ არ თქვა, ძროხა გაგვიყიდე?!

მებაზრეები: ესე იგი თქვენ ასწავლეთ თხის გაყიდვა ძროხის ფასად?

ბერიკა: აქ თაღლითების მთელი გუნდი ყოფილა!

ლეონი: რას ამბობთ, ხალხო, მე მაგას საერთოდ არ ვიცნობ, პირველად ვხედავ... ვინ არის, რა არის?!

ბერიკები: თაღლითი ვინმეა... ჩვენც რომ გვრევს საქმეში. შენ, ძმაო, ცოტა წინდახედულად ილაპარაკე, გესმის?!

ჯუმბერი: ვაიძე, რა არის ეს? რა მეშველება? სადაური თაღლითი მნახეთ?

მებაზრეები: აბა, ძროხაო თხაზე რომ ამბობ, რა უნდა ვიფიქროთ შენზე?!

ჯუმბერი: აბა, მაშ არ არის? ძროხაა, აბა რა?!

ბერიკა: აჰა! ისევ დაიწყე! ამოდენა ხალხი რომ გეუბნება თხაა, არ უნდა შეიგნო და დაიჯერო, ა?

მებაზრეები: (*ერთად ყვირიან*) თხაა! თხაა! თხაა!!!

ჯუმბერი: აქლემისხელა ძროხა თხის ფასად გინდათ იყიდოთ, მატყუებთ, მახითურებთ...

მებაზრეები: *(ერთად)* თხაა! თხაა! თხაა!

(ბაზარში გამოჩნდება ყადი თავისი თანმხლები პირებით, სასოწარკვეთილი ჯუმბერი მივარდება მასთან).

ჯუმბერი: ბატონო ყადი, ეს ხალხი უცნაურ რამეს მიწვობს. აქლემისხელა ძროხა თხის ფასად უნდათ იყიდონ ჩემგან. დამიცავით მართალი კაცი, უთხარით ამათ, რომ ეს თხა კი არაა, ძროხაა, ძროხა, ძროხა.

ყადი: ეს არის თხა და არა ძროხა.

– *(გაქცევებულ ჯუმბერს ნახევარმარხილს აძლევენ, ართმევენ ძროხას და ნაწილებად ყოფენ. ყველაზე კარგი ნაწილი ყადის შეხვდა.*

სცენაზე მარტო ჯუმბერი რჩება. მას უახლოვდება ლეონი, ხელში ძროხის კუდი უჭირავს). –

ლეონი: *(უჩვენებს ჯუმბერს ძროხის კუდს)* რა არის ეს, ჯუმბერ? *(ჯუმბერი გრძელი პაუზის შემდეგ აყვირდება).*

ჯუმბერი: რატომ? რატომ? რატომ? რა..ტომ?

ლეონი: რატომ? იმიტომ, რომ ყადიმ სთქვა, თხააო.

ჯუმბერი: *(უყვირის)* შენცა სთქვი, შენცა სთქვი, შენც!

ლეონი: მე ყადი არა ვარ, უფლისწულო!!!

(აწვდის ძროხის კუდს) ეს კიდე, შენ სამახსოვროდ, უფლისწულო!!!

– ბერიკებს ეცოდებათ სასოწარკვეთილი ჯუმბერი, უნდათ მოეფერონ, მიუაღერსონ, ანუგემონ, მაგრამ ლეონი აჩერებს და გაგრძელების ნიშანს აძლევს. ქალბერიკა იწყებს ახალი იგავის გათამაშებას. ბერიკები ძალით აკავენენ სასოწარკვეთილ, როკაპ დედაბერს. დედაბერს ერთ ხელში ყელგამოლადრული ქათამი უჭირავს, მეორე ხელს კი თავში იცემს და გოლებს. –

დედაბერი: ვიშ, ვიშ, ვიშ!

ვაი, ვაი, ვაი!

ვუი, ვუი, ვუი!

ეს რა მომივიდა!

ეს რა დამემართა!

ბერიკები: დაწყნარდი, ქალო! დაწყნარდი!

დედაბერი: *(მოთქვამს)* ვიშ, ვიშ, ვიშ!

ვაი, ვაი, ვაი!

ვუი, ვუი, ვუი!
ეს რა მომივიდა!
ეს რა დამემართა!

ჯუმბერი: *(რობელსაც შეეცოდა მკოდებელი დედაბერი)*
რა მოუვიდა ამ უბედურს? რა დაემართა? მოუკვდა ვინმე, ვინ?

ბერიკა: ქათამი!

ჯუმბერი: ქათამი?!

ბერიკა: ხო, ქათამი! აი, ის, ხელში რომ უჭირავს,
ყელგამოლადრული!!!

ჯუმბერი: უი, მე! ვითომ, რა სიყვარული ჰქონდა ამისთანა, ასეთი
მოთქმა და გოლება არც მინახავს და არც გამიგია.

ბერიკა: აი, ამ, საცოდავ და უბედურს, როგორც შენ ამბობ, დედაბერს
ქათამი ჰყავდა, რა ქათამი... ოქროს კვერცხს დებდა ცისმარე
დღე. ოქროს კვერცხს.

ჯუმბერი: უი, მე! როგორი მდიდარი გახდებოდა! მერე, მერე...

ბერიკა: ერთხელ ხარბმა დედაბერმა, გულის თქმაი ყურად ილო,
ეგონა, რომ ის ქათამი ოქროთი სულ სავსე იყო...

დედაბერი: ვიშ, ვიშ, ვიშ!

ვაი, ვაი, ვაი!
ვუი, ვუი, ვუი!

ბერიკები: *(ავრძელებენ შაირობას).*

ეჭვმა დაღრღნა დედაბერი.
როკაპი და მეტად ანჩხლი,
ოქროს კვერცხის მდებელ ქათამს
გამოლადრა ყელი ხანჯლით.

დედაბერი: *(თავში ხელებს წაიშენს და აყვირდება).*

ვიშ, ვიშ, ვიშ!
ვაი, ვაი, ვაი!
ვუი, ვუი, ვუი!

ბერიკები: და როდესაც გამოშიგნა, დაინახა, რომ ამ ქათამს შიგნეული
ოქროსი კი არა, ჩვეულებრივი აქვს.

დედაბერი: ვიშ, ვიშ, ვიშ!

ვაი, ვაი, ვაი!
ვუი, ვუი, ვუი!
ეს რა მომივიდა!
ეს რა დამემართა!

ჯუმბერი: კი, მაგრამ რატომ, რატომ, რა-ტომ-მ? ყოველდღე ოქროს კვერცხებს ხომ უღებდა?

ბერიკა: ჯერ არს კაცისა,
ჯერისამებრ ცხოვრობდეს რათა
და არა მრავლის მოსახვეჭად ილტვოდეს იგი.
თორემ მცირედსაც დაკარგავს ქვეყნად,
ბევრისა ლტოლვით, ნდომით და ფიქრით.
(*ბერიკები აწყობენ სცენაზე ფუნდუკს*).

ქორთ: ავანთოთ შუშის ფარანი, ჰარი ჰარალე,
მოძებნოთ ღვინის მარანი, თარი თარალე,
ნოე ნუნუას მიუჯდა, ჰარი ჰარალე,
წყალი პირუტყვეს მიანება,
თარი თარალე...

– ფუნდუკი მხიარული ყიჟინით აფუსფუსდა, მიღეთი ხალხით ივსება. შემოდინ ლეონი, ჯუმბერი და ბერიკებიც. მეფუნდუკე ყველაზე მხიარული და ბედნიერი კაცი ჩანს, ფუსფუსებს და მღერის. მეფუნდუკე ლეონს და ჯუმბერს ღიდის მოწიწებით შეხვდება. –

მეფუნდუკე: მობრძანდით! მობრძანდით! ჩემო ბატონო, რა მოგართვათ, რა საჭმელი, რა სასმელი, მობრძანდით, გასინჯეთ, თვითონ შეარჩიეთ, შეამოწმეთ ჩემი მარანი, ჩემი ღვინო... ჩემი ღვინო.

ავანთოთ შუშის ფარანი, ჰარი ჰარალე,
მოძებნოთ ღვინის მარანი ჰარი, ჰარალე...

– რა მოძებნა უნდა, აგერ ნაპოვნი არ არის!..

მობრძანდი, ჩემო ბატონო, მობრძანდი...

მელქაქე: ვაი, ამას აქ რა უნდა? ამას აქ რა უნდა?!

ეს აქ საიდან გაჩნდა? მემარნე, მემარნე,
მემარნე, (*მოვიდა მემარნე*) რად ღვას ჯამი
ესე აქა?... ეს აქა, ჯამი რადა ღვას?

მემარნე: როგორ თუ რადა? რამდენჯერ შემოვალ, შენი ჭირიმე,
თითოს ამით შევსვამ ღვინოს, შენს სადღეგრძელოდ.

მეფუნდუკე: (*ხასიათი წაუხდა*) კარგი, კარგი, წადი.

ჰერი, ჰე! ჰერი, ჰე! ასე როგორ იქნება, ჰა?

ჩემი ღვინო ამ კაცს აუოხრებია! ასე როგორ იქნება, ჰა?!.. არა... არა... ერთი კაცი სხვა დაუყენო თავსა, რომ მაგოდენს ღვინოს ნუ ასმევს.

ბერიკები: ავანთოთ შუშის ფარანი,

ჰარი ჰარალე,

მოვებნოთ ღვინის მარანი,

თარი თარალე, თარი თარალე...

(ლეონი, ჯუმბერი და ბერიკები ფუნდუკიდან წასვლას აპირებენ. უცებ ლეონი შეჩერდება).

ლეონი: ჯუმბერ! მეორეზე რა შეველით მარნად, ნახე ორი ჯამი ღვინო ქვევრთან.

ჯუმბერი: ეს რა უნდა იყოს? მემარნე, მემარნე? ეს რა უნდა იყოს?

მემარნე: ესა? ერთი ჩემია, რომლითა ვსვამდი, და მეორეც მაგ ჩემს ამხანაგს მოუნდება, ახლა რომე დამიყენა მეფუნდუკემა.

ბერიკები: ავანთოთ შუშის ფარანი, ჰარი ჰარალე

მოვებნოთ ღვინის მარანი თარი თარალე,

თარი თარალე...

(ლეონი, ჯუმბერი, ბერიკები).

ჯუმბერი: იმ ღვინის ქურდზე ვფიქრობ და ვერ გადამიწყვეტია, ერთის მხრივ ქურდია, ხოლო მეორეს მხრივ, – ამდენ ღვინოს კაცი ყარაულობდე და ერთი ჯამიც არ შესვა???

ბერიკა: გამოდის, ყარაული უნდა დააყენო, რომელიც რომ ღვინოს არ სვამს.

ჯუმბერი: მეც მანდა ვარ, მაგრამ ასეთს სად იშოვნენ?!

(ირონიულად)

ბერიკა: ჰოდა, ჩვენც მანდა ვართ, რომ გეუბნებით, ცხოვრებაში ყველაფერი ასეა, მაგრამ მთლად არა. ა-ბა!

ჯუმბერი: რომ შეიძლებოდეს არამსმელი მემარნის შოვნა, რომ შეიძლებოდეს, რომ ოქროს კვერცხის მდებულ ქათამს ყელი არ გაუღადროს, რომ შეიძლებოდეს კაცი კაცს სიბინძურესა და თაღლითობაში მხარს არ უჭერდეს, რომ ყველაფერი ასე არ იყოს, როგორც არის, რა ბედნიერები ვიქნებოდით, არა?

ბერიკები: აბა, აბა, აბა!!!

ჯუმბერი: სულ ვფიქრობ, როგორ შეიძლება ბედნიერი ვახდე, ან რა უნდა გააკეთო, რომ იყო ბედნიერი? თუ არის ასეთი

საშუალება?

ლენი: როგორ არ არის! უნდა ბენიერი კაცის პერანგი ჩაიცვა, და იმისი ბენიერება შენზე გადავა!

ჯუმბერი: ვაჰ! მერე და სად არის ასეთი კაცი? მოვძებნოთ, ვითხოვოთ, ვიყიდოთ, ან წავართვათ?

ბერიკები: ამბობენ, იყო ერთი ასეთი კაცი, მაგრამ პერანგი თურმე არ ჰქონდა! შიშველი დადიოდა... ფოთლითა!

ბერიკა: ბენიერ ხალხს პერანგები, როგორც წესი, არ გააჩნიათ. მითუმეტეს – ზედმეტი.

ჯუმბერი: ესე იგი გამოდის, რომ ბენიერები არ არსებობენ ქვეყნად?!

ლენი: ვერც უფლისწული და ვერც თვით მეფე სხვისი პერანგით ვერ გაბენიერდება. ბენიერი პერანგის არც შოვნა, არც ყიდვა და არც წართმევა მოხერხდება... ეს შეუძლებელია, იმიტომ, რომ ბენიერი პერანგით იბადებიან. ის თვით ღმერთმა უნდა გიბოძოს პირადი სარგებლობისთვის. ეს ძალიან იშვიათი ბედია და ასევე იშვიათად ძნელი.

ჯუმბერი: აბა, როგორ ჩნდებიან ბენიერი მეფეები, ვინ ან რა ეხმარებათ მათ?!

ლენი: მეფეს არავინ არაფერში არ ეხმარება, მეფე თვითონ ეხმარება ხალხს... თუ ეხმარება...

ბერიკები – მასხარაობა III „სიბრძნე სიცრუისა!

ბერიკა: იყო მეფე ერთი და აქვანა წალკოტი,

ქორი: ვითა ჰშვენოდა,

მოვიდა მებაღე და მოახსენა მეფესა,
ვარდსა შიგან ბულბულს ბუდე დაუცან.

მეფემან უბრძანა:

არა შერჩეს ბულბულსა მაგის ქმნა...

გამოხდა ხანი,

მოვიდა მებაღე, მოახსენა მეფეს,

ბულბულმან ბარტყნი დაჩიკნა,

მოვიდა გველი, ბულბულიც შეჭამა

და ბარტყებიცა.

ბრძანა მეფემან,
არცა გველს შერჩება მაგისი ქმნა.
მოვიდა მებალე და მოახსენა,
შამბათსა ვთიბლი და გველი შემომაკვდა,
ნამგლით დაგჭერ.
უბრძანა მეფემან,
არც შენ შეგრჩეს.

- ერთ დღეს მეფემ კაცნი დაითხოვნა
და ჯალაბითა და მხეველით წალკოტში ღზინი მონიება.
(*პანტომიმა და ცეკვა*)
მებალე ერთს ხეზე ავიდა და დაიმალა.
სცნეს ხადუმთა, პოვეს და მეფეს მოგვარეს.
მეფემან სიკვდილი ბრძანა.

პაუზა

მებალე: ვითა ჩვენ არ შეგვრჩა ბრძანებისამებრ შენისა,
ალარც შენ შეგრჩეს სიკვდილი ჩემი.
(*ბავშვური სიმღერა უფროსების მიერ შესრულებული*).

ბერიკები: წამო ვნახოთ ვენახი,
ვინ შეჭამა ვენახი,
მიველ ვნახე ვენახი,
თხამ შეჭამა ვენახი.
წამო ვნახოთ თხა,
რამ შეჭამა თხა.
მიველ ვნახე თხა
მგელმა ჭამა თხა.
წამო ვნახოთ მგელი,
რამ შეჭამა მგელი,
მიველ ვნახე მგელი,
თოფმა მოკლა მგელი.
წამო ვნახოთ თოფი
რამ შეჭამა თოფი.
მიველ ვნახე თოფი,
ჟანგმა ჭამა თოფი.
რამ შეჭამა ჟანგი?

მიწამ ჭამა ჟანგი,
მიწამ ჟანგი,
ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი,
მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

(შემოდიან ლეონი და კუშბერი. ლეონი ივავის წასაკითხად ეძხადება).

„მეფე ანაკოფიისა“

ლეონი: *(კითხულობს წიგნიდან)* მეფე იყო ანაკოფიისა, მრავალი ერი მონებდა და ყოველი კაცი უყვარდა. ერთგულისას ამას იტყოდა, რა გინდა ბევრი ვაწყინო, ისევე ერთგული ბუნება აქვს და არ დამთმობსო და ორგულს ეგოდენს წყალობას ვუზამ, გავიერთგულოო. გამოხდა ხანი. მტერნი აუჩნდნენ. მეფე თავის სამკვიდროზე ვეღარ დადგა და სხვას თემს ილტვოდა, თან ორივე გარდაყვა. ერთგულიცა და ორგულიც. რა ღიდად გასჭირდა ხანთ სიგრძისაგან, თუ რამ ორგულს უბრძანის სამსახური, აყვედრის:

რა მეწყალობება? სახლი გაუშვი, მამული და შენ განლავარ. აწ კიდეე აქა-იქ ტანტალს არ მაჯერებო! რა ერთგულს უბრძანის, უთქმელად ჰყვის.

გამოხდა ხანი და უფრორე გაუძნელდა საქმე. რა აღარ ხსნა იყო, მოახსენა ერთგულმან:

გარდმოვარდნილხარ, საგანძური დაგლევია, აღარა გემველება რა. მე გამყიდე და ჩემის ფასით სხვანი დაარჩინე!

შეწუხდა მეფე და არა ქმნა ენება, მაგრამ ღონე აღარ იყო. გაყიდა ერთგული და მისი ფასი იხმარა. მან ერთგულმან, რა თავი გაიყიდა და გაჰშორდა, გამოიპარა და პატრონთან მოვიდა. რამდენჯერ გაუჭირდის, თავი გაიყიდის, გამოიპარის და პატრონთან მოვიდის.

ჟამთა ვითარებით მეფე იგი მუნვე აღვილსა და მამულსა თვისსა მოვიდა და გამეფდა.

მას ერთგულის ნამსახურს აღარა პატივი მისცა და მისი მამულიც მიუღო, და ორგულს ბევრი შეჰმატა, რომ ეს მხნე და გამძრავი

კაციაო და შენ უღონო და გულდღეაღი კაცი ხარო!

ჯუმბერი: ამით სცან, რომ კარგისათვის კარგი არავის უქნიაო, ხომ ასეა?!

ლენი: არა! მე ასე არ ვფიქრობ, მისთვის ეს ძალიან ძნელი იყო!

ჯუმბერი: რა? რა იყო ძნელი?

ლენი: არჩევანი! არჩევანი!

(*ლენის მონოლოგი*).

ლენი: რატომ არის, რომ ყველა ერის „ნანა“ სევდიანია?!

დედა გრძნობს,

დედამ იცის, თუ რა ძნელი,

რა რთული გზა გასავლელი,

გზა გასავლელი

მის მიერ შობილს,

მის მიერ შობილს.

ადამიანი იბადება ერთხელ, თორემ სიკვდილით

ბევრჯერ კვდება ცხოვრების გზაზე,

ბევრჯერ.

ჯერ ბავშვი კვდება, ყრმა, მერე კაცი და ბოლოს...

ადამიანი, ადამიანი კვდება.

როგორ კვდება, აი, რა არის მთავარი – როგორ

და ყველა გარდაცვალებას სიახლე მოაქვს.

მოაქვს იმიტომ, რომ გარდაცვალებას

არჩევანი ჰქმნის

სწორი ან მცდარი, მაგრამ არჩევანია, ყოველთვის.

რა „დაიბადები“ – მარად არჩევანი წყვეტს,

განაპირობებს.

შეიძლება უთვალავი შეცდომა გქონდეს,

უამრავი,

მაგრამ ბოლო, სულ ბოლო არჩევანი შენი,

სულ ბოლო, ის გადაწყვეტს...

შენს გარდასახვას,

იმიტომ რომ ღმერთი მოწყალეა, მოწყალე,

და გაპატიებს ცოდვილს, თუ ბოლო არჩევანი

სწორია, სწორი.

შენ სულ მეკითხები – რა არის ყველაზე ძნელი,

ყველაზე ძნელი.

გეუბნები – რწმენა,
 იმედი
 და სიყვარული,
 შენც გიკვირს.
 ადვილია! სულ სამი სიტყვა!
 მაგრამ ამ სამში მთელი სიცოცხლე არის –
 ბჰერ(ო)დის მაშინაც,
 როდესაც რწმენა
 სისულელეს ჰგავს.
 იმედი გჭონდეს,
 როდესაც
 საიმედო
 არ არის ირგვლივ და
 ბიჰვარდის,
 როცა სასიყვარულო არ ჩანს
 და სიძულვილია,
 მხოლოდ სიძულვილია,
 გარშემო შენსა.
 ანაკოფიის მეფეს იმედი, რწმენა და სიყვარული ჰქონდა. და
 სამეფოც დაიბრუნა და გააბედნიერა კიდევ. მისი მსახური კი... ის
 დიდი სულისა იყო,
 მაღალი სულის.
 მან მეფეს მხნეობა მისცა,
 მხნეობა...
 მან გაამაგრა,
 გააძლიერა მეფე.
 მეფემ იცოდა ეს და
 იმიტომაც უყვარდა ძლიერ...
 უყვარდა ძლიერ.
 ბედნიერია მეფე,
 ვისაც გვერდით ასეთი მსახური ჰყავს.
 ერიც ასეა,
 ასეა ერიც.
 მაღალი, დიდი სულის ერი თავის მეფეს
 ძალას და იმედს მატებს...
 იმედს მატებს და

ძალას მატებს.

მხოლოდ სულელებს ჰგონიათ, რომ ბედნიერია

ის, ვისაც სხვები ემსახურებიან...

ემსახურებიან სხვები,

ნამდვილი ბედნიერებაა...

სხვებს, სხვებს რომ

თვითონ ემსახურები,

ემსახურები თვითონ.

მაგრამ ეს ძალიან ძნელი ხვედრია, და

ცოტა ვინმეს შეუძლია,

ძალიან ცოტას.

ის კი არ არის ბედნიერი, ვისაც ჯიბე აქვს ღიდი,

ჯიბე აქვს სქელი,

ბედნიერია ის,

ვისაც სული აქვს ღიდი,

ღიდი სული აქვს.

ამიტომ ვფიქრობ – ანაკოფიის მეფემ კი არ აწყენინა – დააფასა საყვარელი კაცი. მის წინ არჩევანი იდგა და არჩევანი გააკეთა ძნელი და სწორი. მან საყვარელი ადამიანი გაწირა, იმიტომ, რომ ამან ამის უფლება მისცა.

ანაკოფიის მეფე ტრაგიკული პიროვნებაა, ძალიან რთული ბედის კაცია, მაგრამ უმაღური მასზე არ ითქმის.

– ასე მგონია მე,

ასე ვფიქრობ!

ეს არის ყველაზე ღიდი სიძნელე მეფის!

არჩევანი!

არჩევანი გააკეთო – სწორი!

(ჯუშბერი ერთხანს დადუმებული ზის, მერე წამოხტება და ლეონს ჩაეხუტება).

ჯუშბერი: მეშინია! მეშინია! მეშინია, ბრძენო!

ლეონი: *(ჩურჩულით)* უნდა გეშინოდეს! სულ მუდამ... უნდა გეშინოდეს! ასეა ეს!

(სცენაზე შეძოდის ბერიკების დასტა).

ბერიკა: არის ასეთი ქვეყანა – დელორა ჰქვია. იქ სიმართლეს არავინ არ ამბობს. აკრძალული კი არ არის, უბრალოდ, არ არის მიღებული. სიმართლის თქმა დიდორაში სირცხვილად ითვლება.

საზოგადოება სიმართლის მოქმელს კიცხავს. ამიტომ რაც არ უნდა თქვა, იქ ყველას სჯერა, უფრო სწორად, კი არ სჯერათ, არამედ არდაჯერებას არ იმჩნევენ. მიუტყევებელი უზრდელობაა დიდორაში კაცს უთხრა – „რას იტყუებით“ ან და „არა მჯერაო“. რაც არ უნდა გითხრან, უნდობლობა არ უნდა შეამჩნევიყო. გაიცინე, გაიღიმე, ტაში დაუკარი – ეს არის საზოგადოებრივი ეტიკეტის მთავარი და ძირითადი პარაგრაფი.

ბერიკები: სიცილი, ღიმილი, ტაში, ტაში...

სიცილი, ღიმილი, ტაში, ტაში, იალაა!

– *(სოლო მონოლოგის ფონზე ბერიკები პურმარილს გააწყობენ. ყველა დაზვავზე, რომლებიც განსხვავებული ზომის და სიმაღლისაა, გააწყობილია პურმარილი. პურმარილი, პურმარილი, ირგვლივ კი სხვადასხვა ჯურის ხალხი, რომლებიც დიდორას ჰიმნს თავდავიწყებით აბგერებენ).* –

ქორი: დიდორა, დიდორა, დიდორა,

სამშობლო ჩემო, საყვარელო სამშობლო.

შენთვის მიძგერს გული, დიდორა ჩემო,

დიდორა, დიდორა, დიდორა.

ვინც დიდორაში დაიბადა

ვაჟკაცი, ვაჟკაცი ოდით,

შენი მზე, შენი მზე, შენი ცა

ლომებს ბადებს, ლომებს და ვეფხვებს.

დიდორა, დიდორა, დიდორა,

მუდამ იყავი, მუდამ იყავი,

შენზე ლამაზი, შენზე მშვენიერი,

არ არის ქვეყანა ამ დუნიაზე.

დიდორა, დიდორა, დიდორა.

(ყველაზე დიდ და მაღალ დაზვავზე, ყველაზე ძლიერულ პურმარილზე „დიდებული“ „თქმულებას“ იწყებს).

დიდებული: წეროს შევარდენი მოვუტივე...

მსმენელები: შევარდენი, შევარდენი...

დიდებული: შეიპყრა და ქვე ჩამოიღო...

მსმენელები: ქვე ჩამოიღო, ქვე ჩამოიღო...

დიდებული: მიველ ვნახე...

მსმენელები: მივიდა ნახა.

დიდებული: შევარდენს თავი აღარა ება...

მსმენელები: აღარა ება!

ყველანი: ვაჰ, შენს დედასაო!

ვაჰ, შენს დედასაო!

დიდებული: ვთქვი – ნუთუ წერომ მოსწყვიტა.

მეთქი! ნუ თუ?

ვებენე და ველარა ვპოვე.

ველარა ვპოვე.

მსმენელები: ველარა ჰპოვა! ველარა ჰპოვა!

ყველანი: ვაჰ, შენს დედასაო!

დიდებული: რა შევარდენის ქული ვნახე...

მსმენელები: ქული ნახა...

დიდებული: შიგ იღვა...

მსმენელები: შიგ იღვა...

ყველანი: ვაჰ, შენს დედასაო!

ვაჰ შენს დედასაო!

დიდებული: შევარდენის სიკეთემ ეგოლენი მისტანა...

მსმენელები: მისტანა, მისტანა...

დიდებული: უთავომ... წერო შეიპყრა!

ყველანი: ვაჰ, შენს დედასაო!

(*აღფრთოვანდნენ*) ვაჰ, შენს დედასაო!

დიდებული: და მერე მოკვდა!

ყველანი: საამაყო ვერე სიკვდილი,

თითოეულმა უნდა ინატროს...

უნდა ინატროს.

II დიდებული: (*თასით ხელში*) ვინც დიდლორაში დაიბადა, მეომარია, ლომი...

III დიდებული: მთავარია, წეროს დაჭერა გინლოდეს, ისე გინლოდეს, თავმოწყვეტილობაც კი მიაგნო, ამხელა ცაში! ამხელა ცაში! ჩვენს აღზევებულ სურვილს... (*სვამს*)

IV დიდებული: მთავარია, წეროს დაეწიო, ხოლო დანარჩენი არაფერია, ხომ დაეწიე, ხომ დაეწიე!..

ჩვენს აღზევებულ სწრაფვას... (*სვამს*)

ჯუშბერი: (*ლოონს ჩუბჯდ*) როგორი საქმეა, ამხელა ცაში წეროს დაეწიო და ნისკარტი არ გქონდეს!

რას ჩასცემ?! წიხლს თუ ჩაარტყამ!...

ბერიკები: სიცილი, ღიმილი, ტაში, ტაში.

იალააა!

ლურჯი ბავშვები

ქორი: ძაგ, ძაგ, ძაგ,

ყინულოვან წყალში ჩაგვეყარეს,

ძიგ, ძიგ, ძიგ,

ყინულოვან წყალში ჩაგვეაგდეს,

ძიგ, ძიგ, ძიგ,

ყინულოვან წყალში ჩაგვეტოვეს,

ცივა, ცივა, ცივივააა.

(ამას ჩურჩულებენ ყინულოვან წყალში ჩაყრილი სიცივისაგან გალურჯებული ბავშვები.

მათ თავზე დაადგებათ „აღმზრდელი“.

მხცოვანი, ჭაღაროსანი ვაჟკაცი, აბჯრით).

აღმზრდელი: აიტანთ, აიტანთ, აიტანთ, აიტანთ.

დასძლევეთ, თქვენ დასძლევეთ, თქვენ დასძლევეთ.

ეს არის ვაჟკაცის ცხოვრების ნიშანი,

ეს არის რაინდის არსი.

ბავშვები: ძაგ, ძაგ, ძაგ,

ძიგ, ძიგ, ძიგ,

ძოგ, ძოგ, ძოგ,

ცივა, ცივა, ცივივააა.

აღმზრდელი: არ შედრკეთ, არ შედრკეთ, არ შედრკეთ, ლომებო.

ითმინეთ, ითმინეთ, ითმინეთ.

ცხოვრება ეს არის მოთმენა, დაძლევა,

აღთქმული მიზნისაკენ ლტოლვა.

ბავშვები: ძაგ, ძაგ, ძაგ,

ძიგ, ძიგ, ძიგ,

ძოგ, ძოგ, ძოგ,

ცივა, ცივა, ცივივააა.

(აღმზრდელი გათოშილ, ლურჯ ბავშვებს გაცილდება. მასთან მივა ჯუშბერი).

ჯუშბერი: უკაცრავად, ბატონო, ამ ყინულოვან წყალში ყრმანი ასე არ მოსწყდებიან?!

აღმზრდელი: ახალგაზრდავ! სიკვდილი და სიცოცხლე ღვთის ხელთ არის, თუმცა მოკვდავია, ახანოთა შიგან მოკვდებიან. ჩვენი, დიდორელთ, აგებულობა, ისრეთ უჩვევიათ და ესრე ვიქმთ. ვინ მოკვდება – მოკვდეს, და რომელიც დარჩება, მაგარი ჭაბუკი

გამოვა. ეს არის ჩვენი მრწამსი და ქმედება. („აღმზრდელმა“ არწივისეული მზერა ცას ააბჯინა და ამყად გაიმართა. ჯუშბერმა ფეხზე ჯაჭვი შეამჩნია და ჩუმად ჰკითხა ლეონს).

ჯუშბერი: რად შეუბორკავთ?

ლეონი: არ უჭირს ბორკილი?

დიდებული: რათა, ძმაო, ჯაჭვი ესრეთ გრძელია.

ლეონი: ვინაა?

დიდებული: (ამყად) მამაჩემია!

(გაისძიის ლურჯი ბავშვების გუნდის ხმა).

ბავშვები: ძაგ, ძაგ, ძაგ,

ძიგ, ძიგ, ძიგ,

ძოგ, ძოგ, ძოგ,

ცივა, ცივა, ცივივააა.

ლეონი: თქვენც, ბატონო, ყინულში ჩაყრილი იყავით, მარტვილობაში?

დიდებული: (გრძელი ღუძილის შეძევ) მამაჩემი მაშინაც „აღმზრდელი“ იყო. სხვებს ზრდიდა. ჩემთვის არ ეცალა. მე ინდოეთში გავიზარდე.

ბერიკები: სიცილი, ღიმილი, ტაში, ტაში,

სიცილი, ღიმილი, ტაში, ტაში.

იალააა!!

„ორი პური მასპინძლობა“

ბერიკა: ორი დიდორელი წყაროზე წყალს სვამენ. უცხოელიც გაჩერდება წყლის დასალევად.

I დიდორელი: გამარჯობა, ბიჭო შენი!

უცხოელი: (ფრთხილად) გამარჯობათ!

II დიდორელი: რა თქვენობით გველაპარაკები, ბიჭო, რა მოგივიდა, ტოლები არა ვართ?

უცხოელი: კი... ვართ!

I დიდორელი: სტუმარი ხარ ჩვენი, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მიწა-წყლის...

II დიდორელი: ესე იგი ყველა დიდორელის სტუმარი ხარ!!!

I დიდორელი: ასე არ არის???

უცხოელი: კი... ალბათ

- II დიდორელი:** ალბათ კი არა... ასე!
(დიდორელები ჭამად დასხდნენ. უცხოელიც დაჯდა. ცკარს იწმენდს. სახეს ივრილებს.)
I დიდორელმა ერთი პური ამოიღო, II დიდორელმაც ერთი პური ამოიღო, უცხოელს არაფერი ჰქონდა)
- I დიდორელი:** (ნახევარ პურს მოუტეხავს) აჰა, ეს შენ! გამომართვი!
- II დიდორელი:** (ნახევარი პური მოუტეხა) აჰა, ეს შენ!
- უცხოელი:** რას ბრძანებთ, არა, არა... მე არ მინდა, „არ მშია“, არა, არა!
- I დიდორელი:** გამომართვი, არ გვაწყენინო... სტუმარი ხარ ჩვენი, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მიწა-წყლის, ასე არის ეს.
- II დიდორელი:** გვეწყინება, ჩემმა მზემ, გვეწყინება...
აჰა, აჰა (ორივე ნახევარს ძალით შეაჩრის).
(უცხოელი მორიდებულად გამოართმევს და ჭამას იწყებს)
I დიდორელმა ნახევარი პური შეჭამა – არ ეყო.
II დიდორელმაც ნახევარი პური შეჭამა – არ ეყო.
შეხედეს უცხოელს, მეორე ნახევარის ჭამას ათავეებს – გული მოუვიდათ).
- I დიდორელი:** (მეორეს) შენ რამდენი ჭამე?
- II დიდორელი:** ნახევარი... შენ?
- I დიდორელი:** მეც ნახევარი... (უცხოელს) შენ?!
- უცხოელი:** (მხიარულად) მე ორი ნახევარი შემსვდა... გმადლობთ, გმადლობთ...
- I დიდორელი:** (უცხოელს), შე ჩათლახო, შენა. მერე რა სინდისით ჭამე? ჰა??
- II დიდორელი:** ჩვენ – ნახევარ-ნახევარი. შენ კი!!!
- I დიდორელი:** აბა! მაგისი...
- უცხოელი:** (პროტესტს აცხადებს) მოიცათ, მოიცათ, ბიჭებო...
- I დიდორელი:** ვინ არის შენი ბიჭი? შე ბოზო, შენა?!
- უცხოელი:** კარგი, კარგი... ბატონებო!
- II დიდორელი:** აჰა, ახლა ბატონები გავხდით!!! ჯერ გაგვძარცვე, პური წაგვართვი, მშივრები დაგვტოვე და ახლა გაგვაბატონე???
- I დიდორელი:** დედას ვიტყვებ, „შე გადამთიელო“!
- II დიდორელი:** უჰ... შე მოთრეულო!!!

– (ურტყამენ, სცემენ, წიხლებს აყრიან, თან ავინებენ, რომ დაიღლებიან, აქომინებულები წავლენ. უცხოელი ვაჭირვებით თავს წამოსწევს. ცალი თვალი არ უჩანს, მეორე მთლად „გალილავებულია“, ცხვირიდან სისხლი სდის, კბილები ჩაღეწილია, ტუჩები დასივებია, თმები აეწეწა, ტანისამოსი დახეულა). –

უცხოელი: (ძლივს ლაპარაკობს სისინით. მაყურებელს მიმართავს) ალ ზობდა შულ ალ მეჭამა? (ტირის) მომკლეს... მომკლეს... მომკლეს ამ მხეცებმა...

(წყველის) ვიშაც ეწვივნეთ, მაშცა შკვენთვის აშრე აქნევინოს!!!

ლეონი: (მივა მასთან. ფეხზე წამოაყენებს. მოაწესრიგებს). ძმაო, სამ სწავლას გამცნებ და დაიმახსოვრე:

1. მშიერს სტუმრად ნუ ეწვევი;
2. გლახაკისაგან ჩუქება ნუ გინდა;
3. უმეცარს გულით ნუ მიენდობი.

ბერიკები: სიცილი, ღიმილი, ტაში, ტაში.

სიცილი, ღიმილი, ტაში, ტაში.

იალაა!!!

– (ვაძონხდება გლახბერია ვირით და გუდასტვირით). –

გლახბერია: (მაყურებელს) ქაჯისა შვილი გადავარჩინე და აი, ეს ვირი მაჩუქა (გუდასტვირის ააუღერებს).

გაველ მინდვრად მარტოდმარტო და იმ მინდვრად ცუდად ვლიდი.

ენახე, ერთსა მგელსა პირსა

ყრმა სწრია და მიაქვს სადღაც.

შევეუძახე, ყრმა დააგლო

და გაიქცა ძალზე სწრაფად.

ავიყვანე ყრმა და ვკითხე –

ვისი ხარ შენ, ბიჭო-მეთქი?!

მან თქვა „ქაჯის შვილი ვარო,

მგელმა მომიტაცა მეო.

აწი რადგან მომარჩინე, დამფარე,

„მამაჩემი მოვა ძებნად, ჩემს წონა } (პროზა)

თვალსა და მარგალიტს მოგცემსო“.

ჩავსვი ყრმა მე ჯირკსა შიგან
და წამოსასხამი ჩემი
მოვაფარე ჯირკს ზემოდან.
მოვიდა ქაჯი და მიკითხა:
მგელმან შვილი მომიტაცა,
თუ რამე იცი, მასწავლე
და იმდენ ოქროსა მოგცემ,
დასასრულამდე რომ გეყოს.
(პროზა) – მეც შვილი მივეც.
კლიტე მომცა, კლიტე ღიდი
კლდე შორიდან დამანახვა,
მას კლდეს მიეყრდენ და კარი
გაეღებო ადვილად.

(პროზა) – და წავიდა.

მიველ მაგ კლდესთან, კარი გავაღე,
შეველ, არა იყო რა. ერთი ვირი ება.
მეწყინა – „ქაჯი იყო და მაცდინა, თვარა
მრავალს მოგცემო“, მაგრამ წამოვიყვანე,
გავყიდი, საქონელია მაინც.

– წამო ვირო, ბაზარში უნდა გაგყიდო და ვიქეიფო ერთი გემოზე.
(*ვირი გაჯიქდა, არ იძვრის ადვილიდან*).

გლახბერიკა: უჰ, შე მართლა ვირო! წამო, წამო, წამო, უჰ!

(*კულდოსუღმა პატრონმა, რაც ძლა და ღონე ჰქონდა, წიხლი
ჩაარტყა. ვირმა ქისა მოჯვა. ვაოცებული გლახბერიკა ქისას
ვახსნის და ოქროს ნახავს*).

გლახბერიკა: ვაჰ! ეს რა არის?! ეს რა არის! ოქროა!...

ოქრო! ბაჯაღლო ოქრო! ეს რა ვირია! რა ვირი?!

– (*ტრაკზე კოცნის ვირს*) ოქროს ჯვამს, ხალხნო, შეხედეთ,
ოქროსა! ვარცლი, ვარცლი. სად არის??? დედა!!! რა კენა ახლა,
ჰა?

(*არტყამს. ვირი ყოველ დარტყმაზე ხაზინას ხსნის*). –

– „აუჰ“?! – ყვირის გლახა, – „აუჰ“ „აუჰ“!

და უბეში ქისებს იტენის.

„ბედნიერი მათხოვრის მონოლოგი“

გლახბერიკა: მთელი ცხოვრება ვირის ვირი ვიყავი, ვირზე მშიერი, ვირზე ნაცემი, ტვირთის მზიდავი. მთელი ჩემი ცხოვრება ლატაკი და გლახა ვარ, გლახა და ლატაკი.

როცა არაფერი გაქვს, არ გაგაჩნია,
არც გაღელვებს რა, არც გაფიქრებს რამ,
მხიარულად ხარ, ხარ უდარდელი
და ერთი ჭიქა ღვინოც კი გათრობს.
ახლა ვირმა ოქრო მომიჯვკა, ბავჯალლო ოქრო.
ვაჰ! შენი ჭირიმე! ნეტავ რა ჭამა?!
მშვიდობით უდარდელობავ, მშვიდობით,
მხიარულებავ, მშვიდობით შენცა.
აწი სულ იმის ფიქრში ვიქნები,
ჩემმა ვირმა არ მოჯვკას სხვაგან,
მხოლოდ ჩემთვის, მხოლოდ ჩემთან,
ხაზინა მისი გაიხსნას ხოლმე.

– გავგიჟდი ხალხო, გადავირიე! ეს რა დამემართა ეს რა მომივიდა, ჰა, როცა არაფერი გაქვს, არც ფიქრები გაწუხებენ, დალაგებული ხარ, დაწყნარებული... ახლა კი?! ეს რა აზრები, რა ოცნებები ამიტრიალდნენ, დედა!!! რა სისულელეები მომდის თავში. სახლი ავიშენოვო. სახლი კი არა – სასახლე... ცხენი ვიყიდო... არაბული. აქლემი... სპილო... აუჰ, აუჰ! გავამპარტავნდი, გავამპარტავნდი. არა, არა, ხალხნო, გლახის სიხარული ერთადერთია. ღვინის დალევა და ქეიფი, ქეიფი და ღვინის დალევა. წავალ დავთვრები... დავთვრები და დავწყნარდები... აუჰ! ვირო დამაცადე!

– *ბედნიერი გლახა ფუნდუკში შევარდა. გამოჩნდება ცხენოსანი „დიდებული“ ამალით. გლახას ვირი გზას უღობავს. ჩაართყვს წიხლი – ხაზინა გახსნა – „ვაჰ“ – გაუკვირდათ. ჩაართყვს მეორედ, ისევ ისე.*

– *ვაჰ! ოქრო! – ვირი წაიყვანეს, მის მავივრად სხვა ვირი დააბეს.*

– *ფუნდუკიდან გლახების ბრბოს თანხლებით გამოდის მოვრალი გლახბერიკა –*

გლახბერიკა: აჰა! ბიჭებო! მოდით, ნახეთ, თუ სწორად არ ვამბობ, მოდით, ნახეთ! აჰა! აჰა! აჰა! ეგ სხვა ვირია, ხალხნო, მომპარეს,

გამქურდეს, დამლუპეს. რა მეშველება ახლა, რა ვქნა. ვირი დაკვარვე, დაკვარვე ვირი, ვირი კი არა, ოქრო!!! ვაი მე, ვაი მე!

I გლახა: ბიჭო! ასეთი ვირი შარახე როგორ დატოვე?! შე სულელი!!!

გლახბერიკა: გაავმპარტავნდი, გაავმპარტავნდი! გაავმპარტავნებამ დამლუპა, დამლუპა...

II გლახა: გაავმპარტავნდებოდი, მა რა, მოჯამულით გამდიდრდი!

თავბერიკა: არა უშვს, ბიჭო, რას იზამ, შენი ბრალა... არ დაიდარდო, ბოლო-ბოლო რომ ჩაუფიქრდე, მოჯამული ოქროც კი მაინც მძლნერია.

ბერიკები: სიცილი, ღიმილი, ტაში, ტაში, იალაა!

– *(სცენაზე სიძღვრით შემოდის თავითფეხებამდე თეთრ სამოსელში ვახვეული ადამიანები. ყველას სათითაოდ უზარმაზარი ლოდი გაუდვია მხრებზე და ზვნიშით და ვაჭირვებით მოათრევენ, რინიანი მარშის თანხლებით. მათ მოჰყვება გახარებული ბრბო*
– *ტრანსპარანტებით, დროშებით, პლაკატებით, რომლებზედაც გაუგებარი ნიშნებით, იეროგლიფების მსგავსი რაღაცები წერია, პარალელურად სცენაზე შენდება უშველებელი კიბე. პატარა მოედნით თავზე).* –

ქორი: გჯეროდეს, აიტან, აიტან, აიტან,
დასძლევე, შენ დასძლევე, შენ დასძლევე –
ეს არის მარადი სიცოცხლის ნიშანი,
ეს არის სიცოცხლის არსი.
არ შედრკეთ, არ შედრკეთ, არ შედრკეთ, ლომებო.
იარეთ, იარეთ ზევით,
ცხოვრება, ეს არის დაცემა, ადგომა,
აღთქმული მიზნისკენ ლტოლვა.
გწამდეთ სულიერ აღდგომის.
ჭირში და ლხინში, ჭირში და ლხინში,
აღთქმული მიზნისკენ, აღთქმული ქვეყნისკენ
აზიდეთ, აზიდეთ ტვირთი.

– *(ამ წაქეზების ფონზე მზიდველების ერთი ჯგუფი, მხარზე გადებული ქვებით იწყებს კიბეზე ასვლას. სხვები ამხნეველებს შეძახილებით, სიძღვრით, ლექსებით. მუხლების კანკალით, ფორთხვით და ზვნიშით გაწამებული „თეთროსნები“, როგორც იქნა, კიბის თავზე შეღვამენ ფეხს. ეს არის თითქოს კულმინაცია,*

პროცესის განარებული ხალხი ყვირის და ზეიმობს, თვითონ მზიდველები ბედნიერი გამოძეველებით უცქერიან სივრცეს. პაუზა – ისძის ნიშანი – „თეთროსნები“ სწრაფად გადააბრუნებენ ტანისაძოსს და ყვითელ ტანსაცმელში აღმოჩნდებიან ჩაცმულები. ასევე შემობრუნდება ტრანსპარანტები და ლოზუნგები. გაუგებარი ახალი ნიშნები ისევ ისე რჩება, იცვლება მხოლოდ ფერი პლაკატებისა.

ამჯერად „ყვითლოსნები“ ასწევენ ქვებს და ამ წვალებით და ხენეშით ატანილ ლოდებს დაავორებენ ძირს. ბედნიერი ბრბო ყვირილით, სიხარულის დაკმაყოფილებას გამოხატავს, ერთმანეთს ულოცავენ, ეხვევიან. ისევ გაისძის უცნაური ბრძანება. „ყვითლოსნები“ კვლავ გადააბრუნებენ ტანისაძოსს და ამჯერად ცისფერ ტანსაცმელში აღმოჩნდებიან.

ყველაფერი ისევ თავიდან იწყება). –

ქორო: გჯეროდეს აიტან, აიტან, აიტან,
დასძლევ, შენ დასძლევ, შენ დასძლევ –
ეს არის მარადი სიცოცხლის ნიშანი,
ეს არის სიცოცხლის არსი.
გწამდეთ და ელოდეთ სულიერ აღდგომას.
ჭირში და ლხინში, ჭირში და ლხინში,
აღთქმული მიზნისკენ, აღთქმული ქვეყნისკენ
აზიდეთ, აზიდეთ ტვირთი.

(მზიდველების მარშის ქვეშ სცენა ცარიელდება).

ჯუმბერი: გიცქერით და ვერ ამიხსნია, რასა სჩადიხართ??? რად იჭირვებთ ან რადა ხარობთ?

I დამგორებული: ჩვენ ვცხოვრობთ!

II დამგორებული: ცხოვრება არის ტვირთის ზიდვა, გზაზე დაცემა, მერე აღგომა. ისევ დაცემა და კვლავ აღგომა...

III დამგორებული: ეს არის ცხოვრება?!

ჯუმბერი: ჰერი, ჰა! რა კაი ცხოვრებაა!!!

ლეონი: ვირს ტვირთის ზიდვა ხიბლავს, ბულბულს სიმღერა უნდა, ლომს კიდევ ნათლობა... მიდი და გაერკვიე ახლა...

– (უცებ გაისძის საყვირების შემადრწუნებელი ხმა. შემორბიან შიკრიკები და მთელი ხმით გაიძახიან - „მეფე მოკვდა, გაუძარჯოს მეფეს“, „მეფე მოკვდა, გაუძარჯოს მეფეს“. სცენა ხალხით ივსება, ყველა აქ არის. ბრბო, დიდებულები, ბერიკები, ბავშვები, ყველა. შეშინებული ჯუმბერი ლეონთან მირბის). –

ჯუმბერი: რა ვქნა? რა ვქნა? რა, რა არის მთავარი, მთავარი... რა უნდა ვიცოდე? რა უნდა ვიცოდე? მთავარი? მთავარი.

ლეონი: (ბერიკებს) რა უნდა იცოდეს? მთავარი!

ბერიკა: (კახური მოქცევით) გინება! გინება უნდა იცოდე. ეს არის მთავარი მეფისათვის! გინება!

ბერიკა: (მეგრული მოქცევით) გოდება! მოთქმა და გოდება უნდა იცოდეთ, ეს არის მთავარი მეფისთვის! მოთქმა!

ბერიკა: (სვანური მოქცევით) არაფერიც არ უნდა იცოდე! აბა რისი მეფე ხარ. არაფერი!

ბერიკა: (იბერული მოქცევით) ყველაფერი! ყველაფერი უნდა იცოდე, გესმის, ყველაფერი!

ჯუმბერი: ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია, არ შეიძლება ყველაფრის ცოდნა! არა!

ლეონი: (ჩუბად) ყველაფრის ცოდნა არ შეიძლება, სწორია, მთავარი უნდა იცოდე. მთავარი კი ის არის, რომ ამ უზარმაზარ დუნიანზე, ყველა საქმე – შენი პირადი საქმეა, როგორც მეფის კი არა, როგორც ადამიანის. სამშობლო, ქვეყანა, ყველაფერი და ყველა შენი საპატრონოა, შენს მეტი მშველელი და გადამრჩენი არ გააჩნიათ, როგორც მეფეს და როგორც ადამიანს.

აბა, შპნ იცი!!!

– (გამოჩნდებიან დიდებულები, რომლებიც ოქროს უზარმაზარ მანტიას მოასხამენ ჯუმბერს. აქედან იწყება მისი „გზა მეფობისა“ – ოქროს მანტია თანდათან იშლება და დიდდება. ჯუმბერი მთელი თავისი ბავშვური ძალით მიათრევს მოსასხამს, რომელიც მთელ სცენას მოეფინა. უკვე უჭირს, უძძიმს, მავრამ მაინც მიემართება ზემოთ, მაღლა, აღთქმული მიზნისაკენ.

ჯუმბერი, როგორც იქნა, მიაღწევს მწვერვალს, სადაც ოქროს ტახტი დგას, დაიდგამს გვირგვინს და როდესაც ჩვენკენ მოტრიალდება, ჩვენ დავინახავთ მეფის მოსასხამში გახვეულ არა ბავშვს, არამედ უკვე ვაჟაჟაყვებულ ჯუმბერს!

მთელ სცენაზე გაშლილი მანტია გადაულახავ ოქროს კედლად ქცეულა, რომელიც ყოფს ჯუმბერს და ლეონს). –

უკეთურთა ბრბო: ვაშა, დიდება სიბნელეს, სითბოს,

სადაც მრავლდება ჭია და მატლი,

წუთისოფელი არის სანაგვე,

მასში ეძიეთ ცოდვაც და მადლიც,

ცოდვაც და მადლიც...

(ლეონი მთელის ძალით ცდილობს მიაწვდინოს ხმა ჯუშბერს, რომელიც მწვერვალზე დგას).

ლეონი: ქვეყნად ცოდვისა უამესი

მესყეულად არა არის რა,

ცოდვა – უამესია, უამესი.

სიკვდილის ქმნაზე საძნელო არა არის რა,

სიკეთე ძნელია, ძნელი.

მაგრამ ამ ქვეყანაზე, სიკეთის ქმნაზე უფრო მეტი არა არის რა.

ბერიკები: არა არის რა,

არა არის რა,

არა არის რა...

(ვაიძახიან ლეონი და ბერიკები. მაგრამ ამაოდ).

– მალლა შემდგარი ჯუშბერის მანტიის ირგვლივ თავს მოიყრიან ყველა ჯურის უკეთურები: ცალთვალები, ცალყურები, ორენოვანნი. ზემოდან ჩამოდის უზარმაზარი „საკოცნელი და სალოკავი ტრაკი“, რომელიც ტანტის გვერდით მოთავსდება, იქვე ჩაიდგმება მაგიდა, რომელზედაც „ჯამების“ მთელი გორა აღმოცნდება და ჩვენ თვალწინ, უკეთურთა ბრბოთი გარშემორტყმული ჯუშბერი შვიდიოდე მეტრის მარიონეტად იქცევა, რომელიც ზემოდან ჩამოდის და ფარავს მასაც და ტანტსაც. მის ფეხებთან მოფუსფუსე ცალთვალები, ცალყურები, ორენოვანნი, ხეიბარნი და ქონდრისკაცნი როკავენ და ჰიმნს უგალობენ ყოფილ ხელმწიფეს.

უკეთურნი: მადლსა და ცოდვას,

სიბნელეს, სითბოს,

გოდებას, მოთქმას,

ვნებას და სიტკბოს

ვაშა, ვაშა, ვაშა!!!

(ბრბოს ღრიანცელი თანდათან წყდება. ჩამოვარდნილ მღუძარებაში ლეონი წამოიწყებს ბოლო მონოლოგს).

ლეონი: ერთი ღარიბი მოდიოდა გზასა

და ჰპოვა ბედად მან ქილა ერბო,

აილო ქილა, საკიდარში გაურჭო სახრე,

გაიდვა მხარზე და გზა-გზა სვლითა,

გულთა შინა ამას უბნობდა.

ჩავალ ქალაქად, გავყიდი ერბოს,
მით თორმეტ ქათამს ვიყიდი წიწილს,
დავზრდი, დავყვერავე, მერე დავყიდი
და ამა ფულით ვიყიდი გოჭებს.
საეშვე გოჭებს დავასუქებ, დავაკერატებ,
მერე შევიძენ სახარე ხბორებს.
დაიზრდებიან, მოვხნავ, დავთესავ
და ქედუდრეკებს შევაბამ ურემს...
ალზევანს წავალ მარილზე,
მარილს მოვიტან ბროლსაო,
ჯერ დედას გადავეხვევი,
მერე შეილსა და ცოლსაო...
ჰარი, ჰარალე, ჰარალე,
გასწიე, ხარო შავთვალავ,
ოროველასაც გიმღერი,
შვინდას უსწორდი მხართანა
ჩემი ოჯახის მარჩენალს,
გაკოცებ ორთავ თვალზედა,
ლეთისა ჩამოსხმულ სანთელსა
დაგაკრავ ორსავ რქაზედა.
ჰამ-ჰო, ხარებო, წინ გასწით,
ჭირიმე თქვენი, ხარებო.

პაუზა

გზაზედ მავალმა, განარებულმა
კაცმა სახრე მოუქნია ოცნების ხარებს...
დაიმსხვრა ქილა, დაიქცა ერბო
და მასთან ერთად ტკბილზე უტკბესი
ბედნიერების გულისთქმაც გაქრა.
გაქრა, წავიდა, ვითარცა ჯანლი.
(*ლეონი ამთავრებს ლალადისს. სცენა ბნელდება. კულისებიდან
ფორთხვით შემოდის „ნავვისმაძიებელი“*).

ნავვისმაძიებელი: ნეტავ რა მოგველის, ან რა გვეშველება,
ყვერივართ, მშველელი არა ჩანს,
ვინც ეძებს, ვინც ეძებს, პოულობს კიდევაც
მეომრის მახვილს და ფარაჯას.

ვაი რა მოგველის, ვაჰ რა გვეშველება,

ღვარცოფი გვიქადის წალეკვას.

ვეძიოთ ნაგავში, ვეძიოთ, ვიღრემდე

ჩვენი აღსასრული დარეკავს.

(მოისძის ეული ფლუიტი მელიოლია. ლეონი დაიხრება და ნაგვიდან აიღებს დავღებულ და ფეხით გათელილ პაწაწინა სანთელს და კარვა ხანს დასცქერის ძღუძარედ.

ბერ-ბერიკებს შემოჰყავთ ბავშვები. ლეონი შეყინულ სანთელს აანთებს და ბავშვებს გადახედავს).

ბერ-ბერიკა: *(აცხადებს)* ბოლო გაკვეთილი.

„სიბრძნე სიცრუისა“

ლეონი: წამო ვნახოთ ვენახი,

ბავშვები: ვინ შეჭამა ვენახი?

ბერ-ბერიკები: თხამ შეჭამა ვენახი.

ვინ შეჭამა თხა?

მგელმა ჭამა თხა!

ვინ შეჭამა მგელი?

თოფმა ჭამა მგელი!

რამ შეჭამა თოფი?

ჟანგმა ჭამა თოფი!

რამ შეჭამა ჟანგი?

მიწამ ჭამა ჟანგი!

მიწამ ჭამა ჟანგი!

მიწამ ჭამა ჟანგი!

ლეონი: ჟანგმა თოფი რომ შეჭამა... მერე? მერე?! მერე?! მერე ყველაფერი მორჩა? შეწყდა სიმღერა? გათავდა?! ა?!!

ბავშვი: არა, მასწავლებლო, მიწამ, რომელმაც ჟანგი ჭამა, ვენახი შობა... და ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყო!!!

ლეონი: ჭამოს მიწამ ჟანგი!!! აჰა, ეს შენ *(აძლევეს ბავშვს ანთებულ სანთელს).*

(სცენა ბნელდება. სინათლეში მოჩანს მხოლოდ პატარა სანთლის მბჟუტავი შუქი, რომელიც პატარა ბავშვის ხელს უჭირავს).

ფ ა რ დ ა

ილია ჭავჭავაძე

„ლუარსაბ-დარეჯანიანი“

თეიმურაზ აბაშიძის ვერსია მუსიკალური თეატრისთვის

მერაბ ელიოზიშვილის „სარკეს“ მიხედვით

კომპოზიტორი – **ნინო ჯანჯღავა**

„ბერიკების დასტის აღწერა“

ავჯა (თავბერიკა ძოურავი დათო): – რეჟისორი,

მსახიობი, დირექტორი, ცილინდრით და თეთრი ფრაკით, რომელიც შიშველ ტანზე აცვია, ფართო-ფართო შარვალის ბაწრით დაუმაგრებია. მას მოჰყვება „მიმი“, რომელსაც მოაქვს საკიდი, ავჯას უამრავი, ნაირ-ნაირი ქუდებით, რომლებსაც ის წარმოდგენის მსვლელობაში, უამრავჯერ გამოიცვლის (მონა, მასხარა, კარიერისტი, მსხვერპლი, მბრძანებელი, ბერიკა, მათხოვარი და ა.შ.).

ცენტრუკა (ლეუარსაბი) – დასტის წამყვანი მსახიობი.

თამთამო (მისი ცოლი): – ლალი, თამამი, ლამაზი.

(დარეჯანი) – ბერიკათა დასტის „პრიმადონა“.

ქაქუცა (ილია): ოდესღაც უძვირფასეს და უძველეს თავადურ სამოსშია, რომელიც უკვე პეწდაკარგულია და ფერდაკარგულიც – ამ კოსტიუმზე საეკლესიო სანთლები მაგრდება და ანთებულ მდგომარეობაში, ქაქუცას ეკლესიის დიდ შანდალს ამსგავსებენ. ქაქუცა, მეტისმეტად უცნაური პერონაჟია – სანთლებით გაჩირაღდებული, ნატანჯი და ნამტირალევი სახით, ის ძალზე სტატიკური ფიგურაა ბერიკების დასში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის უნდა იყოს ყველაზე დიდი ყურადღების ცენტრში და მაყურებელს ყველაზე მეტად დაამახსოვრდეს.

მიმი: ყვავილით ხელში, „მიმი“ ყველას მსახურის როლს ასახეირებს.

ხუნჯა (ჩინოვნიკი, ჟანდარმეისტერი): ძველი კოსტიუმი აცვია. მაგრამ ამ მოფლეთილი ჩინოვნიკის კოსტიუმის ქვეშ „ჟანდარმეისტერის“ ბრჭყვიალა მუნდირი იმალება.

**ხუცუკა
ჩარუქა**

ხასალა

(ლამა ზისეული)

თავიდან „ანგელოზი ბავშვები“ არიან, ხოლო წარმოდგენის მსვლელობაში იცვლებიან და „ლეუარსაბ-დარეჯანები“ ხდებიან.

ნუცა } (ბაბლე): მღერიან, ცეკვავენ, თამაშობენ, თოჯინებს
ათამაშებენ. დიდი
ცუცა } (ელისაბედი): ჯაფა აწევთ სპექტაკლის მსვლელობაში.

გარდა ჩამოთვლილი ბერ-ბერიკებისა, წარმოდგენაში მონაწილეობენ – ქართული ხალხური საკრავების დასტა და სასულე პატარა ორკესტრი, დიდი „თურქული“ ბარაბანით.

საქართველო! „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო“

— პალმა — ზღვიანი, ყურძნიან — მთიან — მზიანი, სულყველაფერი ბრჭყვიალებს, ბზინავს; ყველაფერი ბრუნავს, ტრიალებს, იცინილიმის, მხიარულობს, ჭამს, სვამს, ცეკვავს, „მრავალჟამიერს“ მღერის — „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო“

მიმი ყვავილით, პეპლებს დასდევს უცბად, მოულოდნელად, მთელ ამ სამოთხისეულ სიკეთეს მიმიე ტრაგიკული აკორდი ჰფარავს. მთელი დეკორაცია, კულისები, ნაკიდები, ყველაფერი — ყველაფერი ზევით ადის და ამ, ყოფილი ბრწყინვალეების ქვეშ, შიშვლდება ნაცრისფერი, დაფლეთილი, რიყის ქვებითა და შავი მუგუზლებით მოფენილი უდაბნო... აკორდი ნელ-ნელა იკარგება...

— შუა სცენაზე ვირი დგას.

ისმის დამაფრუვებელი ვირთაჯგოვის ყროყინი. ეს ყროყინი იზრდება, მატულობს, დიდდება და აუტანელ სიძლიერეს აღწევს, როდესაც დაფლეთილი, საქუსლარის ძონძების ქვემოდან გადამწვარ და გადაბუგულ სცენაზე, ასეთივე დაფლეთილ — დაგლეჯილი უნიფორმებით გამოჩნდება ბერიკების დასტა

ვირის ყროყინი ჩუმდება და ბერიკების შესახვედრად იბადება სევდიანი და ნაზი მელოდია... —

I მოქმედება

— დახეულ - დანაკერები, ძონძით და კონკით, გოდრით და მამლით, უშველებელი თათქარიძიანთ ხმლითა, დაფხავებული დიდი ფარით და თავბუნიკიანი ძველი დროშის ტარით, რომელზედაც ხელსახოცად ფრიალებს ძველი, შემორჩენილი მცირე ნაფლეთი განლაგებიან ბერიკები ავანსცენაზე „ვირზე სიმღერის“ შესრულების დროს. ეს სიმღერა არის თხრობა ბრძენ, კეთილ და ყოვლის მომთმენ ვირზე, რომლისთვის ყველა სიკეთე ყოველთვის „მომავალშია“ და ეს „მომავალი“ სულ „მომავლად“ რჩება. სიმღერის დროს ბერიკები მაყურებელს თავის თავსაც აცნობენ.

ავეყა: ჰაცე, ვირო, ჰაცე, ვირო...

ბერიკები: არ იდარდო, არ იტირო,

არ იდარდო, არ იტირო,

ჰაცე, ჰაცე, ვირო.

ავყია: გეახელით, გეახლებით, გეახლებით...

ამ კონკილეჭია მასხარების დასტისთავი ვარ... დასტისთავი... ავყია
მქვია... გეახელით „ლუარსაბ-დარეჯანიანი“, „კაცია-ადამიანი“,
„კაცია-ადამიანი“... (მღერის) ჰაცე, ვირო...

„გაუძელი, ვირო, ყველას,
ყველას და ყველაფერს,
ტყავგამძვრალი,
ძვალგამტყდარი,
მაინც ნუ იცვლი ფერს“.

ცუნცრუკა, თამთამო: (აგრძელებენ) ნაცრის-ნაცრისფერო ვირო,
მომავლის გჯეროდეს
მომავალი – აგერ არი,
გაუძელი ცოტაც.

ხუნჯა (აგრძელებს): ვუძლებ ცოტას.

ვუძლებ ბევრსაც,
მაინც ვერა ვწვდები,
მომავალი სულ წინ არი,
მაინც ვერ ვეწევი.

ცუნცრუკა: ცუნცრუკა ვარ... ცუნცრუკა... მე ლუარსაბს
წარმოვიდგენთ... საიმისო ღიპი არა მაქვს, წნელის ლასტის
მუცლით დავალ, პერანგს ბუჩოთი გავივსებ, ღიპად ვაქცევ...
(თამთამოზე მიუთითებს) ჩემი გვამის ნახევარია... ბერწი ძროხა
გინახავთ? ძუძუ მშრალი დიაცია... დედობა ვერ გასწია, სახელად
თამთამო ჰქვია, მეტსახელად დარეჯანი.

თამთამო: ენა მოკლე დაიჭირე, ენამყრალი, თორემ გაგადარეჯანებ!
აზირ შენს ჯანს დააბრალი უშვილობა, ჭირიანო...

ქალები: უი, ქა, უი ქა! რაებსა ამბობს, რაებსა ამბობს!

თამთამო: სამურაბე ბადრიჯნის იმედით რომ დაჯანჯვალე, უჯილაგო,
გაიგე, რომ საჩანახე ბადრიჯანი უნდა საქმეს, საჩანახე...

ქალები: უი, ქა, უი ქა! რაებსა ამბობს, რაებსა ამბობს!

ცუნცრუკა: გაქრი შენ. ვინმეს მართლა ეგონება... საჩანახე ბადრიჯნით
კი არა და აჯაფსანდალით ვერ გაგაძლო, ამ წინაზე, დიამბეგმა!
კიდევ ვითხრა? ჰაცე, ჰაცე...

ხუნჯა: აუჰ, აუჰ! მე რაღა ვთქვა? მოკლედ გეტყვით, ხუნჯა ვარ და...
ჟანდარმეისტერი – ჰაცე!!!

ყველა (სიძღერა): ჰაცე, ვირო, ჰაცე ვირო,

არ იდარდო, არ იტირო,
არ იდარდო, არ იტირო,
ჰაცე, ჰაცე, ვირო.

(მელოდიის ხასიათი იცვლება)

ხუცუკა, ჩარუქა: ხუცუკა ვარ!

ჩარუქა მქვია! *(მღერობს)*

რატომ ყროყინებს ვირი?

(გუნდი) შივა!

რატომ სტირის ხოლმე?

(გუნდი) სტკივა!

რატომ მღერის ხოლმე?

(გუნდი) უყვარს!

რატომ კვდება?

(გუნდი) მაშ რალა ქნას!

ყველა: ჰაცე, ვირო, ჰაცე, ვირო,

არ იდარდო, არ იტირო,

არ იდარდო, არ იტირო,

ჰაცე, ჰაცე, ვირო.

(მელოდიის ხასიათი იცვლება)

ცუცა: ცუცა მქვია... ბაბალე ვარ!

ნუცა: ნუცა მქვია... ელისაბედი!

ხასალა: ქალის მოდემის განლაგართ, ლამაზისეული და ხასალა!

ვირო, ტვირთმზიდველო,

ნატანჯო, ნაცემო,

უტყავო, უძვალო, შიშველო.

დრონი იცვლებიან,

ბატონ-პატრონები.

შენ რჩები *(ცოცხლომ)* უკვდავო, ძირძველო.

ბერიკები: ორი ბატონის ყმა ვიყავ,

ერთიც მცემდა და მეორეც,

ორივ ბატონი მომიკვდა,

ერთიც დავმარხე, მეორეც.

აყვია: ჰაცე!!!

ყველა: ჰაცე, ვირო, ჰაცე, ვირო,

არ იდარდო, არ იტირო,

არ იდარდო, არ იტირო,

ჰაცე, ჰაცე, ვირო.

(სიმღერა გადადის ცეკვაში. დივერტისმენტის ბოლოს გამოჩნდება ქაქუცა. ქაქუცას სქელი ხელნაწერი უჭირავს, ხელნაწერს ორივე ხელით ადმართავს და ეს-ეს არის სიტყვა უნდა დაიწყოს, როდესაც ძალიან ხმაძაღლა და არეულად, გაიჟღერებს საში გასროლა!!!).

ავეია: 1907 წლის 30 აგვისტოს, ხუთშაბათს ნაშუადღევს ორის ნახევარზე, საგურამოს მახლობლად, ამ სოფლიდან ორი ვერსის მანძილზე, ტყის პირიდან მოულოდნელად გამოცვენილ შეიარაღებულ მხეცებს, შინ მიმავალი ილიას ეტლი გაუჩრებიათ. ილიასათვის სამჯერ დაუხლიათ იარაღი, ორი ტყვია მოხვდა შუბლში, ერთი გულში... იქვე დაუღვია სული).

ხუცუცა: } ჩვენისთანა ბედნიერი,
ჩარუქა: } განა არის სადმე ერი?
ხასალა: } განა არის სადმე ერი,
ჩვენისთანა ბედნიერი?

ყველა უნჯი, ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ღმობიერი,
თვალაბმული, თავაკრული,
ვირს ლაგამი ზომიერი,
ყველა ყრუი, ყველა ცრუი,
ცულლუტი და მანკიერი,
მტრის არმცოდნე, მოყვრის მგმობი,
მტრის არმცოდნე, მოყვრის მგმობი,
მტრის არმცოდნე, მოყვრის მგმობი,
ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?
განა არის...
სადმე???

– (ჩუმი-ჩუმი სიჩუმეა.

მოციმციმე სანთლებით ვარშემორტყმული ქაქუცა
ჩაუქრობელ ლამპარს ჰვავს ხატისა.

ისმის „კაცია-ადამიანის“ პირველი სტრიქონები, რომლებსაც ის
ფაქიზად წართმევამს, ამ სიჩუმეში). –

ქაქუცა: „ვინც ლუარსაბის სახეში თავის თავს იცნობს...

ვინც ლუარსაბის დაწერილს თავის თავზე მიიღებს...

დაე, კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა
გვაქვს...

ჩვენ საზოგადო ჭირზე ვწერთ...

საზოგადო ჭირზე.

ანგელოზები (ტრიო): ჩვენისთანა ბედნიერი...

ჩარუქა: } განა არის სადმე ერი?

ხასალა: } განა არის სადმე ერი?

ჩვენისთანა ბედნიერი...

ქაქუცა: სხვამ რაც უნდა სთქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით

გავამხნევებ ჩემს თავსა –

„მოყვარეს პირში უძრახე,

მტერს, პირს უკანაო“.

– დამაყრუებლად იწყებს დაკვრას სასულე ორკესტრი და ფეხშიშველი აყვია, თეთრ ფრაკში, ნაირ-ნაირი, ფერად-ფერადი, ბრჭყვიალ-ბრჭყვიალა ყვავილ-ორდენებით მოფენილი იწყებს პათეტიკურ გაგრძელებას, ქაქუცას მიერ დაწყებული თხრობისა. –

აყვია: სადა ხარ ახლა, ამ გონიერი სიტყვის მთქმელი? ვიცი, სადაცა

ხარ – ხალხში ხარ, უხილავო და ხალხის გენიას გეძახიან.

ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ. შენ და მხოლოდ შენ უკეთებ

გულს იმას, ვისაც „სხვისთვის“ გული სტკივა. რა უყვით?! ზოგი

გულისტკივილს იმით იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც უქებს და

ზოგი კი იმით, რომ ცუდს უწუნებს.

ქაქუცა: (ილიას პორტრეტზე, რომელიც მას ხელში უჭირავს, სამ ნახვრეტს აკეთებს – ორს შუბლზე, ერთს გულში).

აყვია: ამ ორგვარ ხალხში, რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი

გულისტკივილი და სიყვარული აქვს – ეს თვითონ მაყრუებელმა

გამოიცნოს.

ანგელოზები: ჩვენისთანა ბედნიერი...

ჩარუქა: განა არის სადმე ერი?

ხასალა: განა არის სადმე ერი...

ჩვენისთანა ბედნიერი?

ქაქუცა (აცხადებს): „ლუარსაბ-ღარმჯანონი“

– (აცხადებს და ავღებს იატაკზე ხელნაწერის პირველ ფურცელს.

ბერიკები სენტიმენტალურ-დამაჭრული მუსიკის ქვეშ ამწყრივებენ

სცენაზე ჩვრებით ვაკეთებულ ხეებს, ქმნიან სეიზნის მაკვარ

„ძონძების ბაღს“, „ნაფლეეთების ხეივანს“, რომელშიც გამოჩნდება

„მიმი“ ლუარსაბ-ღარმჯანით ხელში, ხოლო თეჯირის წინ

ბერიკები აწყობენ „ბუღეს“, „სამოთხის ჩიტებისთვის – ლუარსაბ – დარეჯანისთვის“. ასე იწყება თოჯინური „ლუარსაბ-დარეჯანიანი“ ოქროთი და არშეებით გაწყობილ „სამოთხის ბუღეში“

– „პატარა მეშინების“ დიდი ოცნება.

ლუარსაბს ხელში ფულის სქელი დასტა უჭირავს და დარეჯანს „რომანტიკულად“ ეთამაშება). –

ლუარსაბი: დარეჯან, გესმის, დარეჯან?! აბა, თუ ჭკვიანი დედაკაცი ხარ, გამოიცან – ა, იმ ფიცარზედ რამდენი ბუზი ზის?

დარეჯანი: აბა სადა?

ლუარსაბი: აი, იმ ფიცარზედ!

დარეჯანი: რამდენია? მოიცა, ჯერ დავთვალო...

ლუარსაბი: ეგრე ხომ მეც გამოვიცნობ, ისე გამოიცან, კაცობა ის იქნება.

ხუცუკა: ჩვენც რომ დავთვალოთ, უბრალო ხალხმა, ბუზი, ბატონო, ნება გვეძლევა?

ლუარსაბი: თქვენ თქვენი ბუზი თვალეთ, მანდ, თქვენ მხარეს!

ჩარუქა: თქვენს და ჩვენ ბუზებშიც არის სხვაობა?

ლუარსაბი: ბზუილით თქვენიცა ბზუის, მაგრამ...

დარეჯანი: თქვენი ბუზი წვრილია და სხილიანი, ჩვენი კიდეც მსხვილი გახლავს, მომწვანო ბზინვა გამოჰკრავს... მომწვანო! ესე იგი მწვანე.

ლუარსაბი: კარგი იყო, მაგრამ, ის რომ არ გითქვამს, ბუზების სათვალავი?!

დარეჯანი: ოცდაათი იქნება!

ლუარსაბი: ოლოლო შენ, ვერ გამოიცან! ვერ გამოიცან... ვერ გამოიცან (ეთამაშება).

დარეჯანი: რამდენია, რამდენია, რამდენი?

ლუარსაბი: რამდენია? გითხრა? არ გეტყვი.

დარეჯანი: სთქვი რა, სთქვი რა, სთქვი რა!

ლუარსაბი: თუ კაცი ვარ... ორმოცი უნდა იყოს... ორმოცი!

(მთელი ფული დარეჯანს ზედ დააყარა).

დარეჯანი: დიად, გამოიცან – დაგითვლია, როგორც იმ დღესა...

ლუარსაბი: შენც არ მომიკვდე... ეს კარგი მამა არ წამიწყედეს, რომ არ დამითვლია!

დარეჯანი: მაშ საიდან იცი, რომ ორმოცია?!

ლუარსაბი: საიდან? იქიდან, რომ გონება მაქვს...

დარეჯანი: რომ არ იყოს ორმოცი?

ლუარსაბი: ჯარიმა გადამხდევინე, ბიჭი მაჩუქე... მომეცი შვილი, ქალი არა ხარ, ერთი... ერთი შვილი რა... ერთი... დარეჯან... დარეჯან... შობე რა... შობე!

(ცუნტროუკა ლუარსაბის თოჯინით „უტევს“ თამბაქოს, კაბას უწევს, ცდილობს წააქციოს ტახტზე).

დარეჯანი: *(იგერიებს შეტევებს)* ჯერ ბუხებსა ვთვლით და ბუზი დავთვალთ!

ლუარსაბი: ოღონდაც, ჩემო დარეჯან, ოღონდაც... დავთვალთ!

დარეჯანი: *(ითვლის)* ერთანა, ორანა, სამანა, ოთხანა, ექვსანა, რვანა, ცხრანა... გამოიცნო! დიახ, გამოიცნო, გონება აქვს, ბატონს და იმიტომ გამოიცნო!

ლუარსაბი: გაფრენილან, თორემ ორმოცი იყო...

დარეჯანი: თუ გაფრენილან, უფრო ცოტა არ უნდა დარჩეს? მანდ ორმოცდაათზე მეტი არიან, ორმოცდაათზე.

ლუარსაბი: ეს რა წამოვროშე? თითქო ორჯერ დავთვალე...

დარეჯანი: აკი არ დამითვლია, აკი არ დამითვლიაო?..

ლუარსაბი: *(იბართლებს თავს)* რომ არ დამეთვალა, სოლომონ ბრძენი ხომ არა ვარ, ისე გამომეცნო...

დარეჯანი: აკი არ დამითვლიაო, შე ეშმაკო, შენა, შე ტურფავ, შენა, შე ჩემო ტურფა...

ლუარსაბი: *(თავს ძლივს იცავს)* დარეჯან, დარეჯან, თუ გიყვარდე, ტურფას ნუ მეძახი... ნუ!!!

დარეჯანი: რატომ, შენი ჭირიმე, რატომ?!

ლუარსაბი: ნუ რა, ნუ მეძახი, შენი ჭირიმე!

დარეჯანი: რატომ, ჩემო, რატომ?

ლუარსაბი: რატომ და... ჩემოდენა კაცს არ უხდება, შენ გენაცვალე; ტურფას პატარა გოშიას ეძახიან, ეგ ძაღლის სახელია, აბა რა კაცის საკადრისია ეგ სახელი? ტურფა...

დარეჯანი: *(გულნატკენი)* მაშ შენ ჩემი გოშია არა ხარ? არა ხარ განა? მე შენგან ეგ პირველად მესმის...

ლუარსაბი: *(ცდილობს დაამშვიდოს)* ჰო, გეთაყვა, ჰო, შენი გოშია ვარ, მაშ არა ვარ? ავ-ავ-ავ *(ნაზად შეჰყევს)*.

(შორიდან იბადება მუსიკა, რომელიც თანდათან მატულობს, გვიანლოვდება).

დარეჯანი: რაო, ჩემო გოშია? ავ-ავ-ავ?

ლუარსაბი: სულის წიწმატო... ავ-ავ!

დარეჯანი: კიდევ, კიდევ, ავ!

ლუარსაბი: გულის ტარსუნა... ავ-ავ!

დარეჯანი: კიდევ, კიდევ, რა ვარ? ავ!

ლუარსაბი: გონების... გონებისც... გონების... მარილი... კარგი მოწყობა არ იყო?

დარეჯანი: შენ... მე შენი მარილი, შენ ჩემი... კიტრი... შენ ჩემი კიტრი.

(ანგელოზები აფარებენ ჭრელ-ჭრელ საბანს).

ლუარსაბი: (თოჯინა) შენ დაღნები ჩემზედა, მე რომ მოვალ შენზედა!

დარეჯანი: შენა კიდევ შენზედა, როცა მოხვალ ჩემზედა.

(თეჯირის ჩარჩოში „ამოფრინდება“ ხახალა ოქროს ნიღბით, ვარდების გვირგვინით თავზე. „ანგელოზები“ ხუცუკა და ჩარუქა სიყვარულის სცენას თამაშობენ).

ხუცუკა: (ოცნებით) ჩარექავ, ხახალა მიყვარს... თუ უარს მეტყვის, თავს მოვიკლავ!

ჩარუქა: მეც მიყვარს ხახალა, თუ თავს მოიკლავ, კარგს იზამ, მაღლობას გეტყვი (ძღვრიან ვიკალს).

– საბნის ქვემოლან გამოჩნდება ლუარსაბ-დარეჯანის ვაოფლილი სახეები, ჯერ ხენეშით სუნთქვენ. ისინი დამცინავად და უკმაყოფილოდ თვალს აღვენებენ „ახალგაზრდობის“ რომანტიკულ ლირიკას. –

ლუარსაბი: (სინანულით) დრო... დრო გამოიცვალა... დრო! რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა... ფერი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებსა და... ჭამით ისინი ვერა სჭამენ... სმით ისინი ვერა სმენ... რა კაცები არიან?!

დარეჯანი: (ქოშინით) ოღონდაც, ჩემო ლუი, ოღონდაც... რა უნდა იყვნენ უსმელ-უჭმელნი?!

(საბნიდან გამოძვრებიან, „ანგელოზებს“ ყურში ჩაავლებენ და ავანსცენაზე გამოიყვანენ).

ლუარსაბი: (ნაზად, აღურსიანად, მამა-შვილურად, თან „ანგელოზის“ ნიღაბს ნელ-ნელა, ფრთხილად უხსნის) წიგნი!!! აბა რა ვაჟკაცის საქმეა! წიგნი! ეგ ზომ ქალის საქმეა! (ქალებს აჯავრებს) დათვი ხეზე როგორ გავა, იავ ნანინაო, ფუი! ფუი! ფუი!

დარეჯანი: ოღონდაც! ჩემო ლუი, ოღონდაც... დათვი ხეზე როგორ გავა, იავ ნანი-ნაო... *(წაიძღვრებს დარეჯანს და მიტყუპავს „დაძნაშკვეებს“)*.

ლუარსაბი: *(კმაყოფილი)* ეგრე, ჩემო დარეჯან... ეგრე, დედაკაცობაც ეგ არის!

დარეჯანი: მაშ! ოჯახს, ოჯახს!.. ოჯახს!!! მოვლა უნდა, მოვლა! აბა!!! *(ვაღიძვრებს)*

ხასალა: ჩვენისთანა ბედნიერი...

განა არის სადმე ერი?

განა არის სადმე ერი...

ჩვენისთანა ბედნიერი?

(ხუცუკა და ჩარუქა მოხდიან ტახტს ჭრელ საბანს და ჩვენ დავინახავთ „ლუარსაბ – დარეჯანის“ სიყვარულის სარეცელს. გადაფარებულს დაჭმუჭნილი საფენით, ზედ დაყრილი ფულის უამრავი ბანკოტით, და „მიძს“, რომელსაც ორი დაფლუთილი თოჯინა უჭირავს).

ქაქუცა: *(ჩურჩულით)* ვაი, იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა. ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაქრა.

განვითითოეულდით!!! და რამდენადაც თითოეული ჩვენგანი მთელს საქართველოზედ უძღურია და პატარა, იმდენად თითოეულის ჩვენგანის აზრი დაუძღურდა, დაპატარავდა.

აყვია: აბა! აბა! მამულის ხსენებაზედ, ესლანდელ ქონდრისკაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგენია ხოლმე...

(ლუარსაბი ქაქუცასაც და აყვიასაც ყურადღებით და თანაღვლობით უქნევს თავს, ეთანხმება).

ჩვენისთანა ბედნიერი...

ჩარუქა: განა არის სადმე ერი?

ხასალა: განა არის სადმე ერი...

ჩვენისთანა ბედნიერი?

ლუარსაბი: დრო გამოიცვალა... დრო! ვენაცვალე უწინდელ დროს! ყველაფერი, მაშინ თავის დროზე იყო, ვენაცვალე... კაი ცხენი... კაი თოფი... მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატიოსანი!.. დაღესტნამდე სწვდებოდა ჩვენი გვარი და ხმალი... დაღესტნამდე... *(ლუარსაბი აცრემლდება – წვება ტახტზე, იფარებს საბანს).*

დარეჯანი: ოლონდაც, ჩემო ლუა, ოლონდაც – (აძინებს)

„ღათვი ხეზე როგორ გავა, იავ ნანი-ნაო! (შუქი კლებულობს)

– (ისმის ლამაზისეულის განწირული კივილი – „ვიწვი, ვიწვი“: შემოვარდებიან ხუცუკა – ჩარუქა – ხახალა. ბიჭები ფეხებშუა სწურავენ ხახალას, თავის დახსნის ნებას არ აძლევენ.

ხახალა ყვირის, ხელებს წინ იწევს, მიწას ებლაუჭება, წინ მოიწევს). –

ხახალა: ვიწვი, ვიწვი, მიშველეთ!

ხუცუკა: დამეხსენ, ჩარუქავ, ხახალა მიყვარს, თუ უარს მეტყვის, თავს მოვიკლავ.

ჩარუქა: კარგს იზამ, კარგს იზამ... მეც მიყვარს.

ხახალა: სიყვარულსა მალვა უნდა, ჯორაკუდებო, გამიშვით, ვიწვი, ვიწვი...

(რღაც უცნაური, ბავშვური სექსუალური თამაში – დანარჩენი ბერიკები ძღერიან ასევე გაუგებარ აბდაუბდას).

ბერიკები: იწილო, ბიწილო და აბდაუბდა.

იწილო, ბიწილო სკუპდა და სკუპდა,

ბიწილო, ბიწილო, იწილო, და...

უნდა და სკუპდა, და ბუბდა, ჰა, ჰა.

ბაბალა, კუპდალა, შურ, შურ, შურ, შურ,

აბადა, მამადა, წაბადა ქურქურ

ტალასი, ხალხი, ჭალასი ზურ

ბარკარა, მაკალა, წალკალა ურ.

იწილო, ბიწილო და აბდაუბდა.

იწილო, ბიწილო სკუპდა და სკუპდა,

ბიწილო, ბიწილო, იწილო, და...

უნდა და სკუპდა, და ბუბდა, ჰა, ჰა.

ხუცუკა: მოდი, ჩარუქავ, გავხერხოთ!

ჩარუქა: გავხერხოთ! ზემო შენა, ქვემო მენა!

ხუცუკა: აბა!!! ქვემო მენა, ზემო შენა... ნახერხიც შენა!

ჩარუქა: ზემო შენა, ქვემო ნემა, ნახერხიც შენა! (ხერხვერ)

ხახალა: ვიწვი, ვიწვი, გამომიშვით.

(ბერიკები „იწილო ბიწილოთი“ აკომპანემენტს უკეთებენ „ანგელოზების“ გართობას.

დარეჯანი მოთმინებას კარგავს, თავის თოჯინას დაავლებს ხელს და

თმებში დააფრინდება სამეულს).

დარეჯანი: ეს გლეხები... ეს გლეხები... ესენი...

(დასდევს ქოშითა და ქოშინით და თოჯინას არტყამს).

დარეჯანი: გაქირ ვირსავით... თუნდა შინდის სახრით მისდგე, ფეხს ვერ მოაცვლევენებ... თუ ადრევე დატუქსული არა გყავს.

(დარეჯანმა დააწიოკა, ყველა მიმოფანტა რტყმევით და ღევნით, და აქოშინებულნი ტანტზე დაუბრუნდა ლუარსაბს).

ლუარსაბი: *(გადმობრუნდება დარეჯანისაკენ)* სად იყავ, შენი ჭირიმე, რომ ეგრე დაილაღე???

დარეჯანი: როგორ თუ სადა? როგორ თუ სადა? ოჯახობაა, სახლია, კარია, თვალყურის ღვენა უნდა...

ლუარსაბი: ეგრე, ჩემო დარეჯან! ეგრე!

ღედაკაცობაც ეგ არის, და!

(აკოცებს ფულს მისცემს).

დარეჯანი: ასი თვალი, ასი ყური... გასაქანი არ უნდა მისცე ამ გლეხებს, თორემ ჭამის მეტს არას გააკეთებენ... ეს გლეხები... გლეხები...

ლუარსაბი: ეგრე, მაშა, ეგრე!

(აკოცებს ფულს მისცემს).

დარეჯანი: ბიჭებს მოვლა უნდა... მოვლა...

ლუარსაბი: უნდა, აბა არ უნდა?!

(აკოცებს ფულს მისცემს).

დარეჯანი: აი, ახლაც... ლამაზისეულზედ ისხდნენ.

ლუარსაბი: ეგრე, მაშა, ეგრე!

(აკოცებს ფულს მისცემს).

დარეჯანი: ლამაზისეულზე ზედ ისხდნენ... გესმის?!

ლუარსაბი: ღედაკაცობაც ეგ არის, და!!!

(აკოცებს ფულს მისცემს).

დარეჯანი: ზედ ისხდნენ...

ლუარსაბი: ეგრე, მაშა, ეგრე!

(გადაბრუნდება და ახვრინდება, დარეჯანს კენტად დატოვებს თოჯინით და ფულით).

დარეჯანი: მეც გოშია... შენც გოშია, ავ-ავ, ავ-ავ, ავ-ავ...

(წაიძღვრება სასოწარკვეთილი)

(ამაოდ უყეფს ლუარსაბს დარეჯანი. ლუარსაბს ტკბილად სძინავს).

დარეჯანი: დათვი ხეზე როგორ გავა, იავ ნანი-ნაო.

(*თოჯინური თეატრის თეჯირი აღარ არის, სცენის სიღრმე ვაიხსნა, შემოდის თამთამო, რომელსაც „ძონების ხეივანში“ მიჰყავს მოკრუნჩხული, მოცვეთილი „კაცი ფუტლიარში“.*)

„კაცი ფუტლიარში“ ძლივს ამოდრავებს ფეხებს, აციმციმებს, ახველებს, თამთამოს ევრდნობა, გაჭირვებით ის გადალახავს სცენის სივრცეს და ქაქუცას მიუახლოვდება, რომელიც სანთლებით გაჩირაღდნებული, ილიას პორტრეტს დარაჯობს.

„მოკრუნჩხული“ ჩერდება, იკეთებს მღორე სათვალეს, შლის ქაღალდს და კითხულობს).

ხუნჯა: Уверенно можно утверждать, что главным руководителем национального движения является князь Чавчавадзе. Князь Чавчавадзе обладает замечательным умом и положением, пользуется большим авторитетом среди грузин вообще и свободомыслящих в особенности.

(*შემხნებული ბერიკები ნელა უახლოვდებიან უცნაურ პიროვნებას).*

ხუნჯა: Ходят слухи, что у него устраиваются тайные собрания, на которых обсуждаются различные общественные и политические вопросы...

იხილეთ დოკუმენტი გავით «Тифлисский рабочий» №110 за 1937 год (*აქცენტირებულად ათარიღებს ჩინოვნიკი*)

ქაქუცა: (*წყნარად*) Странно... при свете одной и той же свечи можно читать и священное писание и грязный донос...

ხუნჯა: Поэты во все времена восхваляли правду и добродетель. Сделались ли их читатели добродетельными и правдивыми???

ლუარსაბი: (*ხარხარით*) Нет!!!

ქაქუცა: Нет! Но когда среди нас появляется человек отрешившийся, то его действия становятся дыханием добродетели, то что он делает для других, украшает их самые будничные мечты, то чего он каснется, делается провидным и чистым, то, что он создает, не исчезает никогда!

ხუნჯა: Вот это верно!!!

(*კადაძრობს თავის „საწყალი ჩინოვნიკის“ „ფუტლიარს“ და ჩვენ წინაშე „ჟანდარმისტერი“: ძალზე კეთილი ღიმილით ის გადახედავს ლუარსაბ-დარეჯანსა და ისინი ერთბაშად, მთელი*

ძალით უბერავენ ქაქუცას მხარზე დამავრებულ სანთლებს, ერთდროულად ისმის გასროლა და ხელნაწერი უვარდება ქაქუცას ხელიდან. ბერიკები აკეთებენ მოძრაობას, თითქოს უნდათ აიღონ დავარდნილი ვრავნილი, მაგრამ მათ აჩერებს ჟანდარმის ხმაძალალო შეძახილი).

ჟანდარმი: Кто такие?!

(*ზუნჯა*) **აყვია:** (ძონის ქედს იხურავს) ვამ-ვამ-ვამ-ვამ ბროდიე, ეტო პროსტო სკომოროში ტრაპ-ტრუპ. სბროდ. პაიომ, ტანცუემ, ნაროდ სმიოტსა, ვინო დაიოტ, ი ხლებ ტოჟე. ვინო პიომ, ხლმებ ჟუიომ, ი ჟივიომ...

ჟანდარმი: Документы!

აყვია: (ტახტიდან გადაჰყრის ლუარსაბ – დარეჯანის თოჯინებს, თან საბუთებს ქექავს, თან ბერიკებს უბრძანებს)

ადე, ლუარსაბ, ტახტი დაცალე!

თამთამო, ტახტზე დაჯექ და ბარკალი გადაშალე, აჩვენე ელემი.

(*აყვია აწვდის ქალაღის ჟანდარმს*)

ვოივალ ნა რუსკა-იაპონსკომ ვოინე, კუროპატკინ გენერალ მნე კრესტუ დავალ ზა ტო, შტო ეგო კოროვუ სპას.

ზუნჯა: კაროვუ სპას? გენერალ ტებია კრესტომ ნავრადილ? ზა ტო შტო ტი კაროვუ სპას? შტო ზა ჩუმ.

აყვია: ვოტ, პაჟალუსტა დოკუმენტ.

(*ჟანდარმი ქალაღით ესევე ქაქუცას უახლოვდება, მაგრამ სანთელი, ქაქუცას კოსტიუმზე, მაღლაა და ქალაღის არ ანათებს... ჟანდარმი შეხედავს ქაქუცას და ის ნელა იჩოქება მის წინ, დოკუმენტის გასანათებლად*).

ზუნჯა: ხა-ხა-ხა! ვოტ დურაკ! ტი კაროვუ ნე სპას, ა პას, კორმილ, პოილ, დოილ... სკაჟიკა მოლოკა ნე ვოროვალ, ნე პილ?! (*აყვია კლოუნის ქედს იხურავს*)

აყვია: კაკოი გრუზინ პიოტ მოლოკო, ნაშე დელო პიტ ვინო... ხა-ხა-ხა...

ზუნჯა: წინანდალი, და?

ა სიუჟეტ კაკოი, ვ ვაშემ ბალაგანე, შტო იგრაეტე?

(*ჟანდარმი იატაკიდან აიღებს ხელნაწერს*).

თამთამო: (*ჩაერევა*) კაკ სტარი მუჟ-ჟენა, ბოგუ სინა

პრასილი, ა ტოტ ნი დალ, ნიეტუ... ჰი-ჰი-ჰი...

ზუნჯა: (*საბუთს უბრუნებს აყვიას*) ხორომო!

(უყურებს შუბლგახვრეტილ ქაჭუცას) – Какие умные и выразительные глаза у этого скомороха...а?

(ჟანდარში ღიმილით მოხდის კლოუნის ქედს აყვიას და თავზე დაიხურავს).

თამბამო... На чай не забудь придти вечером!

(და წასვლის წინ, გადაუღებს მას ხელნაწერს).

აყვია: აუჰ! ძან კი გვიხსნა კუროპატკინის ჯვარმა... და!

(ბერიკები სულს ამოითქვამენ. იცინიან).

თამბამო: შენმა ჯვარმა კი არა და აი, ამან გიხსნათ *(გაკვავზე ირტყამს ხელს)*

ამან, ამან – ამან, ამან-ამან, ამაააან.

ჩვენისთანა ბედნიერის შესავალი

ამან გვიხსნა ჩვენ და მადლობის ღირსად არ გავხადეთ!

(აყვია უცბად იჩოქება და გაკვავზე ჰკოცნის – პაუზა).

თამბამო გაკვირვებულია, შეწუხებული ბერიკები ახლოს მოიწვევენ.

თამბამო ფრთხილად გაუწვდის აყვიას ხელნაწერს).

ანგელოზების ტრიო: ჩვენისთანა ბედნიერი...

განა არის სადმე ერი?

განა არის სადმე ერი...

ჩვენისთანა ბედნიერი?

(აყვია უახლოვდება ქაჭუცას და პიესას უბრუნებს).

აყვია: Все что он делает для других, украшает их самые будничные мечты, то, чего он касается, делает правдивым и чистым, то, что он создает, не исчезает никогда.

(პაუზა. სცენის სიღრმიდან ისძის ღრიალი ვირისა, რომელსაც ემატება ლუარსაბის – „დათო“, ხოი დათო, დათო!)

ქაჭუცა: *(ხელნაწერს ზევით ასწევს)* „ლუარსაბი და დროშა“

(დააგდებს იატაკზე ფურცელს და გადის).

ლუარსაბი: დათო, ხოი, დათო, დათო! *(გაჰკვივის ლუარსაბი)*

აყვია: გისმენ, ბატონო, გეახლები ახლავე!

დათო: *(ჩიჩილაკს ეძებს)* ტარი, ტარი, ტარი რა იქნა, ტარი, ბიჭებო?... *(მონის ქედს იხურავს სასწრაფოდ)*

ქაჭუცა: რა ტარი, რის ტარი? ბარისტარი თუ თოხისტარი?

ცუცა: ტარი თუ სატარე?

ხანალა: რას ეძებ?

აყვია: სატარეს მოგცემ, დროზე, გავდივარ, სად არის?

ლუარსაბი: დათო, ხოი, დათო, დათო!

ხოორცი! ხოორცი! ხოორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდამ?!

ავეია: ჩამოვიტანე, უმი გახლავთ, ახლავე მოვხანხლავ, ხუნჯა შენი...

ნუცა: ჩიჩილაკს ეძებ, გეთაყვა?

ავეია: ხუნჯას თუ გაჰყვა!

დათო: სად, სად ჯანდაბაში წაეთრია?

ხასალა: გოდფურუას ცირკში... იქ მიდიოდა და მგონი დროშაც მიჰქონდა.

ავეია: ცირკი და დროშა?! ხომ არ გაგიჟდა, მუზეუმში მაინც წაელო...

ქაქუცა: დიდ ბატონს უბრძანებია, დიდს... გოდფურუას ცირკს ჩააბარეთ...

მაინც მარტო სცენაზე ხმარობთო და... ისიც ჩიჩილაკად.

ავეია: გაგიჟებულა ის ოხერი?..

სანოვაგე მაინც მოეხსნა – სუკი, არტალა... ტარი ჯანდაბას... ეგ რა მიჰქარა!

ლუარსაბი: დათო, ხოორციიი...

ხუცუცა: აბა თუ დროშას მოიკითხავს?!

ქაქუცა: დროშა რად უნდა, ხოორცი უნდა!..

(შემოდის ხუნჯა ბაზრიდან დაბრუნებული, ჩიჩილაკი სავსეა სანოვაგით, სუკებით)

ხუნჯა: უმად იჭმევა, ისეთი რამ არის.

(ჩიჩილაკს აძლევს ავეიას)

ავეია: *(ჩამოართმევს)* სად დაიკარგე, სად იყავ?

(შემოჰყავთ ლუარსაბი – მას მოთმინება უკვე თითქმის დაკარგული აქვს – ლუარსაბთან ერთად შემოჰყავთ ვირიც).

ლუარსაბი: მორჩით... მორჩით ქაქანს, გაათავეთ. დროზე შემოიტანეთ ეგ ჯალამბარია თუ ჩიჩილაკია, თუ ეშმაკის ტარო!.. ხოორცი, დათო, ხოორცი, ხოორცი...

(ვირი ღრიალებს ლუარსაბთან დუეტში)

(ბერიკები გარს შემოეხვევიან ლუარსაბს. „თავადის ძღობა“ იწყება. „მიმი“ სუკებიან დროშის ჩიჩილაკს შემოიტანს. ჩვენ ვხედავთ, როგორ ელაპაკვს თავადი დროშაზე წამოვებულ სანოვაგეს, იწმინდავს ქონიან ტურებს და ვაოფლილ სახეს დროშის ნაფლეთით).

ლუარსაბი: (ძალიან კმაყოფილი და მხიარული) ბარაქალა! ბარაქალა, ჩემო დათო, ბარაქალა! შენ ჩემი მარჯვენა მკლავი ხარ, მაგარი მკლავი...

დარეჯანი: ძვირფასი კაცია სწორედ ძვირფასი!.. ბარაქალა, ბარაქალა, ბარაქალა...

(დათო ძორცხვად დახრის თავს).

ბერიკები: ბარაქალა, დათო, ბარაქალა, ბარაქალა!

(„ბარაქალა“ ვაჟკაცური ცეკვა. სიმღერა „თავადი გაძდა“)

გუნდი: ბარაქალა, ბარაქალა,
ავგენადა თავის ქალა!
თავის ქალა
ჰეი, ჰეი, ჰეი,
ბარაქალა, ბარაქალა
ჰეი, ჰეი, ჰეი, ჰეი...

ავგია: რა კმაყოფილია, რა ბედნიერია
ეს ჩვენი ბატონი, ლუარა.
სუკები, სუკები, დოშ-ხიზილალა,
თალა და თალა, და თალა.

ბერიკების I ჯგ.: მას რომ უხარია,
ჩვენც ხომ გვიხარია,
ჩვენ რომ გვიხარია,
უკვირს.

ბერიკების II ჯგ.: მე რომ მიხარია
ეს გასაგებია,
მათ რად უხარიათ,
ვირებს.

ბერიკების III ჯგ.: ჩვენ რა გვიხარია???
სულ არ გვიხარია!!!
ვიცინით, უბრალოდ ვიცინით,
დავცინით ბატონსა,
დავცინით ყოფასა,
ჩვენს ყოფა-ცხოვრებას
დავცინით.

ყველა: ვიცინით, ვიცინით,
ვიცინით, ვიცინით,

მუცლები სიცილით გვეტკინა.
რას იზამთ, კაცებო,
რას იზამთ, ქალებო,
ტირილს სიცილი ხომ
სვლობია.

აფცია და ანსამბლი: რა კმაყოფილია, რა ბედნიერია
ეს ჩვენი ბატონი, ლუარა.
სუკები, სუკები, დომ-ნიზილალა,
თალა და თალა, და თალა.

გუნდი: ბარაქალა, ბარაქალა,
ავგენადა თავის ქალა!
თავის ქალა.
ჰეი, ჰეი, ჰეი,
ბარაქალა, ბარაქალა,
ჰეი, ჰეი, ჰეი...

ლუარსაბი: *(დროშით ხელში)* პირდაპირ ბარაქალაზე,
დათო, სანოვაგეს ნუ ჩამომითვლი, კარგი?

აფცია: გადადი. გადადი...

ლუარსაბი: *(ყველას ვასავონებლად)* მაშ სახლი სავსე ყოფილა,
ჩემო დათო...

აფცია: როდისლა გხლებიათ ნაკლული, შენი ჭირიმე, რომ ახლა
იყოს?!

ლუარსაბი: ეგრე, ჩემო დათო, ბატონის ოჯახის პატივი და სახელი
ერთგულმა ყმამ ქვეყანას უნდა მოსდოს. ბარაქალა!

ყველა: ბარაქალა! ბარაქალა! ბარაქალა!

აფცია: დიახ, ბატონო!

ლუარსაბი: თუ გინდ ნაკლული იყოს, უნდა სთქვა, სავსეაო. შენ
გამოცდილი კაცი ხარ, ისედაც ყველაფერი იცი *(მიაბაძს ყვავილის
კონა-ორდენს)*.

აფცია: ამოდენა კაცი შენს ხელში ვარ და როგორ არ მეცოდინება,
შენი ჭირიმე!... მაგისტანების მეტი რა ვიცი!
*(ლუარსაბი ნიშნს აძლევს და „მიმი“ ყვავილების მთელ კალათას
გადმოაპირქვავენს დათოს თავზე).*

ლუარსაბი: ბარაქალა!!!

ყველა: ბარაქალა, ბარაქალა, ბარაქალა!!!

ქაქუცა: ავგენადა თავის ქალა, თავის ქალა!

ყველა: ჰეი, ჰეი, ჰეი, და ა.შ.

(აქ „საზეიძო“ ნაწილი თავდება)

ლუარსაბი: ეგ კარგი, დათო. ეხლა ერთი ეს ვიკითხოთ...

ურმები გაისტუმრე?

(ქება-დიდებათ და კვილოებით თავგავროზრებულნი დათო, ვერ გამოიცნობს „საქმიან“ ინტონაციას ბატონის ხმაში და უპასუხებს წინანდებურად „საზეიძო“, ოდნავ „ხუმრობით“ მანერაში).

აყვია: გავისტუმრე, მოუსავალში, შენი ჭირიმე.

ლუარსაბი: რაო, ვეჟო?

აყვია: მოუსავალში, მოსავლის ასაღებად გავისტუმრე, ეხლა თუნდა ჩვენს დამპალ ორლობებს იქნებიან გაცილებულნი.

ლუარსაბი: რასა, რასაო?

აყვია: ჩემი ურგები ქოთანნი – ქვასაო და შეჭამანდი გომიასაო.

(მოუქნელად გაიხუმრებს „განდილებული“ დათო).

ლუარსაბი: გომიასაო?.. გომიასაო?

მაშ რამდენი ურემი გაისტუმრე?!

დათო: ათი... თორმეტი... ასე...

ლუარსაბი: აათი? თორმეტი???

(ლუარსაბი დროშის ტარს დასცხებს თავში, ბერიკები დათოს ცემას ტაშს უკრავენ).

ლუარსაბი: თხუთმეტი, თხუთმეტი, თხუთმეტი უნდა ყოფილიყო...

მე არ ვიცი! რატომ არ არის? მე არ ვიცი... თხუთმეტი უნდა იყოს, თხუთმეტი...

(დათო, რომელიც უწინ ყოველ შექებაზე და ყვაილო-ორდენის მიღებაზე თითო საფეხურით იქვე ძღვარ კიბეზე ადიოდა, ახლა ყოველ დარტყმაზე თითო საფეხურით ქვეითდება, მერე იჩოქებს, ხოლო სულ ბოლოს წადმა წევს).

ლუარსაბი: ბატონს სამსახური უნდა, მაშ მე ბატონი აღარა ვყოფილვარ!

თხუთმეტი უნდა ყოფილიყო, მე ვუჩვენებ იმათ, რომ მე ბატონი ვარ და ისინი ყმები არიან!!

ხუნჯა: *(ნაცემ მოურავს)* ოცი იყო-თქო, ოცი უთხარი, რა გენადვლება, ეს ქვეყანა ეგრე ბრუნავს, ეგრე!

აყვია: რამდენი გნებავთ, რომ გიბრძანოთ, ბატონო?

ლუარსაბი: ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, ხუთმეტი!

აყვია: ხუთმეტი ერთი გავისტუმრე, ათიც მეორედ, სულ ოცდახუთზედ

მეტიც კი გახლავდათ, ბარე ორმოცი იქნებოდა.

ლუარსაბი: *(კმაყოფილი)* ბარაქალა, ჩემო დათო, ბარაქალა. აი, ეს მესმის! მაგისი ნახევარიც არ ეყოლებოდა ჩემს ძმას დავითსა! ბარაქალა!

ყველა: ბარაქალა! ბარაქალა! ბარაქალა!

(დათო ძლივს წამოდგება. ნაცემ-ნატყეპია, შარვალი ჩაშვებული, კონა-ორდენები მიმოიფანტნენ, ძალიან საცოდავად გამოიყურება...)

ლუარსაბი და დარეჯანი ტახტზე წამოსხდებიან).

ლუარსაბი: *(ქოშინით)* აუჰ! ძლივს არ გავისტუმრე ურმები, ძლივსა! დალახვროს ღმერთმა გლეხკაცი! ვეყო, მანამ თავს არ დაადგები და კარვად არ დასჭყვივლებ, ხელს კი არ გაანძრევს და გაგონილა?!

დარეჯანი: ბევრმა არ იცის, როგორ უნდა მოეპყრას...

ლუარსაბი: მე რომ არ ვყოფილიყავი, ყანა მინდორში დაგვიღებოდა!

დარეჯანი: ეგრე, შენი ჭირიმე, ეგრე უნდა, მას აქეთ რაც ადამმა ევა შეაცდინა, მას აქეთ ნაბრძანებია ღვთისაგან, რომ ჩვენი ოფლით პური უნდა ვჭამოთ. *(გლეხები ამ ფრაზას რეფერენად იბეორებენ).*

ლუარსაბი: გლეხკაცს ეგრე უნდა მოეპყროს ბატონი!

(ავრძელებს) ეგრე უნდა, რომ ყოველ ცისმარე ღღეს ემინოდეს, ემინოდეს, ემინოდეს... თორემ ღორის მკებნარსავით რომ გლეხკაცი ფეხზედ დაისო, თავზედ ავიტოცდება, მაშ!... შიში, შიში, შიში შეიქმს სიყვარულსა!.. და... უკიდურესი გაჭირვება *(ჩაილაპარაკებს ჩუმად).*

დარეჯანი: ოღონდაც!

(გადაიფარებენ საბანს).

(დათო ავყია გულმოსული ქუდს იატაკზე დაახეთქებს, მაგრამ მაშინვე საჩქროდ, შეშინებული აიტაცებს და სწრაფად იხურავს თავზე).

ქაქუცა: *(დამცინავად)* ბარაქალა, ჩემო დათო, ბარაქალა!

(ბერიკებს ეცინებათ)

ავყია: *(აფეთქება)* მე მოურავად მაინცა ვყავარ, თქვენი მითხარით, შვილოსა, თქვენი, ხამპალის წვენიც სანატრელი გაგიხდათ მესაქონლე და მიწადმოქმედ ხალხსა!...

ქაქუცა: ჩემო დათო... *(კითხულობს ხელნაწერიდან)*

„მღვრიე წყალში სანუკვარ თევზებს ყველა ვერ იჭერს; ხელებს ის ითბობს, ვინც ხელის თბობა იცის საერთოდ!..“

ავყია: *(დაეძუქრება)* კბილით მოკვნიტე ენა შენს პირში, ქაქუცა, თორემა ნახავ შენის თვალით, ერთ მშვენიერ დღეს რა თევზს დაიჭერ – „შიში, შიში, შეიქმს სიყვარულსაო“...

ბერიკები: შიში სიყვარულს არ შეიქმს.

ქაქუცა: შიში შეიქმს ვნებას,
შიშს და ჯაშუშობას, ვეჟო,
სიღამპლე ედება.

დამპალ სულში, დამპალ გულში,
დამპალ ძვალ-სხეულში,
მხოლოდ კუჭი, მხოლოდ პრუჭი,
გაგიმართლებს ბოლოს.

ჯანმრთელი და გამძლე კუჭი,
თლად მოშლილ სხეულში,
გადაგაქცევს მარტო ჭამად,
მარტო ჭამა-ჯემის მანქანად,
მხოლოდ სტომაქის პროგრამად,
ა-და-მი-ა-ნო!!!

– *(ბოლო სიტყვაზე აყვია მოუვარდება ქაქუცას და შუბლზე ორ ნატყვიარს გაუკეთებს „ა.....ა....“ – შეჰყვირებენ ბერიკები ძლიერ, მინორულ აკორდთან ერთად.*

აკორდის ჟღერადობას ზედ ედება დეზების შორეული ჟღარუნი. რომელიც გვიახლოვდება.

სცენის სიღრმეში ჩნდება ჟანდარმისტერი. მას მოჰყვება „შიში“; რომელსაც ათუხთუხებული „სამოვარი“ მოაქვს.

თამთამო წამოდგება ჟანდარმის შესახვედრად). –

თამთამო: *(ბრძანებს)* ტახტი მომართვით ნესტან-დარეჯანის, თავისი საბნით, ქვეშავ-ლებით, ძველი სარკვეც შემომიტანეთ... სიყვარულისთვის მოვემზადები!..

ჩარუქა: *(„მზითვის“ მოწყობის დროს)* ერთი გემოზედ წაუყაურმე ჟანდარმისტერს, სვაგი დაუცხრე!, აბა, შენ იცი!.. *(გარბის)*

– *(გამჭვირვალე ტანსაცმელში, ხელ-ფეხ გაშლილი თამთამო ელოდება, ელოდება ჟანდარმ – ჟანდარმისტერს. „ერთი“ – წავლიჯავს მას კაბას ჟანდარმი. –*

– „ორი“ – ამოფარებენ მათ ფერად-ფერად ფარდას ბერიკები.

– „სამი“ – შუქის „გადასვლასთან“ ერთად აუღერდება სასულიერო კესტრი.

ავყია ფრთხილად მოხსნის ქაქუცას კოსტიუმიდან სანთელს, ასევე ფრთხილად აძვრება ოჩოკიბეზე და „დელიკატურად“ მობრუნებული სახით იფარავს ცილინდრით თვალებს, ხოლო მეორე ხელით მაღლა-მაღლა სწევს ქაქუცას სანთელს – საბან-ფარდის „იქიდან“ ვადმოვარდება ბრიალა, დეზებიანი ჩექმები.

ლუარსაბი, უზარმაზარი თათქარიძიანთ ხმლით მხარზე, სადარაჯოზე დგება.

სიჩუქია. პაუზა. შორიდან მოისმის ვირის ჩუმი ყროყინი). –

ფ ა რ დ ა

II მოქმედება

– (იგივე მიზანსცენაა, რაც I მოქმედების ფინალში – თევზირის წინ დაჭობულია ფერად-ფერადი საბანი. ოჩოკიბეზე „დელოკატურად“ ღვას ავყავი სანთლით, ზოლო ლუარსაბი თათქარიძთან უზარმაზარი ხმლით, „ვაჟკაცურად“ დარაჯობს ჟანდარმის ლაქის, ღეზებიან ჩექმებს.

შორიდან ისმის ვირის ყროყინი.

დაძაბულ სიჩუმეში უცბად იბადება გამჭვივრვალე, მსუბუქი, სიზმარებით ლაღი მელოდია). –

გუნდი: ჩვენისთანა ბედნიერი,

განა არის სადმე ერი?

განა არის სადმე ერი,

ჩვენისთანა ბედნიერი?

ყველა უნჯი, ყველა მუნჯი,

გულჩვილი და ლმობიერი,

თვალაბმული, თავაკრული

ვირს ლაგამი ლმობიერი.

განა არის სადმე ერი,

ჩვენისთანა ბედნიერი?

ჩვენისთანა ბედნიერი?

განა არის სადმე ერი?

(ამ სიმღერის თანხლებით, ფერადი საბნის უკან „ფეხმძიძე“ დარეჯანის თოჯინა აღიმართება.

სიმღერის დამთავრებისას დარეჯანის ახლხლოებული თოჯინა მკირე ხანს მდუმარედ არის, მერე კი, ჯერ ჩუმად, ზოლო შეძლევ მზარდად, ნელ-ნელა გაისმება დარეჯანის ვნებიანი, აღფრთოვანებული ჩურჩული).

დარეჯანი: გაიჩუჩუნა... გაიჩუჩუნა!

გაიჩუჩუნა, ლუი! (ხმა არავინ გასცა)

გაიჩუჩუნა, ლუი, გაიჩუჩუნა!!! (პასუხი იგვიანებს)

გაიჩუჩუნა, ლუი, გაიჩუჩუნა!

(ლუარსაბი შეძვრება, მიაყურებს უმისამართოდ,

ცალი თვალით „ლაქის ჩექმებს“ აკვირდება).

დარეჯანი: გაიჩუჩუნა, ლუარსაბ, გაიჩუჩუნა, გაიჩუჩუნა, გაიჩუჩუნა...
გაიჩუჩუნა...

გესმის, ლუარსაბ, გესმის??

ლუარსაბი: *(ვითომ ეხლა პირველად გაიგონა)* რამ?!

რამ გაიჩუქუნა? სად გაიჩუქუნა?!

დარეჯანი: აქა, გოში, აქა, ლუარსაბ. გაიჩუქუნა...

ლუარსაბი: რამა?

დარეჯანი: აქა!

ლუარსაბი: სადა?

დარეჯანი: ბაღმა, ბაღმა... ჩვენმა მემკვიდრემ... გაიჩუქუნა...
შეხტა.

ლუარსაბი: *(შეხტება)* შეხტა? გაიჩუქუნა, კიდეცა? შეხტა *(კაუბელავად
ჰკიდებს ხელს „ლაქის ჩექმებს“)*, გაიჩუქუნა? გაიჩუქუნა!

*(მუცელზე დაადებს ჩექმას, როგორც სტეტოსკოპს და უსმენს
ჩექმით).*

დარეჯანი: არ გესმის, გოში, რა ამბავშია?!

აი, კიდევ შეხტა, კიდევ.

ლუარსაბი: ხო... გავიგონე, გავიგონე... რა მაგრად შეხტა, შენი
გულისა... *(ჩექმებს ადვილზე დადგამს და აკვირდება ჩექმებს,
ყურადღებით აკვირდება, თვალს არ აცილებს)*

დარეჯანი: *(დაჟინებით)* ხომ გაიგონე, ხომ გაიგონე?!

ლუარსაბი: გავიგონე-თქო, გავიგონე *(უცბად გახარებული აკვირდება),
შენ გენაცვალე დედაკაცობაში... დედაკაცობაში!!!*

*(ხმლის ერთი დარტყმით გადაჭრის ბაწარს, რომელიც ჭრელ საბანს
ამაგრებს და თამთამოს გამოაჩენს დარეჯანის თოჯინით ხელზე,
თვითონ კი სასწრაფოდ იცვამს შიშველ ფეხზე ლაქის, დეზებიან
ჟანდარმის ჩექმებს. სისარულით ხტის, კუნტრუშობს.*

– თამთამო დვას ტახტზე, როგორც კვარცხლობეზე. ამდღობული,
მიუწვდომელი, თეთრ ბრჭყვიალა მდიდრულ კაბაში, კილომეტრიანი
მლეიფით. მისი მეფური ვარევენობა აბსოლუტურად არ
შეესაბამება იმ უბრალო, გლეხურ კილოკავს და იმ ალერსიან,
მაჭრიან, თაფლიან ინტონაციებს, რომლითაც ის ელაპარაკება
ქმარს. თამთამო – დარეჯანი ამდღოდა და „მიუწვდომდა“, ეს
უკვე სხვა დარეჯანია).

ლუარსაბი: *(ჩექმებს ემაყოფილებით ათვალეირებს)* შობე, შობე,
შობე ბარელამ... ბარელამ შობე... გააჩინე... ერთი დავითს გული
გაუხეთქო, ჩემს ძმა დავითსა... გული გაუხეთქო... ჩემს მამულებს
რომ ეპატრონება... შობე, რა, შობე იმათ ჯინაზე, იმათ ჯინაზე...
მე იმათი...

დარეჯანი: *(ავტომატურად ამბობს ტექსტს. მთელი ყურადღება მასაც ჩექმებზე აქვს გადატანილი).*

ისეთი შეხტა წელან, ლუარსაბ, ისეთი, რომ კინაღამ მეც შემახტუნა, ეს დარბაისელი დედაკაცი!

ლუარსაბი: *(ჩექმებს აჭრაჭუნებს)* კიდეც კარგი, კიდეც კარგი, შენც რომ არ შეხტი, თორემ დაეცემოდი და წავიხდებოდა *(ყურს დაადებს მუცელზე)*, უიმე, უიმე, უი, როგორა ხტის და რა ამბავშია, შენი გულისა! რა ამბავშია... არა, არა, არ აჰყვე, არა შენ შემოგვევლოს შენი ლუარსაბი, შენი ქალობის ჭირიძე.

(ჩექმებით აღფრთოვანებული ლუარსაბი მაღლობას უხდის დარეჯანს, ეალერსება, ჰკოცნის, ეხვევა ცოლს და მის „გაბერილ მუცელს“).

ლუარსაბი: მე ვიგორავებ, მე ვიხტუნავებ, ისევ მე, ოღონდ შენ არა, ემანდ რამე არ დაგემართოს...

(დახტის, კუნტრუმობს დეზებიანი პრიალა ჩექმებით).

დარეჯანი: *(მექანიკურად)* არაფერი იტკინო, ემანდ, ჩემო ლუარსაბ, ერთბაშად რამე არ დაგემართოს!

ლუარსაბი: რას ამბობ, ქალო, ქალთამზევე... ეხლა რა უნდა დამემართოს...

ბერიკები: *(ერთად)* ეხლა რა უნდა დამემართოს?!

ლუარსაბი: ეს ჭრაჭუნებიც ფეხზე მაცვია...

ბერიკები: ფეხზე აცვია!!!

ლუარსაბი: ბიჭიც მზად არის, ემანდ სტომაქში...

ბერიკები: ემანდ, სტომაქში...

ლუარსაბი: *(ერთად)* რა უნდა დამემართოს, რა?!

ბერიკები: რა უნდა დამემართოს, რა!!!

(თავგაპოლებით ცეკვავს „ბედნიერი ჟანდარმის“ ცეკვას).

ბერიკები: ჰოი, ჰოი, ჰოი,

ჰოი, ჰო, ჰო,

ტირი-ტირი-რამ,

ტირი-ტირი-ტამ,

ტა, ტა, ტამ,

ტა, ტა, ტამ.

(აქოშინებული და სიხარულით აღვზნებული ცეკვავს, ბედნიერი ლუარსაბი მაყურებელს მიმართავს).

ლუარსაბი: ხალხო, გენაცვალებო, განა შვილი იმისთვის მინდა, რომ

შვილი მყავდეს? ჩემი ძმის, იმ სულელი დავითის გამოჯავრება მინდა... ეს ჯავრი რომ არ იყოს, ეს რომ არ იყოს, ძალიანაც არ ვინაღვლებდი, არ ვინაღვლებდი... ცოტანი არიან უშვილონი, განა?

ღმერთო, ღმერთო! დაგელოცოს სამართალი, მაგრამ, ჩემი ძმა დავითი ცოცხალი უნდა დაბოვინობდეს და მეფე ერეკლე კიდევ მიწას ამოფარებული უნდა იყოს?! აფსუსი არ არის!..

ღარეჯანი: ან შენი რძალი, ელისაბედ მზეს უყურებდეს და მზეთამზე თამარ დედოფალი კი მიწაში იწვეს, სამართალია განა?!

ლუარსაბი: შენ ნუ, ღარეჯან, შენ შემოგვევლე, შენ ნუ, შენ მარტო მაგას უგდე ყური, მაგ, პაწ-პაწაწინა, მაგ ნიგვზის ტოტსა, ეგა, ღარეჯან, ეგ უნდა ჰშობო დავითისა და ჩემი რძლის ჯიბრზე, ჯავრი ვაჭამო იმ მუქთახორა-გაუმადღრებს და მერე თუნდა მოვკვდე, არად ჩავაგდებ, შენი ჭირიმე, შენი დედაკაცობის ჭირიმე! შობე, თუ გიყვარდე, შობე, შვილი, ღარეჯან.

ღარეჯანი: ვშობამ, ვშობამ, რაკი აგრეა, ელისაბედი გამოჩნდეს ჯერა. ფეხი შემოსდგას და მაშინვე ვშობავ, ზედ იმის თვალწინ უნდა დავბადო, რომ გულიც გაუსკდეს, ფეხი გასჭიმოს, შენი და ჩემი ჭირი წაიღოს.

ლუარსაბი: მოდი, ღარეჯან, ეგ შენი მარწყვის ტუჩები ამოგწუნწო, მაგ სიტყვებისთვის, შენი გულისა!

(ჯერ „პრილა – დეზებთან“ იხდის და ჰკოცნის, ხოლო მერე თოჯინა – ღარეჯანსა).

ბერიკები: ჰოი, ჰოი, ჰოი,

ჰოი, ჰო, ჰო,

ტირი-ტირი-რამ,

ტირი-ტირი-რამ,

ტა-ტა-ტა,

ტა-ტა-ტა.

(ღარეჯანი მოულოდნელად დაიმორცხვებს, შეიშმუნება, სახესაც დამალავს „კეკლუცად“).

ღარეჯანი: *(ღირიკულად)* წუხელის ისეთი სიზმარი ვნახე, ისეთი სიზმარი ვნახე, ისეთი, რომ... გული მითქვამს, რომ ბიჭი იქნება!

ლუარსაბი: ბიჭი?! სიზმარში??? სიზმარი მოჰყევ.

ღარეჯანი: წუხელის სიზმარში... ერთმა თეთრმა და სპეტაკმა მოხუცებულმა კაცმა...

ლუარსაბი: (თან უთვალთვალეებს) ხო, მოხუცებული... მერე, მერე?!

დარეჯანი: ფეხებამდინ უმტკერო ქალღღივით წვერი ჰქონდა...

ლუარსაბი: (უფრო დაძაბული ტონით) მერე, მერე რა მოხდა?...

დარეჯანი: ერთი წამალი დამალეგინა, თეთრწვეროსანმა და მითხრა
– „გამრავლდი, ვითარცა იაკობი“.

ლუარსაბი: (ეჭვიანი ინტონაციით) მაშ გადაჰკარით, არა?...

დარეჯანი: (გაკვირვებული) წამალი იყო, შენ შემოგველე... წამალი
მასვა...

ლუარსაბი: არაყი იქნებოდა – „გამრავლდით ვითარცა იაკობი“
–ოოო!!!

კიდევ რა გითხრა იმ კაი კაცმა?

დარეჯანი: მე მაშინვე მუხლზე ვემთხვიე... ეგ სიტყვები როგორც
კი მითხრა.

ლუარსაბი: (აღშფოთებული) მუხლზე ემთხვიე?! სპეტაკმა გითხრა,
ემთხვიე, თუ შენ მოინდომე?!

დარეჯანი: მე, მე მოვინდომე, შენ შემოგველე, ჩემო ლუი, მე...
მაღლობის ნიშნად მუხლზედ ვემთხვიე...

ჩემს მაგივრადც ვემთხვიე და შენს მაგივრადც მაშა, გეთაყვა...

ლუარსაბი: რაო, რაო? მაშ ორჯერ ემთხვიე განა!!!

– ე, მთხვევაც რაღაც ახალი რამ შემოვიდა, როგორცა ვხედავ...

დარეჯანი: ხომ არ ეჭვიანობ?..

სიზმარი იყო, სიზმარი, ქა... ამასწინაზე შენც ხომ მიაბე, თითქოს
საფლავში ვიწექიო... საფლავში... აღარ გახსოვს?

ლუარსაბი: მახსოვს... მახსოვს... მე შენი...

– (ბერიკები აშველებენ, აჩერებენ, არის ერთი ზედახორა, დარეჯანი
კივის, ლუარსაბი ღრიალებს, ვირი ყროყინებს. ეს მთხვევა რაღაა...
ისიც ორჯერ?!

– ლუარსაბი ცემს, ურტყამს და პუტავს დარეჯანის თოჯინას.
ყვირილი, ხმაური, ქუხილი, თოჯინა ჩვრად იქცევა. ამ „ყირა-
მაღაღან“, ცოტა ხანში, გამოძვრება ლუარსაბი ფეხშიშველი,
მისი „პრიალა დეზებთანები“ კი ზევით-ზევით მიფრინავენ და
მიუწვდომელნი ხდებიან მისთვის.

– ლუარსაბს უახლოვდება მისი გაჭირვების ტალკვესი, „ერთგული“
მეუღლე და თანაშემწე – დარეჯანი.

– ლუარსაბი ბოდიშის და სინანულის ნიშნად, თავს მის ვაბერილ
მუცელზე დებს. დარეჯანი ეალერსება გზააბნეულ ლუის – რა

*ქნას ქალმა?! მისი „გვამის ნახევარია“. რა ქნას, კაცმა?! ცოტა
თავში აუვარდა, „ღეზებიანებმა“ ვადარიეს. არაუშავს, გამოიძინებს
და მოთვინიერდება, არაუშავს, არაუშავს). –*

დარეჯანი: „დათვი ხეზე როგორ გავა, იავ – ნანი – ნაო“ (აძინებს)
(შორიდან მოისმის ვირის ყროყინი).

„ზონგი – პრიალებზე“

ბერიკები: პრიალა – პრიალა ღეზებიანი,

ვან, ვან, ვან,
ღეზები ჟღარუნობს, პრიალა – პრიალებს,

პან, პან, პან,
გგონია – დევი ვარ, ცხრათავიანი,

ლუ, ლუ, ლუ,
მთვარე არ ანათებს, მზეც კი არ მზეობსო,
ხუ, ხუ, ხუ.

ალათასა – ბალათასა,
ალათასა – ბალათასა,
ნუ იფიქრებთ, ხალხნო, ასე,
ნუ იფიქრებთ, ხალხნო ასე,
ნუ, ნუ, ნუ.

მეზობელი, შურიტ სკდება,
ხა, ხა, ხა,

ახლობელი, გარს გეხვევა,
პა, პა, პა,
ყველა გჭორავს, „ტუზი“ ეცა,
ტა, ტა, ტა,

ყველა ფიქრობს, ნეტავ მეცო,
და, და, და.

გუნდი: ალათასა – ბალათასა,
ალათასა – ბალათასა,
ნუ იფიქრებთ, ხალხნო, ასე,
ნუ იფიქრებთ, ხალხნო ასე,
ნუ, ნუ, ნუ.

ანსამბლი: რო დაკარგავ, რო დაკარგავ,
ვაჰ, ვაჰ, ვაჰ,
რას არ იზამ, რას არ იზამ,
ბან, ტრან, ტრან.

რომ მაშინვე დაიბრუნო,
სუკ, სუკ, სუკ,
ბევრ კარს უნდა უკაკუნო,
ტუკ, ტუკ, ტუკ.

გუნდი: ალათასა – ბალათასა,
ალათასა – ბალათასა,
ნუ იქცევით, ხალხნო, ასე,
ნუ იქცევით, ხალხნო ასე,
ნუ, ნუ, ნუ.

ქაქუცა: *(ეიღვე ერთ ფურცელს იატაკზე დააგდებს)*

„დანოსები – ფადნოსებით“

(ქაქუცა ტოვებს სცენას. ერთხანს სცენა ცარიელია. ვირის ყროყინი შეწყდა.)

– ლუარსაბი მალოლად დგება ტახტიდან, ფრთხილად, რომ არ გააღვიძოს დარეჯანი, ფეხშიშველი უახლოვდება იმ ადგილს, სადაც ჭერში მიმაღულია მისი „პრიალა – დეზებიანი“ და ყურადღებით დიდხანს იყურება ზევით, თითქოს ელოდება ვინმესო, ხოლო მერე იწყებს რაღაც საიდუმლო ნიშნების მიცემას ვილაციხთვის, უცნაურად შესტიკულოირებს, ხელებს იქნევს და თვალებს უპაჭუნებს ვილაც უხილავს.

– ზემოდან ნელა ჩამოეშვება თოკი).

ზონგი – „თოკის სიბრძნე“ *(ჩურჩულით)*

ბერიკები: გინდა პრიალები?

ლუარსაბი: მინდა!

ბერიკები: გინდა ბრჭყვიალები?

ლუარსაბი: მინდა!

ბერიკები: მზად ხარ?

ლუარსაბი: მზად ვარ!

ბერიკები: მზად ხარ?

ლუარსაბი: მზად ვარ!

ბერიკები: დაწექი და ჩაიხადე,
გინახულებ, დამიცადე,
ჯიგარო..

შენისთანა იცი რამდენია?
რიგი გრძელია, ძალიან გრძელი,
ყველას ვერ ვუვლი ერთბაშად,
მხოლოდ რიგის თანახმად, რიგის თანახმად.
„აღმავლობა“ გენატრება, ცაცუნა?
ყოველ მხრიდან გაიწაფე, კაცუნა!
რას იკადრებ, რით ივარგებ, კოდალა,
მაჩვენებ და გაგინადლებ, თანდათან,
ივარჯიშე, ივარჯიშე, იწვალე დღეიდან,
შეირგე, აითვისე და ისწავლე ერთი რამ.

ლუარსაბი: რა?!

ბერიკები: რააააა?!

დაბმა, მიბმა,
მობმა, წაბმა,
გადაბმა –
თოკის ფლობა,
თოკის, თოკის, „თუ გინდა?..“

ლუარსაბი: რა?!

ბერიკები: რააა?!

გინდა პრიალები?

ლუარსაბი: მინდა!

გინდა ბრჭყვიალები?

ლუარსაბი: მინდა!

ბერიკები: მზად ხარ?

ლუარსაბი: მზად ვარ!

ბერიკები: მზად ხარ?

ლუარსაბი: მზად ვარ!

ბერიკები: დაწეი და ჩაიხადე,

გინახულებ, დამიცადე,

მსტოვარო...

- დაბმა, მიბმა,

მობმა, წაბმა

შეიწოვე, შეისრუტე.

ლუ-არ-სააა-ბ!

– *ემპყოფილი ლუარსაბი ხელს კიდებს თოკს და საოცარი გულითაძობით და გულწრფელობით იწყებს „საუბარს“.*

– წვალობს „საწყალო“ ლუარსაბი, ძლიან წვალობს. ოფლობა დაასხა, აქოშინდა, ხან თოკს ქაჩავს, ხან აქანავებს, ეზვეწება, ეძუდარება, ჰპირდება, თავს აცოდებს, აბა რა ქნას „საწყალომ“, რა? ჩექმები ხომ უნდა დაიბრუნოს). –

ლუარსაბი: ღმერთო! შენი ღიღების სახელის ჭირიძე, ოღონდ ეხლა, დავითის ჯიბრზედ მომეცი შვილი და მერე მე ვიცი შენი ღიღების პატივისცემა... მე ვიცი, ... მე!!! რაც რომ ქართლ-კახეთში სალოცავი გაქვს, შიშველი, შიშველი, შიშველი ფეხით შემოვივლი.

(*გულმხურვალედ*) აბა, ღმერთო, ჩვენს მღვდელისა ჰკითხე, თუ მე ცოდვა მიქნია რამე, აბა, ჰკითხე, აბა, ჰკითხე... აბა, ჰკითხე! აბა, ჩემს ძმა დავითზეც ჰკითხე, ჩვენს მღვდელსა, აბა, ჰკითხე. შარშან, ივანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის დღეს... ხორცი უჭამია, უჭამია... ხორციი.

პურის ნატეხს რომ მიწაზედ ჰხედავს, ჩემი ძმა დავით... დავით... ღმერთო ჩემო, კი არ აიღებს და არ ემთხვევა... ფეხს დაადგამს და ზედაც შესდგება – „საქმეა ევა?“ სად ისა და სად მე... სანამ არ ავიღებ, ძირდავარდნილ პურს, არ შევუბერავ, არ ვემთხვევი, ვერ მოვისვენებ. (*ვაიხედავს ზევით*).

– (*ამასობაში აქა-იქ ჩნდებიან ბერიკები აყვიას მეთაურობით, ხოლო ღარეჯანი და ბაბალოც იღვიძებენ და უერთდებიან ლუას. აყვიას ჭოვრიტს თვალზე მიიღებს, დანარჩენები ზურგში ამოუდებებიან ხმაგატერენილნი... ლუარსაბი განავრძობს ძმის დასმენას „ღმერთთან“*). –

ლუარსაბი: უკუერთხვევლ ყურძენსა სჭამს, ჩემი ძმა დავით, ღმერთო, ხომ მისმენ?! (*თოკი აქანავდება*) ფერისცვალებამდის განა მოიცდის?! არა, შენი სახელის ჭირიძე, ღმერთო, ღიღებულო.

აყვია: (*ღარეჯანისაკენ გადაილაპარაკებს*) რა ნუკბარი, რა გონიერი, უმანკო სახის არსება სჩანს, თეთრი წვერით, ქალბატონო.

ლუარსაბი: (*შენიშვნას მისცემს მოურავს*) ხმაძალა ნუ-თქო, აკი გითხარი! ხმაძალა ნუ!

აყვია: ცრემლები მახრჩობს სინარულის... ვიტყვით, ხალხნო! (*ცრემლს იხტავს, ჭოვრიტს გადასცემს ხახლას, ლამაზისეულს და ა.შ. ყველა იხელება და ბედნიერად იცრემდება*).

ლუარსაბი: (*ავრძელებს*) აღდგომა დღეს მღვდელს არ მოუცდის, რომ სუფრა უკუერთხოს, (*პაუზა*) ისე მივარდება ხორცეულსა,

როგორც რომ დათვი...

მსუნაგია და მერე როგორი.

ზიარებით კი ეზიარება ხოლმე. ღმერთო, მაგრამ რა გამოვიდა?

ბერიკები: რა?!

ლუარსაბი: სამი დღე ემზადება, მარტო სამი დღე...

ბერიკები: ეგ როგორ??? მარტო სამი? ხა, ხა, ხა.

ლუარსაბი: *(მიკროფონთან მიიღებს)*, მე კიდეც, ღმერთო, სამ-სამკვირაობით უჭმელი დავალ ზიარების წინ... სამ კვირასა!

აყვია: ეგრეა და რა ვქნა?! ეგრეა!

ლუარსაბი: *(დარეჯანს, მაგრამ „მალა“ გასავიწყდება)*

დათო გავვზავნოთ, ჩემო დარეჯან, წითელი ღვინო მოვხადეღვინოთ, წითელ ღვინოში ვაჭყუმალაღვინოთ ჩვენი მემკვიდრე, სუფრაც გავშალოთ ძეობისთვის, ქუდი ჭერსა ვკრათ და „ურა“ ვიძახოთ. დროს ნუღარ ვკარგავთ, გოგო-ბიჭებმა თუკი გაიგეს ბედნიერების ჩვენის ამბავი, დავითიანთანაც მივიდოდა ხმა...

დარეჯანი: კარგი სიტყვა სთქვი, ჭკვიანური, ჩემო ლუი! *(მოურავს)* ხომ გაიგონე ბატონის ნება, გაიქე, არ დაზოგო სასმელ-საჭმელი.

აყვია: მესმის, ბატონო, თქვენ ხელში აკი მოვიყარე და აბა მე რაღა მესწავლება რო!

(მიკროფონთან ყვირის ქვეყნის გასავიწყდება) ჩიჩილაკებით შემოვლობავ აქაურობას, დომ-ხიზილაღვინოთ, სუკსა და კალმასს გორებად დავდგამ, ისეთსას გავშლი სუფრასა, რომ გამჩენი ღმერთიც სტუმრად გვეწვიოს!... *(ვარბის, ბერიკები მიეცემა)*.

ლუარსაბი: *(წყნარად, საქმიანად)* ჰო, მართლა, ღმერთო, კინაღამ დამავიწყდა... ერთი მწევარი ჰყავს ჩემს ძმას... თავის თეფშში აჭმევს... ხო, აბა... თავის თეფშში აჭმევს ხოლმე... ქრისტიანი კაცი კია! დიას, დიას! მერცხალი გინდა, იმას დასძლევს ხოლმე, უღვინოთა ხვდება პირველი მერცხლის მოსვლას! აბაა. ხო, დიას! ოფოფმაც ბევრჯერ დასძლია, გუგუღმას, კვიცმაც... რა? ა...ა! ყველაფერი ბოროტი იმაშია! გადმოგვხედე, გადმოგვხედე და შეგვეწვიე... დიას... დიას... ღმერთო... შენი სახელის ჭირიმი!

– *(ზემოდან ჩამოფრინდება ქალაღვინოთ პატარა ფურცელი... ლუარსაბი წაიკითხავს და, კმაყოფილი, ავანსცენაზე შეინახავს. ამასობაში მოსამსახურენი სუფრას შლიან. სანოვაგით სავსე ჩიჩილაკებით შემორავავენ საქეიფო მოედანს „ჩველების ბაღში“.*

ამ სადღესასწაულო, მხიარულ ფაციფუცში და ხალხის ფუსფუსში გამოჩნდება ელისაბედი პლაკატი, რომელზედაც აწერია „ელისაბედ“. ავცია შეამჩნევს და მიიბრუნს ლუარსაბთან, რომელმაც სწორედ ამ მომენტში ფურცლის კითხვა დაამთავრა, და ბატონს ყურში ჩაუჩურჩულებს. ლუარსაბი არ დაიბნევა, ყვირილს და „ურას“ ძახილს მორთავს).

ლუარსაბი: ბიჭია, ბიჭი, ურაა!

დათო: ბატონიშვილსა, ურა, ბიჭებო! (ღვინოს უსხამს ლუარსაბსა და დარეჯანს, ჭიქებს მიაწვდის).

ლუარსაბი: (დარეჯანს) დალიე-მეთქი! ეხლა ქეიფს ნუ წამიხდენ, შენ შემოგვევლოს ლუარსაბი.

დარეჯანი: (ელისაბედის გასავონად) გულნაქცევად ვარ, შენ გენაცვალე, ნახევართუნგი გამოვცალე და მეტს ვედარ დავლევ!

ლუარსაბი: (დაადლეუბს) ჩემი შვილის სადღეგრძელოს როგორ არა სომ, ჩემო დარეჯან? თუ მე და შენ არ დავლიეთ, მაშ ვინ უნდა დალიოს? ღმერთი გვიწყენს, იტყვის – მე შვილი მივეცი და ისინი სადღეგრძელოსაც არა სძენო. ნუ აწყენინებ მოწყალე ღმერთსა, ძლივს კაი თვალით არის ჩვენზედა.

(დარეჯანი სვამს)

ავცია: (ყველას ერთად დაადხებს) ურა, ბატონიშვილსა, ურა!

ლუარსაბი: (მთვრალი) ჩუპრიკი და ჩუპარიკი დარეჯანსა!

ჩუპრი – ჩუპარ, ჩუპრი – ჩუპარ მაგის ჯანსა!

გუნდი და სოლისტი: დარეჯანო, დარეჯან,

შენს ჯიგარსა ჯანდაჯან,

მიყვარს დარი დარიჯანი –

დიდი სქელი ბადრიჯანი???

დარეჯანი, ბაბალე: ბადრიჯანი, ბადრიჯანი

გავარდეს იმისი ჯანი,

თუ არ მოყვა მას „შედეგი“,

რა ფეხებად მინდა ეგი.

ბერიკები: ჩუპრიკი და ჩუპარიკი დარეჯანსა!

ჩუპრი – ჩუპარ, ჩუპრი – ჩუპარ მაგის ჯანსა!

დარეჯანი, ქალები: თუ არა გაქვს მარიფათი,

მურიანი გაქვს სიფათი,

ვენაცვალე მარიფათს,

გაგითეთობს მაგ სიფათს.

ბერიკების გუნდი: ბიჭსა შობამს დარეჯანი,
მსგავსი გმირი ამირანის
დაიბადოს ამირანი,
დიდი გრძელი ბადრიჯანით.

ყველა: ჩუპრიკი და ჩუპარიკი დარეჯანსა!
ჩუპრი – ჩუპარ, ჩუპრი – ჩუპარ
ჯან დაჯანსა.

(სიმღერა საზეიმო ფერხულში გადადის).

ელისაბედი: *(გაჰკვივის)* კუდიანობაა, ხალხნო, კუდიანობა..
მიჩვენეთ, მიჩვენეთ-მეთქი მემკვიდრე თქვენნი,
კუდიანებო, ეშმაკეულნო, ეშმაკეულნო...

– *(ელისაბედი ღარბის ხალხში, გაჰკვივის, მავრამ არავინ არ
უსმენს, ულოცავენ, ჰკოცნიან, ფერხულში პატიუებენ).* –

ბერიკები: *(მღერობენ)* ჩუპრიკი და ჩუპარიკი ლუარსაბსა!
ჩუპრიკი და ჩუპარიკი ღვინის სმასა.

აყვია: ღვინოს მოაქვს დიდება და ჩინ-მენდალი,
ღვინოსა და პურ-მარილსა! ურა!

ლუარსაბი: თუ კაცი ვარ მე დღეს, ამ შავი ყურძნის წვენითა ვარ
კაცი!

ბერიკები: გაუმარჯოს ყურძნის წვენსა, საფერავსა და თავკვერსა,
ჩუპრიკი და ჩუპარიკი ლუარსაბსა!
ჩუპრიკი და ჩუპარიკი ღვინის სმასა.

ელისაბედი: *(გაჰკვივის)* პატარძალი დამანახეთ, პატარძალი,
ოხრებო თქვენა... რა ქორწილს იხდით, ერთი მითხარით, რა
ქორწილს?!

ლუარსაბი: ჩემოდენას საქართველოში ორიც არ დაღვეს. თუნდ
ოთხი ჩაფი ღვინო ჩამასხით, აიტანს ფაშვი!

ბერიკები: აიტანს ფაშვი, აიტანს.

ლუარსაბი: ის იმერელი გახსოვს, დარეჯან, რომ შემეჯიბრა... რა
ღლე ვაყარე?!

დარეჯანი: მახსოვს, მახსოვს – დაარჩე!

ბერიკები: იმერელო და ფხიკიანო,
ლორმა კოჭზე გიკბინაო,
ჰეი – ჰეი – ჰეი – ჰურა.
იმერელო ქაცვიაო,
ტანზე არა გაცვიაო,
ჰეი – ჰეი – ჰეი – ჰურა.

ელისაბედი: უშვილოებო, უძიროებო!

უშვილოებო, უძიროებო!

უშვილოებო, უძიროებო!

(*ზემოდან ეშვებიან „პრიალა-დე ზებიანები“.*)

ელისაბედი: თოკს აქანავებს. თუნდაც ჩამქოლეთ, ჩამაქვავეთ, ქვა დამაყარეთ, მაგრამ მიჩვენეთ შვილი და ძირი, მიჩვენეთ-მეთქი... მიჩვენეთ!!!

(*გაცოფებული ელისაბედი „ზარსა სცემს“, ზემოდან დაშვებულ თოკს აწვალალებს ბერიკები და გუნდი ღიმილით უცქერის. ბოლოს დათოს მობეზრდა მისი კვილი.*)

აყვია: კუდიანობას მოგცემ მე შენა! ბატონი ხელავს, ქალბატონიცა, ბიჭი რომ ჩნდება, ჩვენცა ვხედავთ, შენ ვილა წევხარ და ჭორს აკვნესებ?

(*მიიყვანს იქ, სადაც „ჩამოფრენილი“ ფურცელი დევს და წააკითხებს „ლუარსაბი ამასობაში „პრიალებში“ გამოეწყო „დე ზებიანში“.*)

ლუარსაბი: კიდეც უნდა ამოგწუნო ეგ ლამაზი ტუჩები, ეგა...

ელისაბედი: (*ვაჰკვივის*) „გორკა“ ნეფე-დედოფალსა „გორკა“!!!

(*ცეკვას იწყებს, თან ძღერის, და ფურცელს აფრიალებს.*)

ვაჟსა – ვაჟიანობასა,

წულსა – წულიანობასა,

ოჯანის კარგად ყოფნასა,

ოჯანს – ბარაქიანობასა,

ტაში – ტაში – ტაში – ტაში,

ტაში – ტაში – ტაში – ტაში.

ლუარსაბი: რანდიღური და რამდიღური,

რამდიღური და რამდიღური

დარეჯანი: დიდლოური და დლოურიდილო,

რადიდლოური – რომდილოური,

რიმიდილოური – რამდილოური.

(*ყველა ცეკვავს, ყველა ძღერის, ყველა მხიარულია, ვენაცვალე „კახურსა“...*)

– *ცეკვა-ცეკვით ყველანი გადიან სცენიდან. რჩება „ჩვრების ბაღი“, გაძარცვული ჩიჩილაკები და „ვაჩირაღლებული“ ქაქუცა.*

ქაქუცა: წმინდის გიორგის კარზედა,

ხე ალვად ამოსულიყო,

თავში დაესხა ყურძენი,

საჭმელად ჩამოსულიყო,
იმის უჭმელი ქალ-ვაჟი
უდროოდ ჩამოშლილიყო,
უდროოდ ჩამოშლილიყო...

(*ძალიან შორიდან მოისმის ვირთა ჯოჯის ყროყინი*).

ქაქუცა: „ქვეშაფსიები“ (ავხადებს სცენის შინაარსს და კიდევ ერთ ფურცელს ავლებს იატაკზე)

(*უცნაური რიჟრაჟია. ისმის რაღაც გაუგებარი შრიალი კოსმოსური, ფანტასტიკური, ის ჟამთა შეუჩერებელ სვლას, ანდა დროის განუწყვეტელ სიბილეს განასახიერებს.*

– დრო. დრო და ჟამი. ჟამი და დრო.

– ბერიკები, განსაკუთრებით ქალები, თანამედროვე კოსტიუმებში არიან ჩატყუნნი, უფრო სწორად, კოსტიუმების გარეშე გამოდიან.

– ლუარსაბი არაჩვეულებრივად, ზღაპრულად ბებერი ჩანს, დანაწანაკებული და მოტენილი, საცვალი აცვია და ღეზებიანი ჩექმებიც, საბანძოსხმულია. თეთრი-თეთრი წვერი, უღვაში და წარბები აქვს, ძლივს მობაჯბაჯებს, დარეჯანის დახმარებით. დარეჯანი კი პირიქით – თანამედროულად გამშვლებული, გაფურჩქნილი, ვალამაზებული, ძალიან ექსტრავაგანტური და ვათამამებულია.

– ლუარსაბი დიდ, ძალიან დიდ „მოხელე – ხელმძღვანელს“ თამაშობს, კალიგულას და ნერონის „ოფოფებით“ ერთდროულად შეპყრობილს. „მიძს“ ლუარსაბის და დარეჯანის თოჯინები მოაქვს, აყვია და ბერიკებს კი ლუარსაბის „სათამაშოები“ – ე. ი. მისი „ფხუკების“ და უცნაურობების გამოშხატველი რეკვიზიტი – ძაღლები, კატები, ქათმები, მამლები, თუთიყუში.

– ამ უცნაური ადღუმის მონაწილეები ლუარსაბს უმღერიან ასეთივე უცნაურ და გაუგებარ მლიქვნელურ „ქებათაქებას“, უცნაურ, მხოლოდ მათთვის გასაგებ ენაზე).

„ძეგათა ძეგა“

ა... ა...ა – ა... ა ტაბასაკარა,
ივაყი, ივატი, ზიზალატი,
სურატაკუსა, სურატაკეშა, ჟივარურულ.
სო – სო, კო – სო,
სო – სო, კო – სო.
მზარამ, მზარამ, მზარამ,
ა... ა...ა – ა... ა ზალირუმ,
ოვადკუ, ელხოცი, ელხოცი.
ოზამალ, ორეალ, ოლერავყას,
სო –სო, კო – სო,
სო –სო, კო – სო,
მზარამ, მზარამ, მზარამ.
ა... ა...ა – ა... ა ტარაგენეგელ!
ნიტერკ, ნიტერკ, იშოდ,
ივაყი, ივაყი, იკუს.

ტარგენეგელ,

ტარგენეგელ,

ტარგენეგელ!!!

ლუარსაბი: ფალია ზრჩოლავს, ნელი ალი მწვავს!

გესმის, დარეჯან?! ჩიბუხიცა ჰყარს... სულყველაფერს დენტის სუნი აქვს!

ბორბლებზედ ჰგორავს... (*ყვირის*) ქვაქვაზემც იქნეს დადულებული,
მე თუ არ ვიქენ, მე, ლუარსაბი, თათქარიძე...

ქვაქვაზემც იქნეს... ადე, დარეჯან, რაები ზდება, შენ შემოგველე,
გამაგებინე, ფეხებში მწვდება ცეცხლის ალი!

დარეჯანი: აბა ვინ მოგდევს, შენი გულისა, არც არავინ სჩანს.

ლუარსაბი: რვათავიანი, ცხრათავიანი ვილაცა დამდევს, ოხრამც დარჩეს!..

დარეჯანი: (*აღერსიანად, ძაგრამ ავტომატურად*) შენი ლეიბი გახლავს სველი, შენი ჭირიმე, სიზმრად თუ ნახე, ცეცხლის ალი და ჩაქრობა სცადე. გაგფენ, გეთაყვა, ახლავე გაგფენ!

ლუარსაბი: ვილაცას უნდა ჩემი მოკვლა... რათა და რისთვის?

მე ჩემის ფეხით, ჩემის ნებით, სიკვდილს რად მიშლით?

(*ატირდება*) იმ მამეზღარამ, იმ ცრუ თავადმა როგორცა ბრძანა???

(*დაავიწყდა, ვერ იგონებს*)

ქაქუცა: (*მთაწვლის ტექსტს*) კალმასის ლიტრით, არტალის კანჭით, კახური შოთით, წითელი ღვინით...

ლუარსაბი: რათაა... რათაა და რისთვის?!

დარეჯანი: ძილ-ბურანში ხარ, სიზმარში ხდება, რასაცა ხედავ. ცეცხლი თუ გწვავდა, აკი ჩააქრე... ახლა გრილად ხარ! ეგ არაფერი, შენ შემოგველე, თუ რამ ლეიბი დაასველე, ვის არ მოსვლია დიდკაცთაგან მარცხი ეგეთი... კვირაში ორჯერ... უფრო ხშირადაც, გაფენილი აქვთ ხელმწიფის კაცებს ლოგინები გასაჩირადა...

ლუარსაბი: ჰო, ჰო, ჰო... იმ ილიამა, იმ ბილიამა, ეშმაკის კერძმა, იმ ცრუ თავადმა, ჯვარს რომ მაცვამდა და სახალხოდ გამსვა...

დარეჯანი: შიში ნულარ გაქვს! ეგ ჭრაჭუნები, ეგ ბრჭყვიალები, ზედ რომ გასხნია, განა ბევრსა აქვს?..

ლუარსაბი: ცეცხლში ვიყავი, ვიწვოდი და ჩაქრობა ვცადე, დამშრალი იყო მტკვარი და ხერხი ვიხმარე, მარტომ ჩავაქრე...

დარეჯანი: მაგ გმირობისთვის ჯვარიც მიიღე, ვერ გაიხსენე?

ლუარსაბი: ისევა მწვდება ცეცხლის ალი, ფეხის გულსა მწვავს... დარეჯან, რა ვქნა, დარეჯან?!

დარეჯანი: ისევ ის ხერხი იხმარე... რაკი ეგრეა, კიდევ ჩააქრე, შენ გენაცვალე, (*ეხმარება*) ჩააქრე, ჩააქრე, შშშ, ფს, ფშ, ფს, ფს... ეგრე, ეგრე, შენ შემოგველე...

ბერიკები: ფშშ, ფშშ, ფს, ფს, ფს...

გუნდი: სო - სო - კო - სო,

სო - სო - კო - სო,

ტარგენეგელ,

ტარგენეგელ,

ტარგენეგელ.

ლუარსაბი: (*გაადგმავებს*) მოვრჩი, გეთაყვა, წელანდებურად უკეთ ახლა ვარ, მოვჯობინდი.

დარეჯანი: ცეცხლი ქრება, გუბე ღვება,

ბერიკები: ჩემს (*ჩვენს*) ლუარსაბს ეღვიძება!

სო - სო - კო - სო,

სო - სო - კო - სო,

ტარგენეგელ, ტარგენეგელ, ტარგენეგელ.

ლუარსაბი: დათო! დათო... ჰოი, დათო, მოურავო!..

დათო: გისმენ, ბატონო!

ლუარსაბი: გისმენო!... გესმით, რას მეუბნება?!

მე კი ნუ მისმენ-მეთქი... სხვას მოუსმინე...

მოწინააღმდეგე! ჩემს მტერსა... გესმის?!

(ფარულად ქაქუცას და „ილიას პორტრეტზე“ მიუთითებს)

ბერიკები: სო – სო – კო – სო,

გუნდი: სო – სო – კო – სო,

ნიტერკ, არუკ, ონვაგ,

ტარგენეგედ, ტარგენეგედ, ტარგენეგედ...

(ლუარსაბ-დარეჯანი, მთელი თავის ადლოუმამალით და ამაღლა-ადლოუმით, სცენის სიღრმეში მიიმალვებიან. სცენაზე მარტო ქაქუცა რჩება, კიდევ, აყვია, რომელიც მას ჭკვრივით ჭკვრიტავს, ისძის ვირის შორეული ყროყინი და სიმღერა).

გუნდი: ჩვენისთანა ბედნიერი,

განა არის სადმე ერი?

განა არის სადმე ერი,

ჩვენისთანა ბედნიერი?

ქაქუცა: *(აცხადებს შინაარსსა და ფურცელს იატაკზე, კიდევ ერთს აგლებს).*

„ბ ტ ა ლ დ ე ბ ა“

– *(ეს სცენა, პათეტიკურად ან დეკლამატორულად არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღედგოს, უფრო სევდიანად, უფრო ლოცვის მაგვარად, ვედრებასავით ღრმა და ნაზი უნდა იყოს).* –

ქაქუცა: ხომ დაინახეთ, ხალხნო, ხომ დაინახეთ?!

რა არის ლუარსაბ-დარეჯანიანობა?!

ჯერ ბოზობა და ფულისთვლა, ფულისთვლა და ბოზობა, მერე არ არსებულზე ძეობა და ქეიფი, ქეიფი და ძეობა, შემდეგ კი „დანოსები – ფოდნოსებით“, ხოლო სულ ბოლოს „ქვემაფსიობა“, აი, ... რისთვის დაინარჯა მთელი ცხოვრება,

ცხოვრება ღმერთის მოცემული,

ღმერთის ბოძებული,

ღმერთის ნაჩუქარი – ფულის თვლაში, ბოზობაში, უმიზეზო ქეიფში და „დანოსებზე“ – და რისთვის? ლაქის დეზებიანებისათვის.

ვენაცვალე ლუარსაბსაც და დარეჯანსაც, ორივეს ვენაცვალე!!!

– *(აყვია, რომელიც ჭკვრივით უთვალთვალვებდა ქაქუცას, ამ რეპლიკაზე ზემოდან ჩამოშვებულ თოკს გააქანებს ფრთხილად*

და სცენაზე, იმწამსვე, ჟანდარმი – ხუნჯა გაჩნდება, შეიარაღებული)–

ქაქუცა: ლუარსაბ-დარეჯანობა, ჩემო ხალხო, ერთის შეხედვით უწყინარი ჩანს, მაგრამ ცარიელ კუბოსავით უწყინარია. იგი იყო, არის და კვლავაც იქნება გარინდული და გატყვენილი შიგ ჩამწოლის მამულიშვილის მოლოდინში – *(გამოჰკრავს თოკს, ზარს ააჟღერებს)* ქართველი კაცის მუცელშია ჩადებული ქართველობის ეს დიდი ფერიჭამია – უწყინარი ღიმილით სჭამს, სვამს, ხრავს და ანიავებს ყოველსა – რაკი მოშივა ამ უსულო სულს, განა მოითმენს, წავა და მტერს უძირო ხახას დაულებს – შენ მაჭამე და შენი ვიქნებიო.

ხუნჯა: *(ჟანდარმისტერი)* ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზა, რომელსა მიჰყავს ქართველი კაცი წარსაწყმედად...

აყვია: *(აგრძელებს)* და მრავალნი ვლიან მას ზედა.

ქაქუცა: სიცოცხლეს ვათავებ, რომ გავიგონებ... უშვილოაო, ჭამა-სმა უყვარს, რაღას ვერჩითო... არა, არა, არა!!!

მთავარია ის, რომ მას ჭამა-სმის მეტი არც არაფერი უყვარს და არც არაფერი სჭირდება! არაფერი!!!

სრული შეგნება ამისა სანამ არ განეფინება ყოველ მოკვდავზე, ლუარსაბობა კვლავაც იქნება დედამიწაზე... განა თესლით მრავლდება იგი, ანუ კვირტით, ანდა ნაყოფით, როგორც ხე – კეთილი... არა, პირით მრავლდება იგი, პირისფერებით, პირფერებით, პირფერობით, ხელმოუწერელი „დანოსის“ შესამიანი თესლით.

ბერიკები და გუნდი: სო – სო - კო – სო,

სო – სო - კო – სო,

ონვაგ, ონვაგ, არახ,

ტარგენგეაღ,

ტარგენგეაღ,

ტარგენგეაღ.

– *(ზარის ხმა შორიდან ისმის განუწყვეტლივ. ის დიდდება, ფართოვდება. ბერიკები, რომლებიც ქაქუცასთან დგანან, ძაძებს ისხამენ).* –

ქაქუცა: თბილისის მომთხრელ ალა-მაჰმად ხანს, ცვედანთა – ცვედანს, იმ ოხერ ყაჯარს, დამიჯერეთ, რომ უთვალავი თხოვნა მიართვა, ამ მუცლის ჭიამ, მარტოკა გმამმა, რომელიც მაშინ, სამეფო

კარზე მეტად გამრავლდა... ქართლის, კახეთის მიუვალებში
ჰგორავდა ტახტზე, არტალა ეპყრა მარჯვენაში და მარცხენა
ხელით ბეზლობას სწევდა, ათჯერ უთვალავ მტერთან შებმულ
პატარა კახზე – მოდი, მობრძანდი, ალა-მაჰმად ჯან, მეფე
ერეკლეს ჯარი აღარა ჰყავს...

ბერიკები: მობრძანდა კვლავ, შინ მიმავალი ალა-მაჰმად ხან და
დედაქალაქი ისე გადაწვა, რომ ჩვენის ქველობის საბუთიც კი
აღარ დარჩა.

ქაქუცა: მერეც გაკეთდა ლუარსაბი, იმავე ბარკლით, ყალიონის
კვამლითა და შავი კალმით ცაციაში... მეცნიერული შრომები
შექმნა, დახლოებით ამგვარი – ვიწრო ჭკუისა გახლდათო მეფე,
მერყეობდაო, დრო გაჰყავდაო, დრო გაჰყავდაო!

ახლოს მხედველი შორით ვერ ჭვრებდა, ახლოს ხედავდაო...

ახლოს ხედავდაო...

აყვია: (*ბრაზით*) ასე!!! დარეჯანს, თურმე, უცხო ტომის სოვდაგარი
უხენიდა და ვერც ამას ხედავდა.

ზუნჯა: (*აგრძელებს*) გიორგის ცოლსაც, ერეკლეს რძალსა, ვილაც
ვაჭარი, სიღნაღელი, ხელს ადებდა და მამაკაცობას უბედავდა...

ქაქუცა: (*ყვირის სასოწარკვეთილი*) აი, აი, რა იცის მუცლის
აყოლამ!

ბერიკები: (*უერთდებიან ქაქუცას*) სულაის გაქრობა,
საყვავყორნე ლემად გახდომა,
საყვავყორნე ლემად გახდომა.

ზონგი „ადამიანზე“

ქაქუცა: ადამიანო, იყავ ფზიზლად,
ადამიანო, შიში ნუ გაქვს,
ადამიანო, იწამე ღმერთი,
რომელიც გულში გიბგერს მარად.
სულს, უკვდავ სულს,
სულის სიწმინდეს უფროთხილდი, ძმავ,
ღორმუცელობის და ბოზობის შიში,
ქართველს მუდამ უკაფავდა გზას,
გზას მირონისა,
გზას სიონისა,
გზას ნინოისა,
ქრისტეს ნათელ გზას.

ლუარსაბი: (აყვირდება, თვალს გააყოლებს ბერიკებს)

თქვენი იძახეთ, თქვენი იძახეთ... თქვენი ბრძანეთ. მე კი
ვიცი, რომ მუცელმა უნდა აჯობოს თავსა, სულ ბოლო ჟამსა!

კუჭი და ფაშვი,
ფაშვი და კუჭი,
სხვა არის ფუჭი,
სხვა არის ქარი.

კუჭი თუ სავსე
გაქვს, ადამიანო,
მთვარე შენ გინათებს,
ღლეც არის მზიანი.

ბერიკები: ზოგს ფაშვი ღიღი აქვს,

კუჭი – ტევადი,
გავსება ძნელია,
შრომატევადი.

ავსებ და ავსებ,
ტენი და ტენი,
მაინც სულ გშივა,
მაინც ვერ ძლები.

ლუარსაბი: „რასაცა გასცემ შენია,

რაც არა დაკარგულია??“
ვინცა სთქვა, ჭკუათხელია,
ვინც იმეორებს, სულელი.

ცხოვრება – კუჭია,
სხვა რამე – ფუჭია,
რაც ჭამე – შენია,
სხვა – დაკარგულია.

მაშ ვჭამოთ, ადამო,
მაშ გავძლეთ, ევაგ,
ეს ცხოვრება მისია,
ვინც არის – ღვევი.

ბასრ – კბილიანი,
ღონიერ – კლავიანი,
ქვა – გულიანი
ნამუს – ბანჯგვლიანი.

ბერიკები: მაშ ვკამოთ, ადამო,

მაშ გავძლეთ, ევაჲ,
ეს ცხოვრება მისია,
ვინც არის – დევი.

(მაყურებლის წინ ლუარსაბის მუცელი იბერება და იბერება. ლუარსაბს ბავბავით მოაქვს მუცელი ავანსცენაზე და თოკს ვადოქსჩავს ბრაზით და ბოლმით – კლოვის ზარის მავივრად „ტაშ-ფანდური“ აუღერდება).

ლუარსაბი: *(დარეჯანს, დემონსტრაციულად)* ამაღამ ვანშამად რა გვაქვს, დარეჯან? ღვთის წყალობა?!

დარეჯანი: *(ასვე დემონსტრაციულად)* შენ მარტო ბრძანე, სულო და გულო!

ლუარსაბი: მაინც?

დარეჯანი: სადილიდან დარჩომილი კაი ძროხა გვაქვს...

ცივად, ბატონი ბრძანდები, ღორის სუკები...

ლუარსაბი: აუჰ, აუჰ, აუჰ!!!

აფეია, ზუნჯა: ღორის სუკები, შენმა მზემ, რადაც უნდა ჰღირს.

ლუარსაბი: სხვა? მე ამაღამ მადაზე ვარ...

(კაბის ქვეშ ხელს შეუყოფს, ხოლო მეორეს – ბაბაღეს უბეში)

დარეჯანი: ზურგიელი გვაქვს, რომ ქონები გასდის...

ფეშქაში გახლავს... ყველი, პური და კეთილი გული.

ლუარსაბი: სხვაც ჩამოთვალე, სვალისა ვთქვათ, რა გვენადვლება...

დარეჯანი: *(სიას გამოართმევს აფეიას)* სვალის ნუსხაში არტალა გვიზის, ხომ კარგადა ხარ არტალაზედ?

ლუარსაბი: ვაცივითა ვარ, შენ გენაცვალე, არტალაზე, სწორედ ვაცივითა!.. ერთი მსუქანი არტალა სახელმწიფოდ ღირს, სახელმწიფოდ...

(ამ ჩათვლა-ჩამოთვლაში, ნელ-ნელა დეკორაცია იცვლება. ნაფლეულები, კონკები, მუგუზალები, ნანგრევები და ნაცარი სცენიდან ქრება და შემოდის სულ პირველი, ფერად-ფერადი ეგზოტიკური ბრწყინვალეობით გაბრჭყვიალებული „ცა – ფირუზ, ზურმუხტი“).

ლუარსაბი: სხვა?!

დარეჯანი: *(მაცდური ღიმილით)* მრგვალი დედალი ცალმხარეზე და კარგიც ჩიხირთმა...

ქაქუცა: *(აცხადებს ახალი სცენის შინაარსს და კიდევ ერთ ფურცელს სცენაზე ავლებს).*

„ჩიხირთმა – ბოზბაშობა“

ლუარსაბი: ჩიხირთმა?... ბოზბაში ვეთქვა, აჯობებდა, მე და ჩემმა ღმერთმა.

დარეჯანი: *(საქანელად ქცეულ ტახტზე ქანაობს, უდარდელად)* ფი... მითომ რითი რომ... როლის იყო კარგს ჩიხირთმას ბოზბაში სჯობდა,

ლუარსაბი: ვა!... ტყემლის მყავით გაკეთებული ბოზბაში?!

დარეჯანი: შენც არ მომიკვლე, მაგან ჩიხირთმას ვერ აჯობოს.

ლუარსაბი: ვა?! შენს ჭკუაზედ ხარ, დედაკაცო, ბოზბაში ტყემლით! რას ამბობ, რასა?! მსუქან ბოზბაში ამოვლებული პურის ლუკმა ჩიხირთმისას ზღვას მირჩევნია, გორისციხისოდენა ქვაბით მორთმეულს. მაშ კაცი აღარ ვყოფილვარ, ქუდი არა მხურებია.

დარეჯანი: ახირებული კაცის ჭკვაზედ ხარ, ჩემო ლუარსაბ, და რა უნდა გითხრა?!

ლუარსაბი: *(ძრისხანელ და თამამად)* კაცი სწორედ რომ ეგეთი მიყვარს...

მაშ დღეს ერთი ვთქვა, ხვალ კიდევ სხვა?!

ეგ ხომ ჩიხირთობა იქნება!

დარეჯანი: *(საქანელას აჩერებინებს. ცივად)* ბოზბაში გნებავს, მაშ?

ლუარსაბი: სწორედ ბოზბაში, სწორედ ბოზბაში!

დარეჯანი: *(კიდევ უფრო ცივად)*, ბოზბაში განა? ზაფხულის ამ პაპანაქებაში!???

ლუარსაბი: ბოზბაში! ბოზბაში! მამაკაცური საჭმელია.

– *(ბერიკები ომახიანად სიძღერას იწყებენ. ამ სიძღერის ფონზე ლუარსაბი ავრძელებს თავის „მონოლოგს“).* –

ბერიკები *(ანსამბლი):* ჰო, ჰო, ჰოი

ჰო, ჰო, ჰოი,

ტირი – ტირი – რამ,

ტირი – ტირი – რამ,

ტა – ტა – ტა,

ტა – ტა – ტა.

ლუარსაბი: *(ტრაპაზს ავრძელებს)* ჩიხირთმა ისე „პახმელიაზე“, ბოზბაშს რომ გადაავორებ, მერე კიდევ ჰო... თვითონ ბოზბაში თუკი მოგიტხოვს, ახლა ჩიხირთმა დავაყოლოთო...

(წაიცეკვებს და პრიადლებს გააჟღარუნებს გაჯიუტებული ლუარსაბი)

დარეჯანი: *(ეიღვე შეეცდება დააშოშბინოს)* შენ სიზმარში ხარ, ჩემო ლუარსაბ!...

ლუარსაბი: *(ხარხარებს)* მოდი მიკბინე, შენი ჭირიმე, გამეღვიძება. *(საკებნად ვავას მიუშვერს)*

დარეჯანი: *(მოთმინებას დაკარგავს. ახლოს მივა)*

ჯერ შენ მიკბინე, გენაცვალე, მერე მეც გიკბენ. თან ისე გიკბენ, ისე, რომ ეგ ჩინ-მედლები, ეგ ბრჭყვიანები, ძირს დაგცვივდება – და ის ლუარსაბი იქნები კვლავ, რაც რომ იყავი... შენ რა გგონია, ტყვილად ვემთხვიე და თანაც ორგზის იმ სპეტაკ მონუცს, თეთრს, დიდს, ჩინოსანს... მას აქედან ამისთანა ამბებში მყევხარ და მაგას მიბუდავ... ვილაც ბოზბაში გირჩევნია ამ ჩემს ჩიხირთმას???

(გააგებული დარეჯანი ორ სილას გააწნის ლუარსაბს – ერთს ბერიკები ტაშით გაახმოვანებენ, ხოლო მეორეს – სასულე ორკესტრის „აკორდი“.

ლუარსაბი იატაკზე დაეცემა, „პრიანები“ მოძვრება და ისევ ფეხშიშველი და ვასაცოდაებული რჩება).

ლუარსაბი: *(შეძკრთალი)* ოლონდ ჩი – ჩი – ჩი... ოლონდ ჩუ – ჩუ – ჩუ, ჩიხირთმა ჩემო, ჩიხირთმა-მეთქი... აბა, ბოზბაში ჩიხირთმასთან, როგორ მოვა – რო?! მუხლზედ დავდგები შენს წინაშე, დედაკაცობის ჭირიმე შენი... ოლონდ კი ჩი – ჩი – ჩი – ჩი, ოლონდ კი ჩუ – ჩუ – ჩუ!

დარეჯანი: მგონი რომ გონსა ხარ, ხომა, ლუარსაბ? *(და რაც ძალა და ღონე აქვს, ლუარსაბს უკბენს)*

ლუარსაბი: ჩუპარიკი. და ჩუპარიკი დარეჯანსა, ჩუპრი – ჩუპარ, ჩუპრი – ჩუპარ მაგის ჯანსა.

ბერიკები: დარეჯანო, დარეჯან...

გუნდი: შენს ჯიგარსა ჯან და ჯან, მიყვარს, დარი – დარეჯანი, დიდი სქელი ბადრიჯანით.

დარეჯანი: დიდლოური და რამდილური, რიმდილური – რამდილური *(ცმცავებ).*

ყველა: ჰო, ჰო, ჰოი,

ჰო, ჰო, ჰოი,

ტირი – ტირი – რამ,

ტირი – ტირი – რამ.

– (საერთო ცეკვა. ცენტრში დარეჯანი და ლუარსაბი, რომელმაც „პრიადები“ ჩაიხუტა. შემოდის ელისაბედი. ტაშს ააყოლებს, ფერხულში ჩადგება. მისი ხმა გუნდსა ფარავს). –

ელისაბედი: მე ბანი-ბანად გეძებდით, თქვენ ბალი-ბალად გეძინათ?!

რა ამბებში ხართ, ქა, რა ყოფაში?!

დიდება გაქვთ და რა გენაღვლებათ! თქვენი

ჭირიძე, ჩემო მაზლო, დიდო ლუარსაბ, ჩემო

რძალო, ჩემო დარეჯან...

ლუარსაბი: ელისაბედი გვეახლა, დარეჯან... გვესტუმრა ძღვენითა...

დარეჯანი: მობრძანდი, ჩემო რძალო...

– (ელისაბედი გამოიყურება ისე, როგორც უწინ ლუარსაბ – დარეჯანი გამოიყურებოდა.

– ლუარსაბი, დარეჯანი და ელისაბედი საქანელა – ტანტზე სხდებიან და საქანელა ჰაერში მალღდება.

– საქანელა ქანაობს, „ნათესავები“ მუსაიფობენ – ბერიკების ძალიან – ძალიან ჩუმი სიმღერა – ხოტბის ფონზე). –

ბერიკები: ა.... ა – ა.... ა – ა..... ა – ტაბასაკარა

ივაყი, ივაყი, ხიზალატიბ,

სურატაკუც, სურატაკეშა, ჟივარუხულ,

სო – სო – კო – სო,

სო – სო – კო – სო,

მზარამ, მზარამ, მზარამ

ა.... ა – ა.... ა – ა..... ა – ტარგენეგელ,

ნიტარკ, ნიტარკ, იშოდ,

ოლაფუ, ივაყი, აგუს,

სო – სო – კო – სო,

სო – სო – კო – სო,

ოვაგ, ოვაგ, არახ,

ტარგენეგელ,

ტარგენეგელ,

ტარგენეგელ.

ამ ჩუმი სიმღერის ფონზე დიალოგი.

ელისაბედი: როგორა სუფევთ, ხომ კარგად სუფევთ, ჩემო მაზლო?

ლუარსაბი: (რომელიც ისევ „ნერონ-კალიგულას“ თამაშობს, „საწყლად“ უჩივის) რა დაგიმალოთ, ქვეშაფსიობა დამჩემდა, რძალო, ქვეშაფენს მიფენს დარეჯანი და ისე ვსუფევთ... თქვენ როგორ სუფევთ, ღვთის წყალობით, კარგად თუ სუფევთ?

ელისაბედი: ჩვენც ეგრე ვსუფევთ, თქვენს ძმა დავითსაც ეგრე გასდის და იმასაც ვუფენთ... ბატონ-ყმობის გადავარდნის ხმები დადის, მოგეხსენებათ, დიდი ამბები სუფევს ყველგან და თავადები, განსაკუთრებით გვარიშვილობის შემარცხვენლები, ისე სუფევენ, რომ ორმაგს უფენენ...

დარეჯანი: ჩინ-ჯვრების პრიალს ველარ აუღივართ!

ლუარსაბი: რა დავიძალო, ჩემო რძალო, მეფურად ვცხოვრობ, სწორედ მეფურად! ზღაპრადთქმული ჩიტის რძე მე ცხადადა მაქვს.... ოღონს... მუცელს ქვემორედ ველარას ვხედავ...

ელისაბედი: შენ გაიხარე, ჩემო მაზლო და გაიხარე, ერთი ათასად!

ლუარსაბი: (*ტანჯზე გასწორდება*) მოდი თქვენი აქ, ხალხო, ჯამათო, ბოზბაშეხო და ჩინორთმეხო... (*ბერიკები ირვკლივ დასხდებიან, ლუარსაბი ხუთ თითს გაპარჯყავს*) ამას ხომ ხედავ, ჩემს გაშლილ ხელსა? რამდენი თითი მაქვს?

ხუნჯა: ცალზე, ბატონო, თუ?..

ლუარსაბი: ცალ ხელზე ვბრძანებ, აი ამაზე...

ბერიკები: (*ერთად*) ხუთი!

ქაქუცა: უსმინეთ, უსმინეთ! სამი თითის სიბრძნესა ბრძანებს!

ლუარსაბი: თანაბარია ყველა თითი, თუ?

ბერიკები: (*ერთად*) არა!

დათო: (*აგრძელებს*) ზოგი დიდია, ჩემო ბატონო, ზოგიც პატარა...

ლუარსაბი: სახელმწიფოც ასე განლაგთ აგებული, გამჩენი ღმერთის ხუთი თითით დაწესებული. ეს შუა თითი, ყველაზე დიდი...

ბერიკები: (*ერთად*) ხელმწიფე განლაგთ!

ლუარსაბი: შუა თითს გვერდით მარცხნიდან მარჯვნივ?...

ბერიკები: (*ერთად*) სალოკი თითი!

ლუარსაბი: სალოკი თითი – ნამესტნიკია ჩვენი...

მეოთხე თითი, მოკლე კოტიტი, აბა, ვინ იტყვის?...

ხუნჯა: ცერი თითია, ჩემო ბატონო, გვერდელადა დგას ხელის გულზე, არავის ჰგავს დანარჩენ თითებს, პირში შესცქერის ხელმწიფის ნაცვალს...

ბერიკები (*ერთად*): თქვენ უნდა ბრძანდებოდეთ, ნაცვლის – ნაცვალი...

ლუარსაბი: გამოიცანით... არჩევანი და არადანი ამითი მორჩეს.

ქაქუცა: ნეკი თითი, ნეკი – ყმა – გლეხი, ჩვენ, დიღო ბატონო.

ჩარუქა: სათვალავში კი არა ვყრივართ, მაგრამ სამშობლოს მანძილ
ვარგვივართ...

ავეია: ყოჩაღ, ჩარექავ, ნეკიც საქმეა, ნეკი – ყმა გლეხი, გამწვევი
ხარი... ვირი თვინიერი.

ლუარსაბი: ჰოდა, გახსოვდეთ, ნეკა-ნეკებო, ბოზბაშებო და
ჩიხირთმებო, რომ ბატონ-ყმობა და დიდ-პატარაობა არასდღებით
არ შეიცვლება!

ავეია: იყო, არის და ასევე იქნება!

ხუნჯა: ხანდახან თუკი გაგვიწყრებით, დაგვაწიოკებთ, სარჩოს
წაგვართმევთ, ეგ არაფერი, ჩვენთვისა შერებით, ჩვენი
კარგისთვის... მამა შვილს როგორ არ გაუწყრება?

ბერიკები: მამა ბრძანდებით... ჩვენ შვილები ვართ!

ლუარსაბი: მაგრამა, მამა კვლავ მამად რჩება, შვილი – შვილად!

ხუნჯა: ზოგსა ჰკონია, სარჩოს რომ გვართმევთ და შიმშილითა
გვკლავთ, თქვენთვისა სჩადით...
ჩემი – ჩემია, ბატონს რად მიაქვსო...

დარეჯანი: (*ჩაერევა*) თქვენც ხომ ჩვენი ხართ, ჩვენ კი თქვენი ვართ,
საკუთარი, ღვიძლი, ბატონი... მამა-შვილობა რომ არ იყოს, სად
გაგონილა?!

ბერიკები: (*ერთად*) არსად, ბატონო, თქვენი ჭირიძე, სხვები უბნობენ,
აბდაუბლობენ, განა თუ ჩვენა!

სხვები, სხვები, ჩვენ კი არა... (*ისძის ხმამაღალი ყროყინი ვირის*)

ლუარსაბი: იყროყინე, იყროყინე, ვიროჯან, იყროყინე!

რომ მოგშივდებო... გაჩერდები, მამა!!!

ლუარსაბი: (*ხელის თითებს ახლოს მიიტანს*) აბა ვინ მეტყვის
საბოლოოდ, ამ სამი თითით – მეფით, თავადით და მეფის
ნაცვალთ, რასა ვმოქმედებთ, ვსჩადით და რაებს გამოვსახავთ?
(*ლუარსაბი ხითხითებს, ბერიკები სღუძან დაშინებულები*).

ქაქუცა: ყველა მეფე „სამი თითის“ ხმარებას თავისებურად ახერხებდა
და ახერხებს. ზოგი რას უჩვენებს ხალხსა და ზოგიც რასა...
ზოგი თქვენნაირადა, ზონიც კი სხვანაირადა, მაგალითად, მირიან
მეფემ საქართველოში პირველმა პირველად გამოისახა და
ხალხსაც ასწავლა, ამას გვამცნობს ჩვენ „ქართლის ცხოვრება“
და ამას შემდეგ მეფე მირიანს ჩვენც ვბამავთ... ასე!!! (*პირველად
ვადაიწერს*)

ხალხო, გვწამს ღმერთი,
უქმთა წარმწყმედი,
ტვირთმიძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი.
(*ლუარსაბის კოსტიუმს იხდის ცენტრუკა და დარეჯანის –
თამთამო.*)

ტახტზე მხოლოდ მათი თოჯინებიღა რჩება).

ბერიკების I ჯგუფი: ღმერთი ტანჯულთა;
ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი.

ბერიკების II ჯგუფი: ყოველთა ძმობის,
თანასწორობის,
მოდღვრებისათვის ქვეყნად ჯვარცმული,
ძლიერთდამბმელი,
უძლურთამხსნელი.

ბერიკების III ჯგუფი: ორგულობისა,
ორპირობისა
ძირსა დამცემი და დამორგუნველი.

ბერიკების IV ჯგუფი: ფარისეველთა,
სადუკეველთა
გამკიცხველი და გამღვენელი.

ბერიკების V ჯგუფი: მან კუბოს მორთულს,
შიგ სიმყრალით სრულს,
თქვენებრი კაცი არ დაადარა!
გვიან თუ მალე,
ღლესა თუ ზვალე,
რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება,
მაგრამ კი თქვენი
მრულე საქმენი
ისევ ისევე მრულეთ დარჩება.

ქაქუცა: ვერ შეგვჭამეს, მაინც ვერ ჩაგვყლაპეს
ლუარსაბ-დარეჯანებმა... მაინც ვართ, ხალხო,
მაინც ვარსებობთ, ვცოცხლობთ... და სანთლის
შუქზე, განა მელნით, სისხლით, სისხლით ვწერთ,
ვამბობთ და ვიტყვით, შუბლ და გულდახვრეტილები.

ყველა: ჩვენისთანა ბედნიერი,
განა არის სადმე ერი?

უწყინარი, უჩინარი,
ქედღრეკილი, მაღლიერი...
რიგიანი, წესიერი,
ყოვლად მთმენი,
ვით ჯღორ-ცხენი...
ჩვენისთანა ბედნიერი,
არ არსებობს ქვეყნად ერი,
არ არსებობს ქვეყნად ერი!
არა!!!

(ბერიკების დასტა თავის ბარგ-რეკვიზიტს წაშში აკრიფავს – ქაქუცა აკეცავს ილიას პორტრეტს და დაკონკილ-დავლევჯილები, დახურულ-დაფლეთილები, შუბლ და გულ-დახვრეტილები, როგორც მოვიდნენ, ისევ ისე ტოვებენ სცენას.

– რჩება „ცა – ფირუზ – ზურმუხტი“, ევ ზოტიკური ბრჭყვიალა დეკორაცია, იატაკზე მიმოფანტული პიესის ფურცლები და ლუარსაბ-დარეჯანის თოჯინები, რომლებიც ნელ-ნელა ქანაობენ ამ სამოთხისეულ ვარემოში. „მიმი“, რომელიც ბადით პეპლებზე ნადირობს).

დ ა ს ა ს ტ უ ლ ი

**პოლიკარპე კაკაბაძე
პეტრე გრუზინსკი - ბაგრატიონი**

„ყვარყვარე თუთაბერი“

2 მოქმედებად

თეიმურაზ აბაშიძე ვერსია მუსიკალური თეატრის
წარმოდგენისთვის

კომპოზიტორი — **ნოდარ გაბუნია**

1974 წელი

მოქმედი პირნი:

1. მეწისქვილე
 2. გულთამზე
 3. სევასტი
 4. ყვავვარე თუთაბერი
 5. კაკულა
 6. ქურარა
 7. გამომძიებელი
 8. ტიტე ნატუტარი
 9. პირველი ოფიცერი
 10. მეორე ოფიცერი
 11. მესამე ოფიცერი
 12. მეოთხე ოფიცერი
 13. მეხუთე ოფიცერი
 14. მეექვსე ოფიცერი
- გუნდის და ბალეტის მსახიობები

პირველი მოქმედება

სცენაზეა გიგანტური ხმარებიდან გასული წნული ნაგვის კალათი, სადაც ჩაყრილია უვარგისი ნივთები – ძველი ფოტოები, სტატუეტების ფრაგმენტები, სიმინდის ფორჩები, ხახვის თავები, ჩატეხილი კიბე, გადავლებული სათავური, გადაყრილი მეღლები, დეკალვირებული ფული, მონეტები, „მაუზერი“, სამფენა ჯორჯო, უფეხო სავარძელი, დაფლეთილი სავაზნე, გაჩერებული საათი.

კალათი ნელ-ნელა იხსნება, მასში ჩაყრილი ხარახურა ზევით იწევს და ამ ნაგვის ფსკერზე ჩნდება თავის სალოცავ საკუთრებასთან – ნაცრის გროვასთან მოცუცქული, მარადიული არნიგმიტი ყვარყვარე და აჟღერდება მისი პირველი საპროგრამო „ზონგი“.

ჰოი, ნაცარი, თბილი ნაცარი...

და ვინც არ იცის – თუ ეს რაც არის,

იმას – ოცნებას ველარ ასწავლი...

ჩემი ცხოვრება მე აქ დავძარი

და ნაკვერჩხლიდან გავალვივე დიდი ხანძარი...

ჰოი, ნაცარი, კერიასთან თბილი ნაცარი...

ეს ოცნებაა, ეს ფიქრებია, რაღაც სხვაც არი...

ჰოი, ნაცარი, თბილი ნაცარი...

აქ იხაზება ცხოვრების გეგა, ყველა სურვილი

და განდილების დიდი წყურვილი...

ფეხი დაგიცდა, იყავ ჭკვიანი, თავს ნუ ყოფ ჭირში,

უძალ გაწექი, დადექი ჩრდილში...

დაე, დაგცინონ, რაც უნდათ გითხრან...

დღეს ნაცარს ქექავ, ხვალ მოგელის მბრძანებლის სკიპტრა

და როცა შენი საათი მოვა, შენ თავს შესძახე:

„ყვარყვარე, დროა თავი ასწიო

და ის – რაც დღემდე ნაცარში ქარგე,

საქმედ აქციო“...

და როცა ბული დადგება ნაცრის,

ხალხს რომ ღომივით საცერში გავცრი,

მაშინ მიხვდებით, თბილი ნაცარი ჩემთვის რაც არი...

მანამდე ჩემი ნატვრა-სურვილი გულის სიღრმეში დამილექია...

დაე მეძახონ – „ნაცარქექია“. *(ყვარყვარე ნაცარში რაღაცას ხატავს, მასთან მიდის მეწისქვილე. აკვირდება მის ნახატს)*

მეწისქვილე: ეს რა მოგიქარგავს ნაცარში?

ყვარყვარე: გეგმაა, ხომ გესმის, ბებერო?! დახედე აქ რა ამბებია? ეს არის რკინიგზა... აი, აქ იწყება, ასე მიდის... ა, ასე უხვევს და მიადგება ამ მალალ მთას... *(წინ დაიდგამს სამჯეხს სკამს)* ახლა აქედან გზა სად წავა, შე ძველო? აბა, თუ მიხვდები?

მეწისქვილე: *(აკვირდება)* რა ვიცი...

ყვარყვარე: აქ – გვირაბია საჭირო.

მეწისქვილე: გვირაბი?! გვირაბი რა საჭიროა?!

ყვარყვარე: მატარებელი ამოდენა მთას ხომ არ გადაახტება?

მეწისქვილე: მერე, შე კაი კაცო, მთას რად უხვედრებ წინ? ველზე გაუშვი... შენი ნება არ არის?! *(ნაცარში უჩვენებს, ნახაზს წაუშლის)*

ყვარყვარე: რა ქენი ეს?!.. მოდი და ასეთ კაცს ელაპარაკე... გესმის, რა არის გეგმა?! არ გესმის...

მეწისქვილე: რა ვიცი...

ყვარყვარე: მთავრობას ამ მთის გარშემო გაყავს გზა და იმ უხეირო ინჟინრებს ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ გვირაბი აქ გზას შეამოკლებს. აი, მე რომ ჩემს გეგმას უფროსს წარვუდგენ და მერე ლარივით რომ გავიყვან მთაში იმოდენა გვირაბს, შენ ის უნდა ნახო...

მეწისქვილე: ჩუ, ნელა ილაპარაკე...

ყვარყვარე: რატომ?!

მეწისქვილე: მანამდე ბაყაყს კბილები ამოუვა... პატარა ხიდის გაკეთება აილე იჯარით და ისეთი ბუქი დააყენე, თითქოს მთა და ბარი გქონოდა გასასწორებელი და ის ხიდი მაინც ვერ გააკეთე...

ყვარყვარე: კი გავაკეთებდი, მარა – დამეზარა, ის ოხერი პატარა საქმე ჭირივით მძულს... ტვინი წაიღო იმისმა ანგარიშებმა, თავი მომაძულა.

მეწისქვილე: ჰოდა, აი, აგერ შენი პირით გამოტყდი...

ყვარყვარე: შე უტვინო, ამას თავს ვერ გავართმევ? დახედე...

მეწისქვილე: *(ღიმილით)* ჰო, ნაცარში გვარიანად ხატავ...

ყვარყვარე: ვითომ დამცინი, არა?! დამალე მაგ ჩაქონილი კბილები... თორემ!..

მეწისქვილე: ასე რომ იწელები, ამ წისქვილის პატრონი მე ვარ თუ შენ?!

ყვარყვარე: გქონდეს, ბატონო, გქონდეს...

მეწისქვილე: ამას ვის გადავეკიდე... სამი ნაცოლევი ვარ და ამისთანა გაჭირვება არ დამდგომია... ჩემს წისქვილში მე აღარ მეცხოვრება... მართალი მითხრა ჩემმა გულთამზემ – ვინმე მაწანწალა არ შეიხიზნო წისქვილშიო... ნამდვილად გულთმისანია ის ჩემი გოგო... დღეს უნდა მოვიდეს და ვეტყვი, რაც შენგან შავ დღეში ვარ...

ყვარყვარე: რაო, დღეს უნდა მოვიდეს შენი ქალიშვილი?! მერე, მაგ რომ ახვედი, არ გაცივდე, ჩამოდი კაცო, ავად არ გახდე...

მეწისქვილე: არა, უნდა წავეიდე... გაიგოს, რა ცეცხლში ვარ.

ყვარყვარე: კაი ახლა, ჩამოდი... ოჰ, რა ბებური ძაღლია... მასპინძლო... მასპინძლო... იმ წმინდა კვირიკეს ხატს გაფიცებ, გუშინ რომ ამბობდი: „სასწაულმოქმედიო“, ჩამოდი... (კანზე) ოჰ, მოძკლა ამისმა ფერებამ...

მეწისქვილე: ჩვენი შერიგება, რაც უნდა ხატზე დამაფიცო – არ მოხერხდება.

ყვარყვარე: შენ – პირდაპირ ნაწილად დასარიგებელი კაცი ხარ... ეს ზამთარიც ხომ ილევა და რომ გამოზაფხულდება, მერე ნახე ჩემი პატივისცემა... იმისთანა განიერ მუხის ჩრდილს გიძღვნი, რომ... ზაფხულში ჩრდილს რა სჯობია... სიამ-ტკბილობით მოუქციოთ ერთმანეთს ღრანჭი... მეტი რაა ქართველი კაცის სიცოცხლე...

მეწისქვილე: მაგას არ ამბობ უჭკუოდ!

ყვარყვარე: ჰო-და, ჩამოჯექ, ერთი იმ შენი ქალიშვილის ამბავი მომიყევი.

მეწისქვილე: აბა, უპატრონო გგონივარ?

ყვარყვარე: დღეს უნდა მოვიდეს?

მეწისქვილე: როცა ბარზე მუშაობამ გამტეხა, იჯარით ეს წისქვილი ამაღებინა...

ყვარყვარე: მან გაშოვია ეს წისქვილი?! ალბათ სახეც ნახატით ექნება.

მეწისქვილე: არ ვიცი, არა – შენ და ის როგორ მორიდდებით... ერთხელაც შენი ამბავი რომ მოვუყევი, ასე მითხრა: წისქვილიდან გააგდე, იქ რომ მივალ, არ დამხვდესო!...

ყვარყვარე: „არ დამხვდესო“?! ის შენი ქალიშვილი, როგორც ვატყობ

– ხრონიჭებიანია... ცხვირიც წეროსავით ექნება... არ დამხვდეს და წავალ... (იცვამს, ვითომ აპირებს წასვლას, მეწისქვილე აჩერებს, ყვარყვარე უარზე)

მეწისქვილე: მოიცა, შე კაცო, მათქმევინე... ბოლოს – კი, ღვთისწინაშე, როდესაც ავუხსენი – „არსად ბინა არა აქვს“-მეთქი, კიდევაც შეებრალე... იყოსო“, მითხრა...

ყვარყვარე: შევებრალე?! იცის კაცის შებრალეობა?

მეწისქვილე: მაშ, რა იქნება, როცა ქალი ომში და ტყვიაში მიდის დაჭრილების მოსაველელად, ალბათ – გულმოწყალეა... (ყვარყვარეს ვახდის ჩოხას, მოხსნის ყაბალახს და იქვე მიავლებს. ორივენი ჩამოსხდებიან კერძასთან)

ყვარყვარე: კი, კი, გულმოწყალე იქნება... იმ ლამაზ სახეზე კბილები – მარგალიტით ექნება ჩაჩხრიალებული...

(წისქვილს მიაღვებიან კაკუტა და ქუჩარა)

ერთად ქუჩარა და კაკუტა: ვაი, ვაი, ვაი...

ამ თოვლში და ამ ყინვაში,
რა ქნას ჩვენისთანა ხალხმა?
სიცივისაგან გავიციინეთ,
შიმშილისაგან კუჭი გახმა...

ე, ქუჩარა, იქნებ გავთბეთ,
ცეცხლის პირას დავსხდეთ მალე...

ქუჩარა: ბიჭო, ცეცხლი რას მიშველის,

როცა შიშით მაკანკალებს?!
ლუკმისათვის – ტურებივით

დავთარეშობთ აღმა-დაღმა...
სიცივისგან დავმუნჯდი და

შიმშილისგან კუჭი გახმა...

ერთად ქუჩარა და კაკუტა: ვაი, ვაი, ვაი, ვუი,

წინ ცეცხლი და უკან ჭირი...

ვის ჰქონია ქვეყანაზე

ჩვენისთანა გასაჭირი... (ჰგეერ)

მეწისქვილე: ეს ღვთის-გლახები, საიდან გაჩნდნენ? (კაკუტა და ქუჩარა შემოდის წისქვილში).

ყვარყვარე: გამარჯობა მაინც გვითხარით, თქვე მათხოვრებო. სად დაწანწალებდით ამდენხანს? შემოდით...

კაკუტა: იჯარით ჩვენ ვთხრიდით სანგრებს,
ვთხრიდით: ბარით, ხელით, ნიჩბით...

ქუნარა: მერე – იცით სადა ვთხრიდით?
ფრონტის ხაზზე, საზღვარს იქით...

კაკუტა: ხეებს თხრიდა თათრის ტყვია,

ქუნარა: ჩვენმა ჯარმა – დაიხია...

ერთად: ჩვენს მოუსვით მთელი ძალით,
უკან დაგვრჩა ჩვენი ჯარი...

ყვარყვარე: გამოქცეულან... დეზერტირები...

კაკუტა: ბედზე ეს რომ არ გვეშოვა,

ქვას დაწვაგდა ჩვენი ცოდვა... (*ნაქურდალს აჩვენებს*)

ქუნარა: ყვარყვარემ არ დაინახოს,
ჩუმად, ბიჭო, რეებს ბოდავ?!

ყვარყვარე: რა იშოვეთ?

ქუნარა: არაფერი... (*კაკუტას*) დამალე... (*ყვარყვარეს*) არაფერი...
აგერ, სადღაც... ერთ მკვდარს წავაწყდით და...

ყვარყვარე: მკვდარს წავაწყდით?! მკვდრები კიდევ მკვდარს
წავაწყდით?

ქუნარა: (*სიცილით*) საქმეც ისაა, რომ მკვდარი იყო და იმიტომ
გავცარცვეთ, თორემ ცოცხალი რას გაგატანს...

მეწისჭილე: მკვდარი გაცარცვეთ?! ღმერთო, შენ შემეწიე... როგორ
გაფუჭდა ხალხი...

ყვარყვარე: (*შეცურად*) რაო, მკვდარი გაცარცვეთ?!

კაკუტა: ჩვენი რჯულის არ იყო და...

ქუნარა: თათარი იყო, თათარი გავცარცვეთ.

ყვარყვარე: მკვდარი თათარი სად ნახეთ – თქვე ბრმებო?

ქუნარა: იმ სანგრებიდან რომ გამოვიქცეთ, აურზაურში მხარი
გვეცვალა და სხვა ხეში მოვხვდით... მერე ვხედავთ, აგერ – ჩვენ
წინ თათარია გამოტილი... ერთ გულზე – კიდევ შეგვემინდა,
მაგრამ ვხედავთ მკვდარია და ძვირფასად აცვია... მერე...

ყვარყვარე: მერე, მერე...

ქუნარა: მერე, კაკუტამ ვერ მოითმინა და... (*აჩვენებს ხალათზე*)

კაკუტა: ქუნარამაც ვეღარ მოითმინა და... (*აჩვენებს ქულზე*)

მეწისჭილე: დედა, დედა, როგორ გაფუჭდა ქვეყანა...

ქუნარა: რა მოხდა, რა?! ცოცხალი კაცის მოკვლისთვის – ჯვარს
აძლევენ და ჩვენ...

კაკუტა: მკვლარი იყო, მკვლარი. (*ბილის ყვარყვარესთან*)

ყვარყვარე: არ მომეკაროთ, თქვე უწმინდურებო... გადით, გადით აქედან... (*ართმევს ნაქურდალს*) ერთი ვნახო, რა აგილღეტიათ... (*ათვალიერებს*)

ქურარა: ოხ, ოხ... რა თვალ-სანახავია...

ყვარყვარე: ვისაც ვაჭრობის შნო აქვს – კი გაყიდის... ამას მე გაყვიდი, თქვენ მაინც ტყუილად დაკარგავთ.

ქურარა: (*ხელს სტაკებს*) ხელი გაუშვი!

ყვარყვარე: დამანებეთ, თორემ... თუ სისხლი ამიგარდა თავში, ხომ იცით, რას ვიზამ? ტყავს გაგხდით და ნიორ-წყალში გაავლებთ.

კაკუტა: შენით მოგვეცი – გირჩევნია...

ქურარა: სულერთია, არ დაგანებებთ... (*აქეთ-იქეთ ეწვეიან*)

ყვარყვარე: სოფელში რომ ცალი ხელით ხე მოვთხარე, აღარ გახსოვთ?!

კ. და ქ.: არა... არა...

ყვარყვარე: ბულა ხარი დავგლიჯე ასე – ხელით ასო-ასო, ეს ხომ გახსოვთ?!

კ. და ქ.: როდის ვნახეთ?!

ყვარყვარე: არ ნახეთ და ამ ნაქურდალს ახლა თავზე გადაგახვეთ...

კ. და ქ.: ბატონო, ბატონო, ბატონო ყვარყვარე, შენ გენაცვალე,

მოგვეცი, გეთაყვა, სულ ხელით გატარებთ, შენი ჭირიმე.

ბატონო, ბატონო, ბატონო, ბატონო, ბატონო...

ბატონო, ბატონო, ბატონო, ბატონო, ბატონო...

ბატონო ყვარყვარე, ბატონო ყვარყვარე,

გვახსოვს, რომ ხეები ფესვებით დათხარე...

ბატონო ყვარყვარე, ბატონო ყვარყვარე,

ლოდები კენჭებად გზებზე რომ დაყარე...

ბატონო ყვარყვარე, ბატონო ყვარყვარე,

გმირ ამირანის ძალ-ღონის პატრონო...

ბატონო, ბატონო, ბატონო, ბატონო, ბატონო...

ბატონო, ბატონო, ბატონო, ბატონო, ბატონო...

(*ყვარყვარე გამოვლიჯავს წამოსასხამს*).

მეწისქვილე: (*ყვარყვარეს*) დაუბრუნე, კაცო... მათი ნაცოდვილევი რად გინდა, მთელ ქვეყანაში გაგლანძღავენ, თავს მოგჭრიან.

ყვარყვარე: არა, მე – რასაკვირველია – ქონებას სახელი მირჩევნია, მარა...

კაკუტა: დაშოშმინდი?!

ყვარყვარე: გული არ მომაყვანინოთ, არ გამაბრაზოთ, თორემ – ფეხებში რომ მოგკიდებთ ხელს, თავებით მიგაწვევტო ამ წისქვილის ქვაზე... ზომ იცით, მე იმნაირ ხასიათისა ვარ, რომ ხანდახან კაცი თუ არ მოგკალი – ავად ვვხდები!

კაკუტა: ახლა მოგვეცი ბარემ. (*მიიწევს თავისკენ, ყვარყვარე თავისკენ იწევა. მეორდება რამოდენიმეჯერ*).

ყვარყვარე: ჯერ შეშა დამიჩეხეთ და...

კაკუტა: (*ქუჩარას*) დავჩეხოთ...

ყვარყვარე: აი, იქ – შემოსასვლელში რომ ბოძია, დაჭერით და შემოიტანეთ.

კაკუტა: სულ მარილივით დავფშვნიოთ...

ყვარყვარე: ამ საწყალი მოხუცის ხათრით გუებნებით...

ქუჩარა: (*გაიხედავს*) იმოდენა ძელი?!

კაკუტა: ეგ რაა... კიდევ ათი რო იყოს – კი... (გადიან)

ყვარყვარე: (*სიცილით*) მაგათ ჰგონიათ, ერთი ბოძის დაჩეხისათვის დაუებრუნებ ამ ტანისამოსს.

მეწისქვილე: როგორ, კიდევ პირს იტენ?!

ყვარყვარე: სულ ვაძუშავებ და მომეშვებია, აბა, რას იზამენ?!

მეწისქვილე: (*გაოცებული*) იმე...

ყვარყვარე: რა მაგ სიტყვის პასუხია და აღარ მოდის?

მეწისქვილე: ვინ?

ყვარყვარე: შენი ნაქები ქალიშვილი... ის... გულმოწყალე?

მეწისქვილე: გულთამზე?

ყვარყვარე: უჰ, რა დაგირქმევია?!

მეწისქვილე: ცუდად დამირქმევია? რას იტყვი?

ყვარყვარე: თამარ მეფეს რომ ეკადრება – ისეთი სახელია... ქალისათვის – პირველი სახელია... (*ღღინით მიდის კერძასთან*).

მეწისქვილე: ეს რაღა მოგიქარავს?

ყვარყვარე: სასახლე... გალაფანი... ბალები... ვერ ხედავ?! აი, აქ შეხედე, აქ სულ კიბებია...

მეწისქვილე: სად?

ყვარყვარე: ეს მარმარილოს კიბებია... აქედან შემობრძანდება შენი ქალიშვილი... აქ, ამ განიერ დარბაზში – გვრიტივით შემოგოგმანდება და აქ – ნესვივით გაგორდება...

მეწისქვილე: სად, ამ ნაცარში?!

ყვარყვარე: ნაცარში – კი არა... ეს ჩემი სასახლეა.

მეწისქვილე: ეს?!

ყვარყვარე: რომ ვერ გავაგებინე ამ კაცს – რა არის „გეგმა“...
შენ იცი, რა არის გეგმა?

მეწისქვილე: მე – რაც გლახ-კაცს შეეფერება – ყველაფერი
ვიცი!

ყვარყვარე: იცი შენ, რა არის „კაპიტალისტი“?

მეწისქვილე: რა უნდა იყოს? ვსთქვათ...

ყვარყვარე: კაპიტალისტი – ფულია... იცი – რა არის
„სოციალისტი“?

მეწისქვილე: ჰო, რა არის?

ყვარყვარე: ბებერო, შენ აწი ხომ მალე დაგელევა სიცოცხლე...
აბა, რა, წელსაც ვერ აბრუნებ!

მეწისქვილე: ეს ასეა, რას იზამ...

ყვარყვარე: სოციალისტები ამბობენ, რომ – საიქიოს ვერ ნახავთ...

მეწისქვილე: რატომ ვერ ვნახავ?!

ყვარყვარე: რატომ?! შენ იცი, ღმერთი რომ არ არის?!

(ვარედან ისმის გასროლა).

ყვარყვარე: რაა ეს?! *(შეშინებულია).*

მეწისქვილე: პირჯვარი მაინც გადაიწერე, შე წაწყმედილო, რისხვა
არ იყოს. *(შეძოკვივდებიან შეშინებული კაკუტა და ქუჩარა).*

ყვარყვარე: რა ამბავია, ბიჭებო?

ქუჩარა: ვითომ თათრის ჯარი შემოიჭრა, ისეთი ბრძოლაა...

კაკუტა: აგერ – ქალი და კაცი აქეთ მორბიან.

ქუჩარა: *(კაკუტას)* ჩვენც მოუსვათ, რაღას ვუცდით?! *(ვარბიან).*

მეწისქვილე: თავს უშველეთ... *(მიყვება კაკუტას და ქუჩარას).*

ყვარყვარე: *(დარბის, გადაიფიქრებს)* გარეთ ტყვია რომ მომხვდეს?!
ფეხის ხმა მესმის... *(შენიშნავს თათრის ტანსაცმელს, აიღებს)*
ეს ხომ მიშველის ახლა. *(სწრაფად იცვამს).* ახლა, თათარი
– თათარს ხომ არ მოკლავს?! *(დაფიქრდება).* მათი ენა რომ
არ ვიცი?! აა, მუნჯი ვარ, ვითომ მუნჯი ვარ... მუნჯური ხომ
ყველა ენაზე ერთნაირია. *(ფეხის ხმა).* მოდიან, მოდიან. ახლა
რომ არ მომკლან, სწორედ ძაღლის ბეღია საჭირო... *(იმკვება).*
შემოდიან სევასტი და გულთამზე).

სევასტი: ჩაიარეს, სხვა კვალმა გაიტყუა...

გულთამზე: დაჭრილი არა ხარ?

სევასტი: არა!

გულთამზე: პროკლამაციები მომეცი, ცეცხლში ჩავეყრი...
სევასტი: არ დამრჩა!

სევასტი: არ დამრჩა!

გულთამზე: *(ძიძიოხედავს)* ნეტა სად გაქრა მამაჩემი, რა მოუვიდა?!
(შენიშნავს ტანსაცმელს, რომელიც ყვარყვარემ გაიხადა).
სევასტი, აი, გადასაცმელი...

სევასტი: ისეთია, ჩემს გაჭირვებას რომ მოუხდება...

გულთამზე: ბედს ვუმაღლოთ თუ გადავრჩით... სამხედრო ფორმის მითვისება და ჯარში პროპაგანდა... რომ დაგვეწოდნენ, ხომ დავიღუპებოდით.

სევასტი: ზოგჯერ გმირობაც ესაა – არ ფიქრობ, რა მოგელის...

გულთამზე: აწი – მაინც ვერ გაიჭაჭანებ ამ არემარეში.

სევასტი: ფრონტი დიდია, სადაც წავალ, ყველგან ვიპოვი თანაგრძნობას.

გულთამზე: მერე მე?! მე რომ აქა ვარ სამსახურით დაბმული?

სევასტი: მერე რა მოხდა?! ჩვენ ისეთი გზა ავირჩიეთ, ყოველ ნაბიჯზე გველოდება რაიმე ხიფათი, ამიტომ უნდა შევეჩვიოთ განსაცდელს და მუდამ გულგრილად შევხვდეთ... ეჰე, გამოჩნდნენ!

გულთამზე: ისევ აქ ტრიალებენ!

სევასტი: ეს წისქვილი საიმედო არ არის.

გულთამზე: მაშ?

სევასტი: სადმე ბუჩქებში შევძვრები და მერე, როდესაც დალამდება, გავიპარები.

გულთამზე: მერე მე?! მე სად შეგეყარო?

სევასტი: შეგატყობინებ... ახლა უნდა დაგემშვიდობო.

გულთამზე: სევასტი! *(გადაეხვევიან ერთმანეთს. ყვარყვარე გამოდის საფარიდან).*

ყვარყვარე: რა ამბავია, რას შვრებით, რა ხვევნა-კოცნაა ეს?!

სევასტი: აქ ოსმალო საიდან გაჩნდა?

გულთამზე: არ ვიცი...

ყვარყვარე: აქეთკენ თათრები არ გადმოჭრილან?

სევასტი: არა.

ყვარყვარე: *(იძათ)* მაშ, რა იყო, ასე გულის გასახეთქად რომ შემოვარდით? ოოჰ, რა ოფოფივით ქალია...

სევასტი: უკაცრავათ, ბატონო... ბოდიში...

ყვარყვარე: *(ვანზე)* „უკაცრავადო“?! „ბატონო“! ცხოვრება მე ასე გამივია: კაცს კბილი უნდა გაუსინჯო, თუ ირყევა – მოთხარო, მაგრამ თუ მაგრადაა – მოასწარი გაქცევა, რომ არ გაგქელოს... *(სევასტი)* ბოდიშს იხდი?! აქ საალერსოდ რომ შემოხიზნულხარ, რა წესია?! წყალი კი არა მაქვს ამ ძარღვებში, მეც ვაჟკაცის სისხლი მიდულს, სულ არ მერიდებით მამაკაცს?!

სევასტი: დამშვიდდით, დამშვიდდით, ბატონო...

ყვარყვარე: შენ მოდი აქ... *(გულთამზე)*. შენ მანდ გაჩერდი... *(სევასტი)*. ეს ოფოფი ვინ არის?

სევასტი: ეს გახლავთ ამ მეწისქვილის ქალიშვილი.

ყვარყვარე: უი, გულთამზე?! *(ძიწვეს მისკენ)*.

სევასტი: მოიცათ, თქვენ ვინ ბრძანდებით?

ყვარყვარე: *(გულთამზე)* შენ ამის ცოლი ხომ არა ხარ?

გულთამზე: არა.

ყვარყვარე: მაშ, რა იყო, ამან რომ გულში მივიხუტა?!

სევასტი: *(გაბრაზდება)* რა თქვენი საქმეა?!

ყვარყვარე: დედა, დედა, რა ქალს აფუჭებს...

გულთამზე: ძალიან როშავ, ვილაცა ხარ...

ყვარყვარე: შენ გაჩუმდი შენთვის... *(სევასტი)* შენ ახლა ჩემთან გეჩნება საქმე და თუ ვაჟკაცი ხარ – დამიმაგრდი...

სევასტი: არ გაბელო, თორემ ცუდ პასუხს გაგცემ... *(გულთამზე ცდილობს გააშველოს, სევასტი გაჰყავს ვანზე)*.

ყვარყვარე: ეს კაცი ახლა ნამდვილად შემომაკვდება... არა, ცოცხალს რავა გავუშვებ... *(გულთამზე ახლა მას აჩერებს)*.

გულთამზე: რა ამვებული ნადირია... წავიდეთ აქედან, გავცალკოთ მას... *(ყვარყვარე მიდის სევასტისთან. სევასტი ამოღებულ რევოლვერს დაახვედრებს. ყვარყვარე შეჩერდება)*.

ყვარყვარე: ოჰ, გასწი იქით, არ გავარდეს... შე კაცო, ხელმწიფეები შერიგებულან და ჩვენ რა... არა, ღონე – კი მაქვს, მაგრამ შენისთანა პატიოსან კაცს თითი როგორ დავაკარო... კაცს ხელი როგორ შემოგარტყა, სინდისი გობქვეშ კი არ შემინახავს...

სევასტი: უტიფარია, ვილაცა... *(ინახავს რევოლვერს)*.

გულთამზე: *(სევასტი)* ეს კაცი ალბათ ის არის, მამაჩემმა რომ მითხრა, *(ყვარყვარეს)* შენ ვინა ხარ?

ყვარყვარე: *(ამყად)* ყვარყვარე თუთაბერი!

გულთამზე: ყვარყვარე თუთაბერი?! *(იციზიან. ისმის თოფის ხმა. გულთამზე და სევასტი კარს მივარდებიან. მიაყურებენ)*.

სევასტი: ისევ აქ ტრიალებენ...

გულთამზე: ხომ ხედავ – როგორ დაგეძებენ...

ყვარყვარე: (განზე) მგონი ვიდაცას ემალებიან... ერთი გავიხედო...
(მიდის კართან. სევასტი აჩერებს).

სევასტი: აქეთ! (ყვარყვარე უკან გამობრუნდება).

ყვარყვარე: (განზე) ნეტა რისი მომქმედია... ააა, ალბათ მთავრობას ემალება... უი, სოციალისტი ხომ არ არის?! (სევასტის) მე სოციალისტები მიყვარს. ისინი რომ ქადაგებენ – სწორედ ჩემი საქმეა, რომელ სახლშიც გინდა შედი და მოიკალათე, მაგრად მოიკიდე ფეხი... სვი – ჭამე, სულ მუქთი იქნება... მე რომ მკითხონ, სოციალისტების სურათებს – ეკლესიებში დაკვიდები... სულ წმინდანების ვეალობენ ხალხისთვის... მეც ხალხისათვის ვწვალობ ამ ქვეყანაზე და ჩემი არ იყოს – შენც სოციალისტი ხარ? (ისევ სროლის ხმები).

გულთამზე: აქეთ მოდიან... რა ვქნათ?! კარს მიაღდგენ...

სევასტი: მაშ, როგორც ჩანს, ვერ გავძვრები... (კარს ურტყამენ).

ყვარყვარე: (განარებული) გაება... გაება! (შემოდის ოფიცრები და ჯარისკაცები. სევასტი ყაბალახს იხვევს და განზე გადაგება. ოფიცრები შეაძწევენ ყვარყვარეს, რომელიც ნელა ჩამოდის ღიღინით და მიუჯდება კერას).

1 ოფიცერი: (მხორე ოფიცერს) ხედავ?!

2 ოფიცერი: (ყვარყვარეს) თქვენ დატუსაღებული ხართ!

ყვარყვარე: (გაოცებული) მეე?!

1 ოფიცერი: ღიას, თქვენ... (ჩაბერავს სასტკვენს).

გულთამზე: ვერ გამიგია – ვის ეძებთ?!

3 ოფიცერი: (ყვარყვარეზე) განა ეს ოსმალოა?

გულთამზე: არა, ბატონო... ეს ერთი საწყალი ნაცარქექიაა, მხოლოდ გადაცმულია, ბატონო...

2 ოფიცერი: (პირველ ოფიცერს) აი, ეს ქალიც ადასტურებს, რომ გადაცმულია... (პირველი ოფიცერი წამოაყენებს ყვარყვარეს).

1 ოფიცერი: ეს არის ფარულად მომუშავე რევოლუციონერი, ოთხი თვეა, რაც შტაბის საიდუმლო განყოფილება ეძებს, მაგრამ ისე ცოდნია გადაცმა ამ მამამალს, რომ ეშმაკს თვალს დაუყენებს...

ყვარყვარე: არ დამყუპოთ, თქვენი ჭირიმე...

სევასტი: რას ლაპარაკობთ?! ღმერთმა დასწყევლოს, თუ ეს ავი კაცია... სინდისის მაინც არ რცხვენია?!

ყვარყვარე: უი, ძლივს არ მივხვდი?! ბატონო ოფიცერო, თქვენ რომ ეძებთ – ის კაცი...

2 ოფიცერი: *(ეძუწრება რევოლვერით)* ხმა გაკმინდე!

ყვარყვარე: ეს რა შავი დღის გადარეულები მომადგენენ?!

1 ოფიცერი: აიბარგე!

გულთამზე: *(ყვარყვარეს მუდართი)* წადი, გაყევი... *(ეაღერსება)*

ყვარყვარე: არა, არა... *(ოფიცერებს)* ვისაც თქვენ ეძებთ...

გულთამზე: *(ყვარყვარეს ეხვევა, კოცნის)* გემუდარები, წაყევი.

სივასტა: *(აღშფოთებული)* კმარა! ამ დამცირებას – სიკვდილი მიჩვენია... *(მოაცილებს გულთამზეს ყვარყვარეს).*

გულთამზე: გიჟო, სახრჩობელა არ ავცდება...

ყვარყვარე: ეჰ რა ქალია... ცეცხლივით არ შემომნთო... ახლა ისეთი რამ უნდა მოვიგონო, რომ მისი თეთრი პერანგი ხელში გადავიფრიალო... გათავდა, ყვარყვარე, შენთვის თბილი ნაცრის ქექვა... ერთხელ დაბადებულხარ და ერთხელვე უნდა მოკვდე... *(ზემოდან სცენაზე ეშვება რკინის ვალია. ყვარყვარე შეშინდება).* ჭკუით, ყვარყვარე თუთაბერო... მართალია, ერთხელ დაიბადე... მაგრამ მეორედ კი არ დაიბადები, *(ოფიცერებს)* ბატონო ოფიცერებო, თქვენ რომ ეძებთ...

გულთამზე: *(ყვარყვარე გაყავს განზე)* იცი, შენ რა მოგივა, ეს რომ გასცე?!

ყვარყვარე: კი... ხანვს გადამაჭრიან.

გულთამზე: რევოლუციონერები დაგხვრეტენ, ეს არ იცი? ჯაშუშად მოგნათლავენ და იმ დღესვე ტყვიით გაგაცივებენ...

ყვარყვარე: მართლა მომკლავენ ეს უღმერთოები... ამას რა ჭირს გადავეყარე.

გულთამზე: ახლა გაყევი, ხმა არ დასძრა... იქ კი თქვი შენი ვინაობა და გავიშვებენ. რა გიჭირს, უდანაშაულო კაცი ხარ.

ყვარყვარე: იცოდე, თბილი ბუმბული დამახვედრე... მე მაგის ტყავის გადასარჩინად რა თავს ვიტკიებ, ფენს ტყუილად არ დავისველებ, განედე ერთი – რა თოვლ-ჭყაბია...

გულთამზე: ყელამდე პატივში იქნები – როცა მოხვალ.

ყვარყვარე: კიდევაც შევიშნობ... თქვენი ამბავი რომ ვიცი, *(ბუკს მოკუძვებს)* სულ ასე მეყოლებით გამოჭერილი ამის შემდეგ და ერთმანეთს არ მიგაკარებთ...

1 ოფიცერი: *(მოუთითებს ვალიაზე)* გ თ ხ ო ვ თ!

2 და 3 ოფიცერი: გ თ ხ ო ვ თ!

ყვარყვარი: არ მომკლათ, მართალი კაცი ვარ... *(შეავდებენ ვალიაში და კარს გადაუკეტავენ)*.

2 ოფიცერი: დიდება მეფის უძლეველ ჯარებს,
დიდება მეფის მამაც სარდლობას...
ასე საშიში მტრის შეპყრობისთვის,
თვითონ ხელმწიფე გვეტყვის მადლობას...

ყველა: ფრთხილად, ფრთხილად, არ გაიქცეს,
ეს ბორკლისაც გაგლეჯს ხელით...
ასი კაცი მიუჩინეთ
ხიშტებით და ტყვიამფრქვევით...

დიახ, ჩვენა ვართ ნიკოლოზ მეფის
ძლევაძმოსილი მამაცი ჯარი...
ხვალე – ასეთი გმირობისათვის,
ყველას გვექნება გიორგის ჯვარი...

ფრთხილად, ფრთხილად, არ გაიქცეს,
ეს ბორკლისაც გაგლეჯს ხელით...
ასი კაცი მიუჩინეთ
ხიშტებით და ტყვიამფრქვევით...

ამ სიმამაცეს დაგვიფასებენ,
ვინ დაგვიკარგავს ამ თავდადებას...
სულყველა – „ბუნტი“ – ჩვენს სამეფოში,
ამით იწყება, ამით თავდება...

ფრთხილად, ფრთხილად, არ გაიქცეს,
ეს ბორკილსაც გაგლეჯს ხელით...
ასი კაცი მიუჩინეთ
ხიშტებით და ტყვიამფრქვევით...

(გააქვს რკინის ვალია, მათ გაყვებიან ოფიცერები, გულთამზე და სევასტი)

– ყველა დროებითი მთავრობის წევრი და მომავალი მთავრობების კანდიდატები უმდერიან მეფე-მბრძანებელს. –

ერთად: ღმერთო, გვიცოცხლე მრავალჟამიერ

ჩვენი მეფე და მბრძანებელი,
ცოცხლებს არასდროს ჩვენ არ მოგვაკლდეს
მისი მოწყალე მზრუნველი ხელი...

გვიცოცხლე ბატონი, ჩვენი ბატონი,
ჩვენი მროზგავი, ჩვენი პატრონი,
ამაღლებული და ღმერთის ტოლი,
ყოველის შემძლე იმპერატორი...

მერე რაა, რომ ხანდახან გვროზგავს,
ასე დაწესდა დასაბამიდან...

3 ოფიცერი: მოყავთ... მოყავთ (*შემოყავთ გალიაში ჩამწყვდეული ყვარყვარე, მას მოსდევენ ოფიცრები*).

დიდება მეფის უძლეველ ჯარებს,
დიდება მეფის მამაც სარდლობას...
ასე საშიში მტრის შეპყრობისთვის
თვითონ ხელმწიფე გვეტყვის მადლობას...

ფრთხილად, ფრთხილად, არ გაიქცეს,
ეს ბორკილსაც გაგლვჯს ხელით...
ასი კაცი მიუჩინეთ
ხიშტებით და ტყვიამფრქვევით...

– (*გამომძიებელი მადლობას უხდის ხელის ჩამორთმევით პირველ და მეორე ოფიცერს. ყველა შემოესევს გალიას. გამომძიებელი მათ მოაცილებს, თვითონ მიდის ყვარყვარესთან*). –

გამომძიებელი: თავს ძალიან ისაწყლებ, მაგრამ შენს სახეზე მაინც ვკითხულობ, რომ სახელმწიფო დანაშაულის ჩადენა შეგიძლია.

ყვარყვარე: ბატონო, რას ბრძანებთ? სულ ტყუილა ამაგდეს კერიიდან...

გამომძიებელი: როდის დაიწყე მუშაობა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ?

ყვარყვარე: მე?! მე ვინ გგონივართ, ბატონო, დამაკვირდით... ხელმწიფის ერთგულ კაცს მაგას მეუბნებით?! მე ისეთი სუფთა

ვარ, ისეთი წმინდა, რომ – როცა ეკლესიაში შევდივარ – ზოგი ხატი – წმინდანი აქეთ ასწრებს ჩემს კოცნას...

გამომძიებელი: კმარა! იცოდე, რამდენ მეტ დანაშაულს აღიარებ, იმდენად შევიძუებუქდება სასჯელი... ჩამოხრჩობა – დახვრეტით შეგეცვლება... ესეც საქმეა...

ყვარყვარე: ვაი ამ შავ დღეს!

გამომძიებელი: აბა, დამისახელე შენი თანამოსაქმენი... დაიწყე...

ყვარყვარე: ვინ თანამოსაქმენი?!

გამომძიებელი: ჩქარა...

ყვარყვარე: აქეთ რომ მოვყავდით, ორ მეზობელს მოვკარი თვალი... ისინი გეტყვიან, ვინცა ვარ მე...

გამომძიებელი: გვარები მათი, სახელები... ჩქარა!

ყვარყვარე: კაკუტა და ქუჩარა!!!

გამომძიებელი: აბა, გამოდი... *(უღებს კარს)*.

ყვარყვარე: არა, ვერ გამოვალ...

გამომძიებელი: გამოდი-მეთქი!

ყვარყვარე: არა, არა... ვერ გამოვალ...

გამომძიებელი: რატომ?

ყვარყვარე: ისე მიყურებთ, რომ სულ მაკანკალებს... ვაი, ეს რა მღულარეში ვტუცე ხელი...

გამომძიებელი: *(ოფიცერს)* გამოათრიეთ... *(ორი ოფიცერი შევარდება კალიაში, ყვარყვარეს წაართყამენ. ის ეცემა. შემოდის პირველი ოფიცერი ხელში დეპეშით)*.

1 ოფიცერი: რევოლუცია... დეპეშა... მოდიო! *(აჩვენებს დეპეშას)*

გამომძიებელი: *(ართმევს, კითხულობს)* მეფე გადადგა... მეფე გადადგა... და უმაღლესი ხელისუფლება – სათათბიროა და კომიტეტი...

ტიტე: *(ართმევს დეპეშას, კითხულობს)*

ჩამოყალიბდა მუშათა საბჭო... *(აცინის)*

კავკასიაში რწმუნებული – ემისარია...

გამომძიებელი: ნეტა ვიცოდე – რა გიხარია?!

ტიტე: მე – როგორც სტუდენტმა – უნდა გითხრათ:

დიახ, ეს გახლავთ – რევოლუცია...

3 ოფიცერი: რევოლუცია!

გამომძიებელი: რევოლუცია!

ოფიცრები: რევოლუცია!

ტიტე: რევოლუცია – ძველს ანადგურებს,
მშრომელებს აძლევს ძალა-უფლებას.
რევოლუცია ისტორიაში,
სულ სხვა ფურცლები გადიფურცლება...
ამიტომ... *(ყველა შემინებული ძღერის)*

ყველა: ვაი, ვაი, ვაი, ვაი!
მეფეც იყო, ტახტიც იყო,
მაგრამ უცებ ყველაფერი –
ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო...
ვაი, ვაი, ვაი, ვაი!
დიდებულო ჩვენო მეფეც,
ასე როგორ დაგაფეთეს,
უარყავი ოქროს კვერთხი
და ტახტიდან ჩამოხვედი
გასახმობი შენი ფეხით...
ვაი... ვაი... ვაი...
მეფეც იყო, ტახტიც იყო,
მაგრამ – თურმე ყველაფერი,

(3-ჯერ)

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო...

ვაი... ვაი... ვაი...

– *(ხანგრძლივი პაუზა. გამომძიებელი მოწიწებით მიდის ყვარყვარესთან).* –

გამომძიებელი: ბატონო რევოლუციონერო... ბატონო რევოლუციონერო! *(ყვარყვარე დამხობილი წვეს უძრავად)* ბატონო რევოლუციონერო... *(ტიტე ანიშნებს – შივ შედი მასთანო – გამომძიებელიც ვალიაში შედის).* ბატონო რევოლუციონერო, თქვენ – ალბათ ძალიან დიდხანია მუშაობთ ხალხის საკეთილდღეოდ – მეფის მთავრობის წინააღმდეგ... *(ყვარყვარე შემინებული წამოხტება).*

ყვარყვარე: ბატონო, არ დამღუპოთ! სხვისი ცოლო არ წამცხოთ...

გამომძიებელი: თქვენ – სპეტაკი რევოლუციონერი ხართ...

ყვარყვარე: რას ბრძანებთ, ჩემისთანა მართალი ხეც არ იზრდება ტყეში, კაცს უხეშად კურდღელიც კი არ გამიტყავებია... ტყუილად ღადარში არ გამხვითო...

გამომძიებელი: ნუ, ნუ ღელავთ, დაწყნარდით... *(ოფიცრებს)* გადიო

აქედან, რა საჭიროა თოფიანი ყარაული?! ადამიანია – მხეცი ხომ არ არის?! (ოფიცრები გაშორდებიან გალიას) მიიღეთ ჩემთან აღიარება – რომ მე – ყოველთვის, ყოველთვის სულისა და გულის სიღრმეში დემოკრატი ვიყავი და როდესაც მეფე უმოწყალოდ სჯიდა რევოლუციონერებს – მე მწარე გულით ვტიროდი, მაგრამ ისეთი დრო იყო, რომ ცრემლს ვერ გამოვაჩენდი.

უანდარბები: (ერთად) ყოველთვის, ყოველთვის სულისა და გულის სიღრმეში დემოკრატები ვიყავით და როდესაც მეფე რევოლუციონერებს სჯიდა – ვტიროდით, ცხარე ცრემლით ვტიროდით, ვტიროდით, მაგრამ რა გვექნა?! რა?! ისეთი დრო იყო, რომ...

ყვარყვარე: მეფის მოღალატე, ბატონო, მე ყოველთვის მძულდა... ტყუილად რატომ მცდით?

გამომძიებელი: თქვენ – მუდამ თავდადებული ყოფილხართ ხალხისთვის, ყოველთვის!

ყვარყვარე: ბატონო, რატომ მჭრით ამ ყელს?

ყველა: თქვენი მოღვაწეობა იმ არმიაში – ჩვენ კარგად ვიცით...

ყვარყვარე: მე არ ვარ ის კაცი... გაიგონეთ...

გამომძიებელი: ის არ ხართ?! (იციანის, ყველა აყვება)

ყველა: ის არ არის! ის არ არის!

ყვარყვარე: მაღლობა ღმერთს, გაიგონეთ... მე ის კაცი არა ვარ, არა...

გამომძიებელი: (გამოყავს გალიიდან. ყველა მას ტაშს უკრავს) შენი ჭირიმე, შენი... რა კეთილშობილებაა!

ყვარყვარე: მაშ, არაფერს არ დამიჯერებთ, არა?! მახრჩობთ მართალ კაცს?!

გამომძიებელი: როგორ გეკადრებათ, მე კაცს ჩამოვანრჩობ?! ადამიანი ხომ – ბუნების გვირგვინია.

ყვარყვარე: მერე – მე კატად მთვლით?

გამომძიებელი: ოო, თქვენ ვერ ხედავთ თქვენს სიმაღლეს... თქვენ არ იცით, სად მიგიყვანათ თქვენმა წმინდა ცხოვრებამ, სად, სად!

ყვარყვარე: სად?!

გამომძიებელი: ჩვენ მოვსულვართ თქვენთან იმ მტრედის მსგავსად, რომელმაც ნოეს კილობანში – მშვიდობის ამბავი მოიტანა... ოლონდ – ნუ დაივიწყებთ ჩვენს მტრედობას და გვაფარეთ კალთა თქვენს სასუფეველში...

ყველა: ნუ დაივიწყებთ... გვაფართ კალთა სასუფეველში!!!

ყვარყვარე: „სასუფეველშიო“... მანჩობენ...

გამომძიებელი: მე თქვენ განარებთ ისეთ ამბავს, ისეთ ბედნიერებას, რომელზეც თქვენ ოცნებობდით... მოემზადეთ დიდი სინარულისთვის...

ყვარყვარე: *(ვაოგნებული)* მზადა ვარ...

გამომძიებელი: რეკოლუცია მოხდა... მეფე ტახტიდან გადადგა... დღეს ახალი მთავრობაა... *(ყვარყვარეს არ ესმის, თავისთვის რაღაცაც მოსთქვამს)*

ყველა: რეკოლუცია მოხდა... დღეს ახალი მთავრობაა...

ტიტე: *(შედეგა მაღლობზე. ხმაძლლა)* მე, როგორც სტუდენტმა, უნდა გითხრათ, რომ – რეკოლუცია მოხდა... მეფე ტახტიდან გადადგა... დღეს ახალი მთავრობაა... *(ყველა იმეორებს მის ბოლო სიტყვას)*

გამომძიებელი: დიას, რეკოლუცია მოხდა!

ყველა: მეფე ტახტიდან გადადგა, დღეს ახალი მთავრობაა...

ყვარყვარე: *(გამოერკვევა)* რეკოლუცია მოხდა?! *(განზე)* რას ამბობს ეს ხალხი?! მოიცა, მოიცა... რეკოლუცია მოხდა?!

ყველა: *(გახარებული)* დ ი ა ხ!

ყვარყვარე: მერე?!

გამომძიებელი: ქვეყანა გადაეცა თავგანწირულ რეკოლუციონერებს...

ყვარყვარე: *(ამყვად)* მერე?! ჩემი თავგანწირვა?

გამომძიებელი: სულ დაგიფასდებათ...

ყველა: დაგიფასდებათ...

ყვარყვარე: მერე – ამ ამბავს მიმალავდით?! ამას მიმალავდით?!

გამომძიებელი: აკი მოგახსენეთ, აკი გითხარით... აკი ვთქვი...

ყვარყვარე: რა მითხარი, რა მომახსენე?! ენა იმდენი ათონარიკე, სული კინალამ გამძრა!

გამომძიებელი: არა, მე მხოლოდ თქვენი ამაგი და თავდადება მოვიგონე...

ყვარყვარე: ჩემი ამოდენა თავდადება და ამაგი – ახლა წყალში გადაიყრებოდა თუ – როგორ გგონია შენ?!

გამომძიებელი: რას ბრძანებთ, თქვენ დიდი მოღვაწე ხართ... *(ტიტეს ართმევს პორტფელს ქალაქლებით)* აქ ამის შესახებ საბუთებია...

ყვარყვარე: *(ხელს აუკრავს)* შენ გგონია ახლა – მთელი ჩემი ცხოვრება ხელისგულზე გიწერია?!

გამომძიებელი: არა, მე არ ვიცი – იმ არმიაში რაც ჩაგიდენიათ, კიდეც ცოტაა... სხვაგანაა თქვენი მთავარი დამსახურება...

ყვარყვარე: ჰოდა, ასე ილაპარაკე... *(ამაყად წავა წინ)* მოდი აქ... *(გამომძიებელი უახლოვდება. ოფიცერი აცემებს ფეხსაცმელს)* იქ, მაღლაც – ასე ილაპარაკე... ეგ მომეცი აქ... *(ართმევს პორტფელს)*.

გამომძიებელი: თქვენ ხართ – უდიდესი რევოლუციონერი.

ყვარყვარე: ტყუილია – თუ?

გამომძიებელი: ჩვენ – როგორც შეგნებული დემოკრატები – დაბლა ვიხრებით თქვენ წინაშე... *(ყვარყვარე უწვდის ხელს)*.

ყვარყვარე: ჰოდა, ასე... *(ყველა ტაშს უკრავს. მიდის გალიისაკენ. პირველი ოფიცერი კარს უხსნის)*. მოიცათ, მე ახლა – ტუსადი აღარ ვარ?! არა ვარ, არა...

– *(გამომძიებელი გადაკეტავს გალიის კარს. უძღერიან. ზემოდან სცენაზე ეშვება ფეხმოტეხილი, ოდესღაც მდიდრული სავარძელი)*.–

ყველა: ბატონო ყვარყვარე, ბატონო ყვარყვარე, რამტა, რატა რამ...
თქვენს წინ მოწიწებით თავები დავხარეთ,
რამტა, რატა რამ ...

ბატონო ყვარყვარე, ბატონო ყვარყვარე,
თქვენი თავდადება გვხიბლავს და გვახარებს...
ბატონო ყვარყვარე, ბატონო ყვარყვარე,
მებრძოლის სახელი დიდებით ატარე...

ბატონო ყვარყვარე, ბატონო ყვარყვარე, (3-ჯერ)
ბატონო, ბატონო, ბატონო, ბატონო...

ტიტე: ყვა – ყვა – ყვა – ყვარ – ყვარე
(შემოდინ ოფიცერი ქალები ყვავილებით, ზეიძია. სიხარულია. დღესასწაული. ცეკვა-თამაში).

ყვარყვარე: *(სავარძელზე დაბრძანებული – საქმიანად)* ახლა – მარტო დამტოვეთ... ქვეყნის საფიქრალი მაქვს! *(ყველა მოწიწებით ვაიკრიფება. ყვარყვარე თვალს ვააყოლებს მათ)*.

ცვალებადია კაცის ბედი, ცვალებადია,
ხვალ – შეიძლება სხვამ წაგართვას, რაც გაბადია,
ამიტომ – სანამ ძალა გაქვს ხელში,
სხვას წასწვდი ყელში, გააძვრე ტყავი –
შეინარჩუნო თუ გინდა თავი..

ღღეს – მიწიერი საოცრება – სავარძელია...
უსავარძლობა – მართლა – ძნელია...
ის არის, ისა – მბრძანებელი ამა ქვეყნისა,
კერპად იქცევი – სავარძელი თუკი გელირსა...

ის გაძღვეს ძალას და სილამაზეს,
გაძღვეს ჭკუას და გაძღვეს ღირსებას,
თუ სავარძელი არა გაქვს დიდი,
შენ – დაფასება არ გელირსება...

ამას არ უნდა დავა და ომი,
ღღეს – ყველა ფასობს სავარძლის ზომით.
თუ სავარძელი გაქვს საკადრისი –
სულელი – უცებ იქცევი ბრძენად...

ხმა გაქვს – ბულბულის, სოკრატეს – ჭკუა
და ციცერონის ზღაპრული ენა.
შენი სიცრუეც გადიქცევა ჭეშმარიტებად,
შენი ნაკლი კი – მხოლოდ დიდებად.

შენი სახელი – სალოცავ ხატად
და მოგეცემა ლომების ძალა.
ვინ რას გაკადრებს – დიდების გარდა?

ღღეს მიწიერი საოცრება – სავარძელია,
მასზე მჯდომარე – მუდამ ბრძენია
და თუ შემთხვევით სავარძელი შეგიძენია,
ამ ქვეყნიური სიტკბობა – მხოლოდ შენია...
მაშ, სავარძელში ჩაჯექ, ყვარყვარე,
გული ახარე...

დღეიდან ყველა ხელით გატარებს...
რა შეედრება სავარძლის ძალას?!

მოვსპობ ყველა ჩემზე ჭკვიანს,
ბრიყვი როგორ შემყრის ზიანს?
თუ გინდა რომ იჯდე რბილად,
ასე მყუდროდ, ასე ტკბილად,
უნდა ჰქონდეს შენი შიში,
ასეთია კაცის ჯიში, აპა!

*(ვარედან ისმის ხმაური, გაიხედავს – დაინახავს მოძვეალ კაკუტას
და ქუჩარას, შეძვრება ისევ ვალიაში).*

ქუჩარა: *(ძიებარება, თავში ჩაარტყამს)* რა დაგემართა, ბიჭო, შენ?!

ყვარყვარე: ახალთაობის კაცად მიცნეს, ხელმწიფის მტრად
გამომაცხადეს!

ქუჩარა: მერე – მაგისტოვის თავზე ხელს გადაგისობენ?

კაკუტა: რავა გადაუსობენ?!

ყვარყვარე: თავზე ხელს გადამისობენ კი არა, ჩემს საფლავს
პატრონი ვერც კი მონახავს... ცოდვით გიბარებთ: მაძაჩემს –
წყვიწყვის ასე უთხარით – „იმისთანა ვაჟკაც შვილს... *(კაკუტა
და ქუჩარა იცინიან)* ჰო, ჰო, ვაჟკაც შვილს-თქო ... „იმისთანა
ვაჟკაც შვილს ნაცარქექია რომ შეარქვი, ცოლი არ ათხოვიე და
კეტით გააგდე საშოვარზე – ეს მოეწია“-თქო... ასე გადაეცით
– „სახრჩობელაზე რომ გაყავდათ – იქიდან შემოგითვალა –
ძალლი ჩაგაკვდა სულში“-თქო...

კაკუტა: შე საწყალო, ახლა – რისთვის შეგხვდა შენ ეს?!

ყვარყვარე: *(ამყვად)* ახალთაობის საქმისათვის!

კაკუტა: რო არ იყავი შენ მაგისტანა კაცი?

ყვარყვარე: კი, აბა, როგორ არ ვიყავი? პოლიციას ვემალებოდი და
თქვენისთანა ენა-ყრანტალებთან ვიტყოდი?! ქვეყანას რომ ეძინა,
მე მაშინ ვმუშაობდი!

ქუჩარა: *(სიცლით)* სულ დაგიქცევია ოჯახი... *(ორივე იცინის).*

ყვარყვარე: თავიდან – ბოლომდე ისე დამწვა ბედმა – მარტო ენა
დამრჩა ნელლად... *(კარს კრავს ფეხს)* მარა... გამიცინა ბედმა,
თქვენი ყბიდან ამოვედი, ილბალმა გამიჭრა... რევოლუცია მოხდა...
მეფე ტახტიდან გადააგდეს... დღეს ახალი მთავრობაა...

კაკუტა: (ბევრი სიცილის შემდეგ) მეფე... გადააგდეს?!

ყვარყვარე: კიი...

ქუნარა: მეიცა, მეიცა... მართლა გადააგდეს?!

ყვარყვარე: გადააგდეს... (ამყად მიღის სავარძლისაკენ. ჩაჯდება).

ქუნარა: ეს რა ამბები დატრიალებულა?!

კაკუტა: (ანიშნებს ყვარყვარეზე) ვაშა... ვაშა... (ეხვევიან, კოცნიან).

ყვარყვარე: თქვენ ის უნდა ნახოთ აწი... ხალხი რომ ხელისგულზე დამიჯენს – ხვითოსავით...

ქუნარა: მთლად ბედნიერი კაცი ყოფილხარ!

ყვარყვარე: მარა რა... რათ გინდა? რა გემო აქვს?! ქვეყანას უნდა ვუქადაგო...

ქუნარა: რა უნდა უქადაგო?!

ყვარყვარე: ს ი მ ა რ თ ლ ე !

კაკუტა და ქუნარა: ჰოო! (გარედან ისმის ხმაური – „ორატორი“, „ორატორი“).

ტიტე: (შემორბის, მას მოყვება ხალხი) ჯარისთვის ორატორი იკითხეს... მე, როგორც სტუდენტმა, ვუპასუხე: „იქ არის ცნობილი რევოლუციონერი“-მეთქი.

კაკუტა: ბი...

ტიტე: რა?!

კაკუტა: რევოლუციონერე-ბი!!!

ტიტე: დიახ, დიახ... რევოლუციონერები!!!

ტიტე: (აღტაცებული) ხალხო, დღეს ჩვენ მოვისმენთ უწამებულესი კაცის მხურვალე სიტყვას...

ყვარყვარე: ჩემისთანა ორატორობა ვის შეუძლია?! ხეს ავატირებ, ხეს...

(ხალხი ტაშით ხვდება ყვარყვარეს, აყავთ ვალიის თაგზე).

ყვარყვარე: ხალხი ბრმა იყო, მაგრამ – გათენდა...

და წინ დაიძრა... დიახ, წინ დაიძრა...

დაიძრა მუშტით, კბილით, ბრჭყალებით,

მივიდა ტახტთან მთელი ძალებით,

დაუბრიალა მეფეს თვალები...

ყველა: ო, ძალიანზე – ძლიერ გათენდა,

ისე გათენდა, ისე გათენდა,

რომ ნიკოლოზი – თავისი ტახტით,

დაეცა, დალბა, ასეა, აპა!

ყვარყვარე: მე – ხალხისათვის ვიბრძოდი მუდამ,
ერთხელ გავწირე, ორჯერ გავწირე,
ხუთჯერ გავწირე, ათჯერ გავწირე,
ხალხისთვის თავი – ძალიან შავი...

და რა წამიღეს სახრჩობელაზე,
გზაშიც ვფიქრობდი თქვენზე, ყველაზე...
და როცა მეფის მეცა ჯვალათი
და თოკს უჭერდა ყელზე ძალათი,
ამ დროს გათენდა... გათენდა... აპა!

როგორც გითხარით – წარსული დალბა,
მოვიდა დიდი რევოლუცია...
ჩვენს მტრებთან დიდი ფაციფუცია...
მაშ... გაუმარჯოს რევოლუციას...

ყველა: ვაშა, ჩვენს სარდალს, ვაშა, ჩვენს სარდალს!
იგი დაღადებს სიბრძნეს და მართალს!
ის ჩვენს ცხოვრებას ბრძნულად წარმართავს!
ვაშა, ჩვენს სარდალს, ვაშა, ჩვენს სარდალს!

პირველი მოქმედების დასასრული

– დროებითი მთავრობის წარმომადგენლები *ოფიცრები*,
რწმუნებულის *გამომძიებელი* მეთაურობით ქეიფობენ. –

რწმუნებული: დღეს იწყება ჩვენი სამშობლოსათვის ახალი ერა...
საქართველოს რჩეულო შვილებო, დროებითი მთავრობის წევრნი,
უამრავი საქმით დატვირთულნი, დღეს და ღამეს ასწორებენ
ხალხზე ზრუნვით... დღეს ზეიშია ჩვენი მკვდრეთით აღდგომისა
და ყველა ქართველი მოვალეა ქუდი ჭერსა ჰკრას და შესძახოს
– „საქართველოს გაუმარჯოს!“ (*ჭაში, ყვირილი, ჭერში სროლა.*
შემოდინ მოცეკვავე ქალები. საბალეტო ნომერი).

2 ოფიცერი: ამ ქვეყნად – ყველაფერი წარმავალია – გარდა სამშობლო
ქვეყნის უანგარო სამსახურისა და სამშობლოს დამკარგველი –
ფოთოლია – ხიდან მოტაცებული, რომელიც ნელ-ნელა სჭკნება
და ხმება... გაუმარჯოს სამშობლოს! (*ჭაში, სროლა*).

1 ოფიცერი: ვისაც „სამშობლო“ არ ესმის – ხეა ფუტურო, რაიც დასაწველადაც არ გამოდგება... თუ ქვეყნად უბედური მოიპოვება – ეს ისაა – ვისაც სამშობლო დაუკარგავს... სამშობლოს ერთგულს გაუმარჯოს! (*ტაში*).

ყველა: გაუმარჯოს! გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

ჩვენ ახლა – უშიშარი
ვინმე დევ-გმირი გვინდა,
რომ დაგვიფაროს ჩვენ და
ჩვენი საქმენი – წმინდა...
გვჯერა – საცაა მოვა,
გვჯერა – საცაა გვნახავს
და ჩვენს ორგულებს – გულში
ჩასცემს ალესილ ლახვარს...
ჩვენ – ამირანის მსგავსი –
ვინმე დევ-გმირი გვინდა,
რომ დაგვიფაროს ჩვენ და
ჩვენი საქმენი წმინდა...
(*საბალეტო ნოშერი*)

– (*შემოდის დავლეჯილი ფარაჯაში, ჭრუჭყვიანი ტიტე ნატუტარი. მუსიკა წყდება. ყველა მას მიაჩერდება*). –

ტიტე: (*ძღვის რწმუნებულთან*) ჩაიბარეთ ეს და გამიშვით... (*მიაწოდებს ქაღალდის ნაფლეთს*).

რწმუნებული: ეს რას მაძლევ?

ტიტე: ეს – თქვენი მოცემული მანდატია.

რწმუნებული: ეს – ქაღალდის ნაფლეთია... მე კი თქვენ – მაზრა ჩავაბარეთ.

ტიტე: იმ მაზრას... იმ მაზრას ბოლშევიკები დაეუფლენენ!!!

რწმუნებული: რაო?! მაშ, ასე კარგად უპატრონეთ?!

ტიტე: რაო, რაო?! მე ვერ მიპატრონებია?!

რწმუნებული: (*მკაცრად*) მაშ?

მთავრობის წევრები: (*ისევე მკაცრად*) მაშ?

ტიტე: მოიცათ, მოიცათ... ვინ არის ამ მხარეში ჩემოდენა თეორეტიკოსი... ვინც ვინდათ, მეკამათეთ...

რწმუნებული: ცოდნას მოხმარება უნდა!

ყველა: დიას!

ტიტე: განა მე არ შევეცადე გამომეყენებინა ჩემი ცოდნა, მაგრამ არ

მონერხდა...

მთ. წევრი: რატომ?!

ტიტე: ხალხი, ხალხი არ გამოძვდა...

მთ. წევრი: რა შუაშია ხალხი?!

ტიტე: ეჰ, წინათ – სიტყვა „ხალხი“ ჩემთვის წმინდათა-წმინდა იყო, ახლა – კი... დიას, ასეა... მე ხალხისათვის რა არ გავაკეთე, რა არ ჩავიდინე, მაგრამ ბოლოს ფარული ბორკილებით რომ არ მევლო – მაზრიდან ტყავს ვერ გამოვიტანდი... აჰა!!!

ტიტე: *(გაიხდის დაგლეჯილ „შინელს“ და ძთლად შიშველი რჩება. აძყად დვას)* თქვენი გულისათვის მე იმდენი ცეცხლი გამოვიარე, თქვენ – კი დამჯდარხართ აქ და ტრამ-ტა-ტა-ტა?! ჩაიბარეთ, ჩაიბარეთ ეს მანდატი...

რწმუნებული: როდესაც მე თქვენ მაზრა ჩაგაბარეთ – მოწინააღმდეგეების ჭაჭანებაც არ ყოფილა.

ტიტე: მერე კი, როცა გაჩნდნენ ამ მანდატის ამარა მიმატოვეთ... რომელსაც თქვენვე ქალაღდის ნაფლეთს უწოდებთ... ჩაიბარეთ, ჩაიბარეთ...

მთ. წევრები: მოითმინეთ, ბატონო ტიტე ნატუტარო, ჩვენი მდგომარეობა გამოკეთდა და ახლა გარბიხართ?

ტიტე: მდგომარეობას ძალა უნდა.

ყველა: ძალა გვაქვს!

ტიტე: საიდან?!

რწმუნებული: დაბრძანდით... *(ტიტე ჯდება)*. გუშინ ქალაქს დიდი ჯარი მოადგა. ხალხი შეშინდა და განაპირა უბნებში დუქნებიც დაკეტეს... ჩვენმა ოფიცრებმა შიშით არსენალიდან ზარბაზნები გაისროლეს, მაგრამ ის ფრონტელები – ქალაქგარეთ მშვიდობიანად დაბანაკდნენ და ბოლოს აღმოჩნდა, რომ სასტიკი დისციპლინა ჰქონიათ...

ტიტე: ღმერთო ჩემო, ასეთი ჯარი დღეს სად არის?

რწმუნებული: არის... იმათ ჰყოლიათ ყვარყვარე თუთაბერი... რასაც ის იტყვის – კანონია.

ტიტე: მოიცათ, მოიცათ... ეს ის ხომ არა... ყვა... ყვა...

ყველა: რე !!!

ტიტე: მერე, ის ყვარყვარე რა ჭკუაზეა?

რწმუნებული: დროებითი მთავრობა სცნო... მას ჰყავს ათი ათასი ჯარისკაცი...

ტიტე: ათი ათასი?!

მთ. წევრები: სულ შეიარაღებული თავით – ფეხამდის... საცაა გაჩნდება, ველით.

ტიტე: ოო, ეს სულ სხვა საქმეა... (იკვამს შინელს). ასეთ პირობებში მეც თქვენთან ვარ... (შეხტება მკვიდაზე).

(ტიტეს ცეკვა ჯალებთან)

(ცეკვის დროს შემოდის გულთამზე)

გულთამზე: აქ – უზენაესი ძალა-უფლების წარმომადგენელი ვინ ბრძანდება?

რწმუნებული: (ტიტეს ანიშებს – გადიო, რადგან სულ ტიტველსა) უზენაესი ძალა-უფლება ეკუთვნის მომავალ დამფუძნებელ კრებას, ხოლო მის შეკრებამდე ქვეყანას განაგებს დროებითი მთავრობა, რომლის რწმუნებული მე გახლავართ...

გულთამზე: მერე – თქვენ მომავალმა კრებამ რა მოგანდოთ – ბატონო რწმუნებულო, რეკოლუციის გაღრმავება თუ მშვიდობიანი კრების დახვეწა?

რწმუნებული: ძალიან თავხედურად ლაპარაკობთ...

გულთამზე: არა... მე მინდა გავიგო – მათ დროებითი მთავრობის ნება აღასრულებს თუ – თვითნებურად ჩაიღინეს ბოროტმოქმედება?!

რწმუნებული: ჩვენ ნება არ მიგვიცია, რომ კრება დაეხვერიტათ, მაგრამ არც პასუხს მოვთხოვთ.

გულთამზე: მაშ, გამოაცხადეთ, რომ მთავრობა არ არსებობს და მშრომელი ხალხი, რომელმაც ეს რეკოლუცია მოახდინა – შესძლებს მთავრობა შეადგინოს...

მთ. წევრი: ეს რა აფთარი ვინმე ყოფილა?! (ძიწევს).

ტიტე: (შეაჩერებს) მოითმინეთ... მე საზოგადოდ – სიკვდილით დასჯის მომხრე არა ვარ, მაგრამ ეს ქალი რომ დაეხვერიტოთ, უარს არ ვიტყოდი...

მთ. წევრი: (შემოდის. რწმუნებულს საიდუმლოთ) ვილაცაა, ბატონო... ღიდის რისხვით მოითხოვს თქვენს ნახვას.

რწმუნებული: ვინ არის?

მთ. წევრი: ყვარყვარე თუთაბერი...

რწმუნებული: (გულთამზეს) წამობრძანდით მეორე ოთახში, ლაპარაკი იქ დავასრულოთ.

გულთამზე: არა – აქ... კართან მიცდიან სხვა ამხანაგები...

რწმუნებული: გაიყვანეთ! (მესამე და მეოთხე ოფიცერს გაჰყავთ).

გულთამზე: ეს უხეშობაა, ძალადობაა... პასუხს აგებთ... (გადიან).

მთ. წვერი: (შემორბის) მოდის... მოდის... (ოფიცრები და რწმუნებული ეშხადებიან მათ შესახვედრად. მთავრობის წევრებს შემოჰყავს ხალხი. ისინიც ეშხადებიან ყვარყვარეს შესახვედრადსიძღვრით).

(რემინისცენცია — „ბატონო ყვარყვარე“, „მარში“, „მადლობა უფალს“.)

გუნდი: ბატონო... ბატონო... ბატონო... ყვარყვარე...

(შემოდის ყვარყვარე, მას მოსდევნ კაკულა და ქუჩარა. ყველა შეიარაღებულია. ყვარყვარე ესალმება დამხვედურებს).

რწმუნებული: თქვენისთანა გმირს საკადრისად — ისტორია დააფასებს — თუმცა — არც ჩვენ დაგაკლებთ პატივისცემას — თუ ერთგულებას გამოიჩენთ...

ყვარყვარე: პატივისცემაც არის და პატივისცემაც... მე უნდა მოვასხენოთ, რომ — პატარა მოწყალებისათვის კაცს თავს ვერ დაუკრავ... ქვეყანამ იცის ჩემი ვაჟკაცობა... რომელი ურემი ასწევს ჩემოდენა ტვირთს?! რამდენჯერ სახრჩობელას გადავურჩი... რევოლუციამ სწორედ ყელზე მომხსნა თოკი ...

რწმუნებული: თქვენ დანიშნული ხართ მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალების უფროსად.... (რწმუნებულს გადასცემენ ხმაღს. მიდის ყვარყვარესთან გადასაცემად) და თქვენს განკარგულებაშია ის ათი ათასი კაციც — რომელიც ფრონტიდან მოიყვანეთ... ეს ჩვენი ძალაა... მუხრუჭები... მუხრუჭები მაგრად მოუჭირეთ (გადასცემს ხმაღს).

ყვარყვარე: (ჩამოართმევს ხმაღს) ეს იყო ჩემი ნატვრა... (რწმუნებულს) ზარბაზნის ტყვიები ხომ ბლომად გაქვთ?

რწმუნებული: რამდენიც გინდათ... ჩვენ გვაკლია მხოლოდ ერთგული ხალხი...

ყვარყვარე: იმ თქვენს ზარბაზნებს ყელებს სულ არ გავუციებ... სულ დღე-ღამე ვაგრილებ — სანამდის მთელ ხალხს არ დავაჩოქებ — მანამდის ჩემი მოსვენება არ იქნება... (რწმუნებული წარუდგენს ყვარყვარეს მთავრობას, ყვარყვარე სათითაოდ ართმევს ყველას ხელს. ყვარყვარეს მოართმევენ სავარძელს. იგი დაბრძანდება, კაკულა და ქუჩარა ამოუღებთან მარჯვნივ და მარცხნივ. გუნდი ადის ამაღლებულ ადგილას).

გუნდი: მადლობა უფალს — რაკი გველირსა

დიდხანს ნანატრი სარდალის ნახვა.
ის დაიფარავს მამულის დროშას,
მტერს დაახვედრებს უძლეველ ლაშქარს...
აბა, შეხედეთ დევის ტანიანს,
პირწავარდნილი ამირანია...
ამირანია... ამირანია...

ყველა: მადლობა უფალს – რაკი გველირსა
დიდხანს ნანატრი სარდალის ნახვა.
ის დაიფარავს მამულის დროშას,
მტერს დაახვედრებს უძლეველ ლაშქარს...
იწამეთ... იწამეთ... იწამეთ...

ბატონო ყვარყვარე, ბატონო ყვარყვარე,
რამტა, რამტა რამ...
თქვენს წინ მოწიწებით თავები დავხარეთ,
რამ, ტარამ, ტარამ...

ბატონო ყვარყვარე, ბატონო ყვარყვარე,
თქვენი თავდადება გვზიბლავს და გვახარებს...
ბატონო ყვარყვარე, ბატონო ყვარყვარე,
მებრძოლის სახელი დიდებით ატარე...

ბატონო ყვარყვარე, ბატონო ყვარყვარე,
ბატონო, ბატონო, ბატონო, ბატონო...
ყვა – ყვა – ყვა – რყვა – რეეე.
(საბალეტო ნომერი)

რწმუნებული: დღეს – რწმუნებულთა საგანგებო სხდომაზე მიმდინარე
საკითხებს განვიხილავთ და რამდენიმე დავალებას მოგცემთ...

ყვარყვარე: რამდენიც გენებოთ...

(*ყველა მოწიწებით ეთხოვება და ნელი ნაბიჯით გადიან. ყვარყვარე
მარტო რჩება. ათვალიერებს ხმალს*).

ტიტე: (შემოდის. შორიდანვე ეფერება). შენი ჭირიმე... შენ გენაცვალე...
(*ყვარყვარე ვაკვირებული შესცქერის*) აი, ასე კარგია... ძალა...
მე – ბუნებით – თვითონაც სარდალი ვარ, მხოლოდ – ტყუილად
ავყევი სხვებს და შეუჩერებლად შევიჭერი ფილოსოფიაში...

ყვარყვარე: მერე – რა ქენი, რომ შეიჭერი?

ტიტე: რა უნდა ქნას ჩრჩილიან წიგნებში იმან – ვინც სარდლადარის გაჩენილი?! თუმცა დღეს ყველა გმირი სოროშია ჩამძვრალი, მარტო თქვენა გყავთ ჯარი... ერთადერთი სარდალი იქნებით და მე თქვენს დაპყრობილ ქვეყანაში – წესიერებას დავამყარებ...

ყვარყვარე: მართლაც – სასიამოვნო ლაპარაკი გცოდნიათ...

ტიტე: დიახ! დიახ! მაქვს თქვენთან საერთო... *(უნდა თავი მოავიწყოს)*
მე – როგორც სტუდენტმა... ხალხი ბრმა იყო... *(ყვარყვარე ვერ ივინებებს)* ორატორი... ორატორი...

ყვარყვარე: *(მოავიწყდება)* უი, უი, თქვენ ხომ... *(ხელს ართმევს)*

ტიტე: ახლა მე თქვენ ერთი დიდი საილუმლო უნდა ავიხსნათ...

ყვარყვარე: აბა, ჩქარა, მითხარი...

ტიტე: რა არის ადამიანი?

ყვარყვარე: ადამიანი?! რა არის?!

ტიტე: ეს არის – უდიდესი გამოცანა...

ყვარყვარე: რა გამოცანა?

ტიტე: მაგალითად – ჩვენ წარმოვიდგინოთ თავმოყრილი ათი ათასი კაცი... ყოველ მათგანს თითო კაცის ჯანი აქვს... და თუ ჩვენ მათ ღონეს შევუერთებთ, მივიღებთ – რას?

ყვარყვარე: რას მივიღებთ?

ტიტე: უზარმაზარ ძალას...

ყვარყვარე: ჰოო... კი, კი...

ტიტე: ეხლა ავიღოთ ამ ათი ათასი კაცის ჭკუა... თუ შევუერთებთ – მივიღებთ რას?

ყვარყვარე: ოოო!

ტიტე: არა! არა! ეს იქნება ვირის ჭყუაზე უფრო ნაკლები... ამიტომაც ასე ხდება – გამოდის ერთი – საუკეთესო ვინმე და თავის ერთი ჭკუით სულყველას იმორჩილებს... ეს ადამიანი არის სარდალი... და ეს სარდალი თქვენ ბრძანდებით...

ყვარყვარე: მშვენიერი სიტყვაა... ასე მგონია, მე თვითონ ვლაპარაკობდე!

ტიტე: ეხლა – რა არის სახელმწიფო?!

ყვარყვარე: აბა, მითხარი, მითხარი... რა არის?

ტიტე: რა არის სახელმწიფო... ამის შესახებ მე მაქვს საკუთარი შეხედულება და შემდეგ გაგაცნობთ... ახლა – კი მხოლოდ იმას გეტყვით... სახელმწიფოს დამორჩილების დროს – თქვენ გაამზადებთ უძლეველ ლაშქარს და ძლევა მოსილი ჯარით

მიადგებით შორეულ საზღვრებს, მაგრამ მე აქ გეტყვით:
„შესდექ“!

ყვარყვარე: რატომ, რატომ?

ტიტე: ნუ გავიმეორებთ ნაპოლენ დიდის შეცდომას...

ყვარყვარე: რა შეცდომა ქონდა იმისთანა... ბარემ მისული ვიყავი და გეცლია...

ტიტე: არა, სჯობს დავისვენოთ, დავისვენოთ და გავიმეგროთ ფესვები. დიანხ, ყველაფერია ფესვები, ძირი და საფუძველი...

ყვარყვარე: რა აზრიანი სიტყვაა... ეს საქმე რომ მართლა გამოვიდეს – კარგი საქმე იქნება... იცოდე, ოქროს სარაიას ავიშენებ...

ტიტე: მადლობთ...

ყვარყვარე: ჩემს საკუთარს რომ მოვათავებ – მერე...

ტიტე: მადლობთ, მადლობთ, ეს ასეც იქნება... თქვენ იქნებით სახელმწიფოს უფალი...

ყვარყვარე: კაი ერთი – უფალი...

ტიტე: ჰო, ჰო მაგრამ დაგჭირდებათ გვერდით პოლიტიკოსი, მეცნიერი. ასეთი – მე ვიქნები...

ყვარყვარე: იყავი!!!

ტიტე: თქვენ მაგრად დაიჭერთ ხელში მოთრგუნვილ ქვეყანას – მე-კი მას – სამოთხედ გადავაქცევ... მე ახლავე შემიძლია დავჯდე და დახუჭული თვალებით დავწერო ბედნიერი სახელმწიფოს სრული კონსტიტუცია...

ყვარყვარე: სუფთათ დაწერე და მაჩვენე!

ტიტე: და როდესაც ეს იდეალისტური სამეფო აშენდება, ადამიანებს იმდენი სიხარული ექნებათ, რომ სიკვდილით სასჯელს – მხოლოდ ტირილის წინააღმდეგ შემოვიღებთ... ყველა ჯვარს ეცმევა ხალხისათვის და ჩვენს სურათებს ოთახებში ჩამოკიდებენ იმის ნიშნად, რომ ჩვენ მათი მიწიერი ცხოვრება გავაზვიანებთ.

ყვარყვარე: თუ ეს ჭკუა არ გაგექცა თავიდან, შენისთანა მეცნიერი ქვეყანაზე არ იქნება... ასე მგონია, რაც ცეცხლის პირათ – ნაცარში გვემები მომიქარგავს, ე, ვითამ ესაა, ეხლა მომყავს ცხოვრებაში...

ტიტე: გაჩუმდი... ეგ რა თქვი... ეგ რა თქვი, კაცო?!

ყვარყვარე: რა იყო, რა ვთქვი ასეთი?!

ტიტე: ოო, რა საამურიანა ზამთარში შუა ცეცხლთან ჯდომა, ნაცრის ქექვა და ფიქრები კაცობრიობაზე, ქვეყნის დასაბამზე და მის

დასასრულზე... და ტირილი... და ოცნება...

ყვარყვარე: შენც გიყვარს?!

ტიტე: მე...ც“?!

ყვარყვარე: მიყვარს...

ტიტე: მიყვარს...

ერთად: ცივ ზამთარში...

სურნელება თბილი ნაცრის,
თუ გინდ ას წელს ვქექავ ნაცარს,
გაბრიელი თუ დამაცდის...

ყვარყვარე: ვქექავ...

ტიტე: ვქექავ...

ერთად: გამთბარ ნაცარს

ყვარყვარე: გეგმებს ვხატავ, რას არ ვბედავ...

ტიტე: მე – ნაცარში ჩემ დაწერილ

მეცნიერულ შრომებს ვხედავ...

ყვარყვარე: ვქექავ...

ტიტე: ვქექავ...

ყვარყვარე: ვქექავ...

ტიტე: ვქექავ...

ერთად: რა კარგია, ვაი, დედავ...

ყვარყვარე: რასაც მინდა, იმას ვხატავ,

რასაც მინდა, იმას ვქარგავ...

ტიტე: ნაცარშია ყველაფერი

ის – რაც ცხადლივ დაიკარგა...

ყვარყვარე: ვქექავ...

ტიტე: ვქექავ...

ერთად: გამთბარ ნაცარს...

ყვარყვარე: გეგმებს ვხატავ, რას არ ვბედავ...

ტიტე: მე – ნაცარში ჩემ დაწერილ

თეორიის ტომებს ვხედავ...

ყვარყვარე: ვქექავ...

ტიტე: ვქექავ...

ერთად: რა კარგია, ვაი დედავ!

*(ისმის ძლიერი გუნდის ყლურადობა: „ხალხი ბრმა იყო, მაგრამ
ვათუნდა“)*

I ოფიცირი: *(შეშოვარდება)* ჯარისკაცები მოგროვდნენ, ბატონებო...

II ოფიცერი: კარს ასკლებიან, ქალის განთავისუფლებას მოითხოვენ.

ტიტე: გესმის – სანამდის მივიდა მათი უტიფრობა?

III ოფიცერი: (*შემოვარდება*) ქვევით კარს ამტკრევენ... დიდი ბრბოა...

IV ოფიცერი: (*შემოვარდება*) უკვე აღარ ხუმრობენ, ხელი გამოიღეს...

V ოფიცერი: ბატონო, გადაგვარჩინეთ, გვიშველეთ...

ყვარყვარე: მე – კი გიშველით, მაგრამ მე ვინ მიშველის?

ტიტე: მოიცათ, მოიცათ... (*ყვარყვარეს*) იმ შენი ლაშქრიდან – ახლა – ერთ ასეულს ვერ გააჩენ?

ყვარყვარე: კაცო, უთენიაში რომ დამეცით თავზე – ამ ქვეყნის მთავრობა ვარო, ახლა ერთი ასეულიც არა გყავს?! ას წყალობას რომ მპირდებოდი, ჩემ პურ-მარილზე მეპატიჟებოდით – თქვე ვირის თავებო?! (*გასროლის ხმა*)

ტიტე: (*შეძვრება მაგიდის ქვეშ. ყვარყვარეს*) შემოდი. შემოდი...

ყვარყვარე: კაცს – ქვეყანას მპირდებოდი და ახლა მაქ მამერენ?! ეს რა ცხრა ჭკუის ყოფილა?!

რწმუნებული: (*შემოდის*) სად არიან?! (*შემოცვილებიან კაკუტა და ქუჩარა*)

ყვარყვარე: (*იატაკზე წევს ტიტესთან ერთად*) რაღაცა ქენით...

ქუჩარა: თავს ტყუილად ხომ არ შევაკლავთ?

ყვარყვარე: შეაკალით... მაშ, სულ ყოველთვის მე შევაკლა თავი?

ქუჩარა: დავიღუბეთ...

კაკუტა: რომ შემოცვივდნენ – სულ მატყლივით გაგვწეწავენ!

ყვარყვარე: რა უნდათ იმ უღმერთოებს?

I ოფიცერი: აი, აქ რომ ტუსადი ქალია – იმის განთავისუფლებას ითხოვენ.

ყვარყვარე: იმისთვისაა ეს ამბავი?! (*რწმუნებულს*) გაუშვით და გადაგვარჩინეთ...

რწმუნებული: როგორ შეიძლება, ბატონო!

ყვარყვარე: (*წამოდგება*) მაჩვენეთ ერთი – ვინ არის... (*ყველა გადის, სცენაზე რჩებიან კაკუტა და ქუჩარა*)

ქუჩარა: ბოლოს ხომ მაინც დავგვლუბა ყვარყვარემ...

კაკუტა: რომ მოგვკლავდნენ – ახი კი იქნება ჩვენთვის, ჩემო ქუჩარა!

ქუჩარა: მწყენია ეს სიკვდილი, კაკუტა...

კაკუტა: რას იზამ... *(ვაიხედავს ვარეთ)* ბიჭო!

ქუჩარა: რაა, ბიჭო?

კაკუტა: ბიჭო! ჩვენ რომ გასრესას გვპირდებოდნენ – იმ ხალხს, ეგერ მისდევს და მთარბენინებენ...

კაკუტა: *(იხელება მეორე მხარეს)* ბიჭო, აქეთაც მათი ბაი-ბური რომ არ ისმის...

ქუჩარა: მგონია – გადავრჩით...

კაკუტა: ვინაა რომ გვიშველა?

ქუჩარა: რა ვიცი... „ამ ქალაქში ათასი პარტიააო“ და „ერთმანეთი არც ერთს არ უყვარსო“...

კაკუტა: გადავრჩით... გადავრჩით... *(ცეკვავს)*

ქუჩარა: თუ ახლა გადავრჩით – მერე ყვარყვარეს სათოფეთ არ გავეკარები...

კაკუტა: რომ ვიბრუნებ პირს, რომ ვიბრუნებ პირს – ყვარყვარე ჩემს ბურღლას ვერ ნახავს... *(ვარედან ისძის ხმაური. კაკუტა და ქუჩარა გაიპარებიან. შეძოდის ყვარყვარე, მას მოსდევს გულთამზე და ოფიცრები, რწმუნებულო და ტიღე)*

ყვარყვარე: *(გულთამზე)* წადი, ხალხი ჭკუაზე მოიყვანე – თუ ქალი ხარ, ასე უთხარი: „ყვარყვარე თუთაბერი ჩემი ძველია“-თქო... ხომ გესმის, არ დამაფეთო, თორემ რაღაცას ვიზამ...

გულთამზე: მე თუ დამიჯერეს – ამ ფანჯრიდან გაგაბრძანებენ.

ყვარყვარე: უყურე ამას! მე შენთვის ოქროს ლოგინს ვამზადებდი და შენ უფსკრულში მაწვენ?!

ტიღე: *(ყვარყვარეს)* შენ ამ ეშმაკს რომ უყურო, ქალაქს მოგასპობინებს...

ყვარყვარე: *(ტიღეს)* იქით – თორემ სკვინჩასავით წაგაცლი მაგ თავს...

რწმუნებული: *(ყვარყვარეს)* მე მგონია – ქალაქი ისევ შენ ხელშია...

გულთამზე: *(ყვარყვარეს)* შენ ვისი ჯარების უფროსი ხარ?

ყვარყვარე: რა ვიცი, დამნიშნეს და...

ტიღე: ეს დრო მაინც – შენია და მოიხმარე... გეგმას მე მოგცემ...

ყვარყვარე: დამეკარგე... შენი გეგმა რა ეშმაკად მინდა?! როგორც არ უნდა შეიცვალოს მთავრობა – სულ ერთია – თავი მე უნდა დამიკრას...

I ოფიცერი: მართალია, ბოლოს მაინც შენ გადაწყვეტ ამ ქალაქის ბელს...

გულთამზე: როგორ? განა მართლა ქალაქის ბელს ეს ათამაშებს?

II ოფიცერი: რა თქმა უნდა...

III ოფიცერი: აქაური სოციალისტური პარტიები – ახალ მთავრობას აღგენენ...

გულთამზე: მიჰქარავ! (*შემოდის სიცილით მეორე ოფიცერი*)

II ოფიცერი: დეპეშა... დეპეშა... აჯანყებულებს პეტროგრადი აუღიათ... დროებითი მთავრობა – გაპარულა...

ტიტი: ჩაიბარეთ ეს მანდატი!!!

რწმუნებული: ჩემი მოვალეობა მოხსნილია. „პრამლი გადა, გასპადა“... ორევეარ. (*ყველა გადის. სცენაზე ყვარყვარე და გულთამზე რჩებიან*)

გულთამზე: ყვარყვარე, შენ არ შეგიძლია გამაცნო შენი გეგმა?

ყვარყვარე: რა გეგმა, სადა მაქვს გეგმა?! აჰ, არა, არა... ჩემს გეგმებს მე ვის გავანდობ?!

გულთამზე: ყვარყვარე, მე?! შენს ძველ მეგობარს?!

ყვარყვარე: (*ძოლბა*) მე შენ – არაფერს დაგიმალავ (*ხელს მოხვევს*)

გულთამზე: მოიცა, ხელი მომაშორე...

ყვარყვარე: რა იყო, ბლერი კი არ მჭირს?

გულთამზე: არა, მაგრამ – რა საჭიროა, ისეც კი უნდა დამიჯერო, რომ მე შენთან მაკავშირებს ძველის-ძველი გრძნობები...

ყვარყვარე: გახსოვს – შე ცეცხლ-მოკიდებულო?!

გულთამზე: როგორ არა... მას აქეთ სულ დაგეძებდი!

ყვარყვარე: მერე – ვერ მნახე – შე დაკარგულო?

გულთამზე: აკი აგერ – გნახე – მოულოდნელად!

ყვარყვარე: შენისთანა ქალი ერთი – ზღაპარშია, მეორე – სიზმარში და ცხადში – მართლ შენა ხარ და შენ... ოჰ, ოჰ... შენს მკლავებზე მატუხელასავით უნდა დაებერდე, იმდენ ხანს უნდა ვიკოტრიალო...

გულთამზე: ოღონდ – ჯერ ჩვენი ფიქრები უნდა შევეართოთ.

ყვარყვარე: ფიქრებს – სულ კოლოფივით მოგარგებ, ოღონდ ცოცხალი თავი მომეც... (*ძიწევს მისკენ*)

გულთამზე: (*აჩერებს*) ახლა მითხარი, შენ ჯარი გყავს?

ყვარყვარე: ჩემოდენა ჯარი ჭიანჭველასაც არ ყოლია... ფრონტიდან

რომ მომყავდა – „რამ თოვა და წვიმაო“ იძახოდნენ...

გულთამზე: ყველაფერი გამიმხილე. მე ქალი ვარ, მართალია, მაგრამ კაცებზე უფრო მიყვარს დიდ ამბებში ჩარევა!

ყვარყვარე: ეს კი, მაგრამ იცოდე – კაცებთან რომ გნახო გავლილი, ისე ჩაგვივლებ მაგ თმებში ხელს და ისე გაგწეწავ – შენი კივილი ცას ესმოდეს.

გულთამზე: არა, მამაკაცებიდან მხოლოდ ორ-სამ ბოლშევიკს თუ ვიცნობ...

ყვარყვარე: რაო?! რაც მე მაგათ გუშინ საქმე მიყვეს... ბოლშევიკს რომ დაელაპარაკო, ძველი ბალიშივით დაგშლი...

გულთამზე: მაშ, ეგრე?! აღარ მომეკარო... *(გაებუტება)*

ყვარყვარე: *(მოფერებით)* ფუნთულა!

გულთამზე: აწი შენთვის – ეკალი ვარ.

ყვარყვარე: ჩემი სულის კვარაკუნჩხა!

გულთამზე: ამდენმა ბრმამ თავი როგორ მოიყარა შენს ხელში?

ყვარყვარე: ჩემო ბოლო – გამლილო გვრიტო! *(მოეხვევა, გულთამზე სილას გაარტყამს)*. რა იყო, რა ხატივით შემირისხდი?

გულთამზე: რა დაპირებით მოატყუე – ნეტა ვიცოდე...

ყვარყვარე: ასე რამ გაგამწარა?! მოდი აქ... ჩემი საქმე შენთვის ყოფილა მოწყობილი... *(საიდუმლოდ)* ის ლაშქარი გუშინ აქეთ – ბოლშევიკურ გუნებაზეა.

გულთამზე: რაო?! რა სთქვი?! *(მოუჯღღბა)*

ყვარყვარე: საქმე – ჩემო მოპოვებულ – ასეა... აქ ისინი ქუჩის ჭორებმა გადარია და ბოლშევიკური პროგრამა მომთხოვეს, მაგრამ მე ვერ დავუფქვი და დღეს პანღური მომაცოლეს...

გულთამზე: მაშ, ლაშქარი არ გყოლია?

ყვარყვარე: მოიცა, ახლა ცოტა ბოლშევიკურ ლაპარაკში მინდა გაწაფვა... შენ ვერ მასწავლი?

გულთამზე: როგორ არა, როგორ არა... ეხლა ეს მითხარი – როგორ არის დაწყობილი ლაშქარი?

ყვარყვარე: წესიერად...

გულთამზე: ძალა აქვს?

ყვარყვარე: ამ ქალაქს სულ მიასწორ-მოასწორებს.

გულთამზე: საით ღვანან...

ყვარყვარე: ქალაქის აღმოსავლეთით.

გულთამზე: შენ შევიძლია იქ მალე მიმიყვანო?

ყვარყვარე: თუ მხარ-გადახვეულნი წავალთ – გზას ვერც კი გავიგებთ
– ისე მივალთ.

ყვარყვარე: შენთან – ასე შემოვივლი
ყველა კუთხეს – ყველა მხარეს,
იქ – სადაც –კი ფენს დავადგამ,
ბალახსაც არ გავახარებ...
ასე არის, ასე, მაშა...

*(შემოდინ დროებითი მთავრობის წევრნი. მღერიან „ჩვენ უშიშარი
ღვე-გმირი გვინდა“)*

(ყვარყვარე სავარძელს მიაჩერდება. ზემოდან ეშვება „მაუზერი“)

გუნდი: ბატონო ყვარყვარე, ბატონო ყვარყვარე,
თქვენს წინ მოწიწებით თავები დავხარეთ,
თქვენი თავდადება გვხიბლავს და გვახარებს,
მებრძოლის სახელი დიდებით ატარეთ,
ბატონო, ბატონო, ბატონო
ყვა – ყვარ – ყვა – რე...

ყვარყვარე: თუ წელს გიმშვენებს მაუზერის პრიალა ბუდე,
გინდ იქცეოდე საეჭვოდ, მრუდედ,
გინდ მთელ ქვეყანას ჭირივით სძულდე,
ამ მაუზერის შიშით და რიდით
შენ – ხალხის თვალში – იქნები დიდი...

ყველა: ჰო, მაუზერის ალერსით, მზერით –
ვერძნობთ, დადგება ჩვენი დიდების ჯერიც...

ყვარყვარე: უმაუზეროთ სავარძელში დიდხანს ვინ დავსვამს,
მოკლე ვადაში გავსვამენ გარეთ.
მოგონებანი დაგრჩება ტკბილი,
სინამდვილე კი გაქრება მწარე...
ჰო, შენი ძალა – ეს პრიალა მაუზერია...
ამის შიშია – ქების სიტყვებს თუ გიმღერიან
და მოწიწებით ყველგან გელიან...

ყველა: ამ მაუზერის ალერსით, მზერით
ვერძნობთ, დადგება ჩვენი დიდების ჯერიც...

ყვარყვარე: თუ წელს გიმშვენებს მაუზერის პრიალა ბუდე,
გინდ იქცეოდე საეჭვოდ, მრუდედ,
გინდ მთელ ქვეყანას ჭირივით სძულდე,

ყველა: ამ მაუზერის შიშით და რიდით

ხალხის თვალში – იქნები დიდი...

ყვარყვარე: ასეა, მამა! *(გარედან ისძის გლოვის ზარის ხმა)*.

ტიტე: *(ყვარყვარეს)* ხალხი ღელავს!

ყვარყვარე: რაო, ღელავსო?! ჩვენ ღელვას ზღვასაც ვუკრძალავთ... ვაი, ვაი, რა გლახაა ხალხის სიბნელე, მანამ თავს არ გაუჩნებავ, შიგ ახალ-ახალ ცხოვრების აზრს არ შეუშვებს...

ტიტე: იმდენი ხალხი ერთ სარდაფში არ ეტევა... იქნებ... იქნებ ცეცხლი... იქნებ დაგვეწვა?

ყვარყვარე: ეგ რა თქვი?! სუნი?! სუნი შეგვაწუხებს...

I ოფიცერი: ჰოდა, აბა ვერ ეტევიან და...

ყვარყვარე: კარი ხომ მიუკეტე?

ტიტე: კი, როგორ არა...

ყვარყვარე: მამ, დატეულა და ეგ არის...

II ოფიცერი: სასუნთქი ფანჯარა მაინც გავუღოთ?

ყვარყვარე: მერე რომ გაცივდნენ?!

ტიტე: ვინც სუსტი გულისაა, იმ სარდაფში მოკვდება!

ყვარყვარე: სუსტი გულის პატრონი პროლეტარიატს რად უნდა?! მეტ ტვირთად დააწვება... მოიცა, მოიცა, შენ გინდა, რომ ხალხი – პროლეტარიატი შეწუხდეს?

III ოფიცერი: ეგ რავა მინდა?

ყვარყვარე: მამ, მიდი და შეტენე...

ტიტე: ეგ რა სიტყვაა, ბატონო ყვარყვარე... „შეტენე“...

ყვარყვარე: აბა, რა ვთქვა?

ტიტე: შეაბრძანე...

ყვარყვარე: კარგი, ბატონო, შეაბრძანე!

ტიტე: *(მიდის, გაახსენდება, ბრუნდება)* ჰო, მართლა, იქ ერთი ბებერი კაცია, მეწისქვილე ყოფილა, იძახის: „ყვარყვარეს ძველი მასპინძელი ვარო“, და „ნუ მომკლავს, ღმერთი იწამოსო!“

ყვარყვარე: უი, ის კიდევ ცოცხალია?! იმ მეწისქვილეს უთხარი: „აქ მალე მოგაკითხავს ქალიშვილი და შენს საქმეზე ჩემთან მოგოგმანდება“-თქო... *(ტიტე გადის. ყვარყვარე წამოდგება. მის სავარძელს მივარდებიან, უნდათ წაიღონ)* რას შვრებით, სად მიგაქვთ?! ეს ხომ მე მაჩუქეს იმისთვის, რომ მუშათა კლასს ვემსახურე... ჩემი საქონელი მიგაქვთ, თქვე თვალ-დასაფხებელნო?! *(ყვირის)* გადით, დაიკარგეთ... ამას მე თვით მოვუვლი... *(ყველა გადის)*. ეს მაზრა ხომ კარგად მივასწორ-მოვასწორე... აწი

წავალ ჩემს რეკომში და იცოცხლე, ყვარყვარე თუთაბერო, –
ერთი ათად გამოაჩინო შენი ნამოქმედარი.

მე – უკვდავი ვარ!

ყველა დროს ყავს თავის ყვარყვარე...

დროებით, მაგრამ – თავის ჭიას მაინც ახარებს,
დიდებს მორჩილებს, მაგრამ – მუდამ ჩაგრავეს პატარებს.

და როგორც უნდა – წუთისოფელს ისე ატარებს...

ასეთი იყო, არის და იქნება მუდამ ყვარყვარე!

მე – უკვდავი ვარ!

მღვრიე წყალში ხომ თევზი კარგი დასაჭერია...

წყალი აიძვრა – წინ ყვარყვარე – შენი ჯერია...

შენზე ჭკვიანი, ეს განსოვდეს – შენი მტერია...

უერთგულესი მეგობარი –

მასა აქვს ყველა წინ წასულის შიში და რიდი.

მე – უკვდავი ვარ!

ასეა, აჰა!!! (ვადის სცენიდან)

გარედან ისმის ხალხის ხმაური, ჩოჩქოლი, გუნდი შემოესევა
კაკუტას, ქუჩარას, ტიტეს, ოფიცრებს, მოხელეებს, აჯანყებულებს
მეთაურობენ დაგლეჯილ-დაკონკილი სევასტი, გულთამზე, მეწისქვილე.
გიგანტური კალათი იკვრება, მასში ზემოდან „ჩამოეყრება“ ძველი
ხარახურა – ნივთები – პორტრეტები, ფოტოები, სტატუების
ფრაგმენტები, გალია, გადაყრილი მედლები, დეკლავირებული
ფული, მონეტები, „მაუზერი“, დამტვრეული ჯორკო და სავარძელი,
გაჩერებული საათი.

გიგანტური კალათა ნელ-ნელა ივსება, წარმოდგენის პერსონაჟები
უერთდებიან სანაგვეში გადაგდებულ ნივთებს, ხოლო გიგანტური
კალათის ირგვლივ თავსდებიან „გაბედნიერებული“ აჯანყებულები.
ჟღერს „ოპტიმისტური მარში“, სცენაზე სუფევს აღფრთოვანება და
სიხარული.

უცებ საყოველთაო ზეიმს წყვეტს მეწისქვილის შეძახილი
– „შენედეთ, ნახეთ“! – სადირიჟორო პულტთან დგას ფრაკში
გამოწყობილი დირიჟორი – ყვარყვარე, რომელიც დირიჟორობს
მარშს „ხალხი ბრმა იყო, მაგრამ გათენდა“.

პოლიკარპე კაკაბაძე

„სამი ასული“

თეიმურაზ აბაშიძის და ნინო ჯანჯღავას

ვერსია მუსიკალური წარმოდგენისათვის

კომპოზიტორი – **ნინო ჯანჯღავა**

ინტროდუქცია

Adagio *mp*

The first system of the musical score consists of six measures. The top staff (treble clef) begins with a whole rest, followed by a melodic line of eighth notes: G4, A4, B4, C5, B4, A4, G4. The middle staff (treble clef) has a whole rest in the first measure, then a series of half notes: G4, F4, E4, D4, C4. The bottom staff (bass clef) has a whole rest in the first measure, then a series of half notes: G3, F3, E3, D3, C3. Dynamics include *mp* and an *a* (accents) on the first notes of the top and bottom staves.

The second system of the musical score consists of six measures. The top staff continues the melodic line of eighth notes: G4, A4, B4, C5, B4, A4, G4. The middle staff continues the half-note bass line: G4, F4, E4, D4, C4. The bottom staff continues the half-note bass line: G3, F3, E3, D3, C3.

The third system of the musical score consists of six measures. The top staff continues the melodic line of eighth notes: G4, A4, B4, C5, B4, A4, G4. The middle staff continues the half-note bass line: G4, F4, E4, D4, C4. The bottom staff continues the half-note bass line: G3, F3, E3, D3, C3.

სცენის სიღრმეში ბგერის აფეთქებასთან ერთად ინთება შუქი. ყურში რჩება ქარის ხმაური და ჯაჯოს ნანა.

სცენაზე სამი ასული და მატყლს ჩეჩავს. დროგამოშვებით ერთმანეთს გადახედავენ.

1. ჯაჯოს ნანა (გაისმება იმდენჯერ, რამდენიც დასჭირდება დიალოგის მსვლელობას)

Adagio

The musical score is written for three voices (Soprano, Alto, and Tenor) and piano accompaniment. It is in 3/4 time and consists of seven measures. The lyrics are: მანანო-ები მო-დი-ან, ძილი მოაკეთ გუ-დი-თა. თვალებს გა-გივ-სებს ძი-ლი-თა, ნა-ნა.

ღია: შებნდებიდან უმღერის იმ ბავშვს ღედაბერი ნანას, მაგრამ ვერ დააძინა.

თეო: თავის ხმით ძილს უფრთხობს.

ევა: ნეტა შე მიმღეროდეს ჯაჯო.

ღია: ისე დაიღალე, რომ მის ხმაზეც დაგეძინება?

ევა: ჯერ შუალაშე იქნება?

ღია: არა, იმდენი მატყლია კიდევ.

ევა: მოვიქანცე ამდენი მუშაობით.

თეო: ლანდებს დავემსგავსეთ და მაინც გვირისხლება ჯაჯო.

ღია: ჯაჯო მკაცრია.

(ღუმელია, „ნანა“ ისევ ისმის ქარის ხმასთან ერთად).

ღია: გზა რომ ვიცოდე სადმე გავიქცეოდი (ისმის კაკუნი)

ევა: არცერთი არ დაგრჩებოდი, მაგრამ გეშინია ნადირი არ შეგვეფეთოს გზაზე.

(ხანგრძლივი ღუმელია. ვიღაც კარზე დაარტყამს. ასულები შემკრთალ მტრედლებით ასწევენ თავს და დაყურებენ. ჯაჯოს ნანა წყდება და იწყება მეორე ნომრის შესავალი, რომლის ფონზეცაა ტექსტი)

ღია: ქარია!

(განაგრძობენ ჩეჩას, ვიღაც კიდევ დაარტყამს კარზე)

ევა: ეს ქარია!

ღია: ჰო...

(ისევ ბრახუნია)

ღია: ისევ...

ევა: ა?

(განაგრძობენ მატყლის ჩეჩას. უცნობი ორჯერ დაარტყამს კარზე. ასულები შეჩერდებიან)

ევა: ვინ არის?

ღია: ქარია?

თეო: როგორც ვატყობ ვიღაცაა. ბავშვია თუ ქალი?

ევა: არა, სხვაგვარმა ხელმა დაარტყა

2. ასულები და ჯაჯო

Moderato

mp

9 **ჯაჯო** *p*

დი-ა, თე-ო, ე-ვა, თე-ო, ე-ვა, დი-ა, ე-ვა, დი-ა, თე-ო, დი-ა, ე-ვა,

13 თეო *mp*

ამ სიცი - ვე - ში, ავღარ-ში, ბნელ-ში რამ მო-ი - ყვა - ნა,

თეო.

19 რამ?

ჯაჯო

გზა გაუ - კვა-ლავს, ჩვენთანმო - სუ - ლა,

ა

25

ღმას კა - რის მი - ღმა. ამ უღრან

30

ტყე-ში როგორმო - გვებ-ნო ბე-ღი თუ ა - რა

ჯაჯო
ამ უღრან ტყეში ა

36

ბევრი ი - ა - რა, ცოტა ი - ა - რა, რო-მელს

37

38

39

40

41

42

38

გველის ნე - ტავ? მე-ფის ვა-ჟია და აქ

48

მოუღრა ბედის სა-ძებ - რად კარგის მომდგარა,

53

რომ წა - მიყვანოს დამ-სვას დე - ღო - ვლად.

61

გზა გა-უკვლავს. დგას კა-რის მიღ-მა. მე-ფის ვა-ფი - ა.

65

დამსვამს დედოფლად. რომელს გველის? რომელს გველის?

69

რო-მელს ვვე-ლის?

73

77

ღია

ეს ძმა-ა ჩე - მი ვუარო-სნებს გა - ჰყვა და არ და-პრუნ -

83

ღა.

აქ წა - მოსულა ჩემს სა - ძებნელად

83

ევა თეო Unis.

89

ლა მი - პო - ვა. მე - ფის

94

ვა-უი-ა და აქ მო-ვიდა ბე-ღის სა - ძებ -
ეს ძმა - ა ჩემი, ჯვაროსნებს გაჯეჟა და არ და-ბრუნ-და.

99

რად. კა - რებს მომდგარა რომ წა -
აქ წამო - სულა ჩემს სა-ძებ-

104

მი-ყვანოს დაბ-სვას ღე - ღო - ფლად.

ნი-ლაღ და მი-პო - ვა.

ბრახუნი

109 თეო

კვა ვინ ა - რის? ვინ ა - რის?

ღია

ვინ ა - რის, ვინ ა - რის, ვინ?

ბრახუნი

114

ვინ ა - რის?

ვინ ა-რის, ვინ?

3. ჯაჯო და ასულები

ჯაჯოს ხმა: ვინა არის? ა? ხმა არ ამოიღოთ. მე ავალ ჯიტანოდან გადავხედავ...

ჯაჯო *mf* (დამცინავი სიცილით)

თუბაგ-შეია მი-ვი-ღებ, თუ ქალია მაინც მი-ვი-ღებ, მა-გრამ, მა-გრამ, მა-გრამ...

(ისმის მაღლა მიშავალი ჯაჯოს ფიხის ხმა. ასულე თავს ჩაქინდრავენ)

ევა: ვინ იცის ვინ არის? ვინ იცის ვინ არის? ჯაჯო *mf*

7 ის სა - ში-ში-ა, კა-რი არ

14 გა-უ-ღოთ. ბე-რი გა-ვა-ღვი-ძე დაცულსვა-ლე - სი-ნებ.

18 ასულები
ის სა - ში-ში-ა, კა-რი არ
18 ის სა - ში-ში-ა, კა-რი არ გა-უ-ღოთ,

23

გა-უ-ღოთ, ის სა - ში-ში-ა, კა-რი არ გა-უ-ღოთ,
 ხმა არ ა - მო-ი-ღოთ, კა-რი არ გა-ა-ღოთ, გა-ღა-გყრით

23

28

კა-რი არ გა-უ-ღოთ,
 ყინ-ვა-ში.

28

34

ფინალური აკორდის ფონზე, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ

ვეა: ის ლესავს რკინას?

ღია: (ღება დააყურადებს, ყურს მიადებს ჯიტანოზე). არა, არა დაიძინეს. ზვრინვა მომესმა.
 (ისევ ვღება მათთან)

თეო: ეს კარგია

ღია: კარგით, დამშვიდდით ეხლა.

უცნობი მუდარით დაარტყამს კარზე. ასულები ასწვევენ თავს და დაფიქრდებიან.

4. ეგებ მაცხოვარია

Adagio fermato

თელი *mp*

ვინ ი-ცის ე-გებ მ-აცხო-ვა-რი-ა გლა-ხა-კის სა-ხით მო-სუ-ლი

pp

ჰაჰაჰო

pp

mp

5

ლა გვი-ცდის ჩვენ. ღა

ჩვენ

ჩვენ

12

ე-ლოღება ————— გაუღებთ ამ ყინვა-ქრში კარს, თუ არა. ასეთ ღამეში ხშირად

დადის ქრისტე და მომხდარა, როდესაც გაულიათ ვლახაკისათვის კარი, შემოსულა ღმერთი და კედლები გაბრწყინებულა.

18

23

ღია
მე წლო-ბით ვუც - დი - დი
წმინ-და - ო ღმერ-თო,
წმინ-და - ო ღმერ-თო

26

ჩემს სა - ბრა-ლო ძმას შე-ვე-ჩვი-ე მის ლო - დინს.
წმინ-და - ო, ძლი - ე - რო, წმინ-და - ო, უკვ-და - ვო
წმინ-და - ო, ძლი - ე - რო, წმინ-და - ო, უკვ-და - ვო

29

ახ-ლაც ის მგო-ნი-ა ეომ ჩა-მო-ვი-და მომ-ნა-ხა ს-უს-ნი-ან ქარ - ში.

შე-გვი-წყა-ლენ ჩვენ!

შე-გვი-წყა-ლენ ჩვენ!

29

33

33

თეო; რამ ჩაგაფიქრა თავდავიწყებით, ევა?

5. მეშვიდე ლაშა

Allegretto

The musical score is set in 4/4 time and consists of several systems. The piano accompaniment is written in bass clef. The vocal parts are written in treble clef. The lyrics are in Georgian.

System 1: Piano accompaniment. Measure 5 is marked with a '5' above the staff.

System 2: Soprano (სპ) vocal line. Lyrics: მე - შვი - დე ლა - მე - ა მე - სიზმ - რე - ბა თით - ქოს ამ კა - რით.

System 3: Piano accompaniment. Measure 9 is marked with a '9' above the staff.

System 4: Soprano (სპ) vocal line. Lyrics: ბედ - ნი - ე - რე - ბა, ბედ - ნი - ე - რე - ბა, ბედ - ნი - ე - რე - ბა მო - დის.

System 5: Piano accompaniment. Measure 13 is marked with a '13' above the staff.

System 6: Soprano (სპ) vocal line. Lyrics: მე - შვი - დე ლა - მე - ა მე - სიზმ - რე - ბა თით - ქოს ამ კა - რით

System 7: Alto (ლი) vocal line. Lyrics: რა ა - ში - ნებს გულს?

System 8: Tenor (თე) vocal line. Lyrics: რა ა - ში - ნებს გულს?

System 9: Piano accompaniment. Measure 13 is marked with a '13' above the staff.

17

სება ბედ - ნი - ე - რე - ბა, ბედ - ნი - ე - რე - ბა,

ლია

თეო

19

სება ბედ - ნი - ე - რე - ბა მო - ღის. ეს მე მე - ძა - ხის

ლია რა ა - ში - ნებს ვუღს? მე - შვი - ღე ღა - მე - ა

თეო რა ა - ში - ნებს ვუღს? მე - შვი - ღე ღა - მე - ა

22

სება ბედ - ნი - ე - რე - ბა, მე მე - ძა - ხის. მი - მი - ღე თო - რებ

ლია ე - სი - ზმრე - ბა ე - სიზ - მრე - ბა მას, გა - ვა - ლოთ!

თეო ე - სი - ზმრე - ბა ე - სიზ - მრე - ბა ბედ - ნი - ე - რე - ბა,

26

33ა ა - რა - სო - ღეს, მი - მი - ღე, თო - რემ ა - რა - სო - ღეს, მი - მი - ღე, თო - რემ ა - რა - სო - ღეს,

ღია ბელ - ნი - ე - რე - ბა, ბელ - ნი - ე - რე - ბა მო - ღის.

თეო ბელ - ნი - ე - რე - ბა, ბელ - ნი - ე - რე - ბა მო - ღის.

26

29

33ა ა - რა - სო - ღეს, ა - რა - სო - ღეს.

29

34

39

33ა მე რომ ის ე - ვა ვო - ფი - ლი - ყა - ვი სი - კვილს არ და - ვუ - შებ - დი.

39

33ა

შვე - თხოვ - დი, შვე - თხოვ - დი, ძლი - ერ შვე - თხოვ - დი რას არ ვი - ზამ - დი.

თეო

ვინც კარ თა - ნა - ა გა - ნა ა - რა გთხოვს გა - უ - ლე - კა - რი!

კარზე აბრახუნებენ მთელი ძალით. შეღის დასარტყამი საკრავების რიტმი, იგი გრძელდება მანამდე, სანამ დიალოგი არ დასრულდება.

ევა: – ჩვენ გავაღებთ კარს, გავაღებთ კარს, კიდევ რომ შევცდეთ, რა უნდა მოგვაკლოს, ჩვენ ისე უბედურები ვართ...

დია: – მართლა. თუ ვცდებით და ის უბრალო გლახაკია, დაკონკილი, მინც მაღლია. მე ვგავოსი არ მეშინია, არც სიკვდილის მეშინია!!!

თეო: – (ლაპარაკში შეშინებული ეჩრება) როგორ გაფითრდით! მატყლის ფერი ხართ ორივე.

6. ინტერმედია

The musical score is for a piece titled "6. ინტერმედია" (6. Intermezzo). It is written for piano in 4/4 time with a tempo marking of $\text{♩} = 140$. The score is divided into systems, with measures 5, 11, 15, 19, and 22 marked at the beginning of their respective systems. The right hand (treble clef) features a complex rhythmic pattern of eighth notes, often with slurs and accents. The left hand (bass clef) provides a steady accompaniment with eighth notes and chords. A dynamic marking of f (forte) is present in the first system. The piece concludes with a final chord in the right hand.

რიტმისეკვივის პარტია

f

5

11

15

19

22

The image displays a musical score for guitar, spanning measures 26 to 40. The score is written in two staves: a treble clef staff (top) and a bass clef staff (bottom). The key signature consists of two sharps (F# and C#). The music is characterized by dense chordal textures and intricate melodic lines in both hands. Measures 26-31 show a continuous flow of notes with some slurs. Measures 32-35 feature a prominent melodic line in the bass clef, while the treble clef has rests. Measures 36-39 continue the complex harmonic and melodic development. Measure 40 shows a final chordal structure with rests in the treble clef.

(აღნიშნული მონაკვეთის პარმონიულ ფონზე უნდა შეიქმნას საქსოფონის, სოლო გიტარის, პიანოს, ბას გიტარის და დასარტამი საკრავის თავისუფალი იმპროვიზაციები)

7. ასულები და ჯაჯო

ჯაჯოს თემის გაგონებაზე ასულები შეერთებან

ასულები

ჯაჯო
mf

თუ ბავ-შვი-ა მი-ვი-ღებ, თუ ქა-ლი-ა მა-ინც მი-ვი-ღებ, მა-გრამ, მაგ-რამ,

5 თეო დია (სამივე) ჩვენ გველვი-ძვს!

ა.ს. ჯა-ჯო! პო... თქვენ გუს-ძით?

გ.ს. მაგ-რამ...

10

ა.ს. ო, ა-რა, ო, ა-რა, ეს რო-გორ?!

გ.ს. კა-რი ხომ არ გა-გი - ღიათ?

15

ა.

მ.

15 ა - ვალ გა-დავ - ხე-დავ, ვნა-ხავ სად ა-რის. ვოხს ვესვ-რი,

21

ა.

ა-რა, ა-რა, ა-რა!

მ.

მღუ-ღა-რე-საც გა-და - ვას-ხავ. თქვენ ზომ არ ა - მო-ვი-ღი-ათ ხმა?

21

8. არა, ეს კარი გაიღება

Adagio
mp ^{3^ა}

ა-რა, ეს კარი გა - ი - ლე - ბა, გა - ი - ლე - ბა, რა - ლაცა ძა - ლა გა - ა - ლვი - ძა

ამ ხმებ - მა. ეს კა - რი ფარ - თოდ გა - ი - ლე - ბა, გა - ი - ლე - ბა.

და ჩვენს გარ - შე - მო ბედ - ნი - ე - რე - ბა იქ - ნე - ბა.

მაგ - რამ მე გუ - ლი და - მი - ში - ნა სი - ცოცხ - ლის სვე - ლამ,

11 თეო

ჩვენს გარ-შე-მო ბედ-ნი-ე-რე-ბა ვერ ი-ქნე-ბა. გლა-ხა-კის სა-ხით

14 შე-მო-ვა მა-ცხო-ვა-რი შე-წუ-ხე-ბუ-ლი ათრ-თო-ლე-ბუ-ლი.

17 ღია

ჩვენ სა-მი-ვე ი-ე-ბი-ვით ღაე-ხრით თავს, ჩვენ ვი-ქნე-ბით ბედ-ნი-

20 სამივე ასული

ე-რე-ბი. და მე-რე თუნ-ღაც ამ ბნელ კოლდე-ებს - ში

23

და - ი - ლი - ოს სი - ცო - ცხლე ჩვე - ნი და მე - რე თუნ - დაც,

26

და მე - რე თუნ - დაც...

29

32

9. მცდელობა (განმეორდება იმდენჯერ რამდენიც დასჭირდება ტექსტის მსვლელობას)

მეგობარო: ეს არაფერია... ეს არაფერია...

მეგობარო: ნახევარი სიცოცხლეა სულ ამ კარს ვაღებთ!

მეგობარო: და ახლა როცა ჩემი სიცოცხლე უნდა შეიცვალოს, უნდა შეიცვალოს ხელი გამიშეშდება?!

მეგობარო: გავალოთ!

მეგობარო: ეს ქალი კვიის გაციებულ ტყეში

მეგობარო: და პატარა მდინარეები ყინულად არიან ჩამკვდარი მიწაში...

მეგობარო: იქ სიბნელეა

მეგობარო: გავალოთ კარი (*უკან იხევეტ*)

მეგობარო: ძალა სრულიად გამოძვლია...

მეგობარო: (*ჩურჩულოთ*) ამ ბრახუნში რაღაც უცნაურია.

მეგობარო: მდინარეებს ვგვართ. განა ჩვენ ძილში გვესმის ეს ხმა?!

მეგობარო: გავალოთ კარი! ჩვენ შეგვშლის ეს ღამე... ფიქრით შეგვშლის. გავალოთ!!!

მეგობარო: ადვილი გასაღებია...

მეგობარო: ჰო, ჰო... (*კაკუნ*)

მეგობარო: გავალოთ, გავალოთ!

მეგობარო: ჩვენ ვერასოდეს ვერ გავალებთ, ვერასოდეს ვერ გავალებთ ამ კარს... ძნელია (*უკან იხევეტ*)

მეგობარო: ჩვენ გავალებთ კარს... გავალებთ კარს...

მეგობარო: მართალია! თუ ვცდებით და ეს უბრალო გლაზაკია?! დაკონკილი, მაინც მაღლია

მეგობარო: მე ჯაჯოსი არ მემინია... არ მემინია... მე არც სიკვდილის მემინია...

მეგობარო: როგორ გაფითრდი!

სამივე მეგობარო: ეს არაფერია, განა ისე ძნელი საქება? ნახევარი სიცოცხლეა სულ ამ კარს ვაღებთ და ახლა, როცა ჩემი სიცოცხლე უნდა შეიცვალოს ხელი გამიშეშდება?! გავალოთ, ხო, დამეხმარეთ დროზე. როგორი გრივალაა გარეთ. ეს ქარი კვიის გაციებულ ტყეებში და პატარა მდინარეებში ყინულად არიან ჩამკვდარი მიწაში. იქ სიბნელეა. გავალოთ!!! ძალა სრულიად გამოძვლია. ამ ბრახუნში რაღაც უცნაურია. მდინარეებს ვგვართ. განა ჩვენ ძილში გვესმის ის ხმა? ჩვენ შეგვშლის ეს ღამე. ფიქრით შეგვშლის. დაუგლე ყური ის ძრწოლა საშინლად... ეს ადვილი გასაღებია! ჰო... გავალოთ! გავალოთ! გავალოთ!

მეგობარო: ჩვენ ვერასოდეს გავალებთ ამ კარს... ძნელია!

11. ტრიო

Adagio

ლია

მო-ვედუ-ბით და გულ-გრი-ლად და-ვემარ-ხა-ვენ. არ-ვინ ი-ტყვის

თეო

დავე-მარ-ხა-ვენ

ცეც

დავე-მარ-ხა-ვენ

6

ლია

თუ ვცხოვ-რობ-დით. ჩვენს ხა-ფლავ-ზე ლურ-ჯი-ი-ე-

თეო

თუ ვცხოვ-რობ-დით არ-ვინ ი-ტყვის.

ცეც

თუ ვცხოვ-რობ-დით არ-ვინ ი-ტყვის.

6

ლია

ბი ა-მოყ-ლენ, მა-გრამ ი-ა ი-ქნე-ბა მუნ-ჯი.

თეო

ლურ-ჯი ი-ე-ბი ა-მოყ-ლენ (ნ)

ცეც

ლურ-ჯი ი-ა მ

11

17

ღია მე სი - კედი - ლის ა - ლარ მე - ში - ნი - ა, არ - ვინ შირე - ბა მო - ტი - რა - ლი.

თეო

გება

23

ღია ის ჩემს გულ - ში ურ - ტყამს ხელს.

თეო ის ჩემს გულ - ში ურ - ტყამ ხელს და უ - ცდის,

გება ის ჩემს გულ - ში ურ - ტყამს ხელს და უ - ცდის

23

29

ღია ეს მე მე - ბა -

თეო თუ გა - ი - ლე - ბა ეს კა - რი, მე მე - ბა - ხის, მე

გება თუ გა - ი - ლე - ბა ეს კა - რი, კა - რი, ეს მე მე - ბა - ხის ბე - ლნი - ე - რე - ბა,

29

36

ღია ხის. მე სუს -

თეო ვე - რა - ფე - რი შვე - ძე - ლი. მე სუს - ტი ვარ

მეა მე კი ვე - რა - ფე - რი შვე - ძელ. მე სუს - ტი ვარ,

42

ღია ტი ვარ, კე - თი - ლი - ვარ მე

თეო კე - თი - ლი ვარ

მეა კე - თი - ლი ვარ წა - ში - ვა - ნე.

43

გაოგნებული ღვას, არ იცის რა თქვას. ~~უკეთონღვა და მიწვევა კუთხეში ბუნჯართან. სინჯარმა მეფის ვაჟს~~
~~წახსურ.~~

გაოგნებულები ღვანან, არ იციან რა თქვან.

12. სიზმარი

Larghetto

The musical score is written for piano in 4/4 time, marked 'Larghetto'. It consists of six systems of two staves each (treble and bass clef). The key signature has two flats (B-flat and E-flat). The first system (measures 1-8) features a slow, sustained melody in the treble clef with a simple accompaniment in the bass clef. The second system (measures 9-16) introduces a more active treble line with eighth-note patterns. The third system (measures 17-23) continues the eighth-note pattern in the treble, with a more complex bass line. The fourth system (measures 24-31) returns to a more sustained treble melody. The fifth system (measures 32-37) features a more active treble line with eighth-note patterns. The sixth system (measures 38-45) concludes the piece with a final sustained melody in the treble and a simple bass accompaniment.

13. სიზმარი ტრიო

ევა და თეო ბუხართან წიანან. თეო ფეხზე დგას
 თეო: - გძინავს, ევა?

Adagio

The musical score is set in 4/4 time with a key signature of one sharp (F#). It consists of a piano accompaniment and two vocal lines. The piano part features a steady bass line of eighth notes and chords in the right hand. The vocal lines are in treble clef.

First System (Measures 1-4): The piano accompaniment begins with a series of chords. The vocal line starts with a whole note rest.

Second System (Measures 5-8): The vocal line begins with the lyrics "ის მშვენი - ე-რი-ა. აქ შე-მო-".

Third System (Measures 9-12): The vocal line continues with "ვი-და. ვა-კო-ცე ბა-ვე-ში სუნ-თქვა შე-წყვი - ტა." There are triplets in measures 10 and 11.

Fourth System (Measures 13-16): The vocal line concludes with "მკვლარს და-ემს-გავ - სა." The piano accompaniment continues with chords.

Lyrics:
 ის მშვენი - ე-რი-ა. აქ შე-მო-
 ვი-და. ვა-კო-ცე ბა-ვე-ში სუნ-თქვა შე-წყვი - ტა.
 მკვლარს და-ემს-გავ - სა.

Stage Directions:
 თეო დიას: - შენ გეხმის ამის ლაპარაკი?
 დია: - ჩამძინებია

21

ჰჰჰე-ნი - ე - რი - ა ვა - კო - ცე

მე ვი-ცი ვინც ა-რის, მაცხოვარი - ა,

27

ბა - ვე - ში მკედარს და-უმ - სავ სა.

მა - ცხო - ვა - რი.

32

ლა - ვემ - ხე მის წინ

მე ვი - ცი ვინც ა - რის

ჩე - მი სა - ხე-ლი - ა მის ქვი - თინ - ში

37

ვეა ის მშვენი - ე-რი-ა, მეფის ვაჟი - ა.

თეო მა - ცხო - ვა - რი - ა.

ღია ღა მის ხე - ლებ - ში.

45

ღია ვინ ი-ქნე - ბა თუ ა - რა

50

ვეა მეფის ვა - ჟი - ა...

თეო მა - ცხო - ვა - რი - ა...

ღია ის...

55

გა

თუ

ღა

55

The image shows a musical score for a voice and piano. The voice part is written on three staves, labeled 'გა', 'თუ', and 'ღა'. The piano part is written on two staves. The music is in a minor key and features a melodic line in the voice and a rhythmic accompaniment in the piano. The score is numbered 55 at the beginning of each system.

ჯავლი: - უსაქმურობთ არა?! ვინღათ გაგახართ?

14. ჯაჯო

Vivo

ჯაჯო 1
 წა - სუ-ლა, წა - სუ-ლა თქვენ ი-მუ-შა - ვეთ,

ჯაჯო 2
 წა - სუ-ლა, წა - სუ-ლა თქვენ ი-მუ-შა - ვეთ,

ჯაჯო 3
 წა - სუ-ლა, წა - სუ-ლა თქვენ ი-მუ-შა - ვეთ,

5
 ჯ. 1
 წა - სუ-ლა, წა - სუ-ლა არ გაც - ღეთ.

ჯ. 2
 წა - სუ-ლა, წა - სუ-ლა არ გაც - ღეთ.

ჯ. 3
 წა - სუ-ლა, წა - სუ-ლა - არ გაც - ღეთ.

5

9

ჟ. 1
 წა - სუ-ლა, წა - სუ-ლა თქვენ ი - მუ-შა - ვეთ,

ჟ. 2
 წა - სუ-ლა, წა - სუ-ლა თქვენ ი - მუ-შა - ვეთ,

ჟ. 3
 წა - სუ-ლა, წა - სუ-ლა — თქვენ ი - მუ-შა - ვეთ,

13

ჟ. 1
 დი - ლას ვნა-ხავ ნა - მუ-შე-ვარს ტკბილ ძილს გი-სურ - ვებთ!

ჟ. 2
 დი - ლას ვნა-ხავ ნა - მუ-შე-ვარს ტკბილ ძილს გი-სურ - ვებთ!

ჟ. 3
 დი - ლას ვნა-ხავ ნა - მუ-შე-ვარს ტკბილ ძილს გი-სურ - ვებთ!

13

ღია: (შეირხევა და მიეყრდნობა ბუხარს) - წასულა...

თუო: - ცოფვა, ცოფვა...

ღია: - სივიფე...

ვეა: - რა?

15. ქორალი

Andante rubato

mp

სპა

ოეო

ღია

6

12

ფინალი

The image displays a musical score for a piece titled "ფინალი" (Finale). The score is written in G major and 3/4 time, consisting of two systems of staves. The first system includes a vocal line and four piano accompaniment staves. The vocal line begins with a rest followed by a series of eighth and quarter notes. The piano accompaniment features a steady eighth-note bass line and chords in the right hand. The second system continues the vocal and piano parts, with the vocal line ending on a final note. The piano accompaniment maintains its rhythmic pattern. The score is marked with a dynamic of *mp* (mezzo-piano) and includes a rehearsal mark with the number 9.

18

Musical score for measures 18-23. The score is written for five staves: four treble clefs and one bass clef. The key signature is one sharp (F#). The top staff contains a vocal line with notes and rests. The second staff contains a piano accompaniment with eighth and sixteenth notes. The third staff contains a piano accompaniment with quarter notes. The fourth staff contains a piano accompaniment with quarter notes. The fifth staff contains a piano accompaniment with quarter notes.

24

Musical score for measures 24-29. The score is written for five staves: four treble clefs and one bass clef. The key signature is one sharp (F#). The top staff contains a vocal line with notes and rests. The second staff contains a piano accompaniment with quarter notes. The third staff contains a piano accompaniment with quarter notes. The fourth staff contains a piano accompaniment with eighth notes. The fifth staff contains a piano accompaniment with quarter notes.

Musical score for measures 30-33. The score is written for five staves: four treble clefs and one bass clef. The key signature is one sharp (F#). The tempo is marked *rit.* (ritardando). The music features a melodic line in the top treble staff and a bass line in the bottom bass staff. The melody consists of quarter and eighth notes, with some slurs. The bass line consists of quarter notes and rests. The score ends with a double bar line.

Musical score for measures 34-37. The score is written for five staves: four treble clefs and one bass clef. The key signature is one sharp (F#). The tempo is marked *rit.* (ritardando). The music features a melodic line in the top treble staff and a bass line in the bottom bass staff. The melody consists of quarter and eighth notes, with some slurs. The bass line consists of quarter notes and rests. The score ends with a double bar line.

მერაბ ელიოზიშვილი

„ბერიკონი“

თეიმურაზ აბაშიძის ვერსია მუსიკალური თეატრისათვის
კომპოზიტორი – **ნუგზარ ვაწაძე**

1975 წელი

მოქმედი პირნი

1. **ბერუა** – ლალე, თავბერიკა
2. **თებრო** – იანო, ბერიკა ქალი
3. **ჯამათა** – მღვდელიბერიკა
4. **დოლაბა** – კახა, ტახბერიკა
5. **წიქა** – თხა, თხამბერი
6. **ბექა** – ყაყიჩია, ბერიკა
7. **ხოსრო** – აზნო, ვირბერიკა
8. **ჯავახა** – ჯამბაკური, კურობერი
9. **მაქაქოსა** – კარიჭა, კვახაბერი

ცარიელ სცენაზე არც კულისები, არც დეკორაციებია. დაკონკილი ბერიკთა დასტა უმოძრაოდ რაღაცას ელოდება. დოლაბა აღელვებული შემოდის, გუდაცარიელს დაბერტყავს.

დოლაბა: ძალი მიაკვდეს მამასახლისსა, ჯერ გვახიერეთ და პურს მერე გაჭმევთო. ხვეწნა-მუდარის თოკზე გაველ-გამოველ, ვიჯანბაზე, როგორ ვთხოვე, არა და არ ქნა.

„გადღებით და გაიპარებითო!“ – არ შეისმინა ჩემი სიტყვა.

თებრო: ეგრემც ვიცოდი, მომესპო მაგის სახსენებელი!

დოლაბა: ადრე და მალე!

თებრო: ადრე და მალე! ორი ან სამი შოთი ვერ გამოართვი ვინმეს. სამადლოთ ან ძველი ქადა, მარილიანი გეშოვნა სადმე, ჯანი გავარდეს მაგათ ხაშლამას, სულს მოვითქვამდით.

ბექა: ცხელი ნაზუქი აჯობებდა, ცივი ბურვაკი, დოშხინილაღაც არ იქნებოდა ურიგო რამე, მაგრამ, რაკილა კვირაა დიდმარხვისა, წარწყმედად არ ღირს.

ჯაფახა: პირწყლიანობით კუჭი ვერ ძღება, ჩემო ბექავ! სათქმელი რამ დავროშოთ მალე. ბერუავ, სად ხარ, გამოყე თავი.

ბექა: ოხრათაც დარჩეს ეგ შენი ურემი, მათხოვრების მატარებელი. მშერი კვდებით!

თებრო: შაჰ-აბასის და თეიმურაზის ამბავს დავიწყებთ...

ბერუა: უფრო უბრალო ხეფრული რამე აჯობებდა – ცოლის ღალატი, დანის დარტყმა, სტანი და ფლანი... თეიმურაზის და შაჰის ამბავი აფსუსი არის, რას იტყვით, ხალხო, თებრონე, ბექავ?!

ხოხრო – მეფე – ერეკლეს, მასხარ-ლაღესი და ჯამბაკურ მუხრან – ბატონის სეირს ვაცხადებ!.. ჰა, არ ივარგებს?

ბერუა: არა უშავს რა... ზოგს მოვაკლებთ, ზოგს მოვუმატებთ, გამოაცხადე!

ხოხრო ჯამბაკურ მუხრან-ბატონის სეირს ვაცხადებ.

– „ზანტად მიგდებულ-დაგდებული ბერიკების დასტა უცბად, სწრაფად გარდაიქმნება, გარდაისახება. –

სერი იწყება.

(*ბერიკაობა ცეკვა-სიმღერით იწყება*).

ყველა: ეო – მეო, ეო – მეო,

ბერიკავ ლალეო,
ბელი რაკი არა გქონდა,
რად დაიბადეო.

თებრო: ჰარალეო, ჰარი-ჰარალეო,
ლალეს გაჩენის ამბავი
დღესაც მიკვირს მეო,
დღესაც მიკვირს მეო.

(იანოდ გამოეწყობა)

ყველა: მუხრანისკენ აღარ წავალთ,
ბატონს გაუჩნდეს ჭირი.
ორ აბაზად გვახტუნავა,
გუდაც წავგართვა – სტვირი. *(ცეკვავენ)*

მაქაქოსა: ლალე დილეგში ჩააგდეს!
(მაყურებლის წინ გაშლის აფიშას):
„მასხარ ლალეს და ჯამბაკურ
მუხრან-ბატონის სეირი“

თებრო: *(ფანდურის და დოლის ფონზე)* ცხრა მთა გამოვიარეთ....

ჯავახა: ცხრა წყარო შევსვით...

დოლასა: ცხრა ზღვა დავხვრიბეთ მარილიანი.

გიო: ცხრაცალი ჭიჭყინა ძლივს დავიჭირეთ.

თებრო: ცხრანილა დავრჩით.

ბექა: სოფელ-სოფელ დავეხეტებით და ვბერიკაობთ, ჩვენც ვერთობით
და სხვასაც ვართობთ. ხან ჭონას ვამბობთ, ხან ვლაზარეობთ,
ხან ვლაზლანდარობთ.

ბერიკები: ეო – მეო, ეო – მეო,
ბელი რაკი არა გქონდა,
რად დაიბადეო,
რად დაიბადეო.

(მუსიკა სევდიან ვოკალში გადადის. ჯავახა მუსიკის ფონზე)

ჯავახა: ჩვენი მორბედი მაჩახელა ყოფილა, გუნდი ჰყოლია
ცხრახმიანი...

თებრო: ჭექავდნენ, თანაც ხმალსა ლესავდნენ გმირებთან ერთად.

მაქაქოსა: შავნაბადაზე გაჟლეტილა ის გუნდი.

ხოსრო: ხანი გასულა, ჩვენ ვაგჩნდით!

(ბექა მონოლოგს იწყებს)

ბექა: მრგვალია თუ არა დეღამიწა!? უმეტესობისათვის ამას არა აქვს

არავითარი მნიშვნელობა. იბადებიან, ბერდებიან, კვდებიან ისე, რომ ერთხელაც არ დაინტერესდებიან... ბრტყელია, მრგვალია, მრუდეა, სწორია, შავია, თეთრია...

სულ ერთი არ არის?! კაცს იმდენი საზრუნავი აქვს რომ...

ზოგი კი, ამისათვის სიცოცხლეს სწირავს. აი ჯორდანო ბრუნომ არ თქვა – ბრტყელიაო, არ თქვა... და დაწვეს... ჰო, ჰო – მოჰკლეს!!!

მღვდელი-ბერიკა: ადამიანი სიმართლეს და ჭეშმარიტებას უნდა არჩევდეს. ჭეშმარიტებას ღმერთი აწესებს, ხოლო სიმართლეს – ადამიანი, თავის შეხედულებით და ანგარებით.

ბექა: ასე, რომ ზოგი ჭეშმარიტებას ეძებს, ზოგიც სიმართლეს, ასეა ეს.

დაიმახსოვრეთ ხალხო!

ბერიკები: (*ძღვრით*) მუხრანისკენ აღარ წავალთ,

ბატონს გაუჩნდეს ჭირი,

ორ აბაზად გვანტუნავა,

გუდაც წაგვართვა – სტვირი.

ხოსრო: ლაღე დიღეღეში ჩააგდეს.

...(*მუსიკა წყდება*)

ლაღე: (*აზნოს*) კი არ ჩამაგდეს, ჩამაბრძანეს... დიდ თურქობის ჟამს; საქართველოში, იტალიიდან თავისი ნებით მოვლენილმა, არა ვცდები, არქანჯელომ, გვარად ლამბერტიმ, თუ არა ვცდები, თელავში შემხვდა, თუ არა ვცდები, რა თქმა უნდა... არა, მცხეთაში, მგონი არ ვცდები. მესხიერება გამითახსირდა ამასობაში... მგონია გორში, ციხის ნანგრევებთან ვნახე ის ბერი... არა, მუხრანში, უფრო მუხრანში... რიგიანად აღარც კი მახსოვს. ასეთ ყოფაში... ასეთ ყოფაში, ჩამოდღედილი სახიობი იხილა ჩვენი, ბერმა ლამბერტიმ... ცოტა იტირა თუ ბევრი იტირა, აღარც ეს მახსოვს, დამადო ხელი ლამბერტიმ და მითხრა სახელი იმათებური ვინმე ვარსკვლავთ მრიცხველის, თანაც ჯამბაზის, თუ არა ვცდები! ჯორდანო ერქვა სახელად თურმე, გვარად ბრუნო. თუ არა ვცდები, იმას ჰგავხარო, ჩამაცივდა. განა მჯერა, უბრალოდ ვბერავ და ვბერავ. ვბერავ და ვბერავ... იმას გევხარო, იმ ჯორ-ჯორდანოს... ე ჩემს ფეხებსა უნდა მეთქვა, ვერ მოვასწარი, ...მას აქეთიდან ამეკვიპატა მე ეს სახელი. აღარ მასვენებს. სულ თან დამყვება. ფეხები მიხურს, ცეცხლი მეღება,

რომ მასხენდება. ჩემს სასთუმალზე ის ათევს ღამეს. „მრგვალი არისო დედამიწა“. „როგორ თუ მრგვალი, – მეც ავხირდები, – დედამიწა რა საზამთრო არის, თათარო შენა, ... რატომ არ ვცვივით აქეთ-იქით, თუკი მრგვალია?!“ – მე ვეკითხები და პასუხს ველი... ტყვილად ცხადია, ვერა მპასუხობს!... არ ვარ ბრძენი?! (*იწყებს ფანდურზე დაკვრას*)

ზოსრო: როგორ თუ არა, ბრძენი ხარ.

ლალე: (*აზნოს*) მე უფრო ვარ თუ ის ჯვორ-ჯვორ-დანო, იტალიელი ცრუ მეცნიერი?...

აზნო: შენა, ბერიკავ, შენა ხარ ბრძენი!... პირდაპირ, არსენ იყალთოელი.

ლალე: ვინლა შემიკრას კუბოი,
ვინლა დამინთოს სანთელი,
ძლივსლა შემოდის ბნელშია,
მზიანი ქვეყნის ნათელი,
ჯამბაკურს აღრე ჰგონია,
ამით ჩამიწყვეტს ენასა,
აქ უფრო ვუკლავ კალაპოტს
აზრის და ფიქრის დენასა,
სადაც არ უნდა ჩამაგღონ,
აღარ გამწირავს უფალი,
სადაც ვახლავარ ჩემს თავსა,
იქა ვარ თავისუფალი.

აზნო: (*შემპარავად*) მერე და ვისი ბრალია, ვისი?..

ლალე: ჩემი გამჩენის ბრალია, დამბადებლის და აკი ვწყევლი...

აზნო: გამჩენს მოეშვი, დამბადებელსაც ტყუილად წყევლი, ყური დამიგდე!..

ლალე: ყური? რომელი?

აზნო: ბერიკა, ბიჭო, მისმენ თუ არა?..

ლალე: კი, როგორ არა!..

აზნო: (*ართმევს ფანდურს*) თუ დამიჯერებ, ბიჭო ლალე...

სამშობლოს მთებზე თოვლიანებზე,
მგლებზე, მელებზე, ტურა-დათვებზე,
მწყერზე და გნოლზე, ხონობ-კაკაბზე,
შენეულ კაკანს თუ დაეხსნები,
თავადის გმობას, ამოო თრევას,

წალმა-უკულმა სიცრუის ქნევას,
თუ მოეშვები და გაჩუმიდები
დაიმახსოვრე, საშვილიშვილოდ,
შენც აშენდები,
მეც ავშენდები.

ლალე: სულ გავკეთდებით და ავშენდებით?!

აზნო: როგორც დედლები კვერცხმდებლები...

ლალე: მივხვდი!.. ცივათა მხარშავთ შენ და თავადი, წყალი მზადა
გაქვთ?

აზნო: (*წვევებს ფანდურზე დაკვრას*) წამოდი, უნდა გამოგაწყო, ტანზე
ჩაგაცვა, გათავისუფლებს ჯამბაკური, ციხიდან გიშვებს, ახლა
გაიგე?

ლალე: რა ფერისაა, შენ ეს მითხარი?

აზნო: ვინა? თავადი?

ლალე: არა! თავისუფლების ფერს გეკითხები.

აზნო: ოქროს ფერია, წმინდა, ბაჯალლო, ოქროს ფერი, თანაც
მრგვალია, ანუ ბრტყელ-ბრტყელი.

ლალე: სისხლის ფერია თავისუფლება; სისხლისფერია!... კუნძი
მზათა გაქვთ, დიდი ნაჯახი?!

აზნო: წამოდი, შე უნიფხოვ, გათავისუფლებს დიდი თავადი ჯამბაკური,
გა-თა-ვი-სუფლებს... გესმის ქართული?!

ლალე: მე, ქართული? (*ფიქრობს*).

აზნო: (*ქართულს უხსნის*) აი, ხე! აი, ცხენი! აი, ვირი!... ჰა, აი
ხე-ლი!

ლალე: ორი ხმალი, თეთრი და შავი, არ მოთავსდება ერთ ქარქაშში,
ერთად ვერ მოსძოვს მგელი და კრავი, წადი უთხარი!..

(*ხელს დაჰკრავს ხელოზე, მოიკიდებს და დასცემს*)

აზნო: ხსნის დღე გიდგება, რით ვერ გაიგე... შენი ნიჭით და
შენი შეძლებით, თავადს სჭირდები. გეწვია ბედი, შენეული
დიდბერიკული, ნიჭიერებით ჩვენი წისქვილიც დაატრიალე, არას
წააგებ...

ლალე: წმინდა წყარო რომ ტურტლიან წისქვილს ვერ ააბრუნებს,
რით ვერ გაიგეთ?!... (*აუშვებს წაქცეულს, ვანზე ვავა*).

აზნო: გონებას უხმე, ყური დამიგდე: ბატონის ქვევრი შენ უნდა
გახდე ამიერიდან... (*ახლოს მივა ლალებსთან*).

ლალე: რასაც ჩამძახებს – ამოვძახო!

აზნო: მერე რაა-რო?

ლალე: რომელი ქვევრი გნებავთ რომ ვიყო, ქოცო? თალარი?..

აზნო: პირველი წვენის მიძღები ქვევრი, თალარი... თალარი!...

ლალე: (*ავა სცენისაკენ*) სამასი წელი შამბათას სვამდით შენც და თავადიც. ახლა დასჭირდა იმ სამეზის ცვედანს ქართული ღვინის, თალარი ქვევრის უმანკო წვენი...

აზნო: რაებსა ბედავ?!

ლალე: როგორ თუ რას?

ერთხელ რომ სულთანს წააკვეთინა,
მეორედ ლეკთა, ჯარ-ბელაქნებთან,
მესამედ კი ალა მაჰმად ხანს,
უძღვნა ბეჭდათ და დად შეეფიცა,
რადგანაც სამძო აღარ შერჩა მას,
იმდენი სცადა, იმდენი უცადა,
გადაყოლილა ამოდენ ცდასა,
მერე კი როცა მართლა დასჭირდა,
ველარ იპოვა ერთი ციდაცა.
ოლონდ კი თავი ტანზე გვებასო,
ბედის ბორბალი არ დაგვებასო,
ხორცსა ტკბილობდით სულზე მეტადა.
აკი შეგრჩათ და აკი გადგიათ,
განასესხები, განაყიდები,
კისრის ძვლებზე დანაკიდები,
როგორც სარებზე ნივრის გალები,
ა ევ უძირო თავის ქალები. (*მუს. პაუზაზე*)
ლალე მქვია და კვლავ ბერიკა ვარ.

აზნო: (*ყელში ხელს წაავლებს, წააქცევს. სად იყო და სად არა თვითონ თავადი, ჯამბაკური გაჩნდება*)

ჯამბაკური: (*ლალეს*) გაწყენინა ამ ოხერმა, გაწყენინა, ჩემო ლალე?! ხეპრეა და გაუთლელი, უბირი და მოუქნელი!... (*აზნოსკენ მიემართება*). შეხედეთ, რას გავს ეს ოხერი!... ვილას უნდა დავანახო, უღვაშმამოტყავებული, ძალღივით გაავებული!..

აზნო: რასა ბრძანებთ?! წამოყვანას შევეცადე, რასა ბრძანებთ?!

ჯამბაკური: ათი ცხელი დამიკარი, შენის ხელით, მაგ შენს ვირაქლემბა ტანზე, ამას ვბრძანებ!...

აზნო: *(საკუთარივე მათრახით იცემს ტანს)* შაკ-ჰუსეინ, ვაკ-ჰუსეინ, შაკ-ჰუსეინ, ვაკ-ჰუსეინ...

ჯამბაკური: *(ვაკეცხლდება)* რა ჰუსეინ? ვინ – ჰუსეინ? რა თქვა, ხალხო, ამ სულბაღმა, რა სისულელე დაუქვა? *(აზნოს)* ათსაც დედაკაცზე ვბრძანებ, იმ შენს ვითომ კნინაზე!.. ჩაეხადოს მოედანზე, ათჯერ ზედი-ზედა! იღვეს ეგრე უნიფხოთა, სახალხოთა, საჯაროთა!...

ლალე: *(ჯამბაკურს)* ქალისაც რომ აზნოს მოხვდეს, აჯობებს. ქალს თუ აუწ-ჩამოვუწევთ, ისევ ისე აზნოს არგებს, ათი როზვი აზნოს მოხვდეს. ქალი მაინც ქალია და... ერთიც ვნახოთ, რამე მოხდეს!...

ჯამბაკური: *(ლალეს)* რა-რო მოხდეს!

ლალე: ვინმე რომ გადაირიოს, შიშველზე, მოედანი აირიოს!...

ჯამბაკური: ჰო, ჰო, ეგრე იყოს, სწორსა ბრძანებ, აზნოს მოხვდეს!..

აზნო: *(ძორხილად)* მოვემზადო?

ჯამბაკური: სამერიოდ მოემზადე, ახლა ჰაცე!..

ლალე: *(აზნოს)* ჰაცე, ვირო; ვერ გაიგე... მერე დაგცხებს!..

(აზნო გადის, ჯამბაკური ლალეს მიეფერება)

ჯამბაკური: *(ლალეს)* თავისუფლებას განიჭებ, განიხარე!

ლალე: მამა-პაპის ნათქვამია. „გიჟი – თავისუფალი“, სხვას სუყველას უფალი ჰყავს!.. *(დარბის)*.

ჯამბაკური: ენა ხმალივით გიჭრის, ჭკუა, კიდევ, უფრო მეტად, ამიტომაც შევინახე მე აქამდე!

ლალე: *(ირონით)* სულ შვილივით გამომზარდეთ...
ჯამბაკური: *(ფიქრში)* დღევანდელ დღესავით მასსოვს, თელავიდან

– მცხეთამდინა მხარზე მქონდა გადებული მეფის კუბო, მუხიგულის... არავინ არ შევინაცვლე, არავინა, ჩემო ლალე, მარტო ჩემი მხრითა ვზიდე, მარტო ამით. აი, ნახე *(მხარს უჩვენებს)*.

ლალე: *(მტვერს მიმოიბერტყავს)* მაშინდელი მტვერი გადევთ, რაც არ არი – აღარ არი... ეგ ძველი და სხვა ახალი!...

ჯამბაკური: *(შეიშნოვებს)* მე შენ გეტყვი, დამიფასა ვინმემ რამე, გინდა ხალხმა, გინდა სხვამა!...

ლალე: არც ყაჯარმა, იმ ოხერმა მაჰმად-ხანმა!...

ჯამბაკური: ხელახლა გადაწერილა იმთავიდან დაწერილი,

ჩემზე ცუდი ჩაწერილა,
კირკიტით და დაწვრილებით,
სიგელ- გურჯის გაყალბებით,
მამულების მონაცვლებით,
უცხო ვინმე კი არა და,
ჩემს ძმებსა და ბიძაშვილებს
დანოსები ფოდნოსებით
სულ წყალში გადაუყრიათ,
მთელი ჩემი ნაწვალები.

ლალე: (*თითქოს სწყინს*) მერე, რა ექნა, რა გიშველო?

ჯამბაკური: გზები უნდა გადაუკეტო ჩემს ძმებს ჩემზე მოსარევი,
სიტყვა უნდა შევიკმაზო დიდი მთვარის მოსასმენი...

ლალე: რა ხერხით და რა ძალებით?

ჯამბაკური: ბერიკონით, თეატრონით, პირის გალების უფლება ჩემს
მამულში, შენს მეტს არავის ექნება.

ლალე: (*თავისთვის*) დიდი ამბები იწყება! მერე, მერე?

ჯამბაკური: ბერიკონზედ იმპერიის

დიდი ღერძი დაგვესწრება,
სახელდობრ ჯერ არ ვიცი,
ვინ იქნება, რა იქნება.

უცხო კაცი დიდებული,
ვინც სტუმრად მოგვევლინება,
შენი დიდი სახიობით,
შენი მჭრელი ენის წვერით,
ისე უნდა ააცრემლო,
ისე უნდა ჩააფიქრო,
არც აციოს, არც აცხელოს,
ბერიკონის მეორე დღეს,
ძმების გულის გასახეთქად
„ნამესტნიკის პამოშნიკად“
უეჭველად მე დამნიშნოს.

– გესმის, გაიგე?

ლალე: ვერა ბატონო, ვერა გავიგე! გუშინ ბატის ფრთა ყურში
გამირჭეს. თქვენის ბრძანებით, ყური გახვრიტეს. ტვინი წაიღეს
და ქარილა შემდის ცარიელ ხვრელში, აქედან შემდის – აქედან
გამდის, შემდის და გამდის, შემდის და გამდის.

ჯამბაკური: რითი ავივსოთ ეგ ხვრელი ბიჭო, ეგება მითხრა!...

აზნო: *(შორიდან)* მახათებით, სადგისებით, შამფურებით, ნემსებით!

ჯამბაკური: არამკითხე მოამბეო, მისტყიპე და მიაგდეო! *(აზნოს გაძევებს).*

ლალე: გაიგეთ, რომა, ყროყინა ვირზე უკულმა ვდომის თავი არა მაქვს, დავბერდი-მეთქი, აქ არის ჩემი აკვანიცა და ჭრიალაც!

ჯამბაკური: წაღმა დაჯექი, წაღმა ბიჭო, რატომ არ გესმის?

ლალე: რომ ვერა ვვლები მე ოხერი, განა არ მინდა!

ჯამბაკური: რასაც იტყვს თვალ-მარგალიტებს ყურები, შენი, პირი შენი, არც ესა კმარა?!

ლალე: კმარა – არა კმარა, კმარა – არა კმარა...

ჯამბაკური: ეგების ქაღმა, ჰა, წაგახალისოს, მზეთუნახავმა ქაღმა – ქალწულმა, დალაღდაწულმა, დაფიქრდი, ბიჭო!

ლალე: *(სული შეეკვრა)* ქაღმა? *(ფორიაქებს).*

ჯამბაკური: *(აზნოს)* აზნო ქალი!

ლალე: აბა ქალი?!

აზნო: *(ბრაზით)* არ დაიწყო მათხოვარმა, არჩევანი-არადანი. ვითომ სულ ერთი არ არის ამისათვის „სადა ქალი, ვისი ქალი, რისი ქალი“, საგვარეულო მომთხოვანიანი! ამას უნდა მოვეყვანოთ?!

ჯამბაკური: *(აზნოს)* ჰაცე-მეთქი! *(მუსიკა იწყება, აზნო ვადის და ფართლის ვორა შემოაქვს დაიღლიავებული, ლალეს წინ დაახვევებს).*

აზნო: შუბლის ქინძისთავის არის მთელი სოფლის ჩიხტიკობის, შუალამის ნადავლი, ნახევარ სოფელმა მდია, ქვა და ღორდი დამაწიეს, დამაყარეს. ცალი წარბი და უღვაში იმ ბრძოლებში ამატყავეს.

ჯამბაკური: *(ლალეს)* მოხსენი ეგ ფალასები და საქმე ჰქენი, თან გახსოვდეს: შენი მოდგმის გამრავლების სურვილიც თუ აღარ გაქვს, სასიცოცხლო აღარ ხარ, დახსომე და სხვას ნუღარ დააბრალებ, რაც მოგივა, ჩემო – ლალე!

(აზნოს) აღწერილობა გვიბრძანე, აზნო, მალე. რამეტიისაა?!

აზნო: ცამეტის გახლავთ, დიდო ბატონო: მალემზარდია, ღამე გარდახდება და თვრამეტისა უმალ გახდება... თვალში მაცვალი აქვს, ლოყაზე მარწყვი, ტუჩზე ჯერაც რძე ადგია. ტანი – თლილი, წელი წვრილი.

ჯამბაკური: ხელი არავის უხლია?

(*ლალეს*) – აჰა, ნუსხა ჩაიბარე, ასლი – დედანს შეადარე!.. მიდი!..
(*სინანულით შეჰყურებს ლალეს – აფსუს ჩემო ჯეელობავ!*
აფსუს! აფსუს!)

ბექა: (*აცხადებს სეირს*) აი, ახლა ვიწყებთ ნამდვილ სეირს, ქალის გასინჯვას ფარფლის გორაში... თვალთუხილაგად, ხელის ფათურით! (*იწყებს ფართლის სინჯვას*).

ლალე: (*აღტაცებით*) ატლასები – ზარნაშებით, ბიჭოს, კარგი მზითვებია!...

აზნო: ატლასები კი არა და, ირანული ფარჩა გახლავთ!

ლალე: ავშენდით თუ ეგრეა. (*დოლის ხმაზე*)

მაგრამ ქალი? აბა ქალი?

ამას ქალის არა სცხია,

ქალი მინდა, განა ჩვარი,

ამდენი ხნის მშეიერი ვარ.

აზნო: ეს თუ მარტო ატლასია,

ნაწნავეები ვილასია,

იმის ქვემოთ ჩამოქნილი

ყელ-კისერი ვილასია,

ლალე: ორი თბილი,

სეფის კვერი ვილასია,

აზნო: იმის ქვემოთ, უფრო ქვემოთ,

მიდი, წადი!

ლალე: მძინარე მოუტაცია და

საცვალი არ აცვია. (*მუსიკა წყდება*)

რჯულძაღლებო, რა გიქნიათ?

ჯამბაკური: (*აზნოს*) ხომ არაფერი გიქნია. ჰა, აზნო!

აზნო: არაფერიც არ მიქნია!... (*შეშინებულია*).

ლალე: პირში... ბურთი ჩაგიჩრიათ!..

აზნო: წარბ-ულვაში ამატყავა, თავსაც მალე წამიჭამდა, ბურთი რომ არ ჩამეჩარა!

ლალე: ტანზე... შემოგლეჯილი აქვს ხოფთები და ხაფთანები!..

ჯამბაკური: (*აზნოს*) რაო? შენ მოაგლიჯე, მხეცო, ხოფთები და ხაფთანები?

აზნო: სამი კაცი დავახვიე, ლოგინიდან ავათრიე, ატლასებში გავახვიე... ტანზე როდის ჩაიცვამდა, სად გვეცალა? თანაც წვერებს მაგლეჯავდა!..

ჯამბაკური: (აზნოს) გაიქე და მოუტანე ხოფთები და ხაფთანები, თანაც ახალთ-ახალები!..

აზნო: (ბუზღუნით გადის) ნათლიათაც გამიხადა, მეჯვარეთა ნაოხარმა, ნაციხარმა! ხოფთები და ხაფთანები, თანაც ახალთ-ახალები!.. (შემოუტანს სამოსს იანოს).

ლალე: (არხეინად) შეიმოსე, გოგოვ, მალე! (ხოფთებს აწვდის ქალს ზვინქეშ, ქალი ხელს გამოყოფს ფართის ზვინდან, სამოსს შეითრევს, იცმევს, ფარჩის ზვინი ირხევა მისი მოძრაობისგან, ტანშემოსილი იანო კერ აზნოს გააცამტვერებს, მერე კი ლალეს).

იანო: (აზნოს) აჰა, შენი წვერ-ულვაში, ციხის ვირთხავ, მუჭში მქონდა, ამიყროლდა (ძიყრის).

ლალე: (შეკრთება, იცნობს იანოს) ვაი, ია ყოფილა, მღვდლიანთ გოგო. ეს რა მიქნია. (აღარ იცის, სად წავიდეს).

იანო: (ლალეს) ეს შენ იყავი, ვისაც მოჰგვარეს ჩემი თავი?.. შენა გნატრობდი, შე ბინძურო, ამდენი ხანი?

ლალე: (თავს იმართლებს) ბნელს ვიყავ, იავ, მრავალი წელი...

იანო: (შეაწვევტილებს) გაგიხმეს ხელი!..

ლალე: წყვდიადს ვლესავდი, თვალუხილავი და ქალუხილავი, უნდა შემინდო, თუკი მივქარე!.. (პირჯვარს ისახავს).

იანო: აი, მოგტყდეს ეს ხელი, პირჯვრის მსახველი!

ლალე: ადრე და მალე, შენ გენაცვალე!.. რას ვიფიქრებდი... მე ტიალი, შენ თუ იყავი?! სხვა მეგონე და ბინძური ხელი ფარჩას ვახელი!..

იანო: ქრისტეს ლახვარი მოგხვდეს მაგ ხელზე, დაუბანელზე!..

ლალე: განა თუ ერთზე, მეორე ხელზეც, შუბლშიაც მომხვდეს, მეტი რალა ვქნა, მეტი რალა ვქნა, რაფით მაძლარმა! გავექანდები და კლდეს თავს დავარტყავ! (გაეჭნება, იანოს შეეცოდება).

იანო: (ლალეს დაიჭერს) შენ ეს მითხარი, როცა იქმოდი, რასაც იქმოდი, ჩემზე ფიქრობდი თუ სხვაზე ჰფიქრობდი?.. (ლეღვით ელოდება პასუხს).

ლალე: შენზე და შენზე, მხოლოდ შენზე! გითხარი. მაგრამ არ დამიჯერებ!

ჯამბაკური: ვერ გაათავეთ... ამდენი ხანი, თქვენი ამბავი? (შეუტევს) არ გესმის, ლალე? შინ წაიყვანე, გზადაგზა სცადე ბალახზე სადმე...

ლალე: ვერა, თავადლო, ეს სირცხვილი თუ არ მოვიბანე, ფეხს არ მოვიცლი.

ჯამბაკური: აბანო გინდა მაინცდამაინც?

(ლალე მაინც უარზეა, გიუტად ღვას).

ლალე: უნდა გამჯობნოთ, გამამათრახნოთ, ისე არ წავალ...

ჯამბაკური: რასაც შეგპირდი, ის არაკმარა?! სხვას რაღასა მთხოვ, ტაკიმასხარავ?!

ანო: *(გაშეფრავს)* აბანოს ითხოვს, ეს იმას ნიშნავს, მექისეს ითხოვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ქისას ითხოვს, განა თუ სახეხს. ოქროთი სავსეს... ქისა უჩვენეთ... ნახეთ, რა მოხდეს.

ჯამბაკური: *(ქისას ვადაუვლებს)* ქისა დამიჭი... ქართული თეთრი არ გეგონოს... მტრედის კვერცხებად ჩამოსხმული ასი ოქრო ღვეს შიგ, ირანული!

(ცეკვა)

ლალე: *(ქისას დაიჭერს, ოქროს უძღერის):* „ვაი შენ ქისაო, ფერად ნარინჯისაო, შიგან ნადები სიმიდღრე, ფასო ხმელეთისაო“...

ანო: *(გაოცებულია მისი საქციელით)* „ბიჭოვ, შენი ქისა.

ბუშტი არის თხისა,

შიგ ნადები საქონელი

კვინწი მარილისა“...

(ლალე არ აქცევს ყურადღებას ქალის რჩევას, საერთოდ ველარც ამჩნევს ნანატრ სატრფოს, თავისას განავრძობს).

ლალე: *(ქისას იხუტებს)* სხვა რაღა მინდა, კაცმა რომ სთქვას?! ფარა ბლომად მაქვს, მთავარი ქვევრიც, ანუ თალარის წოდებაცა მაქვს... ჭამე, სვი, გასკდი, ენაჭარტალავ, და ნულარაფერს ნულარ მიჰქარავ! ეგრე არ არის!.. უფალმა ბრძანა ჯამბაკურმა და ათქისიანი ქისა ხელთა მაქვს. ძალაც მომივა. ცოლიც აგერა რძეს იწვევება, რძეს შევდღვებავ და შვილი მექნება, მექნება. მეთქი, ენა მებმება. ცოლი და შვილი სიცხნეში ჩრდილი? სად გაგონილა, ერთ კაცს გარდახდეს, მე რომ გადამხდა იმდენი ჭირი... კაკაბი ყველგან ნაცრისფერია, მგელი მგლისფერი, მწყერი მწყერისფერი, აი ქისები, ოქროს ქისები. ყველაფრისმთქმელი, ყველაფრისმქმნელი.

იანო: ეს რა თქვა, ხალხო, რჯულგაყიდულმა, ამ გაიძვერამ, ამ უბედურმა? ეს რა დარომა, ეს რა იმღერა?! იქნებ წამოსცდა. უნებურად, ისე წამოსცდა?! (*ლალეს მიუბრუნდება*) იქნებ წამოგცდა, ბიჭო, მითხარი?

ლალე: (*ოქროთი გაბრუნებული*) რაო, ნიფხავი?! არ მოგცეს მზითვებში? მე კარგად მახსოვს, ჩემის ხელით შემოგაწოდე, იქნებ მატყუებ? გინდა გაჰყიდო, ფული ჩაიჯობო, მერე, ახალი მაყიდინო და ისიც გაჰყიდო. აბა, მიჩვენე (*ხელით მიწვდება კაბის კალთას*), აწიე და კარგად მიჩვენე!

იანო: აჰა, გიჩვენებ! (*ქისას გამოსტაცებს და თავში დასცემს, ლალეს გული წაუვა, გადაესვენება. ნიშანი აღარა აქვს სიცოცხლისა. იანო მას ისე აათვალიერებს, როგორც რაღაც გასაოცარ არსებას*).

იანო: ორი ფეხი აქვს, ხალხო, ამ ოხერს ოთხის მაგივრად... თანაც ქართულად, რა გამართულად გაგვითათრა და გამოგვითათრა! როგორ გვაგინა... რა ილაღა და რა გაიხარა, ოქრო რომ ნახა... ლაი-ლაობდა, ლაი-ლაობდა... როგორ ბლარდა (*ცეკვა თავდება*).

ლალე: ვინა ყოფილა ეს ორთავიანი და ორბაშვიანი ამ გაქანებულ უთაობაში. ჰა? (*უბძობს იანოს*) ტყუილად გარბიხარ, შენ გენაცვალე, ვერ გამექცევი! ოქროზე გაწყერ, ჩემო იავ, ოქროს ქისაზე? განა რა მოხდა საამისო რომ?! ცოტახანს მებჰყრას ეს დაწყველილი, თუ დალოცვილი, ვიდრე გავიგებ, რაები ზდება დედამიწაზე! თუ ყველა ვერე გასპეტაკდა, შენ როგორც ზატავ, ჩავფლავ მიწაში ამ ყვითელ ეშმაკს, ანდა გადავყრი... (*ფიქრებში*) იქნებ მოსწყინდათ ეს საზიზღარი ყვითელი ჭირი ადამიანებს, იქნებ შესჯავრდათ დასანახავად, დაგმო ქვეყანა და გადაჰყარა! მე კი მიჭირავს!..

ბერიკები: (*თან ცეკვავენ*) ზღვა კოვზით ამოუშრიათ,
იმოდენა უხვრეპიათ,
ქვიშა ბარით მოუთხრიათ,
ნაზღვაური გაუცრიათ,
ოქრო, ლალი, მარგალიტი
შინ ტომრებით წაუღიათ,
თევზი ცალკე გაუხმიათ,
სამერეოდ ჩაუღვიათ.

(*მუსიკა ვრძელდება, დეკორაცია იცვლება*).

— კვლავ ჩარდანხიანი ურემია სცენაზე. თავისი აზრით, ჯალამბართი. —

ჯავახა: *(აცხადებს)* ვაცხადებ ახალ სერიას: ირანული ოქროს ქისებითა და კეთილი წყურვილით დაბრუნდა ლაღე თავის სამშობლოში. თავის მხარეში. ბერიკონს ლაღეს ნაცვლად, კვანახბერი დაპატრონებია და მოძალბებულ სხვადასხვიანთა ნებით, ჩარდახიანი, ქართული, ბერიკული ურეში ჰარამხანად გადაუკეთებია... ამას იხილავთ თქვენის ნებითა და ჩვენი შეძლებით.

(წიქს კვანახს ჩამოიფხატავს და სეირს იწყებს).

კვანახბერი: *(იგივე წიქს)* პირველად საქართველოში, მრავალტანჯულ ქვეყანაში, ნისიად და განვადებით, მოდით, ხალხო, რა განახოთ, ყველა ქვეყნის ლამაზები!

მღვდელბერი: მოგიყვანთ, მოდით და ნახეთ, შეიყვარეთ!..

კურობერი: რა ქალები, რა თვალები!..

კვანახბერი: ჰინდუსტანის ლამაზები, მომცრო ხატის ძირი არ ღირს.

ტახბერი: აფრიკულად ნაჯვარები, აზიურის განზავებით, იაფად და პირიანადა!..

ვირბერი: გადაყვართ ჯავღლაგები,

უშნო ძუძუ პატარები!..

ყაყინია: შევიყვართ ლამაზები, მოქნეული გავაზები!..

კვანახბერი: გეყოთ ძვლების ჩხარაჩხური,

პონტური და კასპიური,

ეკლესიის თვალთმაქცური სამსახური,

ყალბი მცნების ყალბი თმენა.

გაცვეთილი გუთნისა და

აცა-ბაცა ფარცდის ღვენა,

შევიძინოთ ერთდროულად

სიამეც და განათლებაც!..

მაგალითად: *(კურობერი ისაკენ შებრუნდება)* აბა მითხარ, რატომა აქვთ აღმოსავლელ ქალებს ვიწრო თვალები?

კურობერი: *(პასუხობს)* აღმოსავლელ ქალებს იმიტომა აქვთ ვიწრო თვალები, რომ... რომ... ამომავალი მზე პირველად მათ უმზერს შიგ თვალებში და ამიტომაც უვიწროებს თვალთა ჭრილს მნათობი ქალებს.

კვანახბერი: *(ქალებს ვახსახებს)* ქალებო, მზად ხართ?

ხმები: *(კულისებდას)* მზადა ვართ, მზადა!...

კვანახბერი: *(ბერიკებს)* წავიდე, რაღა!.. *(იწყებს აღმოსავლურ ცეკვა-*

სიმღერას. დანარჩენებიც მას მიბაძავენ. მიჰყვებიან. ცეკვავენ და თან მღერიან).

კვანძბერი: *(ვასდახებს კვლავ ქალებს)* ისე დალაგდით, როგორც იმ ღამით, გამხდრები მარჯვნივ, მსუქნები – მარცხნივ. მზად ხართ თუ არა?!

ხმები: მზადა ვართ, მზადა!

ბერიკები: აქეთ, ხანა,

ხალათ-ხანა!

ჩაი-ხანა,

კახპა-ხანა.

ყავა-ხანა,

ოქროს-ხანა,

დაბა-ხანა,

ყომარ-ხანა! *(მუსიკა წყდება)*

(ჩარდახს იქით ვაღიან)

ლალე: *(ურემზე აღის, თვალს გააყოლებს)* აი, ესენი, ერთ ღროს უბრალო გახლდნენ გლეხები. */ხალხისაკენ შემობრუნდება/* – მიწასა ხნავდნენ, თესდნენ და ფქვავდნენ მთის წისქვილებში. პურსა ჭამდნენ და მაწონს ატანდნენ კმაყოფილები... ვაზი სუყველას ნაქები ჰქონდა და ბადაგივით ღვინოსა სვამდნენ წმინდა სტუმართან... ცოტაოდენი, მამაპაპური, ოპიზარების ნაჭედნაქონი ოქრო და ვერცხლი, რაც კი ებადათ, ბეთლემსა ჰქონდათ გადანახული, დიდი მყინვარის დიდ სალოცავში... ახლა, რა ხდება, ვინ დაგვწყველა და ვინ შეგვაჩვენა?! ნუთუ გადატყდა სუყველა ჭალი ქართული ურმის, ფერსმომალალის და ჩემი ნაცვლის ხელნაკრავი გადაიჩეხა ღვინია ხარი!... ოქროს ქისით რომ დამინახონ, ვაითუ დამახრჩონ და მერე გამძარცვონ... მოდი, დაგმალავ, ვითომ ჩავყლაპე */აყვირდება/*. მიშველეთ, წყალი!... ოქრო გადამცდა სასულეში, ქრისტეიანებო, მომხედეთ, წყალი!...

(ლალეს ყვირილზე, ხვანჯირის სწორებითა და ძვირფასი ხმებით, გამოიხილებიან ბერიკები დოღის თანხლებით).

მღვდელი: ვინა ღრიალებს?

ვირბერი: რათა ღრიალებს?

კვანძბერი: რა აღრიალებს?

ტახბერი: *(შენიშნავს ლალეს)* შენა ღრიალებ?

კვანძბერი: რა გაღრიალებს, ერთი მითხარი?!

ლალე: ოქრო გადამცდა სასულეში და.... *(ყველა ერთბაშად
გამოცოცხლდა)*

კვასბერი: ოქრო?

კურობერი: რა ოქრო?!

ყაყია: საიდან, ოქრო?!

ვირბერი: როგორ თუ ოქრო?!

მღვდელი: მაინც რამდენი?!

თხაბერი: საიდან, ვისი?!

კვასბერი: ჩემი თუ სხვისი?! *(ახელ-დახელავს ლალეს)* ხელცარიელი,
მარტო, ეული, ჰა-ჰა-ჰა!.. აღარა გნახო აქ მოთრეული!.. გასწი,
ლაოთხე ჭენებ-ჭენებით!..

კურობერი: მათხოვარია, ოქროს თხოულობს!..

თხაბერი: ო, რა დრო დადგა, მათხოვარიც ოქროს თხოულობს?!

ლალე: *(ყვირის)* წყალი!..

კვასბერი: წყალი – რა წყალი, ოქროს წყალი?

ტახბერი: თუ ვარდის წყალი გნებავს ირან გილანის?!

მღვდელი: ნაკურთხი წყალი მომთხოვოს იქნებ, ამ
უმღვდელიობაში!..

კვასბერი: *(შებტყვად)* ჰა, ამოშაქრე, ამოკაკლე, ამო, შე!..

ლალე: ლალე ვარ, ლალე, თავბერიკა, ველარ მიცანი?!

მღვდელბერი: *(ჩაშტყრებით)* ლალეო?!

კვასბერი: *(გაფიცებული)* მაგ სახელს მეტად ნულარ ახსენებ. შე
ოსერო, თუ გინდა შეგრჩეს შენ დედის ხსენი და სამუდამოდ
არ დაგავიწყდეს საკუთარი სახელი შენი! გესმის, რაც გითხარი
მათხოვრისფერო?! *(დოლი ჩერდება, გაველისებული ბერიკები
ვანზე გამოვლენ და ავბჭობას გააჩურებენ).*

ტახბერი: არ გახსოვთ განა, ეს ყიამყრალი?!

გლეხბერი: ქრისტეს ბაძავდა, მცნებას ჰპარავდა თავისთავსაც და
ჩვენცა გვტანჯავდა...

ტახბერი: გადაგვიკიდა დიდი თავადები!

ვირბერი: აყბედებული ეხა-პირითა!..

კურობერი: გვერდები გექონდა ლილისფერი მუშტიკრივითა...

თხაბერი: ბევრჯერ გაგკვირჭეს, მაგის წყალობით, თავქვე
დაგვიკიდეს!

კურობერი: სამი ბერიკაც სტამბულს გაგვიკიდეს.

(გამოძვრება, ზედახორა დაიშლება, ლალესკენ წამოვლენ).

ლალე: *(ქისას დაადრობს)* ბავჯალო ოქროს ათქისიანი ქისა ხელთა მაქვს, აჰა შეხედეთ!...ხედაც ბატონის ხელწერა არის. მეფისეული ბეჭედიც აზის, ხედავთ თუ ვერა?!

მღვდელიბერი: *(შეკვირებს)* ლალე, ლალე!

ყაყია: მართლაც ლალეა.

ვირბერი: მართლაც ის არის.

თხამბერი: ყურის ბოლოზე დედასეული ხალიც უნახე...

კვანბერი: ხალი – რა, მაგის მოგონილია? ბევრი მინახავს მე ხალიანი, კაციც და ქალიც. მერე რა არის! *(ლალემ ნახა, რომ ბერიკათა უძრავლესობა მოტყუვდა, ვადამწვევებად შეუტია კვანბერს).*

ლალე: *(ძოსდებს)* აჰა, მიიღე ყველაფრისათვის, შე კვანხისთავა, გოგრუაშვილო *(ვაგორებს)* – კვანხის ყუნწზე, რომ არ ებმის ნესვი, ნათქვამი გახლავთ.. აბა, ვის გინდათ ტვინის შეყვანა ცარიელ თავში, კუდუსუნიდან ხერხემლის გავლით?! მაშინ მივქარე, შევცოდე მაშინ, როცა უძალლო ჩემს ქვეყანაში კატა ვაყფე!..

მღვდელიბერი: *(გვედრება)* უნდა შეგვინდო, ადამიანო!

ლალე: მღვდელიბერიკაზე, ამ ყოფილ კაცზე სიტყვას არ დავძრავ. თქვენ რად იყავით, ან სად იყავით, ვირო-ვირთავა, თხაო – თხათაპავ, ტახო-კაპკაპავ? სად, სად იყავთ, სადა, მეზურნეებო, მეპურნეებო დიდ-პატარაო, ამქარო მთელი? ან ეს რა არის, მითხარით, აბა, ბერიკონია თუ ჰარამხანა?

კვანბერი: *(ბერიკებს)* არ არის ლალე, ტყუილად არ აჰყვეთ, ქისაც მონაპარია... ყაჩალი და ონავარია!.. მე ვიყვილებ და გათენება თქვენ იკითხეთ!.. ყოყლიყო!.. *(ვადამწვევად დაიყვილებს ვირბერიიკა დიდ ვოდორს დაამხობს თავზე კვანბერის და მიაწყველის).*

ვირბერი: მიწამ პირი გიყო! *(ვოდორზე ჩამოტყდარი მიმართავს ლალეს)* უნდა მოგხედო და გვიპატრონო, ლალუავ, ჩვენო, ოსტატო ძველო, შემოქმედო და სულის ჩამდგმელო!

ლალე: ვირო-ვირთავავ, სახედარმცოდნევე, კურცხალის ნაცვლად ჩონჩორიკი გცვივა თვალთავან!..

ვირბერი: არა, ცრემლია სინანულისა, ცრემლია, ცრემლი!

მღვდელი: *(ლალეს)* სხვა გზა არა გვაქვს, უნდა შეგვინდო ყველა, უპატრონობამ და მარტობამ აგვაკრა გუდა. დაგვრია ხელი, გვაგლიჯა წვერი. *(ვოდორს მუშტს დაჰკრავს)* – აი ეს იყო, ამან ჰქნა სუყველაფერი. საღმრთო სჯული დაგვაგინწყდა და ალაჰ აბდულა გვიქადაგა.

თხაბერი: წყვილი თივანი გამიყიდა შიგ თეირანში, იცოდეს ღმერთმა.

ვირბერი: ერთხელა, ტვირთი ამკიდა ღიდი.. რომ ვერა ვზიდე, ამ ოხერმა, წიხლი მკრა და ხევში დამაგორა...

კურობერი: მოვკიდოთ ხელი, გადავუხადოთ სამაგიერო, და ვავორავოთ კლდეებზე ეს ოხერი (*გოდორს ეცემიან*).

ლალე: (*თავისთვის*) არ მეგონა გორის ციხე

სავორავად განდებოდა.

ლაშქარშია თეთრი ცხენი

სავოგავად განდებოდა...

ჩემი თავი ცათა სწორი

ასე დამიდაბლდებოდა.

ჩემს უარეს, ჩემი სწორი,

ასე გამილაღდებოდა.

(*გული აუჩუყდება ამ სიმღერაზე*) – იცით, რას გეტყვით (*ბერიკები მოწიწებით გაჩერდებიან ლალეს წინაშე*)... ქიციც ვიცი და ქიცმაცურიც. ვიცი, რომ ბევრი ტყუილად დაამღერეთ, ვიცი, ბოლომდე კაცს არ გააღმერთებთ. ამ ქისას დაცვლი თქვენს თვალწინ, მშიერი კაცი არც ბერიკად ვარგა და არც არა მღვდელიმთავრად... შეინახეთ, გამოიზოგეთ ლუკმაპურისათვის, ცოლშვილისათვის, ხვალ-ზეგისათვის. (*იმდღიან გვეშებს გააცნობს ბერი ბერიკაცებს*).

ლალე: მღვდელი, მომხედე.

მღვდელი: გისმენ.

ლალე: რას იტყვი, ცოლი რომ შევიერთო.

მღვდელი: შენი ცოლები შვილიშვილებს დასტრიალებენ კარგა ხანია.

ლალე: აბა, მაშ მომეცე!

მღვდელი: მიდი და მოგდე. ვინ არის, რა ქალია, მაღალია, დაბალია, მსუქანია, გამხდარია?!

ლალე: ყვავილის სახელი ჰქვია, გამოიცანი!..

მღვდელი: (*შეფორიაქდება*) ვისი სახელიცა ჰქვია, ის ყვავილი სად ხარობს, სად გვარობს?

ლალე: შენს ოჯახში, მღვდელიო, შენს სახლში...

მღვდელი: რა სახლი, რა სახელი? (*აჰუჰა*) კრაზა დაგვესხა ერთ ღამეს და ი გოგო წავგართვა, ყვავილს რომ ვეძახდით!

ლალე: როგორ დაანებე უომრად, მღვდელიო!

მღვდელი: წარბ-ულვაში ავატყავე, თავში საცეცხლური დავცხე-
მეტი რა მექნა?!

ლალე: მერე რა მოხდა, არ გაგივია?

მღვდელი: სჯულგაყიდული შემოკვლობია... ქისა დაურტყია, თავი
გაუპია...

ლალე: ეგ ხომ მე ვიყავი... ქისა მე დამარტყა, კინალამ შევცდი,
ცოტალა დამაკლდა.

მღვდელი: დედისერთაზე?

ლალე: არა ქისაზე, ის იყო ვეცი... და...

მღვდელი: დედისერთასა?

ლალე: არა, ქისასა, ოქროს ქისასა...

მღვდელი: ხომ არ შემცდარხარ?

ლალე: დედისერთაზე?

მღვდელი: არა, ქისაზე, თავბერიკავ, ოქროს ქისა, რომ
შემოგიტანეს...

ლალე: დედისერთამ მიხსნა! სად გადამალე, მღვდელიო?

მღვდელი: რაი, ქისაი? შენ არ დაცალე!..

ლალე: დედისერთაო, დედისერთა, გამომიყვანე, თორემ!..

მღვდელი: რაი, ქისაი? შენ არ დაცალე!..

ლალე: (*უხმობს*) კარზე მოადგა, ბედი შეილი, ფერი-ფერსა და
მადლი ღმერთსა ვთქვათ.

ლალე: (*იანოს*) წყალში შეცურდა ირემი,

თან ძელა მოსდევს ტივითა,

გოგოვ, მე შენი სურვილი

მარუნებს წისქვილივითა.

იანო: (*ლალეს, მწყურალად*) სადაც დაგიფექამს, იქა ფქვი,

გაცაცაურო, ჩმახაო,

ჯერ ისიც ამოუშლელად,

ჩემს გულში ჩაიმალო!

ლალე: ქალო, ამ თვალთა ნათელი,

ქალო, სახე გაქვს მზისაო,

ქალო, მშვენება ვინ მოგცა

სამოცი ვარსკვლავისაო,

მთვარე ხარ მანათობელი

იალბუზების მთისა,

შუქი ანათებს ქვეყანას,
მაგ შენი თვალებისა.
(*ბერიკების გუნდი*): მთვარე ხარ მანათობელი
იალბუზისა მთისაო,
შუქი ანათებს ქვეყანას,
მაგ შენი თვალებისაო.

ლალე: ცაში ნაბანო ვარსკვლავო,
ხელს დასაჭერო მზისაო,
გახსოვდე, მომიგონებდე,
მე შენთვის ცრემლი მდისაო.

იანო: არა, მართლა, ბიჭო (*სიყვარული ძოვრევა გოგოს*).

ლალე: მართლა, გოგო!..

იანო: ვერცხლისა თასად მაქციე,
რო ღვინით აგევესებოდე;

ლალე: „დაფერილ მქნა წითლადა,
შეგსვამდე, მეგერგებოდე“.

იანო: „ანა მქნა ოქროს ზურთვაი,
კალთაში ჩაგეშლებოდე“.

ლალე: „აწ შენი ნამგლის ჩანა მქნა,
რო ფხათ შეგერჭობოდე“.

იანო: „ანა მქნა ვარდი, ყოილი,
რომ პირზე დაგეყრდნობოდე“.

ლალე: „ანა მქნა მოვის პერანგი,
რა გულზე დაგადნებოდე“.

(*ძუსიკა წყდება*)

იანო: (*არ ეშვება*) თავბრუს ხვევა რამ იცის, ლალე?

ლალე: სიმშილმა და სიღარიბემ...

იანო: (*არ ეშვება*) სხვამ არაფერმა?...

მღვდელი: (*ნაზად*) სიყვარულმა, შვილო ჩემო, სიყვარულმა!

ვირბერიკა: მაგდენიც თუ იცი, მღვდელიო, ჯვართ გამოსახე. იწვის
ვერ ხედავ?!

მღვდელი: ჯვარი რას გიშველით, შვილებო, როცა ხართ შვილნი, ამ
ტრიალ მინდორზე, თანაც ამ მზის გულზე შუადლის გულზე...
სირცხვილია, ფულურო მანც ნახეთ რამე, თავი შეაფარეთ...

იანო: შენ ჯვართ გამოგვსახე, მამავ და მერე ჩვენ ვიცით!

მღვდელი: (*იწყებს ბერიკულ ჯვრისწერას*) ჯვარო-ჯვარუნაო,

რკინავე-ულარუნაო, ხეო-ვაზისაო, ვაზოქართელისაო, როგორც, რომ გიხსნივართ, მოგვხედე, გვიხსენი... *(ბერიკებს)* აბა, მეტი რა ვთქვა, აბა, მეტი რა ვქნა? ღამე მაინც იყოს, უკუნი ბნელი; რომ სასიყვარულოდ გაშალოთ ხელ-ფეხი!..

იანო: ახლა რაღა ვქნათ, რა უნდა ვქნათ, როგორ ვქნათ?!

ლალე: *(იანოს დაბნეული)* მაშ არ იცი, როგორ და რა უნდა ვქნა, ჰა რა იცი?! ნატვრის თვალი მე არა მაქვს, სახლი, კარი შესაფერი, ასე აბა რა უნდა ვქნა?!

იანო: *(გაკაბასდება)* რაი, რა თქვი?.. ნატვრის თვალი არა მაქვსო?! შემოხედე, აბა კარგად, მე ვინა ვარ? წინდი ჩხირი? თითის ტარი? ღაზლი-ყაჭვი-კოჭისძაფი?! აი გაქრი, თუ ეგე თქვი, აი გაქრი, აი გაქრი!

(ბერიკებს): რაკილა ამ ოქროს ჭიას გამრავლების ემინია, ავღგები და გავარდები!..

ლალე: *(გაფიცხდება)* ეგ რა მითხარი, ეგ რა თქვი?! მუხლზე გახოხებ, ფქვილს მოგაზელინებ. ჩაგაკვრევენებ და ამოგაყრევენებ!

(ბერიკებს): აბა და ფერხულ დაემახოთ ერთგულ, შეჰკარით წრე სრული, ზურგშექცეული!

(ცეკვა ფერხული, ბერიკები ზურგშექცეული წრიულ ფერხულს გაახურებენ... წრეში ლალეს და იანოს მოიქცევენ... წრე გაიხსნება, ფერხული შეწყდება. ნაბადს კვერევით ძიათრევს ლალე. ნაბადზე იანოა ზურჯინგადაკიდებული. ზურჯინში ტიკინები უწყვია. ყოველ შეჩერებაზე თითო ტიკინა თითო შეილივით ამოჰყავს).

იანო: *(ტიკინას აღმართავს)* ეს პირველი შვილია და რა დავარქვა?...

ლალე: *(ვამოართმევს ტიკინას, მოეფერება)* მოდით, ფარნავას დავარქმევ, რაკილა ბიჭი გამოდგა!.. *(მღვდელის მისცემს მოსანათლად).*

მღვდელი: *(შეიცხადებს)* კარგია, იყოს ფარნავაზი *(ჯვარს გადაწერს)*

(ბერიკების ფერხული გრძელდება)

იანო: *(ლალეს)* ეს მეორეც ბიჭია და ამას რა სახელს დაარქმევ, ჩემო ლალე?..

ლალე: მაგას მირიანი ერქვას, ყაბულსა ხარ?

იანო: თანახმა ვარ მირიანის!

მღვდელი: ამინ, იყოს მირიანი!

ბერიკები: ამინ, იყოს!..

(მესამე წრეზე – მესამე ტიკინას ამოიყვანს იანო ხურჯინიდან)

იანო: მესამეც რო ბიჭი არის, ჰა, ლაღე, ამას რაღას დაუძახებ?

ლაღე: მაგას ვახტანგი დავარქვით გორგასალი, ცუდი არის?!

იანო: თანახმა ვარ...

კურობერი: იქნებ სხვა რამე დაგვერქვა...

იანო: ვითომ რა, როგორ, ვახტანგი არ ვარგა?!

კურობერი: ცხენი გაწყდა უჭმელობით და...

იანო: მართალი ხარ, ვახტანგს კი ვირზე ვერ შევსვავთ?!

ყაყაია: მუზარადიც ძვირი ჯდება, ეგეც ჩადი!..

მღვდელი: ახლა ისა, თვითონ თავი, რაზეც მუზარადი იღმის?!

იანო: მერე, მგელის ამოტვიფრა მუზარადზე!.. ეს ცოტა ღირს?!

ვირბერი: ამდენ კულბაწარობაში გადაშენდა ხელოსანი. აქა-იქა დილოსტატი ასეთ წვრილმანზე მოცდება, როგორ არა!.. ისევე ისე მე შეგისვამ, ვირიცა ვარ, კაციცა, ოღონდ რამე გამოვიდეს მაგისგან, სულაც ზურგით არ ვატარებ?!

ლაღე: თუ ვერა, ვირბერიიკავ, შენ მონათლე...

ვირბერი: მუტრუკაანთ გლახო ერქვას... ხელს გაანძრევს სიბერეში, პურს შეგაჭმევს, ცოტას შეგიშელავათებო!..

იანო: *(ყველას)* თქვენ გგონიათ სახელებით ებეღებათ საქმეებიც... ეკ რამდენ მუქთახორას ვიცნობ დიდი სახელებით: ბეჟან, ბეღე, ალექსიონ, მანუჩარ და ანდუყაფარ... ნაგავ-ნაგავს გააჩენენ, აკვანში და, ოქროს შიბაქს ამოღებენ ლაჯებშიაც!..

ლაღე: შვილი უნდა გააჩინო გონებითა, სამშობლოზე გოღებითა!..

იანო: *(მაცდურად)* ტყუპი გოგო მომენატრა, გენაცვალე, მოდი ერთხელ კიდევ სცადე, სცადე, ბიჭო!..

(კიდევ ერთხელ დატრიალდება საფერხულო წრე, მერე შედგება იანო, ხურჯინიდან ორ ტიკინას ამოიღებს).

იანო: *(ლაღეს)* რას დაარქმევ?

ლაღე: თამარი და ქეთევანი.

იანო: ისე გამოვზრდი, რომ ცივ ნიავს არ მივაკარებ...

ლაღე: *(ეხვეწება)* მოდი, ჩემო ფალის გუდავ, ერთი შვილი კიდევ ვცადოთ, ნაბოლარა დავუძახოთ...

იანო: *(უარობს)* ჯერჯერობით ეს ვიკმაროთ, ჩემო კაცო, მერე ვნახოთ... ცხრა თვე მუცლით მე ვატარებ, შენ კი არა! ათი შვილი ათჯერ ცხრაა, ოცი კიდევ – ას ოთხმოცი? აბა წლები

გადაიყვანე, წლები თვეებად დაშალე. თვე დღეებზე გადაიყვანე!
თვლითაც დაილღები კაცი... ქალმა რა ქნას?!

ლალე: ხუთიათას ხუთასი დღე გამოვიდა...

იანო: გამოთვალე? (*გაუღიძობს*) დღეებს კიდევ დათვლიმ ლალე, მაგრამ სხვა მხრივ ვინ რა იცის, რა დრო დგება, მარტო პურიც გაჭირდება!.. წყალი აღარ მოვარდება?! წარღვნა არ განმეორდება?! თოფი აღარ გავარდება?! სხვას მოხვდება, ჩვენსას არაა?!

ტახბერი: (*შეაწყვეტინებს*) კარგი, მორჩით, გაათავეთ! გეყოთ, რაც დრო გაატარეთ!

მღვდელი: აბა სახლი ავაშენოთ ბერიკებო, ჯამ-ჭურჭელით დავამშვენოთ!..

ვირბერი: წინაც ვაზი გავაშენოთ, ზედ მტევნებიც შეუფეროთ, საწნახელიც მოუშენოთ.

ტახბერი: ქვევრი, სარცხი, თუნგი, ხაპი, ორშიმო, და მაწაწური!..

თხაბერი: აბა, ჰე და აბა ჰერი! ხელეჩო და წალღუნები!

მაქაქისა: ეო, მეო, ბერიკავ ლალეო!

ქვეყნად სიმართლის ქადაგო,
შენ გენაცვალეო!

ყველა: (*მინამღერი*) შენ გენაცვალეო!

ბაღნები ვინც დაგიჩიტა,

იმას მიხედო... (*ბუსიკა გრძელდება, დეკორაცია იცვლება*).

– საბერიკო ურემი, ქართულ საცხოვრისად მოჩანს: გოდორი, ხახალი, ურმის, თვალი. ცხენის მოსართავი, სარცხები, ხელეჩო, წალღი, ჩირების აცმა, ხახვისა და ნივრის გალა, ღორის ბარკალი, იანო ჯარას ატრიალებს. სასხლავი მაკრატლის ჩქამი, ისმის საკმაოდ ხშირად. შემოდის წალამმოკიდებული ლალე, კონას დასდებს, კარებწინ დარგულ ბაბილო ვაზს შეასახლებს ვაზს, ქამარზე ჩამოკონწილბული მანეულის ხელეურიდან ერთ წნელს გამოიძრობს და ვაზსა ჰყელავს ღიღინით. –

იანო: მაინცდამაინც წითელ პარასკევს აიხირე, აიტანე გასხვლა-შეყვლევა. ვერ მოიცდიდი, ადამიანო, ორშაბათამდის?

ლალე: (*ღიმილით*) ქალს ეღალატება, გაზაფხულზე, ვაზს არა!.. სამამულე რქას წვენი მოაწვა, ჩემო თავო. დაგვიანდება. ცრურქა გაიწევს სამტევნე წვენს და მსხმოიარედ განზრახულ კვირტს ძალა წაერთმის... (*შენიშვნას აუღლაგებელ სუფრას, სასმისებს დაითვლის*)...

იანო: შენი ბერიკები მოცვივდნენ, გაზაფხულდა და მოცუნდრუკდნენ.

ბერიკები: აგანგალა-განგალა, მართალს ამბობს ცანგალა, ჰეი!
(*დასტკეეს ბერიკებმა ერთდროულად, მოცვივდნენ, ლაღეს ახალი ამბები ჩუქაკლეს, თანაც თხრობა თხრობაში ახალი სეირისათვის მართავენ ურემს ლაღეს დაუკითხავად*).

კურობერი: სანთლის გუთანს გავაკეთებ, რომ იძახდი თავბერიკავ, ურმის ანაბარა დარჩენილხარ. ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

მღვდელი: ძველ ურემსაც რომ გვიმალავს სიძე კაცი!..

ტახბერი: შენ ეგა თქვი (*ლაღე*) თვითონაც იმალებოდა ძველ ვენახში...

თხაბერი: ნეტავ რა ჯანდაბა გინდა, თხამა ჭამოს ი, ვენახი! ხან ყინვა, ხან სეტყვა ხარობს!...

კურობერი: სულ ამოგკაფე ამასწინებზე, ყარფუზი დავრგე ნავენახარზე... ისე მოელო რიყე ქვასავით... მეცა ვძღები და სტუმარიც ძღბა, ქერქს პირუტყვს ვაძღევ, ისიც ძღება...
(*წაუმატებს*)

ტახბერი: ყველა რაღაცას ეწია, ჩვენლა დავრჩით მთხლეზედაო (*თან საცხოვრის ურემს კვლავ საბერიკაოდ აწყობს*)

ლაღე: სხვას აღარას წაუმატებ, უფრო ცხელ-ცხელ ფათერაკებს?
(მუს. 9)

მღვდელი: ზღვა კოვზით ამოუშრიათ,
იმოდენა უხვრეპიათ,
ქვიშა ბარით მოუთხრიათ,
ნაზღაური გაუცრიათ;
ოქრო, ლალი, მარგალიტი
შინ ტომრებით წაუღიათ,
თევზი ცალკე გაუხშიათ,
სამერიოდ ჩაუღვიათ.
ზუთხითა და ორაგულით,

ლაღე: (*კერძს მიირთმევს*) მერე, მერე...

ტახბერი: მერე და ტიკები ბერე (*გაბრაზებული მოსცილობდებიან*).

კურობერი: მოსდგომიხარ მა ბოლლოწოს, თავბერიკავ, აინუნშიც აღარ გვაგდებს?!

მღვდელი: პირობა რომ ცოლს წაგართმევს, სიძე-კაცი, აღარ გახსოვს?!

ვირბერი: თავადმა რომ უნდა ნახოს საგანგებო ბერიკონი, იქნებ ეგეც აღარ გახსოვს?! თავბერიკავ, კარგო კაცო!

იანო: ახსოვს მაგრამ აღარ ახსოვს,
მეხსიერება ლალატობს,
ქარები სჭირს ნიკრისისა,
ჩაჩანაკი ჯოხი ჯვრისა,
კაცი ხელიდან მეცლება.
ბერიკად ვერ გამოდგება.
მაგის ნათქვამი სეირი,
აღარავის წაადგება.

ბერიკები: სხვა ვინმე რო მოგვეძებნა თავბერიკად,
ის დრო დგება.

იანო: ადე, თვალი გაახილე,
ლალევე ჭკუაჩანჩურო!
ზოგსა კაცსა კაცი ჰქვია,
ზოგსაც კიდევე კაცუნაო.

ლალე: (იანოს შეხედავს) ზოგ დედაკაცს ღიაცი და...

იანო: ზოგს?

ლალე: ზოგსა – ღიაცნაცუნაო... ჰა,ჰა,ჰა,ჰა...

იანო: (შეძტევად) – გაცივება და გაცივება, ლაჩარო შენა...

ლალე: ქალის ჭკუა თხამ ბარდზე მოაჭამაო (არ აჰყვას).

იანო: ზაპრუმალა შენ; ანდაზები რაკი გჯერა...

ლალე: ჭირი, ხურვება, ეგ კიდე შენა (გაბრაზდა ლალე).

იანო: ყველა ჭირი შენ, ვერ მოსახადი, ძველიც, ახალიც (აყვირდება)
მიშველეთ ხალხო, მომკლა ოხერმა, მიშველეთ!... (იანო საეჭვო
იმპროვიზაციას წამოიწყებს და ლალეს პირს დააღებინებს.
ვირბერიკა, გაუგებს და აჰყვება იანოს, სასწრაფოდ გადაიტყვამს
იგი აზნოს სამოსს და წესრიგის დამცველად – ქალის მამულად
შემოვარდება).

აზნო: რა ამბავია, რაშია საქემ?

იანო: აგე, იმ ოხერს ხედავ, უფროსო (ლალეზე ანიშნებს).

აზნო: ვხედავ, გოგონი...

იანო: გადამეკიდა პატიოსან ქალს, რა არ მკადრა, რა დღე მაყარა
(კბაძს მოიშიშვლებს ბარდაყზე) – აგერა ნახეთ დაკაწრული და
დალურჯებული!

აზნო: (აღელდება) ამას უყურეთ, ამას შეხედეთ (მივარდება ლალეს
და მავიდაზე დაბაძს).

ლალე: (ცოლის საქციელით აღშფოთებული) რას შვრები, ქალო, რა ხერხსა ხმარობ? ცხრა შეილის დედავ, რაებსა ბედავ?

ანო: (ლალეს დაუტევს) ჩუ, შე ოხერო, ჯაგების ღორო (იანოს), იმიშვლე გენაცვა, თანაც მიაბზე, რაც რომ შეგემთხვა...

იანო: (ძღერის) როგორც ნადირი,
როგორც აფთარი,
ისე დამეცა პატიოსან ქალს,
ნიფხვის ამარა მარბენინებდა,
თანაც გზადაგზა ქალივით მკებნდა,
იმდენი ქნა, რომ ისიც გამხადა,
კაციშვილი არ გამომესარჩლა.
ძეწკვებიც შემხსნა, ოქრო, ლალები.
ჩამომავლიჯა დალალ-კავები.
სირბილ-სირბილში თანა მლანძღავდა,
ბოლოს, ბატონო, რაკი დამღალა,
დამცა იმ სერზე, იმ სერზე დამცა,
აღარ დამზოგა მერე ამ მხეცმა
ან გამაბანა, ანდა შემღალა.

თავბრუ დამეხვა,

გულშემიღონდა,
მაშინ დამჯიჯგნა
ამ ღორისღორმა.

ანო: (ლალეს შეუტევს, იანოს მიუბრუნდება) მერე, გოგონი, მერე რა მოხდა?

იანო: თხელი აგური მომხვდა თავში, მაგის დარტყმული, ჩვენი ქართული...

ანო: რომ ვერას გახდა, აგური დაგკრა, ჩვენი, ქართული...

იანო: დიახ, ქართული, და ორში ერთია – ან გამაბანა, ანდა შემღალა... არ ვიცი... თავბრუ დამეხვა, გულშემიღონდა და არა ვიცი – რა, თუ რა იღონა ამ ღორის-ღორმა!...

ლალე: (იანოს უყვირის) რაებსა რომავ, შე ენა მყრალო, შე ცეცხლის ალო, ნეხვზე მხრჩოლავო, კაცს მაინც ჰგავდეს, ციხის ვირთხას ჰგავს!...

ანო: მე გაგავირთხებ, დამაცა ჯერა!

იანო: (ჭირვეულობს) არა ვიცი-რა. შეამოწმონ და პასუხი გამცენ. ან ჩემი ძველი სიქორფე მომცენ. ან საქონელი: მარცვალში, ცხვარი, თავთავში – ხარი... ჩქარა, ექიმი! ჩქარა ვექილი!...

აზნო: ექიმიცა ვარ, შენ გენაცვალე, ვექილიცა ვარ!.. აწიე და კარგად მიჩვენე.

იანო: აჰა, იხილე! (უფრო მეტად მოიშეშვლებს)

აზნო: ვა, რა თეთრია, სულ ბროლის ბროლია!

იანო: მზე, პირველად, მაშინ ნახა, ა იმ სერზე, მეორე კი აი, ახლა, დამიჯერებთ?...

აზნო: არა, მართლა? (აჟუზა) კიდეც აიწიე, კაბის კალთა, შემოგეველე და ფასიცა ბრძანე!

იანო: რისა?

აზნო: ე მაგ ბარკლისა!...

იანო: როგორ გავყილო ცალი ქოში, ბატონო ჩემო!..

აზნო: თუ კი ევრეა, რა მოგცე ორში, თავის ამბებით?..

იანო: მანც, რაებით?

აზნო: დამტირამტებით, რამტი-რიტმებით... რამდენი უნდა გადაგიხადოთ.

იანო: ბევრი არა, ერთი ნიფხავიცა კმარა... ახალ ნიფხავს ზომ მიყიდი?

აზნო: ჰაი, ჰაი, ზიზიასა!...

იანო: (დოღ ზე) აბრეშუმის სრიალასა?

აზნო: მაშა, მაშა სრიალასა...

იანო: იმის ზედა ამხანავსა?

აზნო: იმის ზედა ამხანავსაცა.

იანო: ამხანავსაც პრიალასა?

აზნო: მერე როგორ პრიალასა,

იანო: ძუძუ-გულის დამფარავსა?

აზნო: ძუძუ-გულის დამფარავსაც,

იანო: სრიალასა, პრიალასა?

აზნო: ფაჩიფურჩის, მშრიალასაც,

იანო: ოქროს 12 ფიალასა,

აზნო: ოქროს 12 ფიალასაც,

იანო: ბროლის ჭურჭელს პრიალასა,

აზნო: მაშა, მაშა, მაშა, მაშა...

იანო: კიდეც რასა, კიდეც რასა?

აზნო: რაც შეგპირდი სუყველასა, იმასაც და ამასაცა, ამის იმის იმასაცა...

იანო: ოქროს წითელ სამოვარსა?

აზნო: ოქროს წითელ სამოვარსა,
შიშინასა, სისინასა,

– დაბლვერილსა, ქსიტიინასა.

იანო: ეს რაები მემართბა, ვაი, დედავ, შემიბერე!

აზნო: შეგებერავ, მაშა, მაშა.

(აზნოს ძკლავზე დაესვენება)

ლალე: *(აღარ სიამოვნებს ძეუღლის ოსტატობა)* მუხრანული შაირიც
თქვით, ბარემ და სეირს მორჩით!..

(აზნო და იანო ძღერძიან)

„მუხრანელმა გოგომ მითხრა,

მუხრანამდე გამომყეო,

ღვინოს გასმევე, პურსაც გაჭმევე,

მერე, ყანა მომიძკეო“ *(გადიან სასეიროღან).*

– ლალე კმაყოფილი ცოლის იმპროვიზაციით, გასძახებს
ორჭოფულად ბერიკებს უთმობს. სეირი დამთავრდება ამიშვით. –

ლალე: *(თხაბერიკას მიმართვს)* თივთიკაანთ ბიჭო, მოდი, შე
თხაქვერა, თხაწვერავე, ვერ ხედავ მიჭირს.

თხაბერი: ძალიან გიჭირს?

ლალე: სული კბილით მიჭირავს!

თხაბერი: შენ კბილი მაინც შეგრჩენია, სული გიჭირავს, მე, ჩემო
ძმაო, უტვინობა მიჭირს უფულობისაგან, უკბილობისაგან შვრის
ფაფას ვჭამ, შვრის ფაფისაგან – ჭიხვინი მიჭირს, ჭიხვინისაგან
– კვიცის დედა მჭამს, რომსა მთხოვს, გროშსა მთხოვს, ირანულ
ქოშსა მთხოვს! ბაჯალლოზე იყიდება, ვერ ვუყიდე... სხვამ უყიდა...
სხვას მისთხოვდა. შვილი მზითვად გაიყოლა... დავრჩი უკბილოდ,
უცოლოთა და უშვილოთ!.. ავიშვა?...

ლალე: ამიშვი და ბედსა გწევე, თხაო!.. *(თხაბერი აუშვებს ლალეს)*

იანო: *(მხარში ამოუდგება ლალეს)* ჯერი თქვენზეა, თქვენცა
თქვით! *(ხმას არავინ იღებს. სიჩუმეა. ლალე და იანო სეირს
ამთავრებენ).*

– *(ურძის სიღრმიდან – ურძის კოფოსაკენ გამოვა ლალე. დაბლა
ჩამოვა, ერთ მხარეს ჩაცვივით გაიხედავს. მერე, მოძღერალ
მობუზულებს შეათვალიერებს, მათაც ჩაუვლის, შეჩერდება, თითქოს
ჩამოვდომას სურსო, ისე მოძრაობს. ერთბაშად ურემს შეხვდა
ლალემ, იანო ჩამოძვდარიყო კოფორზე და ბერიკათა ბზუილს-
ბზუილს უმატებდა ქალური ჰანგით. ლალემ იანოს შეხვდა).* –

ლალე: ცაო ვარსკვლავიანო, ქალო თვალბაზიანო,
წითელი შოვის პერანგიანო,
ჩემგან შეკრული ღილით, ღილითა,
შენგან ყოფნით დამათრო.

იანო: ვერცხლის თასად მაქცია, ღვინით აგვესებოდე,
დაფერილი მქნა წითლად, წითლადა,
შესვაძდე და თვრებოდე,
ჩემით თვრებოდე.

ლალე: ან შენი წამლის ყანა მქნა, ყანა მე,
მომკელად შეგეყრებოდე მხოლოდ მე,
ანა მქნა ვარდი, ყავავილი, ყვავილი,
რომ გულზე დაგადნებოდე მხოლოდ მე.

იანო: ქსნის და არაგვის კალმახი ნეტავმქნა, ნეტავ მქნა,
შენ ბადელ მომექცეოდე, მე ბადელ.
მოგდევე და გავირბოდე.
მომდევე და გეწოდე, მსდიე მხოლოდ მე...

ერთად: ან შენი ნამგლის ყანამქნა,
მომკელად შეგეყრებოდე მხოლოდ მე,
ანა მქნა ვარდი, ყავავილი, ყვავილი,
რომ გულზე დაგადნებოდე მხოლოდ მე.

მღვდელბერი: *(ლალეს)* თავბერიკავ, გავეკიდოთ ბზუილით, აღარ
დაიწყებ ახალ სეირს, რას გასცქერიხარ თუ ჩასცქერიხარ,
გაგვაგებინე.

ლალე: *(უხალისოდ ჭოვრს მოიმარჯვებს)* რაღაცა ბზუის...

ვირბერი: ბზუის ოდენა რაღაც გამოჩნდა *(ხელებს ჭოვრით
აკეთებს)*.

თხაბერი: გაიზარდა და სულ გავირთხავდა!...

ლალე: ვირთხას რა უგავს, თავადს ჩამოჰგავს!

იანო: *(ყოფოდან იძახის)* თავადს რა უგავს, ქაჩალია და არც ჩაღმა
ხურავს...

ლალე: ცხენიც აღარ ჰყავს: არა, თავადი არ უნდა იყოს.
თავადს არა ჰგავს!..

იანო: *(ყოფოდან)* ვიღაც მოჩანს კიდევ ახალი, ის ვიღა არის, ლალე,
ნეტავი?...

ლალე: *(ნაწყვეტ-ნაწყვეტ)* კოჭლია, კოჭლი, კოჭლი მხედარი.
ის ამათ მოსდევს, ნეტა ვინ არის?! *(დაკვირვებით იხედება)*

ჭოგრიტში) ჭრელჭრულ სამოსზე ჰკიდა ხმალი... ცხენზე კი არა, ფეხზე ზის, ფეხზე, საკუთარ ფეხზე!

მღვდელიბერი: თავადი მოჰქრის: თავადი სჯობნის, ჩვენს ჩოხა-მანა ქუჩებს მოადგა, შენი გულისა რომ გაიჩხიროს, თავბერიკავ, ჩხირი კედელს ვკრავ, თუ რა ჯანდაბა ექნა?!

ლალე: ფეხცხენოსანი ეწევა, მგონი, ღმერთო, მომკალი!

იანო: (*ყოფილად*) თავადი მოჰქრის, თავადი სჯობნის!

ლალე: განზე გავიღეთ, რომ არ გაგველონ, მე და იანო შინ შევარდებით, სტუმართმოყვარე ხალხი რაკი ვართ, ქვაბში ჩავძვრებით, თუ ვერაფერი მოვიძიეთ სტუმართა ყადრი. მოვიხარშებით, რიგრიგობით მივერთმევით და ეგ იქნება ბოლო სერი!...

(*ყველა გაიფანტა. სხვადასხვა ბერიკას – სხვადასხვა სახის შექმნა აკისრია და ახალი სერიისათვის უნდა გაეშადღონ*) სასერიო მოედანზე ჯამბაკურად გარდასახული ბერიკა შემოვარდა. ჯამბაკურს საჭურველმტვირთველი ახლავს, სახელად კრახანბერგ. აქოშინებული, ქანცგაწყვეტილები სულს მოითქვამენ. ჯამბაკური თავის საჭურველმტვირთველს აზის ზურგზე.

ჯამბაკური: მოგდევს და მოგდევს განა, კრახანბერგ, მუხლჩაუხრელად მოგდევს და მოგდევს, სიჩუმე რიღას ნიშანი არის, უმეცარი თუ ვგონივარ ოხერს.

კვანახერი: მე რა გითხარით, ვერ მოგასხენებთ, ალბათ ეგრეა რაკი თქვენ ბრძანებთ, ის კი ვიცი, რომ ოდითგან მოგდევს, და ოდითგანვე ეგრე გვამწარებს.

ჯამბაკური: სავარცხლები რომ დაგვეყარა, მამა-პაპური ხერხი გვეხმარა, ეგება უღრან ტყეს გაეხარა, გზა ჩაეხერხა, გზა შეეშალა.

კვანახერი: უწინ ეგ ხერხი აკი ვიხმარე, თუ სავარცხელი გადაუძახე, სულ გადავყარე, რაც რამ გვებადა, ესეცა ვცადე, ისიცა ვცადე.

ჯამბაკური: აღარა შეეღის აღარაფერი, ტყესა კაფავს და კლდეს შუბით აპობს,

წყალსა სვრეპავს და კალაპოტს აშრობს,
კვალზე მოგვეყვება, მაყალის კვალზე,
თანაც სიჩქარეს ბევრს ავითარებს,
აღმოსავლური მუსიკის ჰანგზე.

ჯამბაკური: სასწრაფოდ მაყალს გამოუკეთე. ხერხი იხმარე, ცეცხლი ჩააქრე! ეს ბერიკული, ლალესეული ურემიც აპროწიალე. თავბრუს დაახვევს.

ჯამბაკური: (*სიძღვრით*) არც ჩალმასა მთხოვს, ეგ ოხერი, ეგ ჩემი მტერი.
ვინ უდა იყოს?...
არც ცხენს, არც ძროხას;
არც ქალიშვილებს ითხოვს მძევლებად,
არც ჭაბუკებს.
გამაგებინეთ, ვინ უნდა იყოს,
ანდა რას ითხოვს?...

კვანახერი: ლალესა კვითხთო, ხალხში ტრიალებს, ის გამოიცნობს თუ გამოიცნობს...

ლალე: (*შეძობის*) გისმენთ, ბატონო (*მუსიკა წყდება*).

ჯამბაკური: ყური დამიგდე – ა-ის ოხერი, ვინც რომ ჩვენ მოგვდევს, ვინ უნდა იყოს, ანდა რასა მთხოვს? გამაგებინეთ...

ლალე: სამშობლოსა გთხოვთ! არც ქალი უნდა, არცა ვაჟი, ხარი და ცხვარი, არავითარი, მარტო სამშობლო რა ბედენაა. სიტყვა სამშობლო, მივცეთ გადავუგდოთ. სხვა ყველაფერი თქვენი იქნება... გადასახელი, გადმოსახელი, საჭმელ-სასმელი...

ჯამბაკური: ჯერ კარგად გავძლეთ, ჩემო ლალე, მამა-პაპურად, მერე დაფიქრდეთ, (*კვანახბერს*) სუკი კვანახბერ! ოღონდ, მაყალი არ აახრჩოლო, უცეცხლოდ სცადე, სუნი არ ეცეს იმ ოხერსა ვადაზე აღრე...

კვანახერი: ცივად გავათბობ (გადის).

ჯამბაკური: (*ემაყოფილი*) ჩემი ხალხი ხართ, არ დაგიძალავთ, ისე გავმგელდი, ბოლო ხანებში, ვერას დიდებით ველარა ვძლები...

ლალე: განა მარტო თქვენ, დიდო ბატონო, ველარც ჩვენ ვძლებით. ჭამა-სმა ჩვენი გვირობა გახდა, ბოლო ხანებში, მას აქეთ რაკი რბევა შეწყდა და ამინდი გაჩნდა, ისე ვივარგეთ ამისთანებში, რომ დაფიქრდები, ასე მგონია, მალე ვცხოვნიდებით!..

ჯამბაკური: კამეჩსა ვჭამ და ზაქით ვერთობი, ქვევრს დავხვრეპავ და

ველარ ვითრობი.

ლალე: *(აღტაცებით)* ჰოი, და-და-და!

ჯამბაკური: რაკი კარგად ხართ, მამულიშვილნო, რას გაიმეტებ? კარგად ჩამოთვალე, ჩამოკაკლე!

ლალე: ჩოჩრის ბულაშას მოგართმევთ, პიტნითა და ტარხუნითა... *(წინსაფარს აიკრავს).*

ჯამბაკური: თავის იჩინ-მიჩინითა?!

ლალე: თავის იჩინ-მიჩინითა, რა თავქმა უნდა, კამით და ქონდართა, ქინძითა და რეჰანით, პიტნითა და ტარხუნითა, ნივრითა და ალუჩითა; ცოტა მწვანე წიწაკითა, ცოტა კიდევ პილპილითა...

ჯამბაკური: ოპოპ-პო-პო!... ყოჩაღ, ხალხნო, ყოჩაღ, ლალე...

(აღმოსავლური ძლიერი ჰანგი შემოიყრება სასეირნო მოედანზე და ჯამბაკურს ჭამის მაღა დაეკარგება კრახამბური შემოვარდება მაცნესავით).

კვანახური: მოდის, მოგვადგა, საით რა ჯანდაბა ვქნათ? *(ვარბის, ჯამბაკურიც მისდევს).* სასეირნო მოედანზე თავჩაღმძიანი ბერიკა შემოაგორებს დიდ სამფეროვნ ყუთს, რომელსაც დიდი ჩექმის ფორმა აქვს და ამავე დროს არღანიც არის. თავჩაღმძიან მუნდირიანი უკნიდან აწვება გოგრებზე შემდგარ ფეხ-კონტინერს თანაც არღნის სახელურს ატრიალებს, უკრავს, არღანს სასეირნო მოედნის შუაგულში გააჩერებს, მელოდის დაამთავრებს და ჩაღმძიან ხელში ჩამოუვლის მსმენელს ფულის შესაგროვებლად... ლალე, იანო და რამოდენიმე ბერიკა გროშებს აძლევენ მოხეტიალე მეარღნეს და თან ამ არაჩვეულებრივ ყუთს ათვალთვლებენ. ლალემ ფრთხილად გადაატრიალა საკრავის სახელური. გაისმა ჭრიალი. ვეებერთელა, სამფეროვანი ყუთის გვერდი კარივით გაიღო და კბილებამდე შეიარაღებული, წითელ-ყავისფერი, მოსასხამიანი, საშიში გარეგნობის, ბრწყინვალე ჩაღმძიანი, კოჭლი მხედარი გამოჩლახუნდა, კამკამა ხმალი თვალთმაქც მსახურს გადაუგლო და თვითონ მოსეირნეებს ჩამოუარა ჩაცვიბული მხერით.

ლენგი: *(ლალეს მიაღება)* ვახო – აახო – ოთხი უუხო! *(საშინელი, ხორხისძიერი ბგერებით წარმოთქვამს ამ ოთხ სიტყვას, რომელიც ყველაზე დიდი ვაჭირვების უამს აღმოსდენია ქართველ კაცს).*

ლალე: ვახნი-აახნი-ოთხნი-უუხო *(კარგად ვერ გაიმეორა).*

ლენგი: *(მეთოდურად, დაბეჯითებით)* ვახნი-აახნი-ოთხნი-უუხნი!

ლალე: (თითქმის მიაძმავსებს) ვაზი-ააზი-ოთხი-უუხი...

ლენგი: (ემყოფილი ააქცინებს თავს) აბულ-აბულ, თიმურ-ალა, აბულ-ყაბულ.

ლალე: (ისეთივე ქიცინით) აბულ-აბულ, თიმურ-ალა, აბულ-ყაბულ.

ლენგი: (ემყოფილი ლაღვით) ვაზი-მააზი ყაზი-ლააზი!

(ბრძანების კილო ვაურია) იოლლააზ-ბოლლააზ-არაყი-ვარაყი-აყყარა-ყოიწ-ყო-ყო-ყო!.. (წარმოთქვა ლენგმა. ლაღესეული სისო ხერხი ჩამოლო თავხედან და ვაზის მოხერხვას შეუდგა).

ლალე: (მორჩილად გაიმეორებს) ვაზი-მააზი ყაზი-ლააზი! იოლლააზ-ბოლლააზ-რაყი-ვარაყი-აყყარა-ყოიწ-ყო-ყო-ყო!..

(დაედევნება დამპყრობს სახასიათო კოჭლური ცეკვითა და ბერიკული პამფლეტით).

იანო: „თათარო, თათარო,

შენი თავი გავთალო

შიგ მარილი ჩავყარო

ქუჩა-ქუჩა ვატარე“...

– ლენგმა ფეხის კონტეინერში შეასწრო მდევარს. არღნის აღმოსავლური მუსიკის ხმებზე სახასიათო ცეკვას მოჰყვებიან ბერიკები, კარი ერთბაშად გაიღება და კონტეინერიდან ჯამბაკურად ჩაცმული ბერიკა ხოსრო გამოვა. –

ლალე: (რიხიანად მიესალმება)

„ჯამბაკურს გაუმარჯვნია,

თემურ-ლენგისა, ჯარზედა,

მოუკლავს კოჭლი მხედარი,

საისრე უღევს მკლავზედა,„

– ჯამბაკურის სახის ბერიკა ხოსრო, კოჭლურ ცეკვას წამოიწყებს არონის ჰანგზე. ბერიკები სიცილით და გამოჯავრებით ბუქნავენ მის გარშემო... მათ შორის ლალე პირველი მაჯავრებელია... როცა საგანგებოდ, ქვევრში დამალული ნამდვილი თავადის ჯამბაკურ მუხრანბატონის ძრისხანე ხმამ იქუხა უბედურების მოულოდნელი მაცნესავით. –

ხმა: აქ, ჩემს მამულში, ჩემს მიწაწყალზე დიდი მდინარის მუხრანისეულ დიდ შენაკადზე, გვირგვინოსანთა კანონიერ დანატოვარზე. თვითკურთხეული იმპერატორის საკუთარს ხელით ბეჭედდასმულსა და ხელმეორედ მონაპოვარზე, ბოგანო გლეხო, მთავარო ყბელო თავბერიკავ, ისე ჩათვალე, რომ ეგ თავი

გაუგებარი, ტყუილად გეღვა ტანზე აქამდე!..

ლალე: თუკი გახსოვართ, არ ვიცი, მაგრამ ღვთიკურთხეული თქვენი მამის ბერიკები ვართ, დილო ბატონო. მწყერჩიტაული განლავართ გვარად. „გაზაფხულდაო“. – ოფოფმა მითხრა, – „ჰკაფე“ გუგულმა შემოგვაძახა და ჩვენი აჩაჩა, სიტყვის გუთანნი ავალორღიტეთ, მოჩარდახებულ ბერიკულ ქოსში, ჩვენთვის ვროხავდით ისე უწყალოდ წისქვილის დოლაბს ენით ვლოკავდით, თქვენი ჭირიმე. ჩვენც ძლივს გვესმოდა ჩვენი სიბრიყვე.

(ბერიკები იმედმოცემულები და გატყვენილები იღვენ ლალეს მხარსუკან და თავებს აკანტურებდნენ. ლალეს მობოდიშებამ ვერ ვასჭრა. უფრო ძრისხანე იყო თავადის მეორე მუქარის ჭექა-ქუხილი).

ნმა: ცოცხლივ გაგფუფქავთ, ცოცხლივ გაგხდით ტყავს!..

– ბერიკები ერთბაშად, როგორც თავგები, ისე გაფრთხნენ სოროს საძებრად სხვადასხვა მხარეს.სასეირო მოედანზე. ჩარდახიანი ურმის წინ, მხოლოდ ლალე და იანო დარჩნენ. ლალემ იანოს მიხედა. ერთხანს უყურა ცოლ-ქმარმა ერთმანეთს. მერე იანო უხმოდ გავიდა ჩარდახის იქით. დარჩა ლალე.

შემოცვენილი ბერიკები გზა-გზა იხდიან ბერიკულ სამოსს და საცვლების ამარა საშიშ წრეს ჰკრავენ ლალეს გარშემო. –

მაქაქო: *(სასოწარკვეთილი მიუხტება ლალეს)* დიდი ნაჯახი მთვარესავით ჰკიდა ცაზე, თავბერიკავ, და ახლა გვიბრძანე, ვისზე როგორ ვთქვათ – „ციხის ვირთხა და სამგზის ცვედანი“ ვუძახოთ თავადს შენის ნებართვით, თუ რა ჯანდაბა და დოზანა ვქნათ?!

ვირბერიკა: *(ბერიკულ სამოსს დაანარცხებს)* ნესტარი უნდა გელოთ პირში, შენ არ იყავი, რომ გვაქებდი და შეგვიკალი?!

კურობერი: *(ლალეს)* ბრძანე,გვითხარი *(თავადის ხმის მიმართულებით მიმართავს დაანარჩენი სათქმელს)*, გინდა თუ არა, თავადს ჰგავნარო, ჩამაცივდა, დილო ბატონო, თავადის სახე უნდა შექქმნაო, გადამეკიდა, თავქვე დამკიდა იქამდე, ვიდრე, არ დავთანხმდი და არ მივექარე!..

ლალე: *(არა შიშით, არამედ ვანცვიფრებით)* რა თავქვას ახლით, ძმებო, რას სჩადით?! ჭორით და ჩმანით გინდათ რომ მოთხვაროთ ბერიკთა წმინდა ნილაბი?! *(რივრივობით)* ასე უეცრად ერთის დაკვრით, როგორ დაჰკარგა სიტყვა-მართალმა თავისი ფასი?!

კრიჭავ-მაქაქო, შე უდღეურო, მკვდრების დალაქო, შენ ამას სჩადი, შე საცოდავო, თავბერიკაზე ნაჯახსა ლესავ?!.

მღვდელიბერი: *(კრიჭას გამოეხარჩლება)* აი, ხომ ხედავთ, დიდო ბატონო, რა დღეში ვყევართ, გვერდზე გახედვის არა გვაქვს ნება... და აი, ახლაც, იგივე ხდება... სოფლის წყაროსთან, ენის საფხანი დიდი ხე რომ დგას, ქოხ-სადალაქო ჰქონდა ამ საწყალს. ამ დიდი მუხის ერთ ფულუროში ჭიანჭამ კბილს უღებდა გლენკაცს კაპიკის ფასად. წვერსაც ჰპარსავდა. განათუ მეტად, თქვენი კვნესა მე... ყოველ ცისმარე. ეს უბედური, თითქმის უფასოდ მკურნალობდა და ალამაზებდა ადამიანებს...

ახლა რაღა ჰქნას, ქვა ააგლოს და თავი დაჰკრას?!

(ბერიული სამოსი ყველა ბერიკამ გაიძრო და ხაძით მოსიღნი გარსშემოეხვივნენ თავბერიკას).

ლალე: *(მღვდელის)* სიმამრო ჩემო, მამაო ჩვენო, წმინდა სანთლების ჩამომქნელო, მეფუტკრე კაცო, ასე კვალწმინდად როგორ გაჰყიდე თაფლიც და ცვილიც, რომ მხოლოდ შხამით სავსე გაქვს პირი?!..

კაბა: *(ლალეს შეუტევეს თავხედურად)* რას ჩააცვიდი ჩვენს მწიგმნობარ კაცს, თავბერიკა, რატომ არ იტყვი?! თაფლიც და ცვილიც გამოუთავე და ახლა შხამს ასმევე პატიოსან კაცს!.. *(მღვდელი-ბერიკას მიუბრუნდა).* თავადის ქისით, თავადის პირით, მეფისეული ბეჭდის გვირგვინით რომ გაგვაგიჟა, დიდო ბატონო, და თილისმა და ჯადო წაგვისვა, რატომ არ იტყვის *(თავადისაკენ წარმართა ბოლო სიტყვა).*

მღვდელიბერი: ლამის დავიწვა სირცხვილისაგან... ყველანი განა ცოტა ვთქვით სუყველამ ერთად ეს არა კმარა?! მგონი რომ კმარა, დიდო ბატონო, კმარა, თუ არა?!

ლალე: კმარა, სიმამრო, როგორ არ კმარა! *(თავადის ქვევრისაკენ)* განა არა, ბორკილს ნაჩვევი სახსრები მქავა, აკი ვიძახდი... ვიძახდი, არა მჯეროდა სიზმრად ნანახი. კისერს როს ფხანდა შავი ნაჯახით დიდი სალახო!.. რაკი გაბედე, დიდო თავადო, და მოგახსენეთ ზოგიერთი რამ, გეტყვით მთავარსაც: მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტების კვალზე დავალ და ვერას დიდებით განზე ვერ გავალ, ჯანბაზი ვარ და ტაკიმასხარა. სწორედ ამიტომ, თოკზე ჰკიდია თავითბოლომდე ჩემი ცხოვრება, არჩევანი და არადანი მე სხვა არა მაქვს.

მაქაქო: *(მღვდელი)* რა ელო გულში, სიძებატონს, მღვდელიო; ხომ ხელავ! არა, ხომ ხელავ, რაებსა ბელავს!

მღვდელიბერი: ვხელავ და ვხელავ, მაგრამ რალა დროს, თქვენ შემოგვევლეთ, რალა დროს?!

ვირბერიკა: რალა დროსა, თუკი მე მკითხავთ, წუთის დაკარგვაც არ შეიძლება. გამართე წალდი და ერთი მრავალი თავი გადაგვირჩება.

ბერიკები: ერთი თავით, მრავალი თავი გადაგვირჩება.

მღვდელიბერი: მოინანიე, თავადი გისმენს!..

ლალე: „ვრცელ არს ბჭე და ფართო გზა, რომელსაც მიჰყავს წარსაწყმენდელად და მრავალსა ვლიან მას ზელა!“ *(მუსიკა წყდება)*.

მაქაქო *(მღვდელის განზე გაწევს)* ნაჯახს დაუმეებს, ლალეს თავს მოჰკვეთს. თავი კალათში ჩაეშვა. კალათი მაქაქომ აიტაცა და თავადს მიმართა სიტყვით.

მაქაქო: უნდა გვიბრძანეთ ნება თქვენი, დილო თავადო, და რასაც ინებებთ, ჩვენც ის ვიქნებით; გნებავთ, დალაქად დავდგები კვლავ, გნებავთ სადახად. გნებავთ, ბერიკად დავრჩები და საშვილიშვილო ხოტბას შეგასხავთ?! *(მაქაქოსამ მორჩილად დახარა თავი პასუხის მოლოდინში. დახარჩენმა ბერიკებმაც მოიდრიკეს ქელი თავადის პასუხის მოლოდინში. ქვევრის მხრიდან კი აღარავითარი ჩამჩხუმი აღარ მოისმა. ქელწახრილმა ბერიკებმა ნელ-ნელა ასწიეს თავები. თუმცა ბოლომდე გამართვა ვერ გაბედეს)*.

მღვდელიბერი: გვიბრძანეთ, ნება თქვენი, ბატონო!..

თსაბერიკა: დიას, ბატონო!

ვირბერი: ბატონო?!

თსაბერიკა: ბატონო?!

კურობერი: ბრძანეთ, ბატონო!

(ბატონს უხმობდნენ ბერკები. მაგრამ მისხი აღარსად სჩანდა ბატონისა. აღარც ჩამჩხუმი რაიმე იქიდან, საიდანაც აქამდე ბატონის რიხიანი ხმა ჭეჭდა და ბერიკებს თავზარსა სცემდა).

ვირბერი: *(ხმის კანკალით)* რალაც არა სჩანს!

ტასბერი: ახლა, რალა ვქნათ?! *(გაიქცევა ამბის დასაზუსტებლად)*.

თსაბერიკა: *(მთრთოლვარე ხმით)* მართლა წასულა... ბატონო!

მღვდელიბერი: როგორ თუ მართლა? ჩვენ რა უნდა ვქნათ!

ვირბერიკა: არც ცინისთავი, არსად ჩანან, აღარ ჭაჭანებს... ყველა წასულა... *(ეჭოდ დაბრუნდება ნათქვამი)*.

კურობერი: იყო კია რო?... იქნებ არც იყო?

მაქაქო: *(დაბნეული, ლალეს თავი უძევს კალთაში)* ხმა თუკი იყო, ეს იმას ნიშნავს, რომ ისიც იყო. ხმა ვისიც იყო...

მღვდელიბერი: *(შეუტევს)* შე უსირცხვილოვ და მართლა ქოსავ... ავითრებია ლალეს თავი წნელის კალათით და აკონწიალებ ისე, თითქოს, ყიზილბაშის და უცხოის იყოს!..

მაქაქო: ახლა განათლდი?! წელან რომ მომეძალეთ ქაჯებივით, „დაჰკარ-დაჰკარ“ – რომ ჩამძახოდით *(კალათს მიაჩერებს)*.

კურობერი: *(თვალთცრემლს მოირევს)* ვაიმე, ღმერთო!

ტახბერიკა: *(მაქაქოს შეუტევს)* წვერის პარსვის დროს ვითრთოდა ხელი ამას წინაზე. წელან კი ისე გამეტებით დაჰკარ ნაჯახი, ალა-მაჰმადის, მყრალი ყაჯარის გდებოდეს თავი ჯირკზე თითქოს.

– *(მაქაქო ვადის კალათით ხელოში. მისი გასვლა და ზარების რეკვის ატეხვა ერთი იყო. ბერიკები შეშფოთდნენ, გაიტვრინენ. ქალის შეკვივლება მოისმა ბართაშუა. უფრო დაეხუთათ მუხლები ბერიკებს. ფეხი ვერ გადადვეს. ამასობაში ნადალა ქარი მაქაქოსა შემოვარდა ძახილით).* –

მაქაქო: *(ყვირილით)* ჰარიქათ, ბიჭი!.. ბიჭია, ბიჭი...

(გარბის აკვნის მოსაძებნად და მისართმევად).

– *(ჩარდახიანი ურმის ფარდასთან შეგროვდებიან ბერიკები თავთავისი საჩუქრებით. ფარდის იქიდან ოდიშური ნანა ისმის, იანომ სიმღერა დაამთავრა, ჭილოფი გასწია და აკვანი გამოაჩინა. აკვანი გადაფარებულია, არ ჩანს ბავშვი).* –

მღვდელიბერი: *(ლოქნით)* სუქ-სუქ-სუქ...

გასუქდი და გაღალანდი!

(პირსსაბურავის გადახდა სურს)

ტახბერიკა: დათვი – მჭლე და შენ მსუქანი..

სუქ-სუქ-სუქ-სუქ

ვირბერიკა: ჩვენი დიდი ამირანი,

სუქ-სუქ-სუქ-სუქ!..

კურობერი: ჩვენი ციხე-გალავანი!

იანო: *(დაუტევს ბერიკებს)* იქით გაიწით, თქვენ მასხარებო, ბავშვი აკვანში არ გამიგულოთ!

მღვდელიბერი: სახელს რას არქმევ, ჩვენო იანო, იქნებ გეთქვა?

იანო: რაც მამას ერქვა, თავბერიკას, შვილსაც ის ერქვას, ლალე არ ერქვა, ლალე დაერქვას!

მღვდელიბერი: ამინ, დაერქვას ლაღე, დაერქვას.

ბერიკები: „ეო, მეო, ეო მეო,
ბერიკავ ლაღეო,
ბედი რაკი არაგქონდა,
რად დაიბადეო“

თებრო: ჰარაღეო, ჰარი-ჰარაღეო,
ლაღეს გაჩენის ამბავი
დღესაც მიკვირს მეო,
დღესაც მიკვირს მეო“.
(*იანოს ტანსაცმელი ვაიხადა*).

ბერიკები: მუხრანისკენ აღარ წავალთ,
ბატონს გაუჩნდეს ჭირი,
ორ აბაზად გვახტუნავა,
გუდაც წაგვართვა—სტვირი.
(*კეკეა*)

ია: ერთი თხა ჩვენარო...

ბერიკები: მხარზე გაეღო ენაო...

ია: ისმის ნათქვამ-ნაქნარი
– იმის ნათქვამი ჭორები.

ბერიკები: გადმოგვაბრაღეს ჩვენაო...

ია: ქვეყანამ შეგვაჩვენაო!

ბერიკები: (*ერთხმად*) ჭირი – იქა, ლხინი – აქა
ქაღო – იქნა, ფქვილი – აქა.

ლაღე: (*დარბაზს*) ერთი უბრალო ბერიკები ვართ სამაჩაბლოდან,
თუ მოგეწონებათ სანახაობა, მობრძანდით კვლავაც!
(*ურემი სიღრმეში მივორავს, ფარდა იხურება*).

პეტრე გრუზინსკი – ბაგრატიონი

„თოვლიანი მთების მელოდები“

სამ მოქმედებად

თეიმურაზ აბაშიძის ვერსია ე. შატუნოვსკის პიესის
მიხედვით
კომპოზიტორი – **გოგი ცაბაძე**

მოქმედი პირები

1. **ტარიელი** – მთამსვლელი, მაშველი;
 2. **ქეთევანი** – მისი დედა;
 3. **ნატა** – მეზობელი;
 4. **ლეილა** – მისი შვილიშვილი;
 5. **მარიამ გაბიანი** – მთამსვლელის ქვრივი;
 6. **თინათინი** – მისი ქალიშვილი;
 7. **ნანა** – მისი უმცროსი ქალიშვილი;
 8. **ოლლა** – მარიამის დედა;
 9. **თეიმურაზი** – მძღოლი;
 10. **გიორგი** – ტურისტისტი;
 11. **მიხეილი** – ფოტორეპორტიორი;
 12. **სპირიდონი** –
 13. **ტიმოთე** –
 14. **იაკობი** –
 15. **ნინიკო** – ოფიციანტი;
- } მთამსვლელები, მაშველები;

სპექტაკლის დაწყებამდე, როცა მაყურებელი დალაგდება პარტერში, საორკესტრო უვერტიურის მაგივრად აუღერდება გუნდი და ორკესტრი.

გუნდი: ცოცხალია, ცოცხალი,
ისევ მთები იტაცებს,
სიმღერებად დადის
მშობელ მიწაზე.

ცოცხალია, ცოცხალი,
მშობელ მთების მკობარი,
ადღერძელეთ, არ თქვათ
შესანდობარი.

ამ სევდიანი, ძლიერი გუნდის ჟღერადობას ედება დიქტორის ხმა – „სპექტაკლი ეძღვნება ლეგენდარული ქართველი მთამსვლელის – მიხეილ ხერგიანის ხსოვნას“. ფარდა იხსნება, სცენაზე მოზრდილი ქვებით აშენებული სახლია, კედელზე დათვის ტყავი, ძველებური მამაპაპისეული იარაღი კიდაია. ქალების ჯგუფი საქმიანობს. ტარიელის დედა – ქეთევანი თეთრ ჩოხას კერავს.

ქალთა გუნდი: დალილ დედამ საყვარელი შვილი

რამდენ დღესაც ხელით ატარა,
იმდენ ღამეს დამფრთხალი აქვს ძილი –
იქნებ რამე სტკივა პატარას.
ასე ძნელი წელს მოჰყვება წელი,
დედა როგორ იტყვის სამღურავს,
თუმცა ვისაც ატარებდა ხელით,
უკვე ეძებს ახალ საბუდარს.
წავა, გაფრინდა.
ვით მართვე მტრედისა
და ჩუმად თან გაყვება
მას გული დედისა.

ქეთევანი: წინათ ქალებს უმზადებდნენ მზითევს, ახლა კი მე ბიჭს გუმზადებ. შევუკერავ ამ თეთრ ჩოხას ტარიელს, დაქორწინდება, ქალაქში დასახლდება და სამუდამოდ გადაიკარგება.

ნატა: რას იზამ, ასეთია ბუნების კანონი!

ქეთევანი: ხო! ბარტყები იზრდებიან, ბუდეს ტოვებენ და მიფრინავენ!

ნატა: სწორეთ რომ მიფრინავენ! ტექნიკის ბრალია, ქეთო, როცა მარტო ვირები იყო, სახლიდან შორს ვერსად წახვიდლოდი: შენც ჭამა გინდა და სახედარსაც. ახლა კი რა, ჩაუშვი თვითმფრინავში ბენზინი და იფრინე, სანამ არ მოგბეზრდება.

ქეთევანი: წინათ ახალგაზრდები მთისკენ იწვევდნენ, სულ მაღლა და მაღლა. ახლა კი, ქვევით გარბიან ზღვისკენ. ნეტავი რა ნახეს ზღვაში კარგი? ამბობენ, წყალიც კი მლაშე არისო.

ნატა: სამაგიეროდ ფულია ტკბილი, იქ თუ ვინმემ კარზე დააკაკუნა და ლამის გათევა ითხოვა, მანეთს ართმევენ.

ქეთევანი: რაში?

ნატა: საწოლში. იქ ყველგან დგამენ საწოლებს, ბაღში, სხვენზე, ხეებზეც კი კიდებენ საქანელასავით...

ზმა: ეგ შენი მოგონილია... აბა როგორ შეიძლება...

ლელია: ბებო, ბებო, ტარიელი არ დაბრუნდა ქალაქიდან?

ნატა: ის ოცდაექვსისაა, შენ კი ცამეტის, აბა რა საქმე გაქვს ტარიელთან?

ლელია: საზოგადოებრივი. ინტერვიუ მინდა ვთხოვო...

ნატა: მათხოვრობას თავი დაანებე, თუ საჭირო იქნება, მე თვითონ გიყიდი მაგას.

ლელია: ეს ჩვეულებრივი საუბარია. ადამიანს ეკითხებიან, ვინ არის, რას აკეთებს... ტელევიზიაში ასე აკეთებენ.

ნატა: აბა ეგ რა წესია, ეგ ხომ ჭკობაა. ცნობისმოყვარე არ უნდა იყო. თუ სტუმარი გეწვია არ ჰკითხო, ვინ არის ან რატომ მოვიდა, დააპურე, დაასვენე და წასვლისას საგზალი გაატანე.

ლელია: არა! ტელევიზიაში ასე არ იქცევიან! გამაგებინეთ, დაბრუნდა თუ არა ტარიელი?

ქეთევანი: როგორ დაბრუნდებოდა, როცა უკვე ორი კვირაა ბარდნის. არც ერთი მანქანა არ მოსულა.

ლელია: პაპა ზურაბს უთქვამს, უღელტეხილიდან ყვირილი შემომესმა, მგონი იქ ვიღაც უნდა იყოსო.

ნატა: ძაან არ გაიფრინებდა შენი პაპა ზურაბი უღელტეხილიდან ყვირილს. ას ოთხი წლისაა... ალბათ მიქელ-გაბრიელი ეძახის და მაგას სხვა ვინმე ჰგონია.

ლელია: მეც ტარიელივით მთამსვლელი მინდა ვიყო... გავიზრდები და მსოფლიო რეკორდს დავამყარებ.

ნატა: ტარიელი რეკორდს კი არ ამყარებს, ადამიანის გადასარჩენად

დადის მთებში, ამაში არც ფულს იძლევიან და არც ორღენებს.
ეს სპორტი არ არის, შვილო, ეს ადამიანის ბუნებაა.

ქეთევანი: როცა მთებში ზარის ხმა მესმის, ასე მგონია, ჩემი შვილის გულის ცემა-მეთქი. ესე მგონია, რომ ის დამსხვრეული ძლივას მიბობლავს ყინულოვან ხეობაში და მეძახის: მიშველე, დედა. მიშველეო!.. ეს ყვირილი მოსვენებას არ მაძლევს, თვალს ვეღარ ვხუჭავ, ღამეებს თეთრად ვათენებ. მეჩვენება, რომ ტარიელი კლდეს მოსწყდა და გადაიჩნა.

ნატა: დამშვიდდი, ქეთო, ტარიელს რა გადაჩენავს, ჯიხვივით დახტის კლდიდან კლდეზე. ტარიელი დიდი გაბიანის მოწაფვა.

ლეილა: გაბიანი ხომ დაიღუპა!

ნატა: გაჩუმიდი, სულელო! რატომ წამოვიდა ტარიელი ამ დარში აყვავებული ბარიდან, როცა შეუძლია გაზაფხულს დაელოდოს და იმ ოხერი რკინის გალიით მოფრინდეს.

ლეილა: ამას ვერტმფრენი ჰქვია – თავზე ორმაგი პროპელერი უტრიალებს.

ნატა: ენა გაქვს ორმაგი. უფროსების საუბარში ნე ერევი.

(კვლავ მოიხმის ზარის ყრუ ხმა)

ქეთევანი: გული მიგრძნობს, რომ ტარიელი სადღაც აქ არის, ახლოს.

ლეილა: წინათგრძნობა, ისე როგორც ყველაფერი ზებუნებრივი, წარსულის გადმონაშთია, მეცნიერულად უკვე დამტკიცებულია, რომ არ არსებობს ისეთი ბიოდენები, რომლებიც მანძილზე გადაიცემიან. ამის შესახებ მასწავლებელმა გვიამბო.

ქეთევანი: თქვენი მასწავლებელი უშვილოა და იმიტომ ლაპარაკობს ასე!

(იღება კარი და შემოდის ტარიელი, რომელსაც ხელში ნახევრად გაყინული მიხეილი უჭირავს, ქეთევანი შეილთან მიიჭრება)

ტარიელი: ეჰეი, დედა!

ქეთევანი: ცოცხალია?

ტარიელი: ცოცხალია, დედა, ცოცხალი, ნუ ღელავ.

ქეთევანი: ვინ არის?

ტარიელი: ტურისტი უნდა იყოს!

ქეთევანი: ახლავე ლოგინს გავუმლი.

ტარიელი: რა ლოგინი, დედა, ბუქნას უნდა უვლიდეს, რომ სისხლი აუმიოდრავდეს. გაყინულია. აბა იმიოდრავე, იმიოდრავე, იცეკვე!

ნატა: დაიცა, იქნებ მოტეხილი აქვს რამე.

ტარიელი: სულერთია, მაინც უნდა იცეკვოს! იცეკვე! დღეს მეორედ დაიბადე... აბა, ლეილა, დეიდა ნატა, დედა... აბა ჰე!

(მიხეილი ძლივს ამოდრავებს გათოშილ სახსრებს. ლეილა ყველაზე მეტს ხტუნავს. ნატა ოხრავს)

ნატა: ვაი, ვაი, ვაი, რას უშვრება ეს სპორტი ხალხს! რა გინდოდა, შვილო, მთაში? ბარში ვერ დაეტიე? მაინცდამაინც კისერი გინდა მოიტეხო? მარცხენა ფეხი მოუსვი, მარცხენა რალაც უცნაურად დაგთრევს, იქნებ მოტეხილია... ახლა მარჯვენა. არა, არაუშავს! აბა ხელები? გაასავსავე!

(საერთო სასაცილო ცეკვა, რომელსაც მიხეილი თანდათან გონზე მოჰყავს)

ქეთევანი: გეყოფათ ბუქნაობა, სტუმარს ალბათ შია, თქვენ კი ასტუნავებთ.

მიხეილი: *(ფოტოაპარატს იღებს)* ერთი წუთი. მე მინდა ჩემი მხსნელი და მისი ოჯახი გადავიღო.

ლეილა: ვაი! გეხვეწებით, ტარიელის გვერდით გადაძიდეთ.

მიხეილი: ახლავე, ყურადღება!

(მიხეილი ჯერ ლეილას და ტარიელს იღებს. მერე დანარჩენებს. ყველა მავიდას მიუსხდება)

ტარიელი: ძვირფასო დედა, ძვირფასო დეიდა ნატა, პირველი ჭიქით მე მინდა ჩვენი სტუმარი ვადღეგრძელო...

ნატა: რა გქვია, ქალაქელო?

მიხეილი: მიხეილ თელიანი.

ნატა: უიმე, ჩვენებური ყოფილა!

ტარიელი: ჩვენს საყვარელ მიხოს გაუმარჯოს, კარგ მამასა და მეოჯახეს...

მიხეილი: უცოლო ვარ.

ნატა: თამადას ნუ უსწორებ, მაგან უკეთ იცის...

ტარიელი: *(ხუმრობს)* მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ძვირფასი მიხეილი ჯერ არ დაცოლშვილებულა, მთელი მისი წარსული და ახლანდელი მოღვაწეობა თავდება იმისი, რომ მიხეილი ყოველთვის კარგი მეუღლე და მამა იქნება. მიხეილი ყოველთვის იქნება მოწინავე მუშაკი იმ დარგისა, რომელსაც მან შესწირა თავისი შეგნებული... ვინ ხარ, ბატონო, შენ?

მიხეილი: მე? კორესპონდენტი ვარ.

ნატა: თამადას ხელს ნუ უშლი, თვითონ იტყვის რაც სათქმელია!

ტარიელი: რომელსაც მან უთვალავი მეტრი ფირი შესწირა!

მისხილი: სპორტულ ჟურნალში ვმუშაობ.

ტარიელი: ბედნიერებას გისურვებ, ჩემო მიხო... ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღიაა შენთვის.

მისხილი: სამწუხაროდ, ჩემი მხსნელის სახელიც არ ვიცი...

ქეთევანი: ჩემი ვაჟია, ტარიელი ჰქვია.

ნატა: ქვისმთლეღია.

ლეილა: ქვისმთლეღი კი არა, მარმარილოს მხეხავი.

ნატა: კაცი ვერ შეედრება საქართველოში.

ტარიელი: საქართველოში რა მოგახსენოთ და ჩვენს რაიონში კი მართლაც ტოლი არა მყავს.

ლეილა: და ყველაზე კარგი მთამსვლეღია მთელს მსოფლიოში.
(*ქეთევანი სიხარულის ცრემლებს იწმენდს*)

ნატა: შენ რას იჩხირები? როცა კაცები ლაპარაკობენ ჩუმად იყავი და უსმინე. მიხოს ეკუთვნის სამადლობელი.

მისხილი: მონადირეებს თავისი გატაცება აქვთ, ამ გატაცებას მიჰყავს ისინი გაუვალ ჭაობში, ტყეებსა და მთებში. ფოტოგრაფს კი სენსაციის წყეული ჭია შეუძვრება და ისეთ ადგილებში ერეკება, სადაც რაიმე უჩვეულოს გადაღება შეიძლება. ახლა ძალიან გაჭირდა თავის გამოჩენა.

ნატა: ასეა, ახლა ყველა განათლებულია.

მისხილი: სპორტულ ბანაკში, სადაც მე ვიყავი – ლეგენდა დადის, რომ თქვენს მთებში დაიღუპა მთამსვლეღი გაბიანი. ის მწვერვალზე დამისახელეს და მეც გადავწყვიტე, ჟურნალისათვის გადამელო იგი... უცებ სიმღერის ხმა შემომესმა. ამ უკაცრიელ თოვლიან მთებში აღამიანი მღეროდა, მე დავინახე კაცი, რომელიც ვეება ლოღებს ერთმანეთზე აწყობდა და რაღაც საოცარ ძეგლს აგებდა.

ლეილა: ვინ იყო?

მისხილი: სურათი გადავუღე!

ტარიელი: (*შეშინებული*) მე გადამიღე?

მისხილი: ჯერ არა. ჯერ მხოლოდ ძეგლი გადავიღე, მაგრამ ერთი ეს მითხარი, ჩემო ტარიელ, ვის უგებდი იმ ძეგლს?

ტარიელი: გაბიანს. ის სწორედ იმ ადგილას დაიღუპა,

მისხილი: მე დავწერ შენზე სტატიას, ყველა სპორტულ ჟურნალში

დავბეჭდავ შენს ფოტოს... საქვეყნოდ გავითქვამ სახელს და ეს იქნება ჩემი სულ მცირე საფასური იმისათვის, რომ შენ სიკვდილს გადამარჩინე.

ტარიელი: თუ შენ ერთ სიტყვას დაბეჭდავ ჩემზე იმ უფსკრულში გადავჩეხავ, საიდანაც ამოვიყვანე!

ნატა: ხუმრობს.

მიხეილი: გამაგებინეთ რაშია საქმე.

ტარიელი: მე მინდა ცოლად შევირთო ქალიშვილი, რომელმაც არ უნდა იცოდეს, რომ მე მთებში დავდივარ. შენ რომ ჩემზე რამე დაბეჭდო, დავიღუპები. დაიფიცე, რომ კრინტსაც არ დასძრავ.

მიხეილი: *(ჭიქას ასწევს)* მუნჯი ვიქნები როგორც ის ლოდი, რომელიც შენ უფსკრულის პირას დადე. შენ ხარ ჩემი სიცოცხლის ბატონ-პატრონი, შენი სურვილი ჩემთვის კანონია.

ქეთევანი: წადი, დაიძინე... ჩემი სურვილიც შეასრულე, შვილო, არ გაწყენს. *(ყველა ვადის ოთახიდან ქეთევანი და ტარიელი რჩებიან)* კარგია, რომ მოხვედი. საცაა შენს თეთრ ჩოხას მოვათავებ. აბა მოიზომე. *(ჩოხას აცმევს)* ნამდვილი სვანი ხარ.

ტარიელი: ქალაქში ჩოხა რად მინდა?

ქეთევანი: მაშ საქორწინოდ რას ჩაიცმევ? აბა პიჯაკში ხომ არ იქორწინებ? მოელაპარაკე თინათინის დელას?

ტარიელი: ვერაფრით ვერ მივუდექი. სულ იმას ამბობს, „ჩემი შვილისათვის დინჯი და წყნარი ქმარი მინდაო“. ის ხომ გაბიანის ქვრივია და ეშინია, რომ შვილსაც იგივე ბედი არ ეწვიოს...

ქეთევანი: ამის მე უფრო მეტად მეშინია, მაგრამ როგორ გინდა იცხოვრო ამ ქვეყნად, ხალხს თუ არ დაეხმარე? ის რუსია და მთების ეშინია. რამდენი წელიწადია აქა ცხოვრობს, ვერ იქნა და ვერ შეეჩვია. აუხსენი იმათ, რომ მამაშენი, პაპაშენიც, პაპის მამაც და პაპის პაპაც ამავე კეთილ საქმეს მისდევდნენ. უთხარი, რომ ქალმა ვაჟკაცი სიმხდალეს არ უნდა მიაჩვიოს.

ტარიელი: ვერა ვბედავ ამ თემაზე ლაპარაკს, დედა!

ქეთევანი: კეთილი, გაზაფხულზე მე თვითონ წავალ შუამავლად.

ტარიელი: დედა, ჩემო დედიკო... თინას გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია.

ფარდა

მესამე ეპიზოდი

სამხრეთის მთიანეთის ქალაქის განაპირა უბანი. შორს დათოვლილი მყინვარები მოჩანს. სამიკიტნო წარწერით: „უკანასკნელი თავშესაფარი“ ისმის ალპინისტთა ვალსი. შემოდინ მიხეილი და თინა.

მიხეილი: თინა, თქვენ მასწავლებელი ხართ, თანამედროვე ადამიანი, ნუთუ შეგიძლიათ ანგარიში გაუწიოთ მეშჩანურ შეხედულებებს.

თინათინი: მე არ მომწონს, როცა საზოგადოებას ანგარიშს არ უწევენ!

მიხეილი: მითხარით, მოგწონვართ თუ არა?

თინათინი: მოდით, განყენებულ თემებზე ვილაპარაკოთ.

მიხეილი: მაშ არ მოგწონვართ?!

თინათინი: ეგ არ მითქვამს...

მიხეილი: თინათინ – ჩემთვის ეს სიტყვაა ბუღბუღლის სტვენა!

მე ამ სახელმა შემასწავლა ჩიტების ენა.

მე შენმა ნახვამ მომახვედრა ფიქრი ფარული.

მოვიდა სევდა და სიყვარული...

თინათინი: ბატონო მიხეილი, ასე ნუ მელაპარაკებით.

მიხეილი: რატომ?

თინათინი: იმიტომ რომ ერთ დღეში არ შეიძლება ადამიანის შეყვარება.

მიხეილი: სიყვარული ხომ თვითონ ქვასაც აუდგამს ენას

და გული უცებ ბუღბუღლივით დაიწყებს სტვენას.

განა სიყვარულს უკითხია მოსვლის უფლება.

მოვა მბრძანებლად და შენს ფიქრებს დაეუფლება.

აქ ჩემი სიცოცხლის მიზანს მივაგენი... აქ ვიპოვე სიყვარული!

ოჯახი! კერა! ჩემი შემოქმედების წყარო! მე ცოლად შევირთავ

სახელგანთქმულ გაბიანის ქალიშვილს. თინათინ, მე დღესვე

გაკუმხელ დედათქვენს გრძნობებს თქვენდამი.

თინათინი: არა. არა! დედაჩემს არაფერი უთხრათ.

მიხეილი: ნუთუ დედათქვენს სასიძოდ მართლა ის კალატოზი უნდა?!

ის რა თქვენი შესაფერისია! არა, ის თქვენი შესაფერისი არ

არის.

თინათინი: კალატოზი?! ტარიელი! ნახვამდის!!!

(მიხეილი თინას მისდევს. შემოდის ტურისტების ჯგუფი)

(გუნდი)

მამაკაცი: აქ ძველი კოშკის ნანგრევია...

ქალები: გარშემო ტყეა ვარდების,
აქ მოდით, ნახეთ, რამდენია.

კაცები: სჯობია ვჭამოთ მწვადები...

ქალები: ვარდის სურნელით დავითვრებით.
მათი აღერსით დავტკებთ.

კაცები: ქალებს მიართვით ყვავილები,
კაცებს შემწვარი ბატონები.

(შემოდის თეიმურაზი ქალებს ყვავილების თაიგულებს ურიგებს)

თეიმურაზი: ნება მომეცით, ჩემი თავი წარმოგიდგინოთ – *(ძღერის)*

ოდესღაც მე ეტლი მყავდა,

მოწმეა მთელი სოფელი,

ეტლი მოდიდან გადავარდა,

ახლა ვარ ტაქსის შოფერი.

აქ კი ცხოვრობდა წინათ თურმე

თავადის ქალი ძლიერი,

ღამეს ვისთანაც გაათევედა,

სიკვდილით სჯიდა ცბიერი.

(ვიღაცამ ამოიხრა. ისმის შემკრთალი ხმა)

ხმა: რისთვის?

თეიმურაზი: იმ დროს სასამართლო არ არსებობდა და გაყრის ასეთი
ფორმა იყო გავრცელებული.

ქ. გუნდი: სჩანს ქალებს წინათ, სამწუხაროდ,

ჰქონდათ ცუდი ადათი,

სჯობს ჩუმაღ ზემოთ გავაგზავნო

ანონიმური ბარათი.

თეიმურაზი: კიდევ გაიმბობთ ნამდვილ ამბავს

ეს მიღირს გულის ნაწილად,

სვანმა ვაჟკაცმა მთებში სხვისთვის

თავის სიცოცხლე გასწირა.

მისი სახელი დარჩა მთებში

როგორც ლამაზი თქმულება,

დღესაც მყინვარი დათოვლილია

იმის ლანდს ეჩურჩულება.

ეს ნაპრაღიც – ბევრის საფლავი –

თუმცა უძიროდ ხარბია,

დღესაც დასტირის მის სახელს,
დღესაც ეძახის გაბიანს.
ერთ წყეულ დღეს ბავშვთა ყვირილი
მთებში გაისმა შორიდან
და წასული მათ საშველად
თვითონ – უკან ვერ მოვიდა.
ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერსად
კვალს ვერ მიაგნეს სისხლიანს,
თითქოს ნაკვალევს უმაღავენ,
მთებში ნისლია, ნისლი?
დარჩა ყველასთვის საიდუმლოდ,
მუნჯი მთა ხმასაც არ იღებს,
მხოლოდ ბავშვები ყოველ დილას
ყრიან ამ ხრამში ყვავილებს.

(ქალები ნაპრაღის პირას უახლოვდებიან და ყვავილებს ყრიან)

ცოცხალია, ცოცხალი,
ისევ მთები იტაცებს,
სიმღერებად დადის
მშობელ მიწაზე.
ცოცხალია, ცოცხალი,
მშობელ მთების მკობარი,
აღლეგრძელეთ, არ თქვათ
შესანდოვარი.

ხმა: ნუთუ აქამდე ვერ მიაგნეს იმის დადუპვის ადგილს!

თეიმურაზი: იმ ადგილს რომ მიაგნო, გაბიანზე უკეთესი მთამსვლელი
უნდა იყო, ასეთი კაცი კი, მაპატიეთ, მაგრამ ჯერ არ დაბადებულა.
ახლა იმ ჩანჩქერს გადახედეთ, ერთი საათის შემდეგ ავტობუსთან
შეკვროვდებით და ამ კლდეების ფონზე სამახსოვრო სურათებს
გადაგიღებთ ჩვენი ფოტოგრაფი. მე ღუქანში დაგელოდებით.

(ტურისტები გადიან, თეიმურაზი მკვიდრს მიუჯდება)

თეიმურაზი: *(ყვირის)* ნინიკო, ერთი მწვადი და ერთი ბოთლი
ბორჯომი.

(შემოდის მიხეილი)

მიხეილი: იქნებ თითო ბოთლი წითელი დაგველია.

თეიმურაზი: წითელ ფერზე გავლაც კი აკრძალული მაქვს... არამც
თუ დალევა.

მისხილი: თქვენ, მგონი, თეიმურაზი გქვიათ, არა?

თეიმურაზი: ხო, დღემდე ასე მერქვა, მერე?

მისხილი: მე მითხრეს, რომ თქვენ კარგად იცნობდით აწ განსვენებულ გაბიანს.

თეიმურაზი: *(ყვირის)* ნინიკო! *(შეზღობის ნინიკო)* ერთი მოახსენე ამ ყმაწვილს, ვინ იცნობდა ყველაზე უკეთ გაბიანს!

ნინიკო: რა თქმა უნდა თქვენ, ძია თეიმურაზ!

თეიმურაზი: ახლა უთხარი, ვინ წაიყვანა ეტლით ქორწილზე გაბიანი.

ნინიკო: თქვენ, ძია თეიმურაზ, ეს ყველამ იცის.

თეიმურაზი: ახლა მითხარი, ვინ მონათლა გაბიანის ქალიშვილი.

ნინიკო: თქვენ.

თეიმურაზი: ახლა ვინა ზრუნავს იმის ოჯახზე?

ნინიკო: ქალაქის საბჭო ალბათ...

თეიმურაზი: ალბათობას თავი დაანებე, ზუსტად ილაპარაკე. ვინ ეზიდება მათთვის შემასა და ნახშირს?

ნინიკო: თქვენ, ძია თეიმურაზ!

მისხილი: ოქრო ადამიანი ხართ, ბატონო თეიმურაზ.

თეიმურაზი: საიდან მიცნობ, ყმაწვილო, ასე კარგად?

მისხილი: *(ფოტოაპარატით ხელში)* აღექით! დაჯექით! ჩაფიქრდით! გაიღიმეთ! გაიცინეთ!

თეიმურაზი: ტყუილად იცინი, ყმაწვილო, მე მგონი, სატირლად გვაქვს საქმე.

მისხილი: რათა?

თეიმურაზი: შენ გგონია ამ სურათებში რამეს გადავიხდი? მანამდე არაფერი გეტყინოთ, მე უფასოდაც მეჯავრება სურათების გადაღება, არამც თუ ფასით. სურათის გადაღება უნიჭო არტისტებს და პოეტებს უყვართ – ხალხმა გაგვიცნოსო. მე კი ისედაც მთელი სვანეთი მიცნობს!

მისხილი: ნუ წუხხართ, ჟურნალი გადამიხდის თქვენი სურათის საფასურს.

თეიმურაზი: მაშინ სჯობია მე გადამიხადონ, სიფათი ხომ ჩემია.

მისხილი: საქვეყნოდ სახელს გაავითქვამთ. მე გადავიღებ სურათების სერიას სათაურით – „გაბიანის ოჯახი, მეგობრები და ძეგლი“

თეიმურაზი: ეჰ, ცნობილ ადამიანს მეგობრები ყოველთვის გამოუჩნდებიან, მაგრამ ძეგლს საიდან გააჩენ? ჩვენ დღემდე

არ ვიცი მისი დალუპვის ადგილი. ცოლი ახლაც ელოდება – „იქნებ დაბრუნდესო“. ასეთია ქალის ბუნება – თუ ქმრის დაკრძალვას არ დაესწრო, სასწაულის იმედი აქვს.

მისხილი: სასწაულს ახლა იხილავთ! ერთი წუთით თვალები დახუჭეთ! (*ფოტოსურათს ამოიღებს*) გაახილეთ. რა არის?!

თეიმურაზი: ლოდები! ჩვეულებრივი ლოდები!

მისხილი: ეგება არაჩვეულებრივია?

თეიმურაზი: არაჩვეულებრივს ვერაფერს ვხედავ...

მისხილი: ეს ძეგლია. აქ დაიდუბა თქვენი მეგობარი. ამ სურათს პრესაში გამოვაქვეყნებ. სენსაციაა. ეს არის გაბიანის დალუპვის ადგილი.

თეიმურაზი: რაო! გაბიანის დალუპვის ადგილი?! ნინიკო! არჩილ! ექსკურსანტებო! (*ყველა გროვდება*) თვალები დახუჭეთ! ყველამ! ყველამ! ახლა გაახილეთ! რა არის ეს!

ნინიკო: ქვები!

თეიმურაზი: ქვები კი არა, ეს დიადი ძეგლია დიდი გაბიანისა. გესმით?! ძეგლი – გაბიანის დალუპვის ადგილას, რომელიც აღმოაჩინა და ძეგლის აგებით უკვდავყო ჩვენი ქვეყნის პატრიოტმა... რა გქვია... ბიჭიკო?

მისხილი: მისხილ თელიანი.

თეიმურაზი: შენ გენაცვალე! ჩემო მიხო! მეგობრებო! მე შევცდი, როდესაც განვაცხადე, რომ ჯერ არ დაბადებულა ისეთი ადამიანი, ვისაც გაბიანის დალუპვის ადგილის პოვნა შეუძლია-მეთქი, თურმე ყოფილა ასეთი ადამიანი! ის თქვენს წინაშე დგას – საყოველთაოდ ცნობილი არქიტექტორი და მოქანდაკე... რა იყო, ბიჭო?

მისხილი: მე ფოტოკორესპონდენტი ვარ.

თეიმურაზი: ფოტოგრაფიც! – მისხილ თელიანი. ის სპეციალურად ჩამოვიდა – რათა შეექმნა ალბომი სათაურით „გაბიანი და მისი მეგობრები“, მერე და ვისგან დაიწყო: ნინიკო!

ნინიკო: (*ცრემლებს იწმენდს*) თქვენგან, ძია თეიმურაზ.

თეიმურაზი: მიხო! ჩემო ბიჭიკო! გადამიღე ჩემ ტურისტებთან ერთად ჩემი ავტობუსის გვერდით, მერე კი უნდა წავიყვანო მარიამთან, მარიამთან... თვით გაბიანის... ქვრივთან. მე შენ შევახვედრებ... მე შენ თავს გავაცნობ ყველას (*იცრემლებს*) შენ გენაცვლა... შენა... გამოდიო! წამოდიო! მთელ ქალაქს მოვდებ შენი გამირობის ამბავს.

მიხეილი: არ არის საჭირო, ძია თეიმურაზ! ეს საიდუმლოებაა!

თეიმურაზი: გასაგება! მეც ყველას საიდუმლოდ მოვუყვები!!!
წავიდეთ!

(ყველა გადის. ისმის „აღპინისტების ვალის“ სევდიანი მლოლია. შემოდის ტარიელი მას ძველი და დახეული ტანისამოსი აცვია, ეტყობა ძლიან დაღლილია)

ნინიკო: მწვადი? *(ტარიელი ხელით ანიშნებს: სამიო)* ღვინო?
(ტარიელი ანიშნებს: ორი. შემოდის სამი რუსი აღპინისტი თოკებით და წერაყინებით ხელში)

ტიმოთე: აი, ღორი!

სპირიდონი: უტიფარი!

იაკობი: ამას კი შენგან არ ველოდი.

(ნინიკოს საჭმელი შემოატეხს. ტარიელი ხელით ანიშნებს: კიდევ სამიო)

ტიმოთე: სადა ხარ დაკარგული, არამზადა? მანც სად იყავი? რომელ ხეობაში?!

იაკობი: ჩვენ ხომ შენს სამებნელად გამოგვიძახეს!

იაკობი: მთელი ხეობა გადავებრუნეთ, დავეძებთ, ეს კი ზის და ღვინოსა ყლაპავს. *(შემოდის თინა)*

სპირიდონი: თუ ოდესმე რადიოგრამა მივიღეთ შენი დალუპვის შესახებ ვუპასუხებ: „სამიკიტნოში ეძებთ“-მეთქი.

ტიმოთე: მაღლობა თქვი, რომ მაშველთა საერთაშორისო ჯგუფი არ მოიწვიეს, თორემ ახლა ვალიუტის გადახდა მოგიხდებოდა!

ტარიელი: *(თინათინს შეამჩნევს)* ჩუმადა! თუ ტყუილები ვილაპარაკე, არ გაგიკვირდეთ. *(თეფშს აიღებს და საჩქაროდ მეზობელ მავიდაზე გადაჯდება)*

იაკობი: შენგან სიმართლე გაგიკვირდება, თორემ ტყუილი რა გასაკვირია.

თინათინი: *(ტარიელთან მიდის)* შენ ისევ აქა ხარ?

ტარიელი: მაშ სად უნდა ვიყო?

თინათინი: რა თქმა უნდა, სამიკიტნოში, შენი ზენიტია. მთებში რა გინდოდა?

ტარიელი: რომელ მთებში?

თინათინი: რომელ მთებში?! ალპებში.

ტარიელი: ჩვენს მთებზე მეკითხები? მთებში რა მინდა... თავბრუ მესხმის.

თინათინი: თავბრუ ღვინისაგან გესხმის. მაშ მთელი კვირა სად დაიკარგე, თუ მთებში არ იყავი?

ტარიელი: სათევზაოდ ვიყავი.

თინათინი: კმარა, დავიღალე ამდენი სიცრუით. შენ ზევით იყავი მთებში, სახლში.

ტარიელი: რას ამბობ, მე ხომ სამუშაოზე ვარ, რა დროს სახლია.

თინათინი: ეს კაცი ხომ არ გეცნობა? (*სურათს უჩვენებს*)

ტარიელი: ერთი შეხედეთ, ეს ხომ მე ვარ! ბიჭებო... მაპატიეთ, მე ხომ თქვენ არ გიცნობთ.

თინათინი: რატომ აქამდე არ მითხარი, რომ ცოლის შერთვას აპირებ?

ტარიელი: ვინ გითხრა?

თინათინი: როცა სვანი თეთრ ჩოხას იკერავს, ეს იმას ნიშნავს, რომ საქორწილოდ ემზადება.

ტარიელი: რას ლაპარაკობ. დედაჩემმა წამოიწყო თეთრი ჩოხის ამბავი. მე პიჯაკშიაც მშვენივრად ვიქორწინებ.

თინათინი: შენ ალბათ იმასაც იტყვი, რომ არ გყავს მეზობელი ნატა?!

ტარიელი: მყავს, როგორ არა მყავს.

თინათინი: რისთვის დაგჭირდა სიცრუე – „სანადიროდ ვიყავი“.

ტარიელი: სათევზაოდ...

თინათინი: დედაშენთან ქორწინების შესახებ მოსალაპარაკებლად ახვედი. ასე არ არის? რისი გერიდება, პირდაპირ მითხარი – ვის შერთვას აპირებ?

ტარიელი: აქ გითხრა?! სამიკიტნოში!

(*მუსიკა*)

თინათინი: არა, უმჯობესია ამის შესახებ ჩემთან არასდროს სიტყვა არ დასძრა.

(*თინას არია*)

წარსული გაქრა, უკან აღარ დაბრუნდება,

წარსულს ეკუთვნის, უკვე სხვისია,

ხედავ, დამდგარა შემოდგომა, ირგვლივ ნისლია

და ჩემ გულშიაც თითქოს ის ნისლია.

და ოცნებას, უწყალოდ გათელილს,

სჯობს გითხრა ის, რაც დამრჩა სათქმელი.

დღეს ვშორდებით, გზები გაიყო

და აღარ ახსენო, წინათ რაც იყო.
ნეტავ ქარაგმა ცხოვრებისა ვინმემ ახსნას,
ასე რად ზღება, ასე რად არის.
ჩადგა ჩვენს შორის სუსხიანი ცივი ზამთარი,
გაქრა ბავშვობის ლამაზი ზღაპარი.
სჯობს ოცნებას, უწყალოდ გათელილს.
დღეს გითხრა ის, რაც დამრჩა სათქმელი...
დღეს ვშორდებით, გზები გაიყო,
რაც იყო, წავიდა, ქარმა წაიღო.

თინათინი: უსინდისო! (*ბედის*)

იაკობი: რაზე იჩხუბეთ?

ტარიელი: მე იმის შერთვა არ შემიძლია. იმას კი ამის მიზეზი არ
ესმის.

იაკობი: ეგ არც მე მესმის. მაინც რატომ არ შეგიძლია?

ტარიელი: იმიტომ რომ გაბიანის ქალიშვილია.

სპირიდონი:

იაკობი: } მიხეილის?

ტიმოთე:

ტარიელი: ხო, მიხეილის! ბავშვობიდან დაობლდა და თუ ჩემზე
გათხოვდა, შესაძლოა მაგის შვილებსაც იგივე ბედი ეწიოთ.
იმიტომ ვუმაღავ, რომ მთამსვლელი ვარ!

სპირიდონი: მაშ, შენი აზრით, მფრინავმა არ უნდა იფრინოს,
კოსმონავტი რაკეტას არ უნდა გაეკაროს, ქალმა კი შვილი არ
უნდა გააჩინოს, ეგეც საშიშია...

იაკობი: სიმართლე გითხრათ, მეც ვუმაღავ მეუღლეს, რომ მთებში
დავდივარ მაშველ ჯგუფთან ერთად. ამ დროისათვის ერთი
სტანდარტი მაქვს დაბუშავებული: ექიმთა კონფერენცია ომსკში.

ტიმოთე: მე კი ვითომ კვალიფიკაციის ასამაღლებლად დავდივარ.

ტარიელი: რა ვქნა, მეგობრებო?! ამდენ სიცრუეს ბოლო არ უნდა
მოეღოს?! არ შეიძლება ასე ადამიანის წამება.

იაკობი: ტარიელ! ყველაფერი უნდა უთხრა, დამიჯერე, ასე
აჯობებს!

ტარიელი: არ შეიძლება ოჯახს ერთი და იგივე უბედურება ორჯერ
დაატეხო. კმარა, რომ დედა დაქვრივდა, ის თავის ქალიშვილს
მთამსვლელზე აღარ გაათხოვებს.

სპირიდონი: მძიმე შემთხვევაა!

ტარიელი: ბატონებო, მე მგონი სწორედ იმ ხეობაში მოხვდი, სადაც გაბიანი დაიღუპა.

ტიმოთე: რა იცი?

ტარიელი: ქვებში პორტსიგარი ვიპოვე.

სპირიდონი: მერე და რა იცი, რომ იმისია?

ტარიელი: წარწერა აქვს: „ძვირფას მეუღლეს მარიასაგან“, მარიამი გაბიანის მეუღლეა. მე იქ ძეგლი აღვმართე.

ტიმოთე: მოდით, უსიტყვოდ დავლიოთ.

(შემოდის მარიამი, ტარიელი საჩქაროს მეზობელ მაგიდაზე გადაჯდება).

მარია: ნინიკო! ნინიკო!

ტარიელი: გამარჯობათ, დეიდა მარია!

მარია: *(პორტსიგარს აკვირდება)* ეს რა არის?

ტარიელი: კომპასი. *(პორტსიგარს ჯიბეში ინახავს)*

ნინიკო: რა მოხდა, მარია?!

მარია: თეიმურაზი! სად არის თეიმურაზი? მე მითხრეს, რომ... *(მთამსვლელთა მოწყობილობას ათვალიერებს)* ადიხართ, თუ ჩამოხვედით?

ტიმოთე: ჩამოვედით!

მარია: ჩემი კი ავიდა და აღარ ჩამოსულა. ალპებში გამოიძახეს საშველად – დაბრუნდა. პარიზში დიდი მედალი მიიღო, იტალიაში წავიდა, იქიდანაც დაბრუნდა. აქ კი ავიდა და აღარ დაბრუნებულა. უკვე ცხრა წელია ველოდები.

იაკობი: ძალიან გვასიამოვნებთ, თუ მცირე ხნით მაინც ჩვენთან დაბრძანდებით.

მარია: მე უფრო მასიამოვნებთ, თუ ჩემს ოჯახში სუფრას დამიმშვენებთ. *(ტარიელს)* მოდი, ბიჭო, გაიცანი რუსი ამხანაგები და სახლში დამიპატიჟე, ნახონ, სად ცხოვრობდა გაბიანი.

(მეგობრები ზრდილობიანად ართმევენ ხელს ტარიელს)

სპირიდონი: მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, ამხანაგო ბიჩო, მე რომაშინი ვარ.

მარია: ბიჭოს – მე ვეძახი, ჩემს ხელში გაიზარდა.

ტიმოთე: *(ტარიელს)* ტიმოთე იარკოვი. მთამსვლელი და მშველელი. თქვენც სამთო სპორტს მისდევთ?

მარია: ღმერთმა დაიფაროს! მე არ მინდა, რომ ჩემი ქალიშვილი ყოველ საღამოს შიშით ელოდოს – დაბრუნდება მისი ქმარი თუ

არა. მაპატიეთ, მაგრამ ჩვენს ოჯახს უფრო წყნარი ხელობის კაცი უნდა: როდის ქორწინდება, ტარიელ? იცოდე, შესაძლოა ერთ მშვენიერ დღეს მოხვიდე და თინა აღარ დაგხვდეს.. გაფრინდეს სადმე...

ტარიელი: თქვენთან მარტო თინას გულისთვის კი არ დავდივარ, დეიდა მარია.

მარია: ჰო, ჰო, თუ ბებიასათვის დადიხარ, მაშინ შეგიძლია სრულიად დამშვიდებული იყო, არავინ არ მოგტაცებს. ძალიან მორცხვი და მორიდებულია ჩვენი ტარიელი. მთამსვლელებისაგან მაინც ისწავლე გამბედაობა. იცი, როგორ შემოიჭრა გაბიანი ჩვენს ოჯახში? თეთრი ჩონა ეცვა, ხელში წითელი ვარდები ეჭირა. გული ამიძგერდა, როცა დავინახე. ერთი ხელი მე ჩამავლო, მეორე, დედაჩემს და ქუჩაში გაგვიყვანა. გარეთ შავი ეტლი გველოდა, თეთრი ცხენები ება, კოფოზე კი გაბიანის უახლოესი მეგობარი თეიმურაზი იჯდა. ოცჯერ შემოვუარეთ ქალაქს. ყველამ გაიგო, რომ დანიშნული ვიყავი და ქორწილზეც მთელი ქალაქი გვეწვია. შენც ასე უნდა მოიქცე, ტარიელ.

ტარიელი: სადღაა ეხლა ცხენები, დეიდა მარიამ.

მარია: სადმე ნავიანი მოტოციკლი ინათხოვრე, ისიც საკმაოდ ხმაურიანია.

სპირიდონი: ნება მოგვეცით, ეს საქმე ჩვენ ვითავოთ, მარია გავრილოვნა, მთელს საქალაქო ტრანსპორტს მობილიზაციას გავუკეთებთ და ერთ საათში მოგვგვრით თქვენს სასიძოს.

ტარიელი: დღეს არ შემიძლია.

ტიმოთე: რატომ?

ტარიელი: დღეს სხვა გეგმები მაქვს.

იაკობი: რა უნდა გქონდეს ნიშნობაზე მნიშვნელოვანი? შენ მთამსვლეელი არა ხარ, მორიდებული და მშიშარა კაცი ხარ, მაგრამ, არაუშავს, ჩვენ ვიკისრებთ მაყრობას და საცოლის ოჯახში ჩვენ შევიჭრებით! აბა, წავედით!

ტარიელი: მე რას ჩამაცვიდით, ჯერ თინათინს ჰკითხეთ, თანახმაა, ცოლად წამომყვეს?

მარია: გაჩუმდი, შე მხდალო! განა ქალს ეკითხებიან?

(მარიას სიმღერა)

ვისაც უყვარს, განა
შუამავალს ეძებს,
ის არ იცავს ადათს,
ის არ მისდევს წესებს.
ყარაულობს სატრფოს,
არ გაექცეს არსად,
სიცოცხლესაც დათმობს
ერთი კოცნის ფასად.
შეაშინებს განა
ქალის ძმა ან მამა,
შემოუმტვრევს კარებს,
დაუკოცნის თვალებს.

ტარიელი: ეგებ თინას არ სურს...

მარია: ხელი სტაცე ასულს,
განა სვანი ელის
საყვარელი ქალის
თანხმობას და პასუხს?
შემოახვევს ნაბაღს,
აიტაცებს ხელში,
ბედაურზე აბამს,
მიაქროლებს ტყეში.
დაე, ღვრიდეს ცრემლებს
ტანკენარი ქალი,
შემოაჭდობს ხელებს,
დასწვავს ვნების ალით.
მეორე დღეს მოდის
მაყრიონის ჯარით
ბედნიერი ცოლის
ბედნიერი ქმარი.

ტარიელი: *(ოფიციალტს ვასძახის)* სად არის თეიმურაზი?

მარია: თეიმურაზი რად გინდა?

ტარიელი: ცხენები! რადაც არ უნდა დაჯდეს, მიშოვოს ეტლი და
ცხენები! თინასთან მივლივარ! *(გარბის)*

რუსები: ურა!!!

ფარდა

მოქმედება მეორე

– მარიამის სახლი. სახლის უკან დათოვლილი მწვერვალები მოჩანს. –

ოლლა: იცით, ძვირფასო მიხეილ, მას შემდეგ, რაც ჩემი სიბე დაილუპა, ერთი ღამე არ მძინებია, სულ მეჩვენება, რომ ჩვენს სახლში ვიღაც იპარება, ამიტომ განგებ ბოხი ზმით ვლაპარაკობ ხოლმე, ეგებ შევაშინო-მეთქი.

მიხეილი: ვინ?

ოლლა: ქურდები.

ნანა: ჯერჯერობით მარტო ჩვენ გვაშინებ – თინას, დედას და მე.

ოლლა: თქვენი ჩამოსვლა პირდაპირ ბედნიერებაა. შაკიკმაც კი გამიარა, მაგრამ რა მეშველება, როცა წახვალთ?

მიხეილი: იცით, ქალბატონო ოლლა, მე შესაძლოა სულაც აღარ წავიდე აქედან. ყველაფერი ერთ ადამიანზეა დამოკიდებული...

ოლლა: თუ ეს ჩემზეა დამოკიდებული, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ ყოფილა (*შემოდის თინა*).

ნანა: ყველაზე ნაკლებ ეს მე და შენზეა დამოკიდებული, ბებო... (*ნანა ხელს კიდებს ოლლას და ორივენი გადიან*).

თინა: ტარიელი შემხვდა, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ძალიან დამნაშავე ვარ მის წინაშე.

მიხეილი: რაში?

თინა: მე მგონია, რომ თავისი სურვილის წინააღმდეგ გადაწყვიტა ვიღაცის ცოლად შერთვა. ჩემმა გულცივობამ მიიყვანა აქამდე. რა ჰქვია მის საცოლეს?

მიხეილი: ზუსტად არ ვიცი, მგონი ნატა! თინა, ლამის თავი მომაკვლევინოთ თქვენი გულცივობით... რატომ მეც იმ უფსკრულში არ გადავიჩნეხე, სადაც მამათქვენი დაილუპა.

თინა: ამაზე ნუ ვილაპარაკებთ.

მიხეილი: თუ ახლავე თანხმობით არ მიპასუხებთ, ხელმეორედ ავალ იმ კლდეზე, დიახ, მეორედ ავალ, მაგრამ გწამდეთ, რომ უკან აღარ დავბრუნდები! (*გადის. შემოდის ვიორჯი. ის საკმაოდ შეფერთხილია*)

ვიორჯი: მასპინძელო, მასპინძელო! (*შემოდის ოლლა*) გამარჯობათ, როგორ გიკითხოთ?

ოლლა: მაპატიეთ, მაგრამ არ მცალია, სტუმრები მყავს.

გიორგი: ძალიან კარგი! სადაც ერთია, იქ ორი იყოს! პირი დამაბანინეთ, გეთაყვა!

ოლა: *(გიორგის დაკუჭულ ტანისამოსს შეაძრწევს)* რატომ გაცვიათ, ბატონო, ასეთი შელანძღული ტანისამოსი, გცემეს?

გიორგი: არა, ავტობუსიდან... ავტობუსს ჩამოვრჩი... გადავვარდი – ჩემი ზურგჩანთა კი, მთელი ჩემი სახსრებითა და საბუთებით, ხეობაში გაფრინდა...

ოლა: და ახლა უკან წასასვლელი ფული არ გაქვთ?

გიორგი: ეგ კიდევ არაფერი. პასპორტი არა მაქვს, არ შემძლია შინიდან ფული მივიღო... არ შეგიძლიათ ოთხი კაპიკი მასესხოთ მარკიანი კონვერტისათვის? წერილს გავაგზავნი თბილისში დედასთან და ტელეგრაფით ფულს გამომიგზავნის თქვენს სახელზე?!

ნანა: ეგ საკენკი თქვენს ქათმებს დაუყარე. საჭმელი მიირთვი, ფულს კი არ მოგცემთ. ხელი გაანძრე, იმუშავე... შენს ასაკში სირცხვილია მათხოვრობა... ჰიპი ხომ არა ხარ?!

გიორგი: პირიქით, ამ დღეებში საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი. ცოტა დავლიეთ, ხომ იცი, როგორ ხდება ხოლმე. მერე ავტობუსში ჩამსვეს და მთაში გამომისტუმრეს ბანაკში. ცოტა ჰაერი ჩაყლაპოსო...

ოლა: ღმერთო ჩემო! ბანაკიდან გამოიქცა, გამასწორებელი ბანაკიდან!.. ეს ხომ თავდასხმაა?!

ნანა: ნუ გეშინია, ბებო, მაგას მე მოგუვლი *(გიორგის უახლოვდება)*, როდის გაგკრიჭეს?

გიორგი: წამოსვლის წინ.

ნანა: ორი კვირის წინათ?

გიორგი: დაახლოებით.

ნანა: რეციდივია, თუ პირველი შემთხვევა?

გიორგი: ასეთი რამ პირველად დამემართა...

ნანა: ბებო, ეს 206 მუხლის მეორე ნაწილია. წინასწარ განზრახული მოქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და ისჯება ორას მეექვსე მუხლის პირველი ნაწილით, მაგრამ თუ იგივე მოქმედება თავისი შინაარსით განსაკუთრებული თავხედობით გამოირჩევა, ისჯება ამავე მუხლის მეორე ნაწილით, ე.ი. თავისუფლების აღკვეთით ერთიდან ხუთ წლამდე.

ოლა: *(აღფრთოვანებული)* და ასეთ მცოდნეს სახალხო სასამართლოში მბეჭდავად ამუშავენ. დასრულებული მოსამართლეა.

ტრიო (ოლლა, გიორგი, ნანა)

ოლლა: ტყუილს ხომ იცით...

ნანა: ფეხები მოკლე აქვს მუდამ,
გულით დაეცინით თქვენისთანა კანდიდატს.

გიორგი: არა ვტყუივარ, ვფიცავ ღმერთს და ხატს.
ვფიცავ ღმერთს და ხატს. (*ღეჟი*)

ოლლა: უძვლო ენა, უძვლო ენა...

ნანა: რასაც უნდა, იმას იტყვის,
აბა მითხარ, ვილას სჯერა,
ვილას სჯერა ახლა სიტყვის.
სთქვი, რომ ჭიქა ღვინისათვის,
სტეხავ ასეთ აურზაურს,
სთქვით, და მაშინ სიმართლეში
ყველა მოგცემთ ათ-ათ შაურს.

გიორგი: როგორ ვიყიდი ოთხ კაპიკად ღვინოს?
მინდა წერილი თბილისში ვაფრინო.

ნანა: ვინა გგონიათ ასეთი რეგენი ნეტავ?!
ამდენ სიცრუეს საჯაროდ როგორ ბედავთ.

ოლლა: როგორ ბედავთ, როგორ ბედავთ.

გიორგი: რახან აღარ გჯერათ სიტყვის,
მაშინ ასეთ მართალს ვიტყვი –
ვატყუებდი ყველას მუდამ,
ვზარმაცობდი, საქმე მძულდა.
თავს მერჩია ღვინის წვეთი.
გვევლრებით თუ გწამთ ღმერთი,
შემიგროვეთ ცოტა ფული,
ღვინო მინდა, მიმდის გული.

ოლლა: საცოდავი დალუპული კაცი! ნანა, ჩემი ჩანთიდან თუმბიანი
ამოიღე. ჭამეთ რამე, თქვენი უბედურება იმაშია, რომ უჭმელზე
სვამთ. ყოველთვის რომ კარგად ჭამოთ, სმაც აღარ მოგინდებათ.

გიორგი: სრული სიმართლეა.

(შემოდის მიხეილი)

მიხეილი: რა ხდება?

ოლლა: აი, ვილაც უბედური მოვიდა... მანეთს თხოულობს
ღვინისათვის.

გიორგი: მე მხოლოდ ოთხი კაპიკი გთხოვეთ.

მიხეილი: *(ფულს ამოიღებს)* ინებეთ, აი ოთხი კაპიკი.

(შემოდის ნანა)

ნანა: აი, ბებო, ათმანეთიანი მოვიტანე. *(ვიორგის აწვდის)*

მიხეილი: *(აჩერებს)* არ არის საჭირო, ადამიანმა ოთხი კაპიკი ითხოვა და მეც ოთხი კაპიკი მივეცი. ნუ ანებივრებთ. წადი, ძვირფასო, წადი აქედან.

ვიორგი: მე ეს სესხად მიმაქვს. თქვენის ნებართვით, მასპინძლის გვარს შევატყობინებ თბილისში.

ნანა: ჩვენთან მაინც ნუ სცრუობთ.

ვიორგი: გმადლობთ. ვეცდები გამოვსწორდე *(ვადის, შემოდის თეიმურაზი)*.

თეიმურაზი: *(აცხადებს)* სუფრა მზად არის! მიხო, შენ გენაცვალე, გთხოვ! *(სტუმარს და ქალებს წინ გაატარებს. შემობრბის ტარიელი)*.

ტარიელი: *(ჩუბჯღ)* ძია თეიმურაზ, ძია თეიმურაზ!

თეიმურაზი: რა იყო, ბიჭო, რა გაყვირებს?!

ტარიელი: გადამარჩინე, ძია თეიმურაზ, დამეხმარე!

თეიმურაზი: ვინ მოგსდევს, ყმაწვილო, ვინ გემუქრება?!

ტარიელი: ცხენები, ძია თეიმურაზ! ეტლი და ცხენები...

თეიმურაზი: რაო?!

ტარიელი: ეტლი და ცხენები მიშოვნე... გვეედრები!

თეიმურაზი: რისთვის?

ტარიელი: ქორწილისთვის! ცოლს ვირთავ, ძია თეიმურაზ, ცოლს... ოღონდ თინასთან... სუ!

თეიმურაზი: გასაგებია! ეტლი ადვილი საშოვნელია... მარა... ცხენი?! ცხენის შოვნას ნიანგის შოვნა მირჩევნია... სადღა ცხენები?!

ტარიელი: ეს შენი საქმეა! ძმა ძმისთვის და შავი დღისთვის. ერთ საათში მზად უნდა იყოს *(ვარბის)*

თეიმურაზი: მოიცა... ბიჭო... რა ვქნა ახლა მე?! ავტობუსი – კი ბატონო, კი გენაცვალე, TY-104, „ბოინგი“ თუ გინდა, ყაბულს ვარ, მაგრამ ცხენი?!

ოღლა: *(შემოდის)* რას იზამ, თეიმურაზ! ძმა ძმისთვის და შავი დღისთვის.

თეიმურაზი: შენ ეგა სთქვი... აბა! *(ტელეფონს მივარდება)* ალო! დამკრძალავი ბიუროა?

ოღლა: რა მოხდა?

თეიმურაზი: არაფერიც არ მომხდარა.

ოლღა: როგორ არაფერი, ვის ასაფლავებ? რა გინდა დამკრძალავ ბიუროში?

თეიმურაზი: რა მოგივიდა, ქალო, რა გაყვირებს? იქ ერთი ნაცნობი მყავს, პირად საქმეზე მინდა მოველაპარაკო, ვაჰ! ალო, ალო! დამკრძალავი ბიუროა? ცხენი მჭირდება. ჩვეულებრივი ცხენი... მხოლოდ ავტომობილით? გასაგებია! (*ყურძილს დაავლებს*) მთელ ქალაქში ერთი ჯაგლაგაც არ მოიძებნება! მთიელი უცხენოდ, ეს იგივეა, რაც მინისტრი უპორტფელოდ.

ოლღა: რად გინდა ცხენი?!

თეიმურაზი: ერთ კაცს ეტლსა და ორ ცხენს შევპირდი.

ოლღა: მენაგვეს დაურეკე, იმას ეყოლება, აბა ნავავს ჩანთით ხომ არ ეზიდება.

თეიმურაზი: მარტო ქალს შეუძლია ასეთი რამის მოფიქრება. ალო, კომუნალური მეურნეობაა? გამარჯობა, ჯიბო! თეიმურაზი ვარ, როგორა გყავს ბებიაშენი? აჰა. პაპა რას შვრება?

ოლღა: ცხენს მიუახლოვდი, ცხენს.

თეიმურაზი: შვილიშვილები რას შვრებიან? ვაჰ, ხა-ხა-ხა... ჰო, ჯიბო, ორი საათით ორ კარგ ცხენს ვერ მათხოვებ?! როგორ თუ საიდან? მაშ ნავავს რით აგროვებ უბანში? ერთი ცხენი გიბიათ?! კეთილი, ეგ ერთი მათხოვე, არ ვარგა? სანამ ცხენს სიარული შეუძლია, ნამდვილი მხედრის ხელში – ბედაურია. კბილები აკლია? ახლა კბილები ვის არ აკლია? ზოგს ჭკუაც აკლია, მოკლედ, სიტყვა-სიტყვაა, ერთ საათში ორს შემიკაზმავ. როგორ თუ ერთს? ორი მჭირდება. ეს მე არ მეხება, ძმა ძმისთვის და შავი დღისთვისო, სადაც გინდა, იქ იშოვე. ნახევარ საათში მზად უნდა იყოს! (*ყურძილს ღებს*). მთავარია, შენი საზრუნავი მეგობარს მოახვიო, ისიც კარგად გრძნობს თავს და შენც. (*ვადის. შემოდიან თინა და მიხეილი*)

თინათინი: ბატონო მიხეილ! თქვენ მითხარით, რომ ცოლად გინდივართ. შეგიძლიათ გაიმეოროთ თქვენი წინადადება სრული სერიოზულობით. დაფიქრდით!

მიხეილი: თინა! ეს რა? როგორ? თქვენ მე მიყვარხართ, თინა, და მე ბედნიერი ვიქნები თუ კი სახელოვანი მთამსვლელის – გაბიანის ქალიშვილი დათანხმდება ჩემს ცოლობაზე! თქვენ დამცინით!

თინათინი: შეჩერდით, თანახმა ვარ!

მიხეილი: *(აღფრთოვანებით)* ბებო!

თინათინი: მე თვითონ ვეჭყვი ყველას. წადით. ბებო, ბებო! *(მიხეილი გადის, შემოდის ოღლა. თინა ბებიას გადაეხვია და ბავშვივით ტირის).*

ოღლა: ღმერთო ჩემო! რა მოხდა! ვის დასტირი? ვინ მოკვდა?

თინათინი: ნუ ღელავ, ბებო, არაფერი არ მომხდარა... მე... მე ვთხოვდები.

ოღლა: ტყუილად კი არ მესიზმრა ნაჯახი. ვიცოდი, რამე უბელურება დაგვატყდებოდა, არაფერი მზად არ გვაქვს! ღმერთო, ჩემო! მერე ჩვენ ვის ანაბარა გვტოვებ?

(გადახვეულები ხმამაღლა ქვითინებენ. შემოდის ნანა)

ნანა: რა გატირებთ?

ოღლა: შენც იტირე!

ნანა: რა მოხდა?

ოღლა: იტირე-მეთქი, ცრემლი გენანება?

ნანა: *(ტირის)* მითხარით მაინც, ვის დავტირით.

ოღლა: არ იკითხო, იტირე, იტირე და სახე დაიკაწრე.

ნანა: *(ხმამაღლა ტირის)* მეტი აღარ შემიძლია, მითხარით, სად არის დედა?

ოღლა: რა გაღრიალებს? დედა კარგადაა, შენი და იტირე, თხოვდება.

ნანა: *(თინა ეხვევა)* მომილოცავს, თინიკო, ვაშა! მეზობლებს უყვირის – დედა ლამარა, აქ მოდით ჩქარა!

თინა თხოვდება! ლიზა, აქეთ, აქეთ!

თინა თხოვდება! ბები, ღვინო მოვიტანოთ, მუსიკა ჩავრთოთ, რადიო, ტელევიზორი, ყველაფერი, რაც კი გვაბადია!

(შემორბიან მეზობლები!)

ქალთა გუნდი

ვაი, საწყალი ოღლა ბებია,
განა ამისთვის ზრდიდი პატარებს,
წავლენ სახლიდან გაფრინდებიან,
ვიღა გიწამლებს შაკიკს და ქარებს.
სხვა ყოველ დილა-საღამოს
ხელს ვერ შეგიწყობს, შენც ხომ იცი,
ვინღა დაგადებს მალამოს,

ვინღა მოგიტანს სტრუპტომიცინს.

ნანა: რას დასტირით თინას, მე აქ არა ვრჩები?

ოლღა: შენ არასოდეს სახლში არა ხარ!

ნანა: პანაშვიდი ხომ არ არის, ქორწილია, რა დროს ცრემლებია, ვიმხიარულოთ.

ოლღა: მართალია, უნდა ვიმხიარულოთ! იცეკვეთ, ახალგაზრდებო, რას უყურებთ, იცეკვეთ!

(ცეკვა)

ხმა: მოიცათ! ჯერ რაც მთავარია, ის არ ვიცით, ვინ არის სასიძო?

(ყველა თინას უცაქერის)

გუნდი: თქვი, რა ხელობის კაცია,

ანდა როგორ აცვია,

გვითხარ, პირველად სად ნახე,

რატომ არავის გვანახვე.

თუ ჰყავს და-ძმების ამაღა,

თუ აქვს ლამაზი პირსახე.

გვითხარი, ნურაფერს მალავ.

თინათინი: სახლში, ერთხელ, როცა ვიყავ მარტო მე,

ვიღაც კაცი თავზე წამომადგა,

მოკარ თვალი, გული უცებ ატოკდა...

გუნდი: რატომ? რატომ? რა მოხდა?

თინათინი: შემომხედა ვნებიანი თვალებით,

მერე თავად ჩემდა დაუკითხავად

მივიდა და გადარაზა კარები.

გუნდი: ბან-ბან-ბან-დი-ტი?!

თინათინი: მეც არ ვიცი, როგორ ანდა რა მოხდა,

მაგრამ ვიცი, ისე როგორც ფიცი –

„თანახმა ვარ“,

„თანახმა ვარ“ – აღმომხდა.

(შემოდის მიხეილი)

მიხეილი: ო, ქალბატონო, სულს მიშფოთებს თქვენი თვალები,

ნება მომეცით, როგორც ხატთან მუხლთ მოვიყარო,

ზრდილით შვილიშვილს, მზრუნველობით, ზრდილით წვალებით,

მე კი მოვედი, როგორც ქურდი, რომ მოვიპარო.

ოლღა: *(მიხეილს ეხვევა)* ძვირფასო მიხო, მე რა ვიცოდი, თუ თქვენა ხართ ჩემი სასიძო, ღმერთო, რა ბედნიერი ვარ.

(მეზობლებს სინებით საჭმელი და ღვინო შემოაქვთ)

გუნდი: ქორწილზე თუ კი ფიქრობდით!

(შემოდინ მამაკაცები)

გეთქვათ, ხალხო, წინდაწინ,
ძღვენით მოვადგებოდით
მზეთუნახავ თინათინს,
მოვიტანდით ხაჭაპურს
ჩიტის რძეში მოზელილს,
გაჩნდებოდა მთლიანად
შებრაწული მოზვერი.
ქარვისფერი ნაზუქი,
მოხატული კალმახი,
ყონი კარგად ნაზუქი
თაფლით, განა ბალახით,
ღვინო დაიღვრებოდა
შავი, როგორც მელანი,
ჯიხვს დაგვკლავდით, ჯარიმას
გადვინდიდით ყველანი.

ოღლა: გმადლობთ, მეზობლებო, გმადლობთ. მაპატიეთ, რომ ვერ
გაგაფრთხილეთ, მაგრამ მე თვითონაც არაფერი ვიცოდი.

*(შემოდის ტარიელის სამი მეგობარი: სპირიდონი, ტიმოთე და იაკობი.
ყველას საჩუქრები შემოაქვს).*

(რეჩიტატივი და გუნდი)

საყვარელო მასპინძელო,
ნუ იქნები უბრად,
უცნობები რომ მოვედით
უცნობებთან სტუმრად.

(მღაბლად უკრავენ თავს)

ოღლა: სტუმარი ღვთისაა! დაბრძანდით. მადლობელი ვარ, რომ
პატივი დაგვდეთ. *(მოსულებს ყანწებს აწვდიან).*

ტრიო: შორიდან მოვდიოდით
სულითა და გულით,
ოი, ლადო, დიდი ლადო,
ოი, ლადო. ლელ-ლიული.
მუშტარიც კარგი უნდა
საქონელს ფასიანს,

ოი, ლაღო, დიდი ლაღო,
ოი, ლაღო ასეა!

ოლლა: ვერაფერს ველარ ვხვდები,
დავბერდი ძალიან.

ტრიო: ახლავე მოგახსენებთ,

ცოტა თუ გცალიათ.
გყოლიათ თეთრი გედი,
არა თქვათ უარი,
მოგადგათ კარზე ბედი,
მოვიდა მუშტარი.

(ოლლა სიამოვნებით იღებს საჩუქარს)

აქ ენახეთ სამაჯური,
ოქროთი კაზმული,
ვის მკლავებსაც მოერგება,
მისია ნაპოვნი.

როგორც კი დაუძახებს,
გაჩნდება პატრონი.

(შემოდის ტარიელი. ძნელი საცნობია. მოღური პიჯაკი და შარვალი აცვია. ლაკის ფეხსაცმელები. ხელში მოოქროვილ ჩარჩოიანი სარკე და ყვავილები უჭირავს. ყველა გაოცებულია. ტარიელი დაბნეულია. იცნო მიხეილი.)

ტარიელი: რა კარგია, რომ შენც აქა ხარ. გამარჯობა!

მიხეილი: გაიცანით, ეს ჩემი ყველაზე მახლობელი მეგობარია.

ახლავე გაიმბობთ, თუ როგორ გავიცანით ერთმანეთი.

ტარიელი: *(ჩუმად)* ჩუმად! შენ ხომ ფიცი მომეცი!

მიხეილი: კეთილი, ხმას არ ამოვიღებ! *(ტარიელს ეხვევა)*

მეზობლების გუნდი: შეხედეთ, ტარიელს რეები აცვია.

ტარიელი: რა მოხდა ასეთი.

გუნდი: პატარძალს წითელი ვარდებით ეწვია.

ტარიელი: რა მოხდა ასეთი.

გუნდი: კარგად ჩაცმა განა კაცის ნაკლია,

სიძეს გავხარ, თეთრი ჩოხა გაკლია,

სიძეს გავხარ თეთრი ჩოხა გაკლია.

(ყველა ტარიელს ათვალიერებს)

ტარიელი: ნურაფერს დაუჯერებთ

სოფმალის მომღურავს,

ხომ ხელავთ, გამომაწყეს
კოხტად და მოღურად...

გუნდი: ჩამაცვეს ჩასაცმელი,
მომარგეს, შემარგეს,
კისერში მარყუჟივით
პალსტუხიც შემაბეს.

(ყველა იცინის. ტარიელი სარკეს მიეყუდება და თინას თავუღს აწვლის)

ტარიელი: ეს შენ.

თინათინი: მე არ დამიპატიუებიხარ. რათ მოხვედი?

შენ აქ სულ ზედმეტი ხარ.

ოლლა: როგორ იქცევი? კაცმა საქორწინო საჩუქარი მოგართვა!
ასე არ არის, ტარიელ?

ტარიელი: ჰო... რა თქმა უნდა... *(ძღერის)*

ის რაც იყო და წავიდა, წავიდა, წავიდა,
ცუდად არ ახსენო

ერთი საღამო თავიდან, თავიდან, თავიდან,
მინდა გაგახსენო –

ერთად ვიჯექით საღამოს, საღამოს, საღამოს
ჭადრის ხეების წინ,

უცებ რატომღაც ადექი, ადექი, ადექი,
წასვლა მოგინდა შინ.

სარკე დავარდა, დაიმსხვრა, დაიმსხვრა, დაიმსხვრა
შენი ფეხების წინ.

მახსოვს, საჩქაროდ წახვედი, წახვედი, წახვედი
მეტად ნაწყენი შინ.

და გთხოვ, მიიღეთ საჩუქრად, საჩუქრად, საჩუქრად,
ჩემგან ეს სარკე დღეს.

როცა ამაში ჩახედავ, ჩახედავ, ჩახედავ
მუდამ ხედავდე მზეს.

(ყველა ტაშს უკრავს)

ოლლა: ჩემო ტარიელ, დიდი მადლობა საჩუქრებისათვის, ჭეშმარიტი
მეგობარი ხარ. ყველაზე უკეთ შენ იცი, თუ როგორ ველოდი ამ
ქორწილს.

სპირიდონი:

იაკობი:

ტიმოთე:

} ნეფე-პატარძლის კოცნა!

(ტარიელი მიდის თინასაკენ, მაგრამ მიხეილმა როგორც გაიგონა „კოცნაო“, თინას კოცნის. ყველა ტაშს უკრავს. დაბნეული და დარცხვენილი ტარიელი შუა გზაზე ჩერდება. მოხუცი მასწავლებლის მეთაურობით შეძოდის სტუმართა ახალი ჯგუფი, ხელში შამფურზე წამოცმული მწვადები უჭირავთ)

პატივცემული დავითი: ძვირფასო სტუმრებო! ჩამოსულებო! ჩამოსულებში მე ვგულისხმობ რუს ამხანაგებს. ორმოცდაათი წელია ბავშვებს ვასწავლი. მე ვასწავლიდი თქვენს შვილებს, ვასწავლიდით თქვენ და თქვენს ბებიებსაც. ეს გოგონაც – თინიკო, მე გავზარდე მასწავლებლად. მართალია, ძალიან მოვხუცდი, მაგრამ დღეს კვლავ სიჭაბუკე დამიბრუნდა. სიჭაბუკე დამიბრუნდა იმიტომ, რომ ჩემი ნამოწაფარი თხოვდება კაცზე, რომელმაც აღმოაჩინა სახელგანთქმული გაბიანის დაღუპვის ადგილი და მიუწვდომელ მწვერვალზე ძეგლი დაუდგა. დიდება მამაც მთამსვლელ მიხეილ თელიანს! *(ტაშ)* მე შევიტან წინადადებას, რომ ერთ-ერთ ქუჩას ჩვენს ქალაქში მაგის სახელი დაარქვან.

ოლლა: მოედანს!

სპირიდონი: დაიცათ! დაიცათ! ვინ ააგო ძეგლი?

ტარიელი: *(ჩუმად)* არავინ! ეგ რა საკითხავია?

მიხეილი: მართალია. ჩვენ მეტად პატარები ვართ იმისათვის რომ გაბიანის გვერდით ვიხსენიებოდეთ.

ტიმოთე: არა, ამის ასე დატოვება არ შეიძლება! ამხანაგებო, ტარიელმა გვითხრა რომ...

ტარიელი: არაფერიც არ მითქვამს.

იაკობი: როგორ არ გითქვამს. თქვი!

ტარიელი: ვიცრუე!

თინათინი: არ გაგიკვირდეთ, ეგ მუდამ ცრუობს.

(შეძოდის გახარებული მარიაძი)

მარია: რა ხდება ჩემს ოჯახში? ნუთუ ამ უშნომ ხელი სთხოვა თინას?

მიხეილი: ქალბატონო მარია, არ მესმის, რატომ ვარ უშნო?

ტარიელი: ეს მე ვარ უშნო. არა, დეიდა მარია, მე არაფერი არ მითხროვია.

მარია: რატომ?

ტარიელი: მე არ ვარ თინას შესაფერი.

მარია: მე უკეთ ვიცი – ხარ თუ არა ხარ.

ტრიო: ბოდიში, გვაპატიეთ მასპინძელო,
ლაშის არის გასკდეს გული,
სულ ტყუილად გვიმღერია
ოი, ლადო და დელ-ლუილი.

(გადიან ტარიელთან ერთად)

მარია: რას უდგენხარ, თინა, ტარიელი დააბრუნე!

ოლლა: რა შუაშია ტარიელი, სულ სხვა კაცი თხოულობს თინას.

მარია: ნუ მახნევ, დედა, ტარიელის გარდა თინას შერთვის უფლება არავის აქვს.

მიხეილი: ქალბატონო მარია მე, მინდა ყველას თანდასწრებით
ოფიციალურად გთხოვოთ თქვენი ქალიშვილის ხელი.

მარია: დედა, ვინ არის ეს ყმაწვილი?!

ოლლა: როგორ? შენ არ იცი, ვინ არის ეს? ეს არის ჩვენი ქვეყნის
უცნობი პატრიოტი, საყოველთაოდ ცნობილი არქიტექტორი,
მოქანდაკე და ფოტოგრაფი – მიხეილ თელიანი. ასე სთქვა
თეიმურაზმა!

მარია: ა, ძალიან სასიამოვნოა, ძვირფასო მიხეილ! თქვენ დიდ პატივსა
მღებთ. თქვენ ყოველთვის უძვირფასესი სტუმარი იქნებით ჩვენ
სახლში, მაგრამ ბოდიშს ვინდი, ყველაფერი ეს მეტისმეტად
ნაჩქარევია.

თინათინი: დედა, პატარა ხომ აღარ ვარ... მე უკვე გადავწყვიტე.

მარია: შენი გადაწყვეტილება შენთვის შეინახე... შვილების
ბედნიერებაზე მშობლები ზრუნავენ.

მიხეილი: ჩვენ ორივეს სპეციალობა გვაქვს, შეგვიძლია დამოუკიდებლად
ვიცხოვროთ და თქვენც დაგეხმაროთ.

ოლლა: *(იცრემლდება)* ცრემლები მახრჩობს! მოეხვიე შენს ვაჟიშვილს,
მარია. მამაკაცი ეღირსა ჩვენს ოჯახს და ისიც როგორი!

მარია: თინას, რა თქმა უნდა, უფლება აქვს, ვისზედაც უნდა იმაზე
გათხოვდეს, მაგრამ ამ ქორწილს მე არ დავესწრები. ყველანი
დაიშალეთ, არავითარი ნიშნობა დღეს არ იქნება!

*(შემოდის თეიმურაზი ძველი მეეტლის ტანისამოსში
ვამოწყობილი)*

თეიმურაზი: ძვირფასო მარია, ძვირფასო მიხო, შენ გენაცვალე!
ყველაფერი ძველებურად ხდება. ისევ მეეტლე ვარ და კვლავ

შენი სახლის კართან ვდგავარ. მაგრამ დღეს შენ შუაში იჯდები, მარცხნივ ქალიშვილი თინა გეყოლება, მარჯვნივ კი სიძე ტარიელი.

ოლლა: ღმერთო ჩემო, ეს რა უბედურებაა! რა შუაშია ტარიელი? აი, საქმრო – მიხეილი, ყველა მას ულოცავს, შენ კი არ შეგიძლია, რომ არ აურიო!

თეიმურაზი: მოიცადეთ, მოიცადეთ! რა ხდება, მარია? რამე შეიცვალა?

მარია: ჩემთვის არაფერი არ შეცვლილა. ეს თინასა აქვს კვირაში შვიდი პარასკევი!

მიხეილი: პატივცემულო მარიამ, რატომ ჯავრობთ ასე, ჩემი გულია პირამდე წმინდა გრძნობით სავსე. მე და თინა რომ შევერთდეთ, დაგვრთეთ ამის ნება, როგორც წესია, დალოცეთ ჩვენი ქორწინება.

ოლლა და გუნდი: ნულარ ჯიუტობ, მარია, კმარა, დართე ნება, კარგი წყვილია ძალიან, მტერსაც შეშურდება.

მარია: რაც მაქვს გულში, სჯობს რომ გითხრათ, გინდაც გეგონოთ ავი, ნებას არ დაგრთავთ ქორწილის...

ოლლა და გუნდი: ღმერთო, მოგვეჭრა თავი!

მარია: შენი ნებაა არჩევნის, ვინც გყავდეს გულის ტოლად, მე კი მუდამ უარს გეტყვი.

ოლლა და გუნდი: შენ არ იქცევი სწორად!
(შემორბის ნანა ბოთლებით ხელში)

ნანა: ნეტა ვიცოდე, რას დაობთ, რატომ იბერებით, აბა დავძახოთ, სტუმრებო, ტკბილი სიმღერები.

მარია: თურმე უკაცო ოჯახში არა წყდება დავა,

ყველა თავისკენ მიიწევს
და მეც სადმე წავალ.
(*მეზობლები მიდიან*)

ნანა: დედა, რათა ხარ უგულო,
შენ შვილს რატომ აწამებ,
ამ დღეს ზეიმის მაგიერ
ცრემლით უღობო წამწამებს.
შენ რახან ასე იქცევი,
მე იცი, რას ვიზამ?
ჯიბრზე სიძეს მოვგვკრი სახლში
უცნობს შარავზიდან.
(*ვარბის*)

მიხეილი: ჩემი ფეხი თქვენთან სახლში,
ვერძნობ რომ გლოვას ნიშნავს,
წავალ, ყველას მოგასვენებთ. (*ვაღიბს*)

ოლღა: ვისთან მტოვებ, მიშა! (*ვაღიბს*)

მარია: სახლი დაცარიელდა... ნუთუ მე ვარ დამნაშავე?

თეიმურაზი: ხელს ნუ უშლი, მარია, დაე, ახალგაზრდებმა თვითონ
აირჩიონ თავის გზა... ჩვენ კი... (*დაჟიხებით უცქერის*) მარია,
წამოდი, ეტლით გაგასეირნებ, წამოდი...

მარია: ეტლით? ეხ, თემო, თემო... ჩემო ძველო და კეთილო
მეგობარო... რამდენმა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენ
ეტლით ვსეირნობდით?! გახსოვს?

თეიმურაზი: მახსოვს, მარია, როგორ არ მახსოვს! როცა ეტლით
მთელ ქალაქში დაგაქროლებდით, ოცნებით ჩემი საცოლვე
მომყავდა. მაგრამ შენ ჩემი მეგობარი ამჯობინე და მე მთელი
ჩემი ცხოვრება თქვენი ბედნიერებით ვხარობდი.

სხვანაირად არ იფიქრო, მარია, მე მართლა ბედნიერი ვარ. მე
ბედნიერი ვარ, იმით, რომ ნამდვილი სიყვარული განვიცადე და
ნამდვილი მეგობრობაც წმინდად შევინახე.

წამოდი, მარია, ეტლით გაგასეირნებ.

მარია: ეჰ, მას შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა... ვაი, როგორ
დავბერდი, თემური...

თეიმურაზი: არა, არა, შენ ისევ ისეთივე ხარ.

მარია: თემო! ნეტავი შენი თვალებით ჩამეხედა სარკეში.

ფარდა

მეხუთე ეპიზოდი

– სამიკიტნო „უკანასკნელი თავშესაფარი“, ერთ-ერთ მაგიდას გიორგი უზის. იქვე არიან ტიმოთე, სპირიდონი, იაკობი და ტარიელი. –

ტარიელი: ქალებს არ უნდათ, რომ გაიგონ
სიტყვა კაცისა ალალი,
ხშირად ღვინოა დაიჯერეთ...

ტარიელი და გუნდი: სევდა ნალევლის წამალი.
კარგია, ზოგჯერ თასი
ქალივით დაკოცნო,
ასწიო ღვინით სავსე,
ძმაკაცი დალოცო,
უთხრა, რაც გულში გიდევეს,
სიტყვა არ დამალო (*2-ჯერ*)
და მერე თითო კიდევე
ორივემ დალოცოთ.

რუსები: (*ტიმოთე, იაკობი, სპირიდონი*):
განა უფალი ჩაგამწარებს,
სახლში მოიკლა წყურვილი,
მაგრამ გემახის ქალაქგარეთ
რალაც ჯიუტი სურვილი.

ტარიელი და ტრიო: კარგია, ზოგჯერ თასი
ქალივით დაკოცნო,
ასწიო ღვინით სავსე,
ძმაკაცი დალოცო,
უთხრა, რაც გულში გიდევეს
სევდა არ დამალო
და მერე თითო კიდევე
დაასწათ, დალოცოთ.

ტარიელი: როცა ახლობლებს მობეზრდები...

იაკობი: მურით თუ სამართლიანად...

ტიმოთე: მუდამ გიშველის, დამიჯერე...

სპირიდონი: ისევ ეს ღვინის ფიალა.

(*ტარიელი და გუნდი*)

კარგია, ზოგჯერ თასი

ქალივით დაკოცნო,
ასწიო ღვინით სავსე,
ძმაკაცი დალოცო,
უთხრა, რაც გულში გიდევეს,
სიტყვა არ დამალო
და მერე თითო კიდევე
ორივემ დალოცოთ.

ტიმოთე: ვერაფერი სამსახური გაგიწიეთ, ტარიელ!

ტარიელი: მთავარია, რომ გულით გინლოდათ დამხმარებოდით.

სპირიდონი: წამოდი ჩემთან, იქ ისეთ გოგონას შეგერთავ ცოლად,
რომ ყველას თვალები ზედა რჩებოდეს.

იაკობი: ბიჭო! განა ტარიელს საცოლე უნდა? მას თინა სჭირდება!

სპირიდონი: ეგ მართალია!

იაკობი: აუჰ, ტარიელ! გაები! ნახე ვინ შემოვიდა!

ტიმოთე: მგონი, ყველაფერი თავიდან იწყება.

თინათინი: ტარიელ. შეიძლება ერთი წუთით? (*ტარიელი ღვება*)
მოსალაპარაკებელი მაქვს.

ტარიელი: რაღა გაქვს სალაპარაკო?

თინათინი: დედამ მიხეილი გააგლო. მე მგონი, რომ ეს შენი
გულისთვის მოხდა.

ტარიელი: მე რას მაბრალებ? ეგ თქვენი პირადი საქმეა და
თქვენვე მოუარეთ. მე შენს წინაშე არავითარი დანაშაული არ
მიმიძღვის.

თინათინი: არც მე ვარ შენს წინაშე დამნაშავე. არასოდეს გარკვეულად
არ გილაპარაკია ჩემთან.

ტარიელი: რა უნდა მეთქვა? რომ მე... შენი შესაფერისი არ ვარ?!
სად ქვისმთლეული და სად... შენ განათლებული ქმარი გინდა.

თინათინი: (*ირონიულად*) კეთილშობილი ხარ, ტარიელ!
კეთილშობილი!

თინას და ტარიელის დუეტი

თინათინი: პირდაპირ გეტყვი გულის ნადებს,
ღმერთთან რად უნდა ვცოდავდე,
ის ალბათ ჩემთვის დაიბადა –
რაინდი სულით ხორცამდე.
ის სულ სხვა არის, სხვა არის,

რაცა მაქვს გულში, უნდა ვთქვა,
თვალეები უგავს უძირო ზღვას,
ავყევი იმის გულის თქმას
და თითქოს სიო ქრის მაისის სადამოს
ხმა აქვს ისე ტკბილი, ისე საამო.

ტარიელი: მე გაეჩნდი ამ მთების თოვლიან უბეში

და მე ხმაცა მაქვს ასეთი უხეში.
იყავი კარგად, რა გითხრა სხვა –
აქ მთების ლოცვაც გაისმის,
და გული, როგორც უძირო ზღვა,
გქონოლდეს სავსე ხალისით.

თინათინი: დღეს ჩემი ქცევა სიგიჟეს ჰგავს...

ტარიელი: ამას რად ამბობ, მაცუბ.

თინათინი: მრცხვენია, ველარ ვიმართლებ თავს...

ტარიელი: ღმერთმა სხვა დარდი არ მოგცეს. რას ითხოვ ჩემგან,
მითხარი.

თინათინი: მიხეილი სასტუმროს ნომერში ჩაიკეტა, მე კი იქ მისვლა
მერიდება.

ტარიელი: ეგლა გაკლია, სასტუმროს ნომერში იარო, ამის ნებას არ
მოგცემ.

თინათინი: ძალიან ულამაზოდ მოვიქეცი, იმან როგორი ამაგი დასდო
ჩვენს ოჯახს, ჩვენ კი სახლიდან გავაგდეთ. ვშიშობ, რომ ასეთი
უსიამოვნების შემდეგ ჩემი სახელის გაგონებაც არ მოუნდება.

ტარიელი: რა გინდა ჩემგან?

თინათინი: სასტუმროდან გამოიძახე, ოღონდ ზრდილობიან ფორმებში.
მოსალაპარაკებელი მაქვს მასთან.

(ტარიელი მეგობრებთან ბრუნდება)

იაკობი: რაო? მოგვარდა საქმე?

ტარიელი: მოგვარდა.

სპირიდონი: მომილოცავს.

ტარიელი: იმათი საქმე მოგვარდა, ჩემი კი არა. მაპატიეთ, ბიჭებო,
სასტუმროში უნდა წავიდე.

ტიმოთე: ერთად წავიდეთ.

ტარიელი: არა, ბიჭებო, თინათინთან დარჩით. გაიცანით, ეს არის
თინა, ჩემი... ამხანაგი! ახლავე დავბრუნდები. *(გაღიხ)*

თინათინი: წავიდა! წარმოგიდგენიათ? წავიდა! შტერი, ლაჩარი, უშნო,

მატყუარა, ლოთი-შფოთი, ღორი, მაიმუნი. (ტირის)

იაკობი: მაპატიეთ, თინა, ერთი შეკითხვა უნდა მოგცეთ... გიყვართ?

თინათინი: მიყვარს!

სპირიდონი: საოცარია!

ტიმოთე: მასაც უყვარხართ!

თინათინი: სხვათაშორის, ამას ყველა მეუბნება, გარდა ტარიელისა!

სპირიდონი: რას გეუბნებათ ყველა?

თინათინი: რომ მე მას ვუყვარვარ.

იაკობი: აი, ხომ ხედავთ? ხმა ღვთისა და ხმა ერისა!

ტიმოთე: თქვენ კი სხვას მიყვებით ცოლად! რატომ?

თინათინი: იმიტომ რომ ის სხვას თხოულობს!

სპირიდონი: საოცარია!

იაკობი: რას ამბობთ, თინა, ვის თხოულობს ტარიელი?

თინათინი: ნატას!

სპირიდონი:

იაკობი: } ნატას?

ტიმოთე: }

თინათინი: ნატას, ნატას! დასწყევლოს ღმერთმა მისი თავი და ტანი!

ოჰ, ახლა წავალ და ამ არამზადს დედას ვუტირებ.

(*ცეკვა*)

სპირიდონი: რაო, რაო?

ტიმოთე: „დედას უტირებო“!

იაკობი: „დედას უტირებო“?

სპირიდონი: ეს რას ნიშნავს?

იაკობი: ნინაჩკა! რას ნიშნავს „დედას უტირებ“?

ნინიკო: „დედას უტირებ“ „დედას უტირებ“ – ეს ნიშნავს... როგორ

გითხრათ „დედას უტირებ“... ესე იგი „დედას უტირებ“!!!

სპირიდონი:

იაკობი: } აჰა! გასაგებია!

ტიმოთე: }

იაკობი: ვერაფერი ვერ გავიგე, მაგრამ ისე ლამაზად კი ჟღერს!

(*ისძის ზარის ხმა. მამულები სასწრაფოდ გადიან*)

გუნდი: (*შემოდის ნანა ბოთლებით ხელში. მუსიკა წყდება. ყველა*

ნანას შესცქერის. უკანასკნელი გიორგის შეანჯღრევს)

ნინიკო: (*ნანას*) ნეტა რამ დაათრო ასე? აღექი!

გიორგი: ხელს ნუ მიშლი, მძინავს!

ნინიკო: სახლში გამოიძინე!

გიორგი: სადა მაქვს სახლი, მაწანწალა ვარ.

ნინიკო: მაშინ განყოფილებაში წაგიყვან.

გიორგი: უკვე ვიყავი, ქალბატონო, არა მღებულობენ.

ნინიკო: ამხანაგებო, მიშველეთ, ერთი, ეს ლოთბაზარა აქედან გავიყვანოთ.

გიორგი: ვაი, თქვენი ქმრის ბრალი, ქალბატონო, იჭვით ავადმყოფი ყოფილხართ. ძილი თუ ყველას სიმთვრალეში ჩაუთვალეთ, უბედურს თვალს აღარ მოახუჭინებთ.

ნინიკო: რა ვიცი, ერთი საათია ზიხარ და არაფერი შეგიკვეთიათ.

გიორგი: მენიუს ვადგენ.

ნინიკო: მოქალაქევ, მე ახლავე გამგეს დაუძახებ!

გიორგი: დაუძახე, თორემ მწვანე კრამიტით გადახურული სახლები არ ჩამომართვას.

ნანა: ნება მომეცით მოველაპარაკო, ჩემი ნაცნობია.

ნინიკო: ღმერთმა არ მოგიშალოთ მაგის ნაცნობობა. (*გაღიბს*)

ნანა: გამარჯობათ! მიცანით?

გიორგი: ოთხ კაპიკს გამოეტირეთ?

ნანა: გინდათ შევუკვეთო თქვენთვის რამე? ფული მაქვს.

გიორგი: რა თანხაც მჭირდებოდა, თქვენგან სესხად უკვე მივიღე, სხვა დახმარებას აღარ ვსაჭიროებ, გმადლობთ.

ნანა: ახლა მე მინდა თქვენგან დახმარება. არ შეგიძლიათ ჩვენს სახლში ჭურჭელი და ავეჯი დალევოთ? ყველაფერი ყირამალა დააყენოთ?

გიორგი: ეგ ხულიგნობაა, ლედი, რატომ მიბიძგებთ ბოროტმოქმედებაზე?

ნანა: ეს ბოროტმოქმედება კი არა, შურისძიებაა. მე მინდა ჩემი დის სისხლი ავიღო...

გიორგი: (*შელონებულო*) მოკლეს?

ნანა: კი არ მოკლეს, გათხოვების ნება არ მისცეს... შინაბერა გახადეს.

გიორგი: თქვენ გინდათ, რომ მე ვითხოვო?

ნანა: პირიქით, მე მინდა ჩემს ქმრად გაგასაღოთ.

გიორგი: თქვენც შინაბერა ხართ? მე შინაბერების სასწრაფო დახმარება ხომ არ გგონივართ?

ნანა: თუ წესიერად არ ილაპარაკებთ, თქვენთან ყოველგვარ

ნაცნობობას შევწყვეტ.

გიორგი: მაშინ ველარ მიიღეთ იმ თანხას, რომელიც სესხად გაეცით.

ნანა: ხუმრობის დრო არ არის. ქალის დაცვაა საჭირო, გამოსარჩლება, ჩვენს სახლში კი ერთი მამაკაციც არ არის, დასწყევლოს ღმერთმა იმათ, გაჩენის საათი.

გიორგი: გმადლობთ ასეთი პატივისცემისათვის... გამაგებინეთ, რა გინდათ ჩემგან.

ნანა: ჩემს დას... ვილაც ბრიყვ და უხეშ ქვისმთელელზე ათხოვებენ, მაშინ როდესაც მას ჭკვიანი და განათლებული კაცი უყვარს.

გიორგი: ვინ არის ის კაცი?

ნანა: თელიანი.

გიორგი: მუკუზანი ჯობია.

ნანა: შეიძლება სჯობია, მაგრამ მას თელიანი უყვარს, შესანიშნავი მთამსვლელია, მამაჩემის დალუპვის ადგილი გამოაჩინა, მაგრამ დედა რატომღაც წინააღმდეგია. გადავწყვიტე, ბოლო მოვულო დედაჩემის ტირანის. თუ მე ვიტყვი, რომ ჩემი საქმრო ხართ, დედა ამჯობინებს, ჩემი და მიათხოვოს თელიანს, ვიდრე თქვენ სახლში ფეხი შემოგადგმეინოთ.

გიორგი: ამიტომაც მძინავს აქ, რომ სახლში არავინ ფეხს არ მადგმეინებს.

ნანა: ჩვენთან რბილ საწოლზე დაგაძინებთ, ხუთი ოთახი გვაქვს.

გიორგი: ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ ხულიგნობა არ მეხერხება. მე პატიოსანი კაცი ვარ.

ნანა: რა თქმა უნდა. გარეგნობაზე გეტყობათ... ახლა მთავარია, ჩემი და გავათხოვო.

გიორგი: თქვენ?

ნანა: რა მე?

გიორგი: თქვენ არ გინდათ გათხოვება?

ნანა: ეს საქმეს არ ეხება, ბატონო „მეცნიერების კანდიდატო“!

გიორგი: უნდა გამოგიტყდეთ, ქალბატონო, მომავალი მოსამართლეე, რომ თქვენ მე ძალიან მომწონხართ. წამოდით. ჯერ თქვენი და გავათხოვოთ, მერე კი თქვენს გათხოვებაზე ვიფიქროთ.

(ორივენი ვადიან. შემოდის თეიმურაზი)

– „თეიმურაზის სიმღერა“–

თეიმურაზი:

„დრომ ჩემი გული
როგორც რკინა
ჟანგით დაფარა
და შავ ფაფარში
გამერია თეთრი ჭაღარა,
ჩემს დაღლილ გულში
სევდამ, დაისადგურა,
აღარ მახარებს
არც ღუღუკი,
აღარც ნაღარა.

ფარდა

მექსე ეპიზოდი

გაუთლელი ქვისაგან აშენებული ქოხი. პატარა სარკმელი. დიდი კერა. ერთი შეკვრა შეშა. საწოლი და ჩაიდანის, ეს არის და ეს, რაც კაცს თვალში ეცემა. შემოდინ თინა და მიხეილი. ხელში თხილამურები უჭირავთ.

თინათინი: აქ ცოტა გავებთ და უკან წავიდეთ.

მიხეილი: (*სურათს იღებს*) ვისია ეს სახლი?

თინათინი: არავისი. საერთოა. მამამ ააშენა ამხანაგებთან ერთად. „უკანასკნელი თავშესაფარი“ ჰქვია. როცა ქარიშხლის გამო მთაში გზის გაკვლევა შეუძლებელია, თავს აქ აფარებენ ხოლმე.

მიხეილი: შესანიშნავია! აგერ შეშაც ყოფილა, ჩვენ შეგვიძლია დილაძღე აქ დავრჩეთ.

თინათინი: თქვენ შეგიძლიათ, მე კი არა!

მიხეილი: რატომ?

თინათინი: ამაზე არა ღირს ლაპარაკი, თოვლი შემოიტანეთ, ჩაის ავადულებ.

მიხეილი: ქარიშხალი რომ ამოვარდნილიყო, ხომ იძულებული ვიქნებოდით, დავრჩენილიყავით.

თინათინი: ზარს ჩამოვკრავდით, აგერ თოკი. (*მიხეილი თოკს ათვალიერებს*). ხელი არ ახლოთ, თორემ ნახევარი სოფელი აქ გაჩნდება.

მიხეილი: თუ ამ ცივ კედლებს ნათელს მოფენს შენი მშვენება, მაშინ ეს ქოხი დარბაზებად მომეჩვენება.

და სხვას არაფერს არ ვინატრებ, ესეც მეყოფა

თუ ამ ჭერის ქვეშ დაგივლებ შენ, ჩემს დედოფალს!

თინათინი: (*გადის ვედროთი ხელში. მუსიკა – „ალპინისტების ვალსი“*). *შემორბის თინა, კარებს კეტავს. თოკს მივარდება და გამშავებული რეკავს. ისმის ზარის ხმა*).

მიხეილი: იქ ვინმე არის?

თინათინი: ჰო.

მიხეილი: ვინ?

თინათინი: დარეკეთ, ეგებ ზარის ხმამ დააფრთხოს. უფრო ხმამაღლა დარეკეთ, ის იყო თოვლის მოსაგროვებლად დავიხარე და თავზე წამომადგა, ღმერთო, ეს რა იყო, ძლივს შემოვასწარი. როგორ გგონია, კარს შემომატყრევს?

მიხეილი: *(მიაყურა ჩურჩულთ).* მოდიან, თინა, გამაგებინე რა მოხდა?

თინათინი: გაინაბა. ყველაზე ვერაგი ცხოველია. ნეტა გენახა, თვალებს როგორ აბრიალებდა.

მიხეილი: *(ჩურჩულთ)* კარებს გამოვალე და გავიხედავ.

თინათინი: *(ყვირის)* არ გაბელო! გიკრძალავ კარის გაღებას! იქ მგელია!

მიხეილი: მგელი?! ნუ ღელავ, თინა, დილამდე დავრჩეთ, მზე ამოვა და მგელიც უთუოდ ტყვეს შეაფარებს თავს.

თინათინი: როგორ შეიძლება აქ ღამე მარტოდ დარჩენა?

მიხეილი: თქვენ მარტო არა ხართ, ჩემთან ერთად ხართ.

თინათინი: თქვენთან უარესია... *(კარებთან რაღაც ხმაურია. მიხეილი კუთხეშია მიკუჭული, თინას ანიშნებს, ხმა არ ამოიღოს. ჩურჩულთ)* ახლა კი დავიღუპეთ!

(ცულის აღებს და ვაბეღულად მიდის კართან)

ხმა გარედან: ვინა ხართ აქ?! კარი გააღეთ! *(თინა ცულის გადაავლებს და კარს აღებს. შემოდის ტარიელი, თინა გადაეხვევა და ტირის).*

ტარიელი: დაწყნარდი... რა დაგემართა, რატომ რეკავდი ზარს?

თინათინი: ჩვენთან მგელი იყო.

ტარიელი: რა მგელი, რის მგელი... ტყუილია...

თინათინი: ჩემი თვალთ ვნახე, თოვლისთვის გავედი, უცებ ვხედავ, თვალები ანათებენ... ვეებერთელა კბილები ელავენ...

ტარიელი: ეგ ჩემი ძალღი იყო. ახლაც აქ არის.

თინათინი: ძალღი? *(ისტერიულად იცინის)* შენ თვითონ როგორ გაჩნდი აქ?

ტარიელი: მე? მე... ისე შემთხვევით! თუ ხელს გიშლით, წავალ.

თინათინი: იჯექი. წავალ თოვლსა და შემას მოვიტან.

ტარიელი: მე მოვიტან.

თინათინი: დაჯექი და ჩემს საქმეში ნუ ერევი. ნურაფერში ნურასოდეს ნუ ერევი. *(გაღის)*

მიხეილი: ძალიან უდროოდ მოხვედი. ხომ გაიგონე, რა გითხრა... გირჩევნია წახვიდე.

ტარიელი: რად ჩამოხვედი აქ, რა გინდოდა? რად ავკირიე ყველაფერი?! რამ მიგიყვანა მეგობრის საცოლესთან?! შენ ხომ ჩემი ძმადნაფიცია ხარ.

მიხეილი: ძმადნაფიცო!.. მე რომ დარწმუნებული არ ვიყო, რომ სიკეთეს გიმვრები, ყველაფერზე უარს ვიტყოდი. როგორ არ გესმის, რომ შენ შეუფერებელი ხარ მისთვის! აბა დაფიქრდი, სად შენ და სად ის. შენ სიცოცხლესაც დაიმახინჯებ და თინასაც მოუწამლავ მომავალს. ამიტომ გეუბნები ასე თამამად, წადი, ძმაო, წადი და ჩემგან ნურაფერი გეწყინება... იმან თვითონ არჩევანი ჩემზე შეაჩერა.

ტარიელი: როდის არის თქვენი ქორწილი?

მიხეილი: არ ვიცი, დედამისი ძალიან უხეშად მომექცა... შენს გამო მოხდა ყველაფერი. ცოტა დრო მაინც უნდა გავიდე, რომ ეს სამარცხვინო ამბავი დავიწყებას მიეცეს... მე ალბათ მარტო წავალ.

ტარიელი: შენ მარტო არ წახვალ. ამის უფლებას არ მოგცემ.

მიხეილი: რატომ?

ტარიელი: იმიტომ რომ ნიშნობა გქონდათ. მთელმა ქალაქმა იცის, რომ თინა თხოვდება, თუ გაიქეცი, ქალს სამუდამოდ თავი მოეჭრება, შენ დღესვე მოაწერ მასთან ხელს, ჩემი თანდასწრებით, მე მოწმე ვიქნები.

მიხეილი: ახლა გვიანია.

ტარიელი: „მმაჩის“ კართან გავათენებ და როგორც კი გააღებენ პირველი კლიენტი შენ იქნები.

მიხეილი: მოიცა, მოიცა! რატომ ხარ ასეთი დაინტერესებული, რაღაც აღელვებული? ყველაფერი რაღაც უცნაურად დაიწყო, თვითონ სასიძო იყავი და ყვავილებით ხელში კი მოირბინე მოსალოცად.

ტარიელი: თქვენთვის არ მომიტანია ყვავილები.

მიხეილი: მაშ ვის მოუტანე? (*დუმბილი*) ვის მოუტანე?

ტარიელი: ჩემს საცოლეს.

მიხეილი: და სხვის საცოლეს კი მხართვი, არა? სარკე? სარკეზე რაღას იტყვი?.. არა, ჩემო ძმაო, ჩვენი მღვდელი ასე არ სწირავს... თუ ჩემი შვილი შენ დაგემსგავსა, რამდენი წლის შემდეგ შევიტყობ ამის შესახებ?!

ტარიელი: ახლავე შეიტყობ! (*არტყაძს. შემოდის თინა*)

თინათინი: რად გაართყვი?

ტარიელი: დაიმსახურა!

თინათინი: შენ გეკითხები, რად გაართყვი-მეთქი!

ტარიელი: თვითონ მშვენივრად იცის.

თინათინი: მიხეილ, რა მოხდა თქვენს შორის?

მიხეილი: ეჭვიანობის გრძნობას თურმე ასე გამოსახავს.

თინათინი: სირცხვილი, მთიელო გულადო რაინდო,
მოდი, მეც დამარტყი, სტუმარს თუ არ ინდობ,
არც ქალი დაინდო, არც ქალის მანდილი
თუ გინდა გვიჩვენო გმირობა ნამდვილი.
რა გითხრა, ზიხარ და დღედაღამ ხეხავ ლოდებს,
აქა ქვისმთლელისგან რას უნდა მოელოდე.
მძულხარ და ვერ გიტან გველი ხარ, ბილწი გველი,
სჯობია დავმიწდე, ვიდრე შენ მახლო ხელი.

ტარიელი: გეყოფა!

ვიცი დავიგვიანე
და ბეკვერ ვინანებ...
მიყვარხარ!...

თინათინი: (*შეშინებული*) ჩუმად!

ტარიელი: მე მიყვარხარ!

თინათინი: (*ბუდართი*) ჩუმად!

ტარიელი: გამომყევი ცოლად!

თინათინი: შენ შეშლილი ხარ. (*თინა და მიხეილი ქონიდან
ვარბიან*)

ტარიელი: შენ მართალი ხარ, მე შევიშალე!
(*გამოჩნდებიან იაკობი, სპირიდონი და ტიმოთე*)

ტარიელი: აქ საიდან მოხვედით, ბიჭებო?!

სპირიდონი: ზარის ხმა გავიგონეთ.

ტარიელი: მე არავისი შველა არ მჭირდება და არც არავის შეუძლია
მიშველოს.

ტიმოთე: წადი და ყველაფერი მოუყევი დედამისს. მე მგონია
გავიგებს.

იაკობი: მთამსვლელის ცოლია. ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი
გაირკვევა.

ტარიელი: რა გაირკვევა?! თინას თუ შევირთავ, მაშინ მთაში
სიარულს თავი უნდა დავანებო.

ტიმოთე: თავი დაანებო?! მშველელი ეს პროფესია არ არის, ეს
ადამიანის ბუნებაა, თვისებაა, ხასიათია. ამაზე ხელის აღება
შეუძლებელია.

სპირიდონი: მოდით, ბიჭებო, დავლიოთ.

იაკობი: ტარიელ! თქვენ, ქართველებს, გრძელი სადღეგრძელოების თქმა გიყვართ. ზოგიერთებს ლამაზად გამოგდით ხოლმე, მე გრძელი სიტყვის თქმა საერთოდ მიჭირს, ასეთ ვითარებაში, კი, განსაკუთრებით მეძნელება, ამიტომ მოკლედ ვიტყვი. გახსოვთ, ჩვენს ბანაკზე ზვაგი წამოვიდა ღამით. ხუთნი ვიყავით, გვეძინა... ვილაც კაცმა ზვავს წუთებით დაასწრო და სამშვიდობოზე გაგვიყვანა... იმ კაცის სახელი ხომ გახსოვთ, ბიჭებო? შენი სადღეგრძელო იყოს, ტარიელ! მე გირჩევ, წახვიდე და ეს ამბავი მოუყვე შენს საცოლეს და შენს მომავალ სიდედრს.

ტარიელი: რა მოხდა ასეთი?! თქვენც ასევე მოიქცეოდით!

სპირიდონი: რა თქმა უნდა, ტარიელ, ჩვენც ასევე მოვიქცეოდით!

ტიმოთე: რახან მოგონებები დაიწყო, ერთ ამბავს მეც შეგახსენებთ... ჩვენი შეველმფრენი უშბასთან თოვლში ჩავარდა. სამი დღე-ღამე ვეგდეთ მშივრები, ხელ-ფეხ მომტვრეულები და შველას ველოდით. ნისლი იყო, გაუვალი ნისლი. მაშველმა ჯგუფმა ძლივს გვიპოვნა და ძირს ჩავვიტანა.

იმ ჯგუფის წამყვანის სახელი გახსოვთ, ბიჭებო?! მე პირველმა დაგინახე, ტარიელ, ყოვლის შემძლე ღმერთი მეგონე. ღმერთმა დაიფაროს შენი საცოლე და სიდედრი იმ დღეში ყოფნისაგან, მაგრამ თუ ჩავარდნენ, შენისთანა მშველელი და მთამსვლელი დადევნებოდეს.

ტარიელი: თქვენც ხომ ყინულებში, სისხლისაგან რომ ვიცლებოდი, ზურგით მათრიეთ...

სპირიდონი: გათრიეთ! გათრიეთ, ტარიელ. ჩვენ მშველელები ვართ, მშველელი კი, პროფესია არ არის, ეს ადამიანის ბუნებაა.

ტარიელი: მოდით, უსიტყვოდ დავლიოთ!

(ინტერმედია. „აღპინისტების ვალსი“!)

ტიმოთე: ტარიელ, ვინ არის ნატა?

ტარიელი: ნატა? დედაჩემის მეზობელი და მეგობარი.

რუსები: დედაშენის მეგობარი?! *(იცინის)*

იაკობი: გასაგებია.

ტიმოთე: არა, არა! არ შემიძლია! სპირიდონ, იაკობ... თქვენ მთაში... ხომ ხვდებით, რაც უნდა გააკეთოთ?!

სპირიდონი: წავიდე და იმათი... როგორ ამბობენ ქართველები?!

რუსები: დედას უტირებთ! *(გაღიან)*

მეშვიდე ეპიზოდი

იგივე დეკორაცია. შუშაბანდში მარიაში და ოლლა დგანან. ორივენი შეშინებულები რაღაცას უსმენენ.

ოლლა: აი, ხომ გააგდე მიხეილი, სახლში მამაკაცი აღარ დარჩა...
უსათუოდ ყელებს გამოგვჭრიან!

მარია: რა იყო, დედა? რა მოგივიდა?

ოლლა: მოდის დღისით ოთხი კაბიკის სათხოვნელად, მოვიდა —
წერილი უნდა გავგზავნოვო, მე მაშინვე მიგზავდი, რომ არამზადაა,
ყველაფერი შეათვალეირა და ახლა გასადარცვად მოვიდა. ბოხი
ხმით ივინე, კაცები ვეგონებით და წავა.

(ოთახიდან გამოდის ნანა, თან გიორგი მოჰყავს)

მარია: ეს რას ნიშნავს?

გიორგი: სუფრა გაშალეთ, უნდა ვივანშმოთ!

მარია: ეს ვინ მოიყვანე?

გიორგი: საქმრო! ნუ ღელავ, დედიკო!

ოლლა: ამას კი ველარ ავიტან.

გიორგი: მე ვერავენ ვერ მიტანს. ჩემი ყოფილი სიდედრები ჩემი
გულისთვის ჭკუას კარგავდნენ. ზოგიერთები დღემდე საგიჟეთში
იმყოფებიან!

ოლლა: გაეთრიე აქედან.

გიორგი: ბებიკო! არ ამაფრენინო...

ოლლა: რა ჯანდაბა უნდა ააფრინო?!

გიორგი: მწყერები, ჰოფოფები! *(ვრაცოიზულად წამოეგება, ვაზას
ვაღძოვლებს, მაგრამ ჰერშივე დაიჭერს)* ოჰ, პარდონ!..

ოლლა: ნანა, რას გვიშვრები?

მარია: *(ჩუბად)* გაგიჟდა ეს გოგო, დედა, მილიციას გამოუძახე!

გიორგი: სახანძრო რაზმი არ დაგავიწყდეთ, მიყვარს მალალი
საზოგადოება. *(ნანას)* მე მგონია, საკმარისია!

ნანა: არა, არა, ცოტა კიდევ!

ოლლა: არ უნდა გაგეგლო მიხეილი, სახლში მამაკაცი მაინც
გვეყოლებოდა, დავაბრუნოთ!

ნანა: *(გიორგის)* მიდით, მიდით!

გიორგი: დიახ, დიახ, მიხეილს გამოუძახეთ, მარტო მოწყენილი ვარ.
ალავერდს ვისთან გადავიდე? *(ოლლა ვარბის)*

მარია: მე შენ გიჩვენებ, შენისთანები მინახავს!

გიორგი: ჩემისთანას ვერ ნახავდი, ლამაზო, ხუთი სიღებრი ისე გავისტუმრე საიქიოს, ერთიც არ დაუკვნესიათ.

ნანა: მე მგონია, ეს უკვე ნამეტანი მოგივიდათ!

გიორგი: რას იზამ, გენაცვლა, ტემპერამენტს ვერ ვიმორჩილებ.

(შემოდის თინა)

თინათინი: დედა, მიხეილი სასტუმროში წავიდა, აიკრეფს თავის გულა-ნაბადს და სამუდამოდ წავა ჩვენგან.

გიორგი: ნუ ლელავ, ჩვენ ახლავე დავაბრუნებთ მიხეილს! ასე არ არის, ძვირფასო?

ნანა: რა თქმა უნდა, საყვარელო!

გიორგი: აი, ეს კი უკვე ნამეტანი მოგივიდათ!

თინათინი: ეს ვილაა?

ნანა: ჩემი საქმრო, თინიკო, გაიცანი!

მარია: შეჩერდი, თინა! დაუძახე თეიმურაზს, ტარიელს!... კაცებს დაუძახე... მილიციას...

(თინა გარბის)

გიორგი: სასწრაფოც არ დაგავიწყდეს, ვნახოთ, ვინ უფრო ადრე მოვა, რატომ სუფრას არ შლი, დედიკო, ეს არის სტუმართმოყვარეობა? მთის ადათები! ტრადიციები?

მარია: ახლავე მოგართმევ ტრადიციებსაც და ვახშამსაც. ყველაფერს ერთად მიიღებ! *(გადის)*

ნანა: გაიქეცი. სადაცაა მილიცია მოვა. დიდ უსიამოვნებას გადაეყრები.

გიორგი: გაკვიცე?! სად მაქვს ძალა, სამი დღეა არაფერი მიჭამია!

ნანა: მე მხოლოდ დახმარება გთხოვე. თქვენ თხოვნა შემისრულეთ, დიდი მადლობა!.. ახლა კი წასვლის დროა!

გიორგი: სად უნდა წავიდე?!

(თინა გაოცებული შესცქერის) აქ ადამიანად ვიგრძენი თავი... ოჯახში მოვხვდი... ქალს მივეჩვიე...

ნანა: რომელ ქალს?

გიორგი: თქვენ! უკვე ბავშვი აღარა ხართ, ნანა! ცოტას მაინც ხომ ერკვევით ადამიანების დამოკიდებულებაში?

ნანა: მხოლოდ ერთი საათია, რაც ერთმანეთს ვიცნობთ.

გიორგი: მწერალი რომენ როლანი თავის ცოლს სულაც არ იცნობდა ქორწილამდე, მიწერ-მოწერა ჰქონდა და წინადადებაც დაუსწრებლად მისცა.

ნანა: ჩვენ მიწერ-მოწერაც არ გვქონია.

გიორგი: ახლა ხულიგნობისთვის ჩამსვამენ და საკმაოდ დრო გვექნება მიწერ-მოწერისათვის.

ნანა: გიორგი, ძვირფასო, გემუდარებით, წადით აქედან! თქვენ რომ ჩემის მიზეზით ისევ იმ საშინელ სამყაროში ამოყოთ თავი, მე ალბათ გავგიჟდები.

გიორგი: საფრთხეში ვერ მიგატოვებთ!

ნანა: გაფიცებით, თუ კი რამ გაქვთ წმინდა!

გიორგი: მხოლოდ სიყვარული.

ნანა: ახლავე წადით! ჩვენ კიდევ შევხვდებით... ოღესმე!.. სიტყვას გაძღვეთ.

„ნანას და გიორგის დუეტი“

გიორგი: ძალიან მომწონხართ
ასე ნაზი და მორჩილი,
პატარა, ლამაზო, უფრთებო ფერიავ,
წინათ იყავით თავხედი,
სიტყვას ენაზე მახვევდი,
ახლა დგახარ და თვალებში
ჩემი შეხედვის გრცხვენია.

ერთად: ქალებს რამეს გაუგებ,
გინდაც იყო ბრძენი.
გუშინ იყო შენი,
დღეს კი სხვისია,
განა მარტის დარი,
განა ცელქი ქარი,
თუნდაც ერთი წამით
ნღობის ღირსია.

(*ელვა*)

ნანა: შენ ახლავე უნდა გამოცხადდე მილიციაში და ყველაფერი გულანდილად უამბე შენს შესახებ. თუ ყველაფერს აღიარებ, შეიძლება სასჯელის ვადაც შეგიმცირონ.

გიორგი: სანამ არავინ მოსულა, მითხარი, სად შევხვდეთ? სად მუშაობ?

ნანა: სახალხო სასამართლოში.

გიორგი: ო, მაშ აუცილებლად შევხვდეთ.

(შემოდის მარიაში, თეიმურაზი)

მარია: ჯოხი აილე, თეიმურაზ!

თეიმურაზი: მაგას უჯოხოდაც მოუველი.

ნანა: *(შუაში ჩადგება)* ხელი არ ახლოთ, თორემ მაგასთან ერთად გადავიკარგები სამუდამოდ.

მარია: და ამას ამბობს ადამიანი, რომელიც იურიდიულ ფაკულტეტზე აპირებს სწავლას! გამაგებინე, ქურდობას აპირებ, თუ იურისტობას?

ნანა: ხელახლა აღვზრდი, გამოვასწორებ!

მარია: რას უდგახარ, თეიმურაზ, ჰქენი რამე!

თეიმურაზი: მომისმინე, ძმობილო! ჩემთან ჩხუბი სიკეთეს არ მოგიტანს... შენი ნებით წადი. ხელი არ მომაკიდებინო, თორემ ასაკრეფი იქნები, გულწრფელად გეუბნები!

გიორგი: ეს რომელი მუხლი იქნება?!

ნანა: როგორ არ გესმით, რომ ეს არაფერ შუაშია, დედა ნებას არ აძლევდა თინას, მიხეილზე გათხოვბულიყო და მეც გიორგი მოვიყვანე შესაშინებლად... ახლა როცა დედას თვალები აეხილა...

მარია: თეიმურაზ!

თეიმურაზი: მაშ არ მიჯერებ? *(გაათრევს. ნანა მიყვება)*

(მარია მარტო რჩება, შემოდის ტიმოთე)

ტიმოთე: გამარჯობათ, მარია გავრილოვნა! შეიძლება?

მარია: ა...! გამარჯობათ, მობრძანდით. სად არიან თქვენი ამხანაგები?

ტიმოთე: მოვლენ, მარი გავრილოვნა, მალე მოვლენ!

მარია: *(აცინის)* რა აწყობილი საქმე ჩაგვეშალა?! მაპატიეთ, ჩემი ბრალია.

ტიმოთე: არაუშავს. მარი გავრილოვნა, ჩვენ, მაცრები, ჯერ კიდევ იმედს არ ვკარგავთ, მთამსვლელები ჯიუტი ხალხი ვართ.

მარია: რას ბრძანებთ. ისე ამერია ოჯახში საქმეები, რომ მზად ვარ იმ მიხეილ გიორგიევიჩის ბოდიში მოვუხადო და სახლში დიდის ამბით შევეპატიყო.

ტიმოთე: სამწუხაროა, მაგრამ, ეს-ეს არის გავაცვილე.

მარია: მიხეილი? სად?

ტიმოთე: თბილისში! ვიფიქრე, რომ ის აქ სრულიად ზედმეტი იყო.

მარია: *(აცინის)* კი, მაგრამ რით გაამგზავრეთ?

ტიმოთე: სპეცრეისით, მარია გავრილოვნა, სპეცრეისით.

მარია: ნაწყენი წავიდოდა. მან ისეთი ამაგი დადო ჩვენს ოჯახს, მე კი, არც გაავაცილე.

ტიმოთე: სწორედ მისი ამაგის შესახებ მინდა მოველაპარაკოთ, მარი გავრილოვნა. (*შემოდის თინა*) თქვენ გეცნობათ ეს სურათი?

მარია: რა თქმა უნდა. ეს არის ჩემი ქმრის ძეგლის ფოტოგრაფია, რომელიც მიხეილმა ააგო, მისი დალუპვის ადგილას.

ტიმოთე: აი, ეს ნივთი თუ გეცნობათ? (*უჩვენებს პორტსიგარს*)

მარია: ღმერთო ჩემო! ჩემი ქმრის პორტსიგარი! საიდან გაქვთ? თქვენ იპოვეთ?

ტიმოთე: მე არა!

მარია: მაშ ვინ?

ტიმოთე: ტარილმა! ტარიელმა იპოვნა მთებში ეს პორტსიგარი და იმ ადგილზე ეს ძეგლი ააგო; მიხეილმა კი მოპარა მორიდებულ კაცს სახელიც და შრომაც, და რაც მთავარია, (*თინას*) თქვენი სიყვარულის მოპარვაც მოინდომა, თინათინ.

მარია: რატომ, თინა?

თინა: იმიტომ!.. მას სხვა ჰყავს... ნატა... იქ... მთაში, მე თქვენ უკვე მოგიყვეთ ამის შესახებ (*გარბის*)

მარია: ახლავე უნდა მოვძებნოთ ტარიელი!

ტიმოთე: ნუ ღელავთ, მარი გავრილოვნა, ამ საქმეს ჩვენ მოვაწესრიგებთ... და ძალიან სწრაფადაც. აკი გითხარით – მთამსვლელები ჯიუტი ხალხი ვართ.

(*მარია მარტო რჩება. ათვალთვლებს ნივთს*)

„მარიას სიმღერა“

გინდ წვიმა ცრიდეს

სულ მთელი წელი,

მე მაინც გელი,

მე მაინც გელი, იცოდე.

დღე ახელს თვალებს – შენს ლოდინში

ეწვავ პირქუშ ღამეს – ლოდინში,

ვინც გინდა მითხრას, კმარა, ნუ ელი – მაინც გელი.

ხმა ისმის ზარის

და ის მზად არის,

გზას გაჰყვეს მთაში გაზრდილი

და იხსნას ტოლი,
რა ვქნა, რომ ცოლი
ცრემლს იწმენდს ჩუმად მანდილით.
და ვახელ თვალებს – შენს ლოდინში,
ვწვა ვპირქუშ ღამეს – ლოდინში,
ვინც გინდა მითხრას – კმარა, ნუ ელი – მაინც გელი.
(შემოდის თეიმურაზი)

თეიმურაზი: შენ აგაშენა ღმერთმა, მარია! ამ სიბერეში ჩხუბიც არ ღამაწყებინე?! იცოდე, „ხუთმეტი სუტკა“ თუ მივიღე, ქლიბი და თოკის კიბე შემომიგზავნე საკანში რამენაირად, ციხიდან გაქცევას შევეცდები გრაფ მონტეკრისტოსავით... რა მოგივიდა, მარია? მარია... მარია!

*(მარია უსიტყვოდ გადის. თეიმურაზი მიჰყვება მას.
შემოდის სპირიდონი და იაკობი. შემოჰყავთ ნაბადში ვახვეული ნატა).*

იაკობი: პატივცემულო ნატა, ძალიან გთხოვთ, არ იხმაუროთ.

სპირიდონი: აი, ეს თქვენი ბარგიც...

ნატა: მეშველა?!

სპირიდონი: რა?!

იაკობი: ვერ გავიგეთ?!

ნატა: რავა ვერ გაიგე, შე კაცო?! ჩამოვედი?

იაკობი: დიახ, დიახ, ადგილზე ვართ. ოღონდ ჩუმათ, ძალიან გთხოვთ, ჩუმათ იყოთ.

ნატა: მაღლობა ღმერთს!

სპირიდონი: იაშა! ვილაცა მოდის!

იაკობი: სწრაფად, სპირო, ტიმოთე მოქმეზნოთ... კარგად იყავით, ძვირფასო ნატალია... მაპატიეთ, თქვენი მამის სახელი არ ვიცი.
(გარბიან)

გამოჩნდება თინა. გაოცებული ათვალეურებს უცნობს

ნატა: შენ თინა ხომ არ გქვია?

თინათინი: დიახ.

ნატა: რამდენი ოთახი გაქვთ?

თინათინი: ხუთი.

ნატა: ძალიან მდიდარი პატარძალი ყოფილხარ... აჰა, ეს სადაც გინდა იქ შეინახე... ჩონა, კი, კარადაში დაკიდე, მე თვითონ

გავაუთოვებ, შენ ვერ შეძლებ!

თინათინი: მაპატიეთ, მაგრამ ვინ ბრძანდებით?

ნატა: ვაი?! ეს რანაირი კითხვაა?.. კაცი აღარ მკითხავს, ხომ არ გიჭირს, რითი დაგეხმაროთო, არა!!! ვინ ხარ? რა გინდა? რათ მოხვედი? თუ ჩემი მოსვლა არ გესიამოვნა... წავალ.

თინათინი: არა, ბატონო, დარჩით, როგორც საკუთარ სახლში, ისე იყავით, ძალიან სასიამოვნოა...

ნატა: ხოდა, ასე ილაპარაკე! სად შეიძლება წამოწვევს კაცი?!

თინათინი: აი, აქ მობრძანდით.

ნატა: უჰ, კინალამ დამავიწყდა... შენს გაზრდას, ფოსტაში გაიქეცი და ჩემს გოგოს ლეილას დეპეშა გაუგზავნე, მისწერე, რომ ჩამოვედი, ჩქარა წადი, თორემ ალბათ ძალიან ღელავს... რას უღაგებარ... რატომ არ მიდიხარ?! როცა უფროსები გეუბნებიან?

თინათინი: მაპატიეთ, მაგრამ მე არ ვიცი, ვინ არის ლეილა, რომელია თქვენი სოფელი, ან და... თვითონ ვინ ხართ?!

ნატა: სახელი – ნატა გაგივია?

თინათინი: დიახ.

ნატა: ჰოდა... ნატა მქვია...

თინათინი: რაო?! თქვენ ტარიელს უყვარხართ?!

ნატა: კი, ბავშვობიდან.

თინათინი: თქვენ?!

ნატა: მეც!

თინათინი: თქვენ რა... სპეციალურად ჩამოხვედით, რომ მე ეს მითხრათ???

ნატა: კი არ ჩამოვედი, ძალით ჩამომიყვანეს!

თინათინი: ვინ?

ნატა: რუსებმა!.. იმ რკინის გალიაში ჩამსვეს... ახლაც ცივი ოფლი მასხავს... რას მერჩით, ვეუბნები,... რა დაგიშავეთ... თინამ უნდა გნახოსო, მეუბნებიან! აჰა მნახე და გაიხარე! ტარიელი მანაც გამოჩნდეს, იმას ენაცვალოს ნატა.

თინათინი: კი მაგრამ, ტარიელი ხომ თქვენ შვილად გეკუთვნის?!

ნატა: უფრო შვილიშვილად.

თინათინი: აბა მაშ ცოლად როგორ მიყვებით???

ნატა: (*ვრბელი პაუზის შემდეგ*) რა მოგივიდა, ბალო?! რა დროს ჩემი ცოლობაა?! თექვსმეტი შვილიშვილი მყავს... შენ უნდიხარ ცოლად ტარიელს, შენ...

თინათინი: საყვარელო, დეიდა ნატა! *(ეზვევა და კოცნის)* ჩემთვის თქვენ ყველაზე ძვირფასი სტუმარი ბრძანდებით.

ნატა: რატომაც არა... ასეთი საჩუქარით ყველა კარგად მიმიღებს... დიდი ხნით კი არ ჩამოვედი... მხოლოდ გაზაფხულამდე დავრჩები...

თინათინი: სულაც აქ დარჩით.

ნატა: ვნახოთ, მოვიფიქრებ... გაქვს კი ჩემთვის ცალკე ოთახი?!

თინათინი: მაქვს, მაქვს... წამობრძანდით.

დაბნეულება. სინათლის ზოლი ეცემა იმ ადგილს, სადაც თინა და ტარიელი დგანან

ტარიელი: რატომ იყავი ჩემთან?

თინათინი: შენ რისთვის მოხვედი?

ტარიელი: რაზე ამიწიოკე მეზობლები?

თინათინი: დედამ გთხოვა შემოიარო, ჩვენთან უცხო მამაკაცი იყო.

ტარიელი: ვერ გამოგია, ყოველთვის მე რად მომმართავ დახმარებისათვის?

თინათინი: მაშ ვის მივმართო?

ტარიელი: იმას, ვისაც ჩემს თვალწინ კოცნიდი!

თინათინი: მე ვკოცნიდი? ვის? როდის? გაგიჟდი, ისიც შენს თვალწინ...

ტარიელი: აი, მაშინ... როცა ყვავილებით მოვედი,... ჰალსტუხით...

თინათინი: ჯერ ერთი, მე არა... და მეორეც... შენ ერთი სიტყვაც არ გითქვამს ჩემთვის...

ტარიელი: აბა, მაშ ჰალსტუხი რისთვის შევიბი?

თინათინი: აბა რა ვიცი... ენაჩავარდნილი კი იდექი და...

ტარიელი: მეორედ?! მეორედ?!

თინათინი: მაშინ შენ მაიძულებ... საერთოდ სულ ჩემს გათხოვებას ცდილობ...

ტარიელი: მე?!

თინათინი: დიას, შენ!

ტარიელი: რას ამბობ, თინა?

„თინათინის და ტარიელის დუეტ“

ტარიელი: მე შენ მინდინარ მხოლოდ ცოლად,

მე შენ მინდინარ მხოლოდ ცოლად,

მე შენ მინდინარ მხოლოდ ცოლად,

თავიდან.

არავინ მე სხვა გულის ტოლად,
არავინ სხვა მე გულის ტოლად,
არავინ სხვა მე გულის ტოლად,
არ მინდა.

თინათინი: მივეცი სხვას მე უკვე ფიცი,
მივეცი სხვას მე უკვე ფიცი,
მივეცი სხვას მე უკვე ფიცი,
შენ იცი.

ტარიელი: დავატენ თავზე მე იმ სხვას რისხვას,
დავატენ თავზე მე იმ სხვას რისხვას,
დავატენ თავზე მე იმ სხვას რისხვას,
გარბოდეს.

ბრძანე – მოჰკალ – მოვკლავ!

თინათინი: არ მინდა!

ტარიელი: ბრძანე – მონად მოვალ!

თინათინი: არ მინდა!

ვბრძანე – საქმროდ მოვალ!

თინათინი: ვიფიქრებ!

ტარიელი: (*გოცნის*)... ახლაც იტყვი, არავისთვის არ გიკოცნია?!

თინათინი: რა თქმა უნდა ვიტყვი!

ტარიელი: როგორ? ახლა არ მაკოცე?

თინათინი: მე კი არა – შენ მაკოცე!

ტარიელი: სიცრუეზე დაიფიცებ ლოცვით,

მაგრამ იცი, ისე დაგლლი კოცნით,

ვერასოდეს ველარ იტყვი უარს,

გკოცნი, გკოცნი, არ დაგტოვებ მოცლილს.

რას იტყვი ახლა, ხომ ხედავ, თვითონ მკოცნი.

თინათინი: აბა როდის?

ტარიელი: გამოტყდი.

თინათინი: არასდროს.

თუ ეს ცოტაა, თუ ეს არ კმარა,

მაშ ეს დაგახსომდება.

ახლა ხომ მკოცნი?

თინათინი: ჰო!

(*შემოდინ რუსი ალბინისტები და ნატა*)

ნატა: ვაი, მე! შეჩერდი, გიჟო, რატომ ახრჩობ ამ საწყალ გოგოს!

ტარიელი: დეიდა ნატა?! აქ საიდან მოხვედი?!

ნატა: ამ ბანდიტებს ჰკითხე! ამათ მომიყვანეს ვერტმფრენით.

ტარიელი: რათა?

ნატა: აბა რა ვიცი? მითხრეს, რომ ეს შენი ბედნიერებისთვის აუცილებელიაო... რას იტყვი? ბედნიერი ხარ?

ტიმოთე: რა არ გესმის, შე უბედურო?! მიხეილს უთქვამს თინასათვის, რომ შენ მთაში სხვა საცოლე გყავს, ნატა... ჰო და ჩვენც ჩამოგიყვანეთ ნატალია... მაპატიეთ, თქვენი მამისახელი არ ვიცი, თინათინთან გასაცნობათ.

სპირიდონი: სულ ეს არის და ეს!

ტარიელი: გასაგებია! კი, მაგრამ, ეს მიხეილი სად არის ნეტავი...

იაკობი: მიხეილი უკვე თბილისში იქნება!

ტიმოთე: თავიდან პატარა წინააღმდეგობა გაგვიწია, მაგრამ სიამტკბილობით დავიყოლიეთ.

სპირიდონი: ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან... (ერთად) დედა უტირეთ.

ტარიელი: თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო, თქვენი ჭირიმე!

შემოდის გიორგი

გიორგი: მაპატიეთ! მართალია, აქედან კინწისკვრით გამაგდეთ, მაგრამ ისევ დავბრუნდი. თუ დამიჭირეს, აქ დამიჭირონ, ნაცნობებში მაინც ვიქნები.

ტარიელი: ვინ გიჭერს?

გიორგი: მილიცია, რა თქმა უნდა, მთელ ქალაქში დამდევენ...

ნატა: კი, მარა, რა დააშავე, ისეთი გამხდარი ხარ...

გიორგი: ოთხი კაპიკი ვთხოვე ამ ოჯახის ბუბიას... დამმალეთ... ცოტა ხნით მაინც...

იაკობი: მოიცა, მოიცა... შენი სიფათი რაღაც მეცნობა... აბა, ბიჭებო, შეხედეთ... ის არის?

სპირიდონი: ის არის, წყალი არ გაუვა.

ტიმოთე: გაიქეცი, ბიჭო, მილიციაში...

გიორგი: დედა, რა ვქნა... ყველა მილიციაში მაგზავნის!

იაკობი: გაიქეცი, რომ გეუბნებიან. ჩვენ შენი ზურგჩანთა ვიპოვეთ ხევში... პასპორტი, პირადობის მოწმობაც...

ტიმოთე: ამით გიცანით!

სპირიდონი: მთაში რომ მიდისხარ... საბუთები ზურგჩანთაში კი არა
– ჯიბეში უნდა გეღოს... გაიგე!

გიორგი: ფული?!

სპირიდონი: ფულიც! ხელწერილით მილიციას ჩავაბარეთ.

გიორგი: ბიჭუბო! თქვენ მე სიცოცხლე კი არა, თქვენ მე პატიოსანი
კაცის სახელი და, რაც მთავარია, იერი დამიბრუნეთ... მე თქვენ
მოვალე ვარ კუბოს კარამდე... მელოდეთ! უჰ,... როგორ გაემდები
(*გარბის*)

(*გზაში შეეფეთება ოღლა ბეზიას*)

ოღლა: შეკარით! ეს ქურდია!

ტიმოთე: გეშლებათ, ქალბატონო, ეს ქურდი არ გახლავთ...

ოღლა: ბანდიტა, მძარცველი, ნარკომანი... პასპორტი არა აქვს!

სპირიდონი: აქვს, აქვს...

ოღლა: არაფერიც არა აქვს... კანდიდატი ვარო, მეცნიერი...
სინამდვილეში კი არამზადაა...

იაკობი: გეშლებათ, ქალბატონო... არ არის არამზადა...

ოღლა: მაშ ვინ არის?!

სპირიდონი: კანდიდატია, მეცნიერი, ინტელიგენტი!

ოღლა: ვერაფერი გამიგია! ბოლოს და ბოლოს...

ნატა: რა მოგივიდა, ქალო?! წამოდი ერთი... ჩემთან!

ოღლა: ეს ვინ არის?

ნატა: წამოდი, წამოდი, გზაში ავიხსნი, გზაში. (*გაღიან*)

ტარიელი: მომილოცეთ, ბიჭუბო! თინა მომყვება ცოლად!

სპირიდონი: დედამისი თანახმაა???

თინათინი: დედა?! დედა დიდი ხანია თანახმაა!

იაკობი: გააყოლოს შვილი ქართველ ქვისმთელ ტარიელს, არა?

ტიმოთე: ერთი სიტყვით, შენ მას ყველაფერი უნდა უთხრა! გაიგე!
ყველაფერი!!

(*შემოდიან მარია და თეიმურაზი*)

თინათინი: დედა, მე ტარიელს ვუყვარვარ!

მარია: ეს მან თვითონ გითხრა?

ტარიელი: დიან!... მე... მიყვარს თინათინი!!!

მარია: დამსვით! მადლობა ღმერთს! გვეშველა... გვეშველა ბოლოს
და ბოლოს (*იციინს*)

ტარიელი: მე... მე მინდა გითხრათ... დეიდა მარია... მე მოგატყუეთ... მე
შენც მოგატყუე, თინათინ... თქვენც, ძია თეიმურაზ... მაპატიეთ.

თეიმურაზი: საწყალი ბავშვი, როგორ იტანჯება! ტარიელ, გვიპატიებია, რა თქმა უნდა, გვიპატიებია... აბა, როგორ?! მაგრამ რა უნდა გაპატიოთ?

ტარიელი: მე მთებში დავდივარ!

თეიმურაზი: ვაჰ! მერე რა?! ჩვენ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ზოგი მთებში დადის, ზოგიც დუქანში... ასე არ არის?!

ტარიელი: მე მთამსვლელი ვარ... მაშველი! (*მარია დუმს*)

თინათინი: არა, არა, ტარიელ, შენ არასწორად ამბობ.

ტარიელი: მე სიმართლე ვთქვი, თინა!

თინათინი: შენ იყავი მთამსვლელი!

ტარიელი: (*გრძელი ღუბილის შეძღვევ*) ჰო! მე ვიყავი მთამსვლელი!

მარია: (*უსიტყვოდ კოცნის თინას და ტარიელს*) მთამსვლელი პროფესია არ არის, ეს ადამიანის ბუნებაა, თვისება, ხასიათი... ბედნიერად იყავით...

სპირიდონი:

იაკობი: } ვაჰა!

ტიმოთე: }

ტიმოთე: თქვენ ნამდვილი ადამიანი ხართ, მარი გაერილოვნა, მოგილოცავთ! Горько! Горько! (*თინა და ტარიელი კოცნიან ერთმანეთს*)

ოლლა: რა მოხდა? რა ყვირილია? ვის ეხვევი, თინა? ისევ გამოჩნდა მიხელი? ო... ეს ტარიელია! კეთილი... იყოს ტარიელი. ვინმეზე ხომ უნდა გათხოვდე ბოლოს და ბოლოს (*ულოცავს ორივეს*) (*შემოდის ვალამა ზებული ვიორვი. მუორე მხრიდან შემოდის ნანა ჩემოდნით ხელში*).

ვიორვი: გამარჯობათ!

ოლლა: ნანა! მოდი, თინას მიულოცე, ტარიელი თხოვდება... არა, არა... პირიქით... ტარიელს მიულოცე, თინა თხოვდება... ერთი სიტყვით... მიულოცე!

ვიორვი: მაპატიეთ! მართალია. თქვენ კინწისკვრით გამაგდეთ, მაგრამ მე მაინც დავბრუნდი... აი, ინებეთ – ოთხი კაპიკი... ვალი დაგიბრუნეთ. (*ნანას*) გამარჯობათ!

ნანა: (*აკვირდება*) ეს რა მასკარადია?! თუ ავარა ხართ, ავარა იყავით, თუ არა და თავიდან გეთქვათ, რომ წესიერი კაცი ხართ... რას მატყუებდით?!

ოლლა: ეჰ, ნანა, სადღაა ნამდვილი მამაკაცები?! ახლა ყველა ფლიდი

და მატყუარაა.

გიორგი: ვერ გამიგია, ნუთუ თქვენთვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა, რომ ბოროტმოქმედი ვყოფილიყავი?

ნანა: დიახ! ათასჯერ! მეცოდინებოდა მაინც, რომ ჩემი გულისთვის გამოსწორდებოდიტ (*გარბის*)

მარია: (*გიორგის შარფს შეაჩეჩებს*) აი, მისი შარფი! სთქვი, შემთხვევით გამყვა და ამის მოსატანად მოვედი-თქო. დედ-მამაც მოიყვანე. ეს ლამაზიც იქნება და მოულოდნელიც. (*გიორგი გარბის*)

თეიმურაზი: მარია! ამ ოჯახში ღვინო დარჩა თუ გავიქცე და მოვიტანო?

მარია: ყველაფერი რიგზეა, თემო, მხოლოდ სტუმრები მეცოტავება.

თეიმურაზი: ამა ახლავე გამოვასწორებ!

(კედლიდან ჩამოხსნის თოფს და ორჯერ გაისვრის ჰაერში. ყოველი მხრიდან შემოვარდებიან მეზობლები. ნატას შემოაქვს გამზადებული თეთრი ჩოხა).

საფინალო გუნდი

ცოცხალია, ცოცხალი!

ისევ მთები იტაცებს,

სიმღერებად დადის

დედამიწაზე.

ცოცხალია, ცოცხალი!

მშობელ მთების მკობარი,

ადლეგრძელეთ, არ თქვათ

შესანდობარი.

ფარდა

პირველი კლასიკური მიუზიკლი – „ჩემი მშვენიერი ლედი“, დაიდგა თბილისის მუსიკალურ თეატრში 1966 წელს. ეს იყო კომპოზიტორ ფრიდერიკ ლოუს და დრამატურგ ჯორჯ ლერნერის ვერსია მუსიკალური წარმოდგენისათვის ბერნარდ შოუს „პიგმალიონის“ მიხედვით, ხოლო პირველი ნაციონალური მიუზიკლი – „სიმღერა ტყეში“, დაიდგა 1968 წელს. ეს იყო სატირული ხასიათის დრამატურგ ლევან ჭუბაბრიას და კომპოზიტორ სულხან ცინცაძის მიერ შექმნილი სცენური ნაწარმოები, რომელიც წარმატებით დაიდგა 1968 წელს.

მინდა გამოვეყო რამდენიმე მნიშვნელოვანი და წარმატებული მუსიკალურ-თეატრალური ნაწარმოები, რომელიც განხორციელდა ვასო აბაშიძის მუსიკალურ თეატრში XX საუკუნის მეორე ნახევარში:

1. „კურკას ქორწილი“ (1968 წ.) – კომპ. – გოგი ცაბაძე
პიესა – მიხეილ თარხნიშვილი
2. „ჩანჩურა“ (1977 წ.) – კომპ. – შოთა მილორავა
პიესა – გურამ მელივა
3. „სიყვარულის მგოსანი ვარ“ („იეთიმ გურჯი“) (1978 წ.) –
კომპ. – გოგი ცაბაძე
პიესა – მიხეილ თარხნიშვილი
4. „მეტეხის ჩრდილში“ (1985 წ.) – კომპ. გოგი ცაბაძე
პიესა – ოთარ მამფორია
5. „კახაბერის ხმალი“ (1987 წ.) – კომპ. – შოთა მილორავა
პიესა – მიხეილ თარხნიშვილი

დაიბეჭდა სტამბაში „კენტავრი“

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი
0102, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. № 40